ვიხეილ შენგელია

ტარდაჟალი პეტროლის ქართული ფილოსოფია

1801-1861



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1968

61(41)(09)
61(47.922) „1801:186“
J482

М. С. Шенгелия

«Медицина Грузии переходного периода»
(1801—1860 гг.)

Издательство «Сабчота Сакартвело». Тбилиси, 1968

Монография является исследованием того периода истории медицины Грузии, который меньше всего был изучен и назывался «Мертвым периодом». Новыми архивными, историческими, собственно медицинскими источниками установлена достаточно точная и интересная история этого периода.

В книге рассмотрены процессы становления новой русско-европейской медицинской системы в Грузии: организация и деятельность первых медико-профилактических учреждений: больниц, аптек, эпидемии и противоэпидемических мероприятии, карантинных служб, зачатки курортно-больнеологического дела, медицинская литература и жизнь виднейших деятелей этого периода.

В книге прилагается публикация малоизвестных и уникальных книг, но между тем являющихся основными и характерными источниками истории медицины данного периода.

Книга расчитана на историков медицины, организаторов здравоохранения и на широкие круги врачей.

საზოგადოებრივი რედაქტორი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ბ. მარუაშვილი.

5—1
334—68 ადგ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული მედიცინის ისტორიის გარდამავალი პერიოდი (1801—1860) მეტად საინტერესო ხანაა. ქართული მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხების გარჩევისას ჩვენ ამ პერიოდს შემდეგი დახასიათება მივეცით: „განახლება-აღორძინების პერიოდის... მომდევნო ხანის შედარებით მცირე დროის მონაკვეთი (1801—1860) გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ხ ა ნ ა დ ჩაითვლება. ამ დროს (1801) მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, რამაც დააჩქარა ადრე დაწყებული პროცესი თანამედროვე („რუსულ-ევროპული") მედიცინის საბოლოოდ გავრცელებისა და დამკვიდრებისა".

1803 წლიდან საქართველოში (ჯერ ქართლ-კახეთში და შემდეგ თანდათან დასავლეთ საქართველოში) მყარდება სამედიცინო მომსახურების რუსული სისტემა „საექიმო მმართველობის", სამაზრო ექიმის თანამდებობის, საკარანტინო სამსახურის, აფთიაქების, საავადმყოფოსა და სამხედრო ჰოსპიტლების შექმნის სახით. ძველი ქართველი ექიმების მოღვაწეობა აკრძალეს, თუმცა 20-იან წლებამდე მათ და აგრეთვე ქართულ ხალხურ რაციონალურ მედიცინას მაინც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოსახლეობაში და რუსული მედიცინის პარალელურად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლები მოსკოვსა და პეტერბურგში სწავლობდნენ. საქართველოში კიდევ უფრო იკიდებდა ფეხს რუს პროგრესულ მოაზროვნეთა (დეკაბრისტების) იდეები. პეტერბურგში მყოფი ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი მეტად ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მთარგმნელობითი და ორიგინალური შემოქმედების სახით. ამ დროისათვის განსაკუთრებით ცნობილია იოანე და დავით ბაგრა-

ტიონების სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა. ისინი გარდამავალი ხანის მედიცინის ტიპიური წარმომადგენლები არიან. მათ შემოქმედებაში ერთნაირად იგრძნობა როგორც ძველი ქართული მედიცინის ტრადიციები, ისე ახალი, რუსულ-ევროპული სამედიცინო აზროვნება. ამ პერიოდში იბეჭდება პირველი სამედიცინო ხასიათის წიგნები, ჩნდება სამედიცინო, ბოტანიკური ლექსიკონები, რეცეპტები, მონოგრაფიული ხასიათის ხელნაწერები მედიცინის ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც საერთოდ გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი თვისების, ძველი და ახალი (შერეული) სამედიცინო იდეების შემცველია.

ამ ხანებში მოღვაწეობდნენ რუსული სამედიცინო განათლების მქონე ქართველი ექიმები (პ. კლაპიტონიშვილი. სტ. შარიმანაშვილი, შემდეგში ზ. ზუბალაშვილი, ს. ალექსი-მესხიშვილი და სხვ.). მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა, ერთი მხრივ, და ცალკეულ ფეოდალთა უზომო ექსპლოატაცია, მეორე მხრივ, მოსახლეობას აუტანელ ტვირთად აწვა, რამაც ამ საუკუნის პირველ მესამედში გამოიწვია ხშირი აჯანყებები, შიმშილობა, ეპიდემიების გავრცელება და სხვ. მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის შედეგად თანდათან უქმდება ცალკეული სამთავროები. 30-იანი წლებიდან საბოლოოდ ყალიბდება და უფრო ინტენსიური ხდება ადრე დაწყებული პროცესი ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვისა. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში იხსნება საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები, სადაც ფეხს იკიდებს კაპიტალისტური წარმოების წესი. ეს პროცესი მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოსათვის სრულდება, რაც ძირითადად 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების გატარებით გამოიხატა. ამით საბოლოოდ დამარცხდა ფეოდალური წყობილება და დაიწყო ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის ხანა, ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი (1801—1860) გარდამავალი ხანაა ფეოდალური წყობიდან კაპიტალისტურ ფორმაციაში. ასევე მედიცინის ისტორიაშიც ამ პერიოდში, როგორც ზემოთ ვნახეთ, სრულიად კანონზომიერად და ნათლად იგრძნობა ეს „გარდამავალი“ პროცესი, რაც გამოიხატება ძველი სამედი-

ცინო იდეებისა და ტრადიციების უარყოფითა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობისათვის შესაფერი და მისთვის კანონზომიერი სამედიცინო სისტემებისა და აზროვნების ჩამოყალიბება-დანერგვით"[1]. ასეთი შინაარსიანი და მრავალი საინტერესო სიტუაციის შემცველია საქართველოს ისტორიისა და, კერძოდ, ქართული მედიცინის ისტორიის ეს მცირე დროის მონაკვეთი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ ჰპოვა სათანადო ადგილი საქართველოს მედიცინის ისტორიაში და ცალკეულ მკვლევართა თვით ამ პერიოდის ამსახველ შრომებშიც კი.

ქართული მედიცინის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი ექ ლ. კოტეტიშვილი ამ პერიოდისა და საერთოდ XIX საუკუნის მედიცინის შესახებ წერს: „XIX საუკუნე მკვდარი პერიოდია ქართული მედიცინის ისტორიაში, არც ერთი ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი საექიმო თხზულება ამ პერიოდში ჩვენ არ მოგვეპოვება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შტაბ-ლეკარი პეტრე კლაპიტონოვის მიერ 1830—1832 წლებში რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული „მოკლე კარაბადინის" (იხ. № 5 სახ. მუზეუმი), დეკანოზ დავით ღამბაშიძის „კარაბადინის" (იხ. „სახალხო საექიმო წიგნი — კარაბადინი"... 1893 წ.) და ვინმე ილია სულაქველიძის „სიმართლის კიდობანის" (იხ. „სიმართლის კიდობანი" — ოჯახში საკითხი სახმარებელი წიგნი — 1891 წ.) გარდა, არაფერი არა ჩანს მთელი საუკუნის მანძილზე"[2]. რასაკვირველია, ვერც ერთ დებულებაში ავტორს ვერ დავეთანხმებით. არამცთუ მთელი XIX საუკუნის „მკვდარ პერიოდად" აღიარება, არამედ, თვით ამ საუკუნის პირველი ნახევრისაც კი, როდესაც, შედარებით XIX საუკუნის II ნახევართან, ყოველი სამედიცინო წამოწყება ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, ყოვლად უმართებულო იქნება. რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ ეს პერიოდია საინტერესო და შინაარსიანი, რომელშიც ნათლად შეინიშნება ძველისა და ახლის ბრძოლა, ძველის შეცვლა ახლით, ახალი სახის, ახალი

---

1 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ქართული მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის „მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში", 1961, გვ. 48-50.

2 „იადიგარ დაუდი", ექ. ლ. კოტეტიშვილის რედაქც., 1936, თბილისი, გვ. VI.

ტიპის სამედიცინო სისტემებისა, იდეებისა და მოღვაწეების წარმოშობა და მრავ. სხვ. იქნებ ექ. ლ. კოტეტიშვილის ამ მოსაზრებამ შექმნა ის საერთო ტენდენცია, რომ ქართული მედიცინის ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი XIX საუკ. მედიცინას შეხებია, გვერდს უვლის მისი პირველი 6 ათეული წლის ისტორიას და მთელი საუკუნის ისტორიაზე მსჯელობს საუკუნის ბოლო ათეული წლების მასალებითა და სტატისტიკური მონაცემებით. მართალია, XIX საუკუნის I ნახევრის და, კერძოდ, გარდამავალი ხანის ისტორიული პირველწყაროები შედარებით ნაკლებია, მაგრამ გულდასმითი ძიების, ამ პერიოდის მხატვრული, ისტორიული, საარქივო, ჟურნალ-გაზეთების მასალების მიზნობრივი შესწავლის, ქართული ხელნაწერი ფონდებისა და მოსკოვ-პეტერბურგის არქივებში დაცული დოკუმენტების გამოვლენის შედეგად შესაძლებელი ხდება ამ პერიოდის მედიცინის ისტორიას საკმაო სიზუსტით მოეფინოს შუქი. XIX საუკუნის ბოლო ათეული წლების მასალები უხვადაა თავმოყრილი ჩვენს არქივებში, რადგან ამ დროისათვის გაცილებით ორგანიზებულია სამკურნალო დაწესებულების ანგარიშგების საკითხი და საარქივო მეურნეობაც ორგანიზებულია. I ნახევართან შედარებით წინ წავიდა პერიოდული პრესისა და წიგნების გამოცემის საქმე, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამკურნალო დაწესებულებებსა და მთელი სამედიცინო სისტემის წლიურ ანგარიშებს. კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შრომათა კრებულებიც საკმარისია ამ ხანის სამედიცინო აზროვნების განვითარების სურათის დასადგენად. პირველ ნახევარში კი შედარებით რთულია ისტორიული კვლევა წყაროების სიმცირისა და დაფანტულობის გამო. შესაძლოა ესაა მიზეზი იმისა, რომ მთელ რიგ შრომებსა და მონოგრაფიებში, დისერტაციებში, XIX ს. მედიცინის ისტორიის ზოგადსა თუ დარგობლივ ისტორიებში, XIX ს. I ნახევარი ან სრულებით არაა მოცემული. ან მიმოხილულია ზოგადად. მ. სააკაშვილის, ა. გელაშვილის, ლ. ჭეიშვილისა და ც. ჩხეიძის „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ IV ტ. I წიგნი მთლიანად XIX საუკუნეს განეკუთვნება. ჩვენ არ შევეხებით სხვა შენიშნებსა და იმ მეთოდოლოგიურ შეცდომებს, რომლებითაც XIX საუკ. ფეოდალური და კაპიტალისტური ეპოქა

ერთიმეორეშია არეული. მხოლოდ ვიტყვით, რომ თვით ფაქ-ტოლოგია არ არის სრულიად საკმარისი, განსაკუთრებით I ნა-ხევრის ისტორიაში. იოანე ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი და პეტრე კლაპიტონიშვილი XIX საუკ. I ნახევრის უდიდესი მოღვაწეებია, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის ქართული მე-დიცინის ისტორია, ისე როგორც ქართული ლიტერატურის ის-ტორია ვერ აუვლის გვერდს XIX საუკ. გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლავრენტი არდაზიანს, დანიელ ჭონქაძეს, გიორგი ერისთავს და სხვ. ავტორები თით-ქმის არც იცნობენ დ. ბაგრატიონის სამედიცინო ხასიათის შრომებს. ი. და დ. ბაგრატიონების, პ. კლაპიტონიშვილის და სხვ. სამედიცინო ხასიათის შრომები სწორედ ქართული მედი-ცინის ისტორიაა, ჩვენი ეროვნული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ისტორიაა. ისინი უანგაროდ, ყოველგვარი მატე-რიალური დაინტერესების გარეშე, ქართული მეცნიერების წინ-სვლის დაუშრეტელი წყურვილითა და ქართველ ხალხზე ზრუნვით ქმნიდნენ თავიანთ შრომებს, სამშობლოდან გადახ-ვეწილნი აგზავნიდნენ ხელნაწერ, თუ ნაბეჭდ წიგნებს. უცხო-ელი ექიმები თ. ი. უმისა და ი. კ. დეპნერი კი ჩვენი სიყვარუ-ლით არ ჩამოსულან საქართველოში. ბევრი მათგანი პირადი კეთილდღეობის მიზნით, როგორც იტყვიან „საშოვარზე“ ჩა-მოვიდა. ამ ხალხის მოღვაწეობას მთავარი ადგილი უჭირავს ხსენებულ წიგნში, ზემოხსენებულ ქართველ მოღვაწეთა საქმი-ანობა კი შესავლის, დამატების სახით არის მოცემული, დრო-ისა და სივრცის გარეშე და XIX საუკ. თანმიმდევრულ ისტო-რიაში ვერ ჰპოვეს ასახვა. პირველი თავი, სადაც ი. ბაგრატიო-ნის, პ. კლაპიტონიშვილისა და სხვ. სამეცნიერო მოღვაწეობაა განხილული, დასათაურებულია ასე: „XIX საუკ. საქართველოს მედიცინის განვითარების სათავეები“. თანმიმდევრული ისტო-რია კი II თავში იწყება — 1801 წლიდან. ზემოხსენებულ მო-ღვაწეთა ნაწარმოებები ძირითადად დაწერილია 1823—1824, 1829, 1836 წლებში, ე. ი. როდესაც უკვე საუკუნის მესამედი განვლილია. ვფიქრობთ, არ შეიძლება ასეთ მასალებს XIX ს. „სათავეების“ მასალები ვუწოდოთ და 30-იან წლების წყა-როებით საუკუნის დასაწყისის ისტორია ვწეროთ. XIX საუკ.

I ნახევრის ან, უფრო სწორად, გარდამავალი ხანის (1801—1860) ქართული მედიცინა სრულიად შეუსწავლელია. მკვლევარები ალბათ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ეს პერიოდი, თითქოს, „მკვდარი პერიოდია“ მედიცინის ისტორიაში, თუმცა იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველმხრივ საინტერესო პერიოდია. საექიმო საქმიანობის თითქმის ყველა რევოლუციამდელ ძირითად ფორმებს ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. მედიცინის ისეთი მოღვაწეები, როგორიც ამ პერიოდში იყვნენ, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ გვყოლია. ავტორები გარდამავალ პერიოდს მთელ წიგნში მხოლოდ რამდენიმე გვერდს უთმობენ. მთელი წიგნი, ძირითადად, XIX საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების ისტორიაა, ე. ი. იმ პერიოდის, როდესაც უკვე მასალები, შეჯამებული სტატისტიკური ცნობები და წლიური ანგარიშები ადვილი მოსანახია პერიოდულ პრესაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც პირველად ხელს მოხვედრილი მასალებია განხილული და გამოყენებული და არა შერჩეული, ძირითადი და წამყვანი.

ავტორების მიხედვით, XIX საუკუნის დამლევამდე საქართველოში თურმე ერთი სტაციონარული დაწესებულება — 12-საწოლიანი საავადმყოფო არსებობდა, რომელიც მხოლოდ 58 წლის შემდეგ გაფართოვდა 200 საწოლით („ეს ერთადერთი სტაციონარული დაწესებულება მთელი საქართველოს მოსახლეობას უწევდა მომსახურებას“)[1].

სინამდვილეში, როგორც წინამდებარე წიგნში ვნახავთ, სულ სხვა სურათია. აღმოსავლეთ საქართველოში 1848 წლისათვის სტაციონარული მომსახურება, თბილისის საქალაქო საავადმყოფოს გარდა, დაწესებულია კეთილშობილ ქალთა ა/კავკასიის ინსტიტუტში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სასულიერო სემინარიაში, თბილისის ციხის საავადმყოფოში, სიღნაღისა და თელავის ე. წ. „ლაზარეთულ განყოფილებაში“. ეს საავადმყოფოები სტაციონარული მომსახურების გარდა, ამბულატორიულ მიღებასაც ეწეოდნენ. 1848 წელს ამ

---

1 მ. საკაშვილი, ა. გელაშვილი, ლ. ჭეიშვილი, ც. ჩხეიძე. საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 55.

საავადმყოფოებს სტაციონარში 1087 ავადმყოფი გაუტარებიათ.

არ არის მოცემული XIX საუკუნეში გავრცელებული მძვინვარე ეპიდემიების სურათი და მათთან ბრძოლის გონივრული ღონისძიებანი, განხილული არაა აგრეთვე საკარანტინო სამსახურის მუშაობა — მისი მუშაობის ხასიათი, ეფექტიანობა. პ. კლაპიტონიშვილის შრომა „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თჳსისა შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჭირისა“ იძლევა ამ ეპოქის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებათა სრულყოფილ სურათს და ეპიდემიოლოგიის დარგში ცოდნის მაშინდელ დონეს. სწორედ ამ ღონისძიებებისა და ცოდნის შესაფერისად უნდა ყოფილიყო კარანტინები მოწყობილი. ავტორები არ იხილავენ XIX ს. სამედიცინო ლიტერატურას, თვით სტამბურად გამოცემულსაც კი, აგრეთვე — ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესას, რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის თანამედროვე საკითხებს. ჯერ კიდევ XIX საუკ. I ნახევარში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს მინერალური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსების მეცნიერულ შესწავლასა და ორგანიზაციას. ჯერ კიდევ პირველ ათეულ წლებში შესწავლილ იქნა ბორჯომის, ნაქალაქევის, რაჭის მინერალური წყლები. 1869 წლიდან კი „მინერალური წყლების სამმართველოც“ ჩამოყალიბდა. ბორჯომზე ბევრი სადოქტორო დისერტაცია დაიწერა. ყოველივე ამან ვერ ჰპოვა ასახვა წინამდებარე წიგნში. ამის გამო ეს წიგნი და, საერთოდ, არსებული ლიტერატურა სავსებით ვერ ასახავს XIX საუკუნის მედიცინის ისტორიას — განსაკუთრებით მის პირველ ნახევარს.

ასეთივე შენიშვნები შეიძლება ითქვას კ. დემეტრაშვილის წიგნზე „ნარკვევები მედიცინის ისტორიისათვის საქართველოში“, ე. სებისკვერაძის წიგნზე „მასალები სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის საკითხისათვის საქართველოში მე-19 საუკუნეში“ და ი. შენგელიას წიგნზე „საქართველოში სანიტარული საქმის და ეპიდემიებთან ბრძოლის ისტორიისათვის. 1801 წლიდან 1913 წლამდე“. (1957). არც ერთ ამ წიგნში არ არის გამოყენებული მათთვის

საჭირო და საინტერესო ძირითადი წყაროები, განსაკუთრებით XIX საუკუნის I ნახევრისა. კ. დემეტრაშვილის წიგნში ფაქტიურად XIX საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების ისტორიაა განხილული. 239 გვერდიდან წიგნში მთელს ეპოქას 1801-დან 1864 წლამდე, მხოლოდ 15 გვერდი აქვს დათმობილი (გვ. 14—28), მაშინ როცა ამ წიგნს პრეტენზია აქვს სანიტარული საქმის ორგანიზაციის ისტორიისა 1801-დან 1917 წლამდე. ე. სებისკვერაძის წიგნი მხოლოდ 5 გვერდზე (გვ. 13, 52, 53, 54, 58) იძლევა XIX საუკუნის მთელი 6 ათეული წლის ისტორიას. ავტორის მიერ გამოყენებული პირველადი წყაროები ძირითადად 80—90-იანი წლების საარქივო მასალაა. ამ წიგნსაც მთელი XIX საუკუნის ისტორიის პრეტენზია აქვს. 53-ე გვერდზე ე. სებისკვერაძე კარანტინების შესახებ წერს: „არსებული მასალები საშუალებას არ იძლევიან დაწვრილებით ვიმსჯელოთ საკარანტინო კანტორისა და კარანტინების საქმიანობის შესახებ, მაგრამ მათი არსებობის ფაქტს მაინც გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგრამ ამ საქმეში ცუდი ის იყო, რომ კარანტინები იხსნებოდა მაშინ, როდესაც ეპიდემია უკვე მოედებოდა მოსახლეობას მნიშვნელოვნად, რაც ამცირებდა საკარანტინო ღონისძიებათა ეფექტურობას“. ამ პატარა ციტატაში ბევრი რამ არ არის სწორი: 1. კარანტინებისა და საკარანტინო სამსახურის საქმიანობის შესახებ აუარებელი მასალა არსებობს, რითაც კარანტინის საქმიანობის ყოველდღიური მუშაობის ყოველგვარი დეტალის დადგენა ხერხდება. ამიტომ არაა სწორი თითქოს ისტორიული წყაროები არ არსებობდეს; 2. არც ისაა სწორი, რომ კარანტინები ეპიდემიების გავრცელების შემდეგ იხსნებოდა და სხვ. კარანტინი ორი სახის არსებობდა: სტაციონარული (მუდმივმოქმედი) და დროებითი. მუდმივი კარანტინები ძირითადად იყო სასაზღვრო ზონაში სპარსეთ-ოსმალეთის და რუსეთისაკენ მიმავალ საკომუნიკაციო და მაგისტრალურ გზებზე. ასეთი კარანტინი კავკასიაში მაშინ 25 იყო. მუდმივმოქმედი კარანტინები ქვეყნის შიგნითაც არსებობდა, დროებითი კი იხსნებოდა ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით ეპიდემიის გავრცელების ტერიტორიაზე. საკარანტინო

სამსახურის საქმიანობას კ. დემეტრაშვილის და ი. შენგელიას წიგნებიც არ იცნობს.

ავტორები არ იცნობენ XIX საუკუნის ქართულ სამედიცინო ლიტერატურას და ეპიდემიოლოგიური აზროვნების დონეს. მათ სიამაყით უნდა აღენიშნათ ის ფაქტი, რომ პირველი ქართული სამედიცინო ნაბეჭდი წიგნი სწორედ ეპიდემიოლოგია-იმუნოლოგიის საკითხებს ეხება. 1808 წ. სტამბურად გამოიცა გოდერძი ფირალიშვილის თარგმანი „ღონე და შეწევნილება, რომლითაც იხსნების ერი ყვავილის სნეულების სვრისაგან“.

1815 წ. გიორგი ელიოზიძე წერს წიგნს „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყვავილისა“. 1830 წელს ცნობილი ქართველი მოღვაწე ლექსიკოგრაფი ნიკოლოზ ჩუბინიშვილი თარგმნის რუსულიდან და სცემს სტამბურად წიგნს ყვავილის აცრაზე. ამ წიგნებისა და წყაროების საფუძველზე ამეტყველდა საქართველოში ახალი ეპიდემიოლოგიური აზრი და გავრცელდა მასაში. სწორედ ამ წიგნებითა და წყაროებით უნდა ისარგებლოს პირველ რიგში სანიტარია-ეპიდემიოლოგიის ისტორიის მკვლევარმა. იმ დროს, როდესაც ქართული ნაბეჭდი წიგნი საერთოდ იშვიათობას წარმოადგენდა, 3 წიგნი ყვავილის აცრის მნიშვნელობის, ტექნიკისა და პოპულარიზაციის საკითხებზე უაღრესად სასიხარულო მოვლენა უნდა იყოს ეპიდემიოლოგიის ისტორიკოსისათვის. ზემოხსენებული ავტორები კი ამ უპირველეს წყაროებს სრულებით არ იცნობენ. არ იცნობენ აგრეთვე პ. კლაპიტონიშვილის ორიგინალურ წიგნს, 1826 წელს გამოცემულს, „მოკლე დარიგება ერისა. ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თჳსისა შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჭირისა“. ავტორს ამ წიგნში დეტალურად აქვს აღწერილი გადამდები სნეულების და კერძოდ, შავი ჭირის გავრცელების, კლინიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისა და სხვა საკითხები. აქ მოცემულია ეპოქის ეპიდემიოლოგიური აზროვნების დონე, მისი უაღრესად დეტალური და ნათელი სურათი. პ. კლაპიტონიშვილის წიგნი. როგორც ვთქვით, ორიგინალურია. შემდეგ ავტორმა რუსულად თარგმნა და სახელგანთქმული რუსი პროფესორის ეფრემ მუხინის რეკომენდაციით რუსულად გამოიცა 1827 წელს. ამგვარად, ქართულ მე-

დიცინას თავისი წვლილი აქვს შეტანილი რუსულ ეპიდემიოლოგიური ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ეს მნიშვნელოვანი ფაქტიც გამორჩენიათ ზემოხსენებულ ავტორებს თავიანთ ეპიდემიოლოგიის ისტორიაში. არ აღუნიშნავთ აგრეთვე ის ისტორიული წყაროები და საარქივო მასალები, რომლებშიაც დეტალურადაა აღწერილი საუკუნის მანძილზე წარმოშობილი ცალკეული ეპიდემიები: შავი ჭირი, ქოლერა, ყვავილი და სხვ.

მაშასადამე, ქართულ სამედიცინო ისტორიულ ლიტერატურაში გარდამავალი ხანის მედიცინა, როგორც გარკვეული შინაარსისა და ინტერესის შემცველი პერიოდის მედიცინა, ცალკე შესწავლისა და მკვლევართა დაინტერესების საგანი არ გამხდარა. ის მკვლევარებიც, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სწავლობდნენ XIX საუკუნის ქართული მედიცინის ისტორიას, ამ საუკუნის I ნახევრის მედიცინას ყურადღების გარეშე ტოვებდნენ და მთელი საუკუნის ისტორიას XIX საუკ. II ნახევრის მასალებით ასურათებდნენ, ან უარყოფდნენ რაიმე საინტერესო სამედიცინო-ისტორიული მოვლენის არსებობას I ნახევარში.

1964 წელს გამოვიდა ი. ნიკობაძის, ი. ტატიშვილისა და ი. ქურჩიშვილის წიგნი რუსულ ენაზე „Основные этапы развития медицины Грузии". ჩვენ არ შევეხებით წიგნის სერიოზულ ხარვეზებს, რომლებიც მას გააჩნია როგორც მეცნიერული, ისე ადრინდელ ავტორებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ვიტყვით მხოლოდ გარდამავალი ხანის შესახებ. აღნიშნულ წიგნში სრულებით ვერ ჰპოვა ასახვა ამ პერიოდმა. ავტორებს აქ უნდა განეხილათ ი. ბაგრატიონის მოღვაწეობა, რადგან მისი ძირითადი ნაწარმოებები დაწერილია 1828 წელს. ისინი კი მას რატომღაც ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანთან ერთად იხილავენ. ავტორები არ იცნობენ დ. ბაგრატიონის სამედიცინო-საბუნებისმეტყველო პარაგრაფებს „შემოკლებული ფისიკიდან", „სამკურნალო რეცეპტებს", სულ სხვა პერიოდში (კაპიტალისტურში) გადაუტანიათ რუსული სამედიცინო განათლების მქონე პირველი ქართველი ექიმის პეტრე კლაპიტონიშვილის მოღვაწეობა. XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის პეტრე კლაპიტონიშვილი ყველაზე გამოჩენილი

ფიგურაა, მისი სამედიცინო შრომების გარეშე შეუძლებელია გარდამავალი ხანის მედიცინაზე მსჯელობა. არც ეს ავტორები იცნობენ ამ პერიოდის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელს, ასახელებენ 3—4 კარანტინს. საქართველოში კი მაშინ, როგორც აღვნიშნეთ, კარანტინების მთელი ქსელი იყო (1834 წელს — 25 კარანტინი). მათთვის უცნობია ეპიდემიები, მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები, არსებული სამედიცინო დაწესებულებათა მთელი სისტემები. აი, ორიოდე მაგალითი: 50-იანი წლებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 6 საავადმყოფო იყო (ისინი მხოლოდ ერთს იცნობენ), თბილისში 6 აფთიაქი და საფთიაქო მაღაზია იყო (ავტორები მხოლოდ ორს იცნობენ). კავკასიაში 42 ჰოსპიტალი და გაცილებით მეტი ლაზარეთი არსებობდა. ავტორები კი ამბობენ რომ „Врачей в первой половыне XIX века в Грузии почти не было". რასაკვირველია, არსებული სამკურნალო დაწესებულებები სრულებით ვერ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნებს. ავტორები ხშირად იძლევიან მეფის მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა კრიტიკას, მაგრამ საჭიროა რომ ეს კრიტიკა ნამდვილი, რეალურად არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობდეს და დეკლარაციის ხასიათს არ ატარებდეს.

ამგვარად, გარდამავალი ხანა ერთგვარ ხარვეზს წარმოადგენდა ქართულ სამედიცინო-ისტორიულ ლიტერატურაში და სწორედ ამ ხარვეზის შევსებაა წინამდებარე მონოგრაფიის მიზანი.

გარდა მოცემული პერიოდის თანმიმდევრული ისტორიისა, ჩვენ არ მოვერიდეთ ფართოდ წარმოგვედგინა ამ ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველადი წყაროებისა და დოკუმენტების ფრაგმენტები და აქვე მოგვეხდინა ისეთი უნიკალური ძეგლების პუბლიკაცია, როგორიც არის პ. კლაპიტონიშვილის „მოკლე დარიგება ერისა" შავი ჭირისა და სხვა გადამდებ სნეულებათა შესახებ, მისივე უკანასკნელი წიგნი „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა ჰოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისასა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა", გიორგი ელიოზიძის „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყუავილისა", და გო-

დერძი ფირალიშვილის „ღონეჲ და შეწევნილება, რომლითაცა იხსნების ერი ყვაჴლის სნეულების სრჯსაგან...“. რათა მედიცინის დარგობლივი ისტორიის მკვლევართათვის ამჯერად მიგვეწოდებინა ეს ოთხი წიგნი მაინც ამ პერიოდის მნიშვნელოვან წყაროთაგან.

პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების მოკლე მიმოხილვა

რუსეთ-საქართველოს დიდი ხნის ურთიერთობა, ზოგიერთ შორსმჭვრეტელ და გამჭრიახ ქართველ არისტოკრატთა დიდი ხნის სწრაფვა რუსეთთან დამოკიდებულებისაკენ, საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაგვირგვინდა XIX საუკუნის დასაწყისში. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო საუკუნეებით განაწამები ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაში და სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში. მეფის ხელისუფლება არა მარტო შემოერთებული ქვეყნების ხალხებს, რომელთაც კოლონიური ჩაგვრის სიმწარე აწვნია, არამედ საკუთარ რუს ხალხსაც სასტიკად სტანჯავდა თავისი ბიუროკრატული აპარატით და სოციალური სისტემით. მიუხედავად ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთება მაინც უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო ქართველი ერისათვის. ქვეყანა დაადგა ეკონომიური განვითარების გზას. ძველი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანაში სწრაფად იკიდებდა ფეხს მოწინავე რუსული კულტურა, მეცნიერება. ეკონომიურმა განვითარებამ ქართული ფეოდალური სისტემის რღვევა გამოიწვია. მის წიაღში წარმოშობილმა კაპიტალისტური სისტემის ჩანასახებმა ქვეყანა თანდათან წაიყვანა კანონზომიერი პროგრესისაკენ. სოციალური უთანასწორობის, მეფის ბიუროკრატიულ სისტემის წინააღმდეგ ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ იბრძოდა.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიას თუ დავაკვირდებით, ეს არის ისტორია ქართველი ხალხის ბრძოლისა როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ორივე

შემთხვევაში მის ერთ-ერთ წარმმართველ ძალასა და მხარში მდგომ მებრძოლს წარმოადგენდა რუსი ხალხის პროგრესული ნაწილი.

60-იანი წლების დასაწყისის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობა ღრმა საზოგადოებრივი და ეკონომიური ცვლილებების მომასწავებელი იყო. ეს მოძრაობა თერგდალეულთა მოძრაობის სახელით არის ცნობილი და მის იდეურ სულისჩამდგმელს სწორედ მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზროვნება წარმოადგენდა.

უფრო ადრე კი დეკაბრისტული მოძრაობის იდეებისგანაც არ იყო იზოლირებული ქართული საზოგადოებრივი აზროვნება. რუსეთიდან გადმოსახლებული დეკაბრისტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მსჯავრდადებული პოლონელები, ქართველი არისტოკრატიის მოწინავე წარმომადგენლებთან პოულობდნენ მეგობრობას, რასაც იდეური სიახლოვეც მოსდევდა ხოლმე.

ყოველივე ამან და, ძირითადად კი, ეკონომიურმა ძვრებმა ქვეყანა კაპიტალისტური განვითარების გზაზე დააყენა, რამაც ქართულ საზოგადოებრივ წყობასა და აზროვნებაში კლასობრივი და ეროვნული შეგნების პრინციპები გააღვივა.

XIX საუკუნის I ნახევარში ქართველმა გლეხმა მწვავედ იგრძნო, როგორც ადგილობრივი სოციალური ჩაგვრის, ისე მეფის კოლონიური ჩაგვრის სიმწარე. სწორედ ამიტომ ეს პერიოდი ხასიათდება გაღატაკებული და გამწარებული გლეხობის ხშირი აჯანყებებით. „ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ მოძრაობა მთელ ქართველ მოსახლეობას მოიცავს. ერთი შეხედვით ეს არის საერთო ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ საკმარისია წარმოვიდგინოთ მისი კლასობრივი საფუძვლები, რომ ცხადი გახდეს ორი ერთიმეორეზე დაპირისპირებული, ერთიმეორის საწინააღმდეგო მოძრაობა. თავადაზნაურობა იბრძვის თავისი ხელისუფლების აღდგენისათვის, ბატონყმური სამეფოს აღდგენისათვის, გლეხთა ბრძოლა კი მიმართულია წინააღმდეგ კოლონიური ჩაგვრისა, რომელიც აერთიანებდა ბატონყმურ, ბარბაროსულ ექსპლოატაციას კოლონიურ მძარცველობასთან. მაშასადამე, გლეხთა მოძრაობა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

თავადაზნაურობა გლეხთა დიდი ბრძოლით სარგებლობს და ცდილობს გამოიყენოს ეს განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის. აქა-იქ იგი კიდევაც უდგება სათავეში ამ ბრძოლას, მაგრამ მალე იძულებულია მას ჩამოსცილდეს და თვით გლეხობის გამძვინვარებული შეტევის წინააღმდეგ აწარმოოს ბრძოლა, რაკი გლეხთა აჯანყება მეფის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიის წინააღმდეგ იმავე ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული. ერთი მხრივ, გლეხთა ანტიბატონყმური, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და, მეორე მხრივ, თავადაზნაურობის რეაქციული მოძრაობა — ასეთია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შინაარსი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად ცარიზმი თავადაზნაურობას მიმართავდა და იყენებდა მას, როგორც დამხმარე ძალას. მით უმეტეს აქ აშკარად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ფეოდალური და ანტიფეოდალური ძალები. მაგრამ ეს ხდებოდა არა გლეხთა აჯანყების დასაწყისში, არამედ მის მსვლელობაში, როცა თავადაზნაურობა ტოვებდა ცარიზმის საწინააღმდეგო პოზიციებს, რაკი გლეხთა ბრძოლა უკვე აშკარად ანტიბატონყმურ ხასიათს ატარებდა.

მაშასადამე. გლეხთა აჯანყებანი საქართველოში კოლონიური მჩაგვრელობის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლას კი არ შეზრდია, არამედ გარკვეულ მომენტში დაემთხვა თავადაზნაურობის ბრძოლას და დროებით აღმოჩნდა მასთან კავშირში. ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ გლეხობას ზუსტად არ შეეძლო გაერჩია თავისი ნამდვილი კლასობრივი მტერი. მიუხედავად ამისა, გლეხთა აჯანყებანი საქართველოში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებს. ამ ხასიათს, მოძრაობის მიმართულებას ვერ ჩრდილავს ის ცალკეული მომენტები, როცა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას გლეხობა აწარმოებს თავის კლასობრივ მტერთან, თავადაზნაურობასთან კავშირში"[1]. პირველი აჯანყება მოხდა კახეთში

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 2.

1802 წლის ივლისში, რაც გამოწვეული იყო იმ მძიმე ეკონომიური პირობებით, რომელიც განვითარდა რუსეთთან შეერთების პირველ წლებში, და იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც მეფის მთავრობა აწარმოებდა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ. მეფის ახალი ხელისუფლება მათ „განზე ტოვებდა, იგი ჩამოცილებულ იქნა მმართველობიდან, ძველი დაკარგა, ხოლო ახალი არაფერი მიუღია, თავადაზნაურობის აღშფოთებას არ ჰქონდა საზღვარი“ (იქვე), გახშირდა სპეკულაცია, მექრთამეობა, რაშიც თვით საქართველოს მმართველი კოვალენსკიც მონაწილეობდა. ყოველივე ეს თავადაზნაურობისა და საერთოდ მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

კახელი თავადები მოითხოვდნენ ქართული სამეფოს აღდგენას, იულონის გამეფებას რუსეთის პროტექტორატის შენარჩუნებით.

ამ მოძრაობაში კახელმა თავადაზნაურობამ გლეხობაც ჩაყოლია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივით. აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. თავადაზნაურობაც დამორჩილდა ძალას. კახეთის აჯანყებას არ ჰქონდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახე. ეს იყო მხოლოდ თავადაზნაურთა ცდა აღედგინათ დაკარგული პრივილეგიები. 1802 წლიდან, მთავარსარდლად და მთავარმართებლად პ. დ. ციციანოვის დანიშვნის შემდეგ, მთავრობამ ოდნავ შეცვალა პოლიტიკა. უკმაყოფილო თავადაზნაურობას უნდა მიეღო ხელისუფლებაში მონაწილეობა, ის უნდა გამხდარიყო ცარიზმის ბატონობის დასაყრდენი.

სამეფო ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრები პეტერბურგში გადაასახლეს, რადგან მათ საქართველოში დარჩენას საშიშად მიიჩნევდნენ. 1804 წელს მთიულეთი აჯანყდა. აჯანყებაში მონაწილეობდნენ მოხევეები, მთიულები, ფშავ-ხევსურები და ოსები. აჯანყების მიზეზის გასათვალისწინებლად იხტერესმოკლებული არ იქნება თვით აჯანყებულთა განცხადებების გაცნობა. აი რას წერენ ისინი: „1. კაცისაგან თითქოს მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გაეწმინდეთ.

2. ჩვენგან გაკეთებულს ამავე გზაზე წვიმისგან შეიქმნა ტალახი; გვაკრეკინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს. ამ და-

ფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს...

3. მოვიდა თოვლი და აღმოიესო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთ დროს მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს. წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ არ დაგვიტანა, მაგრამ ტიმოთემ ისევ ხმლის ცემით მოგვყარა; წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი კაცი იქ გაჭყლიტა.

4. მოვიდა 80 სალდათი და 12 ცხენიანი ყაზახი; ამათ უნდებოდათ — დღეში სალდათებს 10 საკლავი, ყაზახებს — 2; ქათამს, ყველს, ერბოს ვინ იანგარიშებს?

5. ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და ქირაც არ მოუციათ; ერთხელ მოგვცეს თითო მანეთი; — ესეც მოვითმინეთ.

6. ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ...

ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეველინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელი მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლების უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ. მარტო მთიულეთში უცბად 23 მომკვდარა სხვას გარდა"[1].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, აჯანყება გლეხობისადმი არაადამიანური დამოკიდებულებისა და მისი უმწეო პირობების შედეგად ყოფილა გამოწვეული. ასეთივე აჯანყებები მოხდა იმერეთში (1819), კახეთში (1812), გურიაში (1820 და 1841), უფრო გვიან კი სამეგრელოში (1857 წელს). გარდა ამისა, კავკასიის სამხედრო მმართველობა გამუდმებულ დაპყრობით ომებს აწარმოებდა დაღესტნის ლეკებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან. 1826—1828 წლებში დაიწყო რუსეთ-ირანის ომი, ხოლო 1828—1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი ყოველივე ეს საქართველოს ხდიდა ეკონომიური სიდუხჭირისა და გამუდმებული ეპიდემიების კერად.

---

1 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, „საქართველოს ისტორია" (XIX საუკუნე), 1954, გვ. 57.

გარდა მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრისა, ქართველ გლეხს აუტანელ სიმძიმედ აწვა თავადაზნაურობა. ბატონყმური დამოკიდებულების მთელ სიმძიმეზე, რომ ოდნავი წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია გადავიკითხოთ თვით თავადაზნაურთა წინამძღოლების წარდგინება საქართველოს უმაღლესი მმართველობის მიმართ ბატონის წინაშე გლეხის ვალდებულების შესახებ. სადაც წერენ, რომ „გლეხების ვალდებულებანი არც შეიძლება აღირიცხოს, რადგან ყველა საჭირო შემთხვევაში მემამულენი თავიანთი ნებისებრ იყენებენ მათ". მაგრამ ხელისუფლება მაინც თხოულობდა ვალდებულებათა „განსაზღვრას", რომ ერთგვარ „გეგმაზომიერი" ყოფილიყო მათი ყველაფა როგორც თავადაზნაურთა, ისე მეფის მოხელეთა მხრივ.

ზემოხსენებულ წარდგინებაში ვალდებულებები 38 მუხლად იყო ჩამოთვლილი, რითაც გლეხი მებატონისათვის სრული ექსპლოატაციისა და ყვლეფის საგანი ხდებოდა[1].

გლეხი გამოუვალ, აუტანელ პირობებში ვარდებოდა ასეთ მძიმე ვალდებულებათა შედეგად. მეფის მთავრობამ ეს ვალდებულებანი დაადასტურა თავადაზნაურთა სასარგებლოდ. მაგრამ ფეოდალურ დამოკიდებულებას თანდათან ნიადაგი ეცლებოდა. თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში ნელ-ნელა ვითარდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა, ხელოსნური მეურნეობები, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებები. 30—40-იანი წლებიდან ქართველი თავადაზნაურებიც ხსნიან თავიანთ მამულებში ფერმებს, აბრეშუმის, რძისა და ღვინის წარმოებებს. მოსკოველი ვაჭრები და მეწარმეებიც ინტერესდებიან საქართველოსა და ამიერკავკასიის მდიდარი ნედლეული რესურსებით. ყოველივე ამან განაპირობა კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოქმნა, რამაც მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში შემდეგი ტიპის სასწავლებლები არსებობდა: საშინაო და სამონასტრო დაწყე-

---

[1] იხ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954, თბილისი, გვ. 144.

ბითი სკოლები, საშუალო და უმაღლესი სკოლების ტიპის ფილოსოფიის სამონასტრო სემინარიები. განათლების აღნიშნული სისტემა შეიცვალა ახალი, რუსული ტიპის სკოლებით. „მეფის რუსეთი საგანმანათლებლო ღონისძიებებს კოლონიურ ამოცანებს უმორჩილებდა, ამიტომ იგი განათლების დაწესებულებებს ქმნიდა იმისდა მიხედვით, თუ რა მოთხოვნილებას ხედავდა კოლონიური ღონისძიებების გატარებაში. ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურა მეფის ბიუროკრატიისათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო. ეს იქიდან ჩანს, რომ მთელი ღონისძიებანი განათლების დარგში გამოიხატა თბილისში ორკლასიანი სასწავლებლის დაარსებაში (1804 წელს — მ. შ.). ამ სკოლას უნდა მოემზადებინა კანცელარიის მოხელენი. მეტად საჭირო და აუცილებელი, ბიუროკრატიული ხელისუფლებისათვის. ეს იყო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ერთადერთი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება“[1].

მალე ეს სკოლა ჯერ კეთილშობილთა საშუალო სასწავლებლად, ხოლო 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. ამ სკოლებში მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს ღებულობდნენ. 1830 წელს თბილისში გაიხსნა ქალთა სკოლა-პანსიონი. ამავე წლიდან სამაზრო ქალაქებში იხსნება ორკლასიანი სასწავლებლები (თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისსა და სოფ. სუჯუნაში). 40—50-იანი წლებიდან სახელმწიფო სკოლების რიცხვი მკვეთრად იზრდება. 1840 წელს ქალთა სკოლა-პანსიონი გადაკეთდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად. 1850 წელს იხსნება გიმნაზია ქუთაისსა და თბილისში (მეორე).

სასულიერო კადრების მომზადების მიზნით 1817 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. 1820 წელს სასულიერო სასწავლებლები დაარსდა აგრეთვე გორში, თელავში, ცხინვალში და სენაკში. აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა.

უძველესი ქართული კულტურა და მრავალსაუკუნოვანი ქართული საგანმანათლებლო სისტემა მეფის ბიუროკრატიული მთავრობისათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო. ამიტომ ის ერთბაშად და ხელაღებით იქნა უარყოფილი.

---

1 ა. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია“ (XIX საუკუნე), გვ. 234.

უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, ჯერ კიდევ ერეკლეს დროს იოანე ბატონიშვილის პროექტით დაგეგმილს — 120 წელი „შეაგვიანდა". მეფის მთავრობას ეშინოდა, კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნით იქაურ ახალგაზრდობასაც არ გადასდებოდა ის იდეოლოგიური „სენი", რითაც მოსკოვისა და პეტერბურგის მოწინავე რუსი ახალგაზრდობა იყო „დაავადებული".

იოანე ბაგრატიონსავე ეკუთვნის პირველი ქართული გაზეთის დაარსების ინიციატივა, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ეს საკითხიც მოხსნა დღის წესრიგიდან. მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1819 წელს, იწყებს გამოსვლას ყოველკვირეული „საქართველოს გაზეთი". 1821 წ. ის „ქართული გაზეთის" სახელწოდებით გამოდის. მისი გამოცემა შეწყდა 1823 წელს. ეს გაზეთი უმთავრესად მთავრობის განცხადებებსა და განკარგულებებს აქვეყნებდა.

1828 წლიდან თბილისში გამოსვლას იწყებს რუსული გაზეთი «Тифлисские ведомости». გაზეთი პარალელურად ქართულ ენაზეც გამოდიოდა „თბილისის უწყებანის" სახელწოდებით, მისი რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი. ამ გაზეთის დამატებად 1832 წლის იანვრიდან გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი" (გამოვიდა სულ 5 ნომერი). 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით დაიხურა ორივე გაზეთი და ჟურნალი. ამის შემდეგ დიდხანს ვერ მოხერხდა ქართული პერიოდული ორგანოს გამოცემა. მხოლოდ ვორონცოვის დროს, 1852 წელს, გიორგი ერისთავი იწყებს ჟურნალ „ცისკრის" გამოცემას.

„სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი" იყო პირველი ნაბეჭდი ქართული პერიოდული ორგანო, რომელმაც ხმა აიმაღლა მეფის კოლონიზატორული და ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და იბრძოდა ქართული ეროვნული კულტურის პრესტიჟის დასაცავად.

XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოში დიდი პოლიტიკური მოვლენაა 1832 წლის შეთქმულება. მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ცარიზმისა და ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სტიმულს აძლევდა 1825 წლის დეკემ-

ბრის აჯანყება და დეკაბრისტული იდეები, აგრეთვე ევროპის 1830 წლის და პოლონეთის 1830-31 წლების აჯანყებები. კონსერვატორ ფეოდალთა ჯგუფს აინტერესებდა რუსული რეჟიმის დამხობა, დაკარგული ხელისუფლებისა და პოლიტიკური პრივილეგიების აღდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შეთქმულებაში სხვადასხვა, მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეები შეინიშნებოდა. შეთქმულების მონაწილეთა შორის 3 პოლიტიკური მიმდინარეობა არსებობდა. კონსერვატორ ფეოდალთა დიდი ჯგუფი, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა შეთქმულთა შორის, „ძველი თავადური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების აღდგენაზე" ფიქრობდა.

„სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი პროგრესული დასის ერთი ნაწილი (ივ. აბხაზი, ალ. ჭავჭავაძე და სხვ.) ამ დროს რუსეთისაგან გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ნაადრევად თვლიდა, რადგანაც ირანოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა. მისი აზრით, საქართველო კიდევ რამდენიმე ათეულ წელიწადს უნდა ყოფილიყო რუსეთის მფლობელობაში, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მომზადებულიყო. ასეთ მოსამზადებელ, გარდამავალ საფეხურად მას ავტონომია მიაჩნდა. პროგრესისტების მეორე ნაწილი კი (ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ.) თვლიდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელი ვითარება უკვე შეიქმნა და საჭირო იყო გადამწყვეტი ბრძოლა მეფის რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის... ისინი (პროგრესისტების ორივე დასი) საქართველოში რესპუბლიკური ან კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ"[1].

XIX საუკუნის I ნახევარი მარტო დიდი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ძვრებით როდი ხასიათდება. ამ ეპოქამ დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, დ. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის, გ. ერისთავის და სხვ. შემოქმედების სახით.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, „საქართველოს ისტორია", I, თბილისი, 1958, გვ. 432—433.

რუსეთში თუ საქართველოში მცხოვრები მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ხარბად დაეწაფა ევროპულ სამეცნიერო და ფილოსოფიურ აზროვნებას. მათ ფართოდ გაშალეს მთარგმნელობითი მუშაობა, რომლის უმთავრეს მიზანს თანამემამულეთა განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება შეადგენდა. ნათარგმნ ლიტერატურასთან ერთად გაჩნდა ორიგინალური სამეცნიერო შრომები. ამ უაღრესად პატრიოტულ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ბატონიშვილები (დავითი, იოანე, თეიმურაზი, ბაგრატი, ფარნაოზი და სხვ.).

1817 წელს ივანე ბაზლიძემ რუსულიდან თარგმნა ციცერონის „ლელი ანუ მეგობრისათვის". ამავე წელს არქიმანდრიტმა ბენედიქტემ რუსულიდან ქართულად თარგმნა „საპოლიტიკო თეატრნი ანუ საყოფაქცეო სახილველობა", რომელიც ლათინურიდან ბერძნულად იყო თარგმნილი და ბერძნულიდან კი რუსულად.

1818 წელს გიორგი XII-ის ძემ, თეიმურაზმა, თარგმნა „განჯანი არისტოტელისანი" და თავისივე სახსრებით გამოსცა პეტერბურგში. ფარნაოზ ბატონიშვილს უთარგმნია რუსულიდან ჟან-ჟაკ რუსოს „ჰაზრნი სხუა და სხუათა საგანთათვის". 1819 წელს დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი ძეგლი „სხვა სიტყვაობითი მოთხრობა", რომელიც რუსულ ენაზე სომხურიდან გადაუღიათ. 1823 წელს გიორგი ჩუგუნოვს უთარგმნია პრიკლონსკის მიერ ფრანგულიდან რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი „ენციკლოპედია".

ამავე წელს სიმონ ვაჩნაძემ, იოანე ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, რუსულიდან თარგმნა „ჰსწავლა ზნეობითი და კანონი პატიოსნისა კაცისა". 1835 წელს ინანაშვილს უთარგმნია რუსულიდან პლუტარხის „ყრმათათვის ანუ ცხოვრება უდიდებულესთა გუამთა".

1847 წელს იოსებ მამაცაშვილმა თარგმნა სნელეს „ჰსწავლა ზნეობითი და სამართალი ბუნებითი", მისივე „ესტეტიკა ანუ კრიტიკა გემოისა" და „მიმოხილვა ისტორიის ფილოსოფიისა".

1849 წელს დავით ციციშვილმა რუსულიდან თარგმნა ჟან-ჟაკ-რუსოს „ჰსჯა".

ამას უნდა დავუმატოთ დავით ბაგრატიონის თარგმანები რუსულიდან: მონტესკიუს „სჯულთათვის“, ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანი“, თეოფილაქტეს და ფილარეტის პაექრობა ანსილონის შეხედულებების შესახებ, აგრეთვე იოანე ბაგრატიონის მიერ კონდილიკის „ლოგიკისა“ და ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფიის მოძღვრების“ თარგმნა“[1].

უხვად ვრცელდებოდა აგრეთვე ხელნაწერთა სახით ადრინდელი, XIII საუკუნის თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლები.

XIX საუკუნის I ნახევრის მოაზროვნეთა შორის უნდა დავასახელოთ: იოანე ბაგრატიონი. იონა ხელაშვილი, რომელიც იოანე ბაგრატიონმა თავის „კალმასობის“ პერსონაჟად აქცია, ბარამ გერმანოზიშვილი, გერასიმე ქიქოძე (გაბრიელ ეპისკოპოსი), დავით ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი და სხვ., რომელთაც თავიანთი ორიგინალური შრომებით იმ პერიოდის ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში ღრმა კვალი დატოვეს.

ამათგან დავით ბაგრატიონი და სოლომონ დოდაშვილი პროგრესული მსოფლმხედველობის მატარებელნი არიან, მათ შრომებში აშკარად იგრძნობა მატერიალისტური აზროვნების ტენდენციები. ისინი დიდად განსხვავდებიან მეორე ჯგუფის მოაზროვნეთაგან (იოანე ბაგრატიონი, იონა ხელაშვილი, ბარამ გერმანოზიშვილი, გერასიმე ქიქოძე), რომელთა შრომებსა და ტრაქტატებში იდეალისტური, ქრისტიანულ-ეკლესიური მსოფლმხედველობა შეინიშნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „წინააღმდეგობა და, დაპირისპირება ამ ორ მსოფლმხედველობას შორის შეიმჩნევა არა მხოლოდ სხვადასხვა მოაზროვნეთა შორის. არამედ თვითეულ მოაზროვნეში“[2]. მაგალითად, იოანე ბაგრატიონი განსხვავდება დავითისაგან. მიუხედავად იმისა. რომ ძირითადად იდეალისტური მსოფლმხედველობის მატარებელია, მის შრომებში ხშირად გვხვდება პროგრესული, მატერიალისტური აზროვნების ელემენტებიც.

ჩვენ აქ განგებ არ ვასახელებთ ამ ეპოქის სამედიცინო

---

1 თ. კუკავა, „ნარკვევები, XIX საუკ. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“, გვ. 6.

2 იქვე.

ლიტერატურას, რადგან მას ცალკე შეეეხებით ქვემოთ. ცალკე განვიხილავთ აგრეთვე იონე და დავით ბაგრატიონების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. განსაკუთრებით მათ სამედიცინო ხასიათის შრომებს. იონა ხელაშვილის ორიგინალურ შრომათაგან კი აღსანიშნავია „ფილოსოფიური კითხვა-მოგებანი"[1], რომელიც აშკარა იდეალისტური მსოფლმხედველობის მატარებელია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „იონა ხელაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფილოსოფიურად ღრმად განსწავლულ ადამიანთან".

ბარამ გერმანოზიშვილის „ბჭობა გონებისა" აგრეთვე წმინდა იდეალისტური ხასიათის ნაწარმოებია და მთელი ტრაქტატი გაჟღენთილია ქრისტიანულ-თეოლოგიური სულისკვეთებით.

იდეალისტური ბანაკის წარმომადგენელთაგან უაღრესად მნიშვნელოვანი პიროვნებაა გერასიმე ქიქოძე, რომელმაც დაწერა და რუსულ ენაზე გამოსცა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" 1858 წელს. წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ რუსეთში. „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" იმ დროის ერთ-ერთ შესანიშნავ კაპიტალურ ნაშრომს წარმოადგენდა. მაშინდელი რუსეთის შედარებით ვრცელი ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან იგი განირჩეოდა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემათა განხილვის სიღრმით, მათი ყოველმხრივი დამუშავებითა და გადაწყვეტის სიახლით. მასში მოჩანს ავტორის ფართო ერუდიცია ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკითხებში. ყოველივე ამან ამ შრომას გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა და თითქმის ერთადერთი სახელმძღვანელოდ აქცია რუსულ სემინარიებში"[2].

ქიქოძის ამ შრომას დიდი ხმაური გამოუწვევია პრესაში. მას გამოეხმაურა ცნობილი რუსი პუბლიცისტი და მოაზროვნე ნ. დობროლუბოვი. იგი, რასაკვირველია, აკრიტიკებდა ავტორს იდეალისტური მსოფლმხედველობისათვის მაგრამ ამასთან აღნიშნავდა, რომ „ეს წიგნი ფსიქოლოგიის წინამორბედი სახელ-

---

1 საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების H—791.

2 ალ. ქ უ თ ე ლ ი ა, „მნათობი", 1943, № 7, გვ. 118.

ძძღვანელოებისაგან განსხვავდება გადმოცემის მეთოდით და ფიზიოლოგიური ფაქტების შედარებით დიდი რაოდენობით, რაც მის უდავო უპირატესობას შეადგენს"[1].

წიგნში სამედიცინო-ბიოლოგიური თვალსაზრისით განხილულია უაღრესად საინტერესო საკითხები. ტვინის ფუნქციის შესახებ აზროვნებაში მან „აღიარა შეგრძნებისათვის ტვინის არსებობის აუცილებლობა, მაგრამ უარყო ტვინი, როგორც აზროვნების ორგანო, გ. ქიქოძის აზრით, ტვინი დაახლოებით იმავე შემადგენლობისაა, როგორც გრძნობის ორგანოები; კიდევ უფრო მეტი, ტვინი მატერიაა და თავისი შემადგენლობით არაფრით არ განსხვავდება მატერიის სხვა სახეობათაგან და ისეთივე აღნაგობისაა, როგორც დანარჩენი მატერიალური სამყარო"[2].

მიუხედავად იმისა, რომ მან აღიარა ობიექტური სამყაროს რეალობა, სამყაროს შეგრძნებითი შესაძლებლობა და სხვ.. მაინც ბოლომდე იდეალისტი დარჩა.

XIX საუკუნის სამეცნიერო-ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდ ფიგურას წარმოადგენს აგრეთვე სოლომონ დოდაშვილი. ის არის ავტორი მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური შრომებისა „ლოგიკის", „ლოგიკის მეთოდოლოგიისა", „რიტორიკისა". ამ შრომათა მიხედვით, სოლომონ დოდაშვილი გვევლინება როგორც მატერიალისტური მსოფლმხედველობის მოაზროვნე. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოაზროვნეთა შორის ყველაზე უფრო სისტემატიზებულად მან შესძლო მატერიალისტური და განმანათლებლური იდეების გადმოცემა. თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც მან უდიდესი როლი შეასრულა ქართულისაზოგადოებრივი აზროვნებისა და პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. 1825 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი უბრალო მოწმე არ ყოფილა დეკემბრის აჯანყებისა. ის დეკაბრისტების განმათავისუფლებელ იდეებსაც იზიარებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახა მან მიზნად, რომ მთელი თავისი მომავალი მოღვაწეობა და ცხოვ-

---

[1] თ. კ უ კ ა ვ ა, „ნარკვევები XIX საუკ. I ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან", გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 99.

რება სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირა... ს. დოდა-შვილმა და მისმა დასმა XIX საუკ. 20—30-იანი წლების მიჯნაზე სერიოზული როლი ითამაშეს ქართული საზოგადოების განვითარების საქმეში. მათ გამოაფხიზლეს ხალხში განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება. სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა მათ თავისებურად დაუკავშირეს რუსი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ[1].

მაშასადამე, XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სამეცნიერო აზროვნება არც ისე ღარიბად გამოიყურება. ამ საერთო სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზროვნების დონეზე იდგა სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნებაც, რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებია იოანე და დავით ბაგრატიონები, ექიმი პეტრე კლაპიტონიშვილი. მათ ზოგადსა და, კერძოდ, სამედიცინო ბიოლოგიური ხასიათის შრომებს ქვემოთ განვიხილავთ. როგორც საერთოდ მოწინავე რუსული მეცნიერება და კულტურა, ისე რუსული მედიცინაც უაღრესად კეთილსასურველ გავლენას ახდენდა ქართულ სამედიცინო აზროვნებაზე, რუსულ-ქართული ურთიერთობის დასაწყისიდანვე. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს გავლენა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც დამკვიდრდა სამედიცინო-სანიტარული დახმარების რუსული სისტემა.

მეფის ბიუროკრატული მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა მოსახლეობის სამედიცინო-სანიტარულ მომსახურებაზე და ვერ იმეტებდა საჭირო თანხებს, განსაკუთრებით მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, მისი დაბალი ფენის ჯანმრთელობის დაცვისათვის. მიუხედავად ამისა, მოწინავე რუსული სამედიცინო მეცნიერება საექიმო მომსახურების ცუდ, ბიუროკრატულ ორგანიზაციას ერთგვარ კომპენსირებას უწევდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი რუსეთში ბატონყმური წყობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ეპოქა იყო, რასაც ქვეყანა პროგრესისაკენ მიჰყავდა.

მიუხედავად სამედიცინო მომსახურებისათვის მეფის

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, კ. რატიანი, „საქართველოს ისტორია", I, თბილისი, 1958, გვ. 431—432.

მთავრობის მიერ გაღებული უმნიშვნელო თანხებისა და სამედიცინო კადრების ძლიერი სიმცირისა, რუსული მედიცინა ცალკეულ რუს პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერთა წყალობით მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს. თუ საუკუნის დასაწყისში 1500 ექიმი იყო, 1846 წლისათვის მათმა რიცხვმა 8072-ს მიაღწია. მოსკოვსა და პეტერბურგში არსებულ სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიებს მიემატა სამედიცინო ფაკულტეტები ყაზანის (1804), ხარკოვის (1805) და კიევის (1841) უნივერსიტეტებთან.

თუ XVIII საუკუნის ბოლოს გამოდიოდა მხოლოდ ერთი სამედიცინო პერიოდული ჟურნალი („Санкт-Петербургские врачебные ведомости") XIX საუკუნის პირველ ნახევარში მათმა რიცხვმა რამდენიმე ათეულს მიაღწია.

სამედიცინო საზოგადოებებიდან აღსანიშნავია 1804 წელს ჩამოყალიბებული „Физико-медицинское общество".

XIX საუკუნის პირველ ნახევარს ამშვენებს ცნობილ რუს მედიკოსთა ისეთი სახელები, როგორიცაა: პ. ა. ზაგორსკი (1764—1846), ე. ო. მუხინი (1766—1850), გ. ი. მუდროვი (1776—1831), ი. ე. დიადკოვსკი (1784—1841), ი. ბ. ბუიალსკი (1799—1866), ა. მ. ფილომატსკი (1807—1849), ვ. ა. ბასოვი (1812—1879) და სხვ., რომელთაც შექმნეს ცალკეულ სამედიცინო მეცნიერებათა ცნობილი სკოლები.

სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ორგანიზაციის საქმე საქართველოში

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართველოში სახელმწიფოებრივი მართვის ევროპული სისტემის და ევროპული კულტურის დამკვიდრებას. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველო (ქართლ-კახეთი) დაყოფილ იქნა 5 მაზრად: ქართლი — გორის, ლორის (ცენტრი თბილისი) და დუშეთის მაზრებად, ხოლო კახეთი — თელავისა და სიღნაღის მაზრებად.

„1802 წლის 12 აპრილს გაიხსნა საქართველოში უმაღლესი მმართველობა, რომლის უფროსად დანიშნული იქნა გენერალი კნორინგი. საქართველოს უმაღლესი მმართველობა იყო-

ფოდა ოთხ ექსპედიციად: 1. სახაზინო, 2. აღმასრულებელი, 3. სისხლის სამართლის, 4. სამოქალაქო სამართლის ექსპედიციებად. ექსპედიციებში შედიოდნენ რუსი მოხელენი და ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები, რომლებიც მრეჩლების როლს ასრულებდნენ. ახალი მმართველობის დებულების თანახმად ყოველი საქმე, რომელიც ამა თუ იმ ექსპედიციას ეხებოდა, კოლეგიალურად უნდა გადაწყვეტილიყო, სინამდვილეში კი საქმეებს მართავდა ექსპედიციის უფროსი თავისი შეხედულებისამებრ"[1].

საქართველოს უმაღლესი მმართველობა 1811 წლის 16 ოქტომბერს შეცვლილ იქნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის სახელწოდებით. ოციანი წლებისათვის კი, კავკასიის ცალკეული მხარეების შემოერთებასთან დაკავშირებით, შემდეგი ადმინისტრატიული დანაწილება მოხდა:

1. აღმოსავლეთი საქართველო ანუ საქართველოს გუბერნია, რომელიც შედგებოდა 6 მაზრისა (თბილისის, განჯის, თელავის, სიღნაღის, გორისა და დუშეთის) და 5 დისტანციისაგან (ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა და შულავერის);

2. შვიდი პროვინცია (ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოს, ყუბის, დარუბანდის და ახალციხის);

3. ოთხი ოლქი (იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, სომხეთის);

4. თალიშის სახანო.

5. ჭარ-ბელაქნის ოლქი, რომელშიც შედიოდა ჭარ-ბელაქნის თავისუფალი თემებისა და კავკასიის მთიელ ხალხთა მიწები. ამას გარდა, რუსეთი თავისი ხელისუფლების კონტროლს უმორჩილებდა აფხაზეთს, სვანეთს და დაღესტანში: საშამხლოს, მეხთულინისა, ყაზი-ყუმუხისა და ხუნძახის სახანოებს"[5].

სამედიცინო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას თითქმის 2—3 წელიწადი შეაგვიანდა. 1803 წლის 18 ივნისის № 396[3] მიმართვით კოვალენსკი ატყობინებს ციციანოვს, რომ მიმდინარე წლის 16 ივნისიდან გახსნილია საქართველოს საექიმო მმართველობა და დანიშნულია სათანადო მოხელეები.

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, გვ. 29.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 190.

[3] Акты, I, II, стр. 252.

მაგრამ, სანამ საექიმო მმართველობა ჩამოყალიბდებოდა, პოლიცია ითვალისწინებდა თავის ფუნქციებში ზოგიერთ ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მსგავს წესებს. გენერალ კნორინგის მიერ 1802 წლის 12 ივლისს შედგენილ პოლიციის წესდებაში შემდეგი პარაგრაფები იყო გათვალისწინებული:

9. Есаул имеет смотрении дабы вчасти улицы чисты были, чтоб по иным не было мертвечины, также другой нечистоты и сору и от того происходящего зловония, зараждающего воздух и наносящего здравию вред и самым болезни: и если где вышеизясненная нечистота будет, то тех домов, возле коих оная найдется, хозяевам велеть тотчас очистить, с сильным подтверждением о наблюдения возможной чистоты, под опасением впред впративном случае взыскания пени».

მეათე პარაგრაფი წესდებისა ითვალისწინებს აგრეთვე ხორცისა და თევზის სავაჭროდ სპეციალური ადგილის გამოყოფას. პირუტყვის სავაჭროდ კი ქალაქგარეთ, მდინარის პირას, ცალკე ადგილის გამოყოფას.

მეთორმეტე პარაგრაფით— იასაული ვალდებულია აწარმოოს თავის უბნის მობინადრეთა წასვლა-მოსვლის, ე. ი. მცხოვრებთა ყოველდღიური მოძრაობის აღნუსხვა. ის ვალდებულია იცოდეს თავისი უბნის მობინადრეთაგან ვინ არის ავად და რა დაავადებით, ვინ მოკვდა და სხვ. ყოველდღიურად ეს ცნობები მოხსენდება ქალაქის კომენდანტს, რომელიც თავის მხრივ აცნობებს თავის უფროსობას"[1].

ზემოხსენებული საექიმო მმართველობის გახსნამდე ამით ამოიწურებოდა საქართველოში სამკურნალო თუ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება.

საქართველოს საექიმო მმართველობამ ამ სახელწოდებით 37 წელიწადი იარსება. 1840 წლის 10 აპრილს კი დაერქვა სახელი „იმერეთ-საქართველოს საექიმო მმართველობა საგუბერნიო სამმართველოსთან".

საქართველოს საექიმო მმართველობის ჩამოყალიბებამდე

---

[1] Акты, том. I, стр. 494.

რამდენიმე თვით ადრე, უშუალოდ სახელმწიფო სამედიცინო კოლეგიის 1803 წლის 20 იანვარს „უკაზით"[1], ასტრახანის გარნიზონის პოლკის ექიმი მათე ვორონჩენკოვი ინიშნება უფროს ექიმად თელავში. იგი დიდხანს მუშაობდა საქართველოში, ბოლოს საექიმო მმართველობის ოპერატორი იყო.

როგორც ირკვევა, საქართველოს საექიმო მმართველობის ფორმირება უფრო ადრე ხდებოდა, ვიდრე საბოლოოდ 16 ივნისს ჩამოყალიბდებოდა ადგილზე. ზოგიერთი მოხელეები მმართველობის შექმნამდე დაუნიშნავთ ზემოხსენებული მათე ვორონჩენკოვის გარდა. მმართველობის ინსპექტორად 1803 წლის 9 იანვრის „უკაზით" ინიშნება ერისტ რენზინგი, მაგრამ მან ავადმყოფობის მომიზეზებით უარი განაცხადა კავკასიაში გამგზავრებაზე და მის ნაცვლად იგზავნება ნიჟეგოროდის საექიმო მმართველობის აკუშერი ერიკ რეინგოლმი[2].

საბოლოოდ საქართველოს საექიმო მმართველობის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ინსპექტორ-დოქტორი — რეინგოლმი, ოპერატორი — შტაბ-ლეკარი იზმაილოვი, აკუშერი — ფალკენშტეინი[3].

1805 წლის 12 იანვარს რეინგოლმი რაპორტს აძლევს ბ. ციციანოვს, რომ მან ორჯერ, 3 თებერვლისა და 3 სექტემბრის (1804 წლის) განცხადებებით, ითხოვა განთავისუფლება ავადმყოფობის გამო და გადაყვანა მოსკოვში, შიდა ან დასავლეთ რუსეთში[4]. ჩანს განცხადებებმა მიზანს მიაღწია, რადგან 1805 წლიდან ინსპექტორად უკვე კარლ ფალკენშტეინი გვევლინება.

1807 წლის 14 ივლისს კარლ ფალკენშტეინიც განთავისუფლდა და გადაყვანილ იქნა პოლტავის საექიმო მმართველობაში. მის ნაცვლად ინიშნება როტტე, მაგრამ 1807 წლის 23 სექტემბერს გუდოვიჩი წერს ლიტვინოვს, რომ კოჩუბეისგან მიიღო მიმართვა და როტტე ავადმყოფობის გამო ვერ მოდის, მის ნაცვლად ინსპექტორად დანიშნულია შტაბლეკარი დიმიტრი როზენკო (წლიური ხელფასით 700 მანეთი), მაგრამ ეპიდემიის

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 118.

2 პროფ. როსისკის ცნობით მას შემდეგ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიუღია.

3 ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 957.

4 ცენტრარქივი, 2. საქმე 75.

გავრცელებასთან დაკავშირებით თხოულობენ დროებით დარჩეს კარლ ფალკენშტეინი. 1808 წლის 7 თებერვლის საბუთებს კვლავ ფალკენშტეინი აწერს ხელს[1].

როგორც ჩანს, საქართველოს საექიმო მმართველობა რუს ექიმთათვის არ ყოფილა მიმზიდველი, რადგან აქ განწესებული ექიმები უარს ამბობენ წასვლაზე და დანიშნულნი კი ჩქარობენ სამუშაოდ რუსეთში გადასვლას. მეტად გართულებული იყო მდგომარეობა სამედიცინო კადრების სრული უყოლობით. ჯერ კიდევ 1803 წლის 19 თებერვალს მეფისნაცვალი პ. ციციანოვი რაპორტს უგზავნის იმპერატორს, რომ სამედიცინო მოხელეთა უყოლობისა და აქაურ მცხოვრებთა რუსი მკურნალების მიმართ უნდობლობის გამო, საჭიროა ადგილობრივ სომხებში, ან შესაძლებელია ღარიბ ქართველ აზნაურებშიც მოიძებნოს მსურველნი, რომელნიც გააგზავნიან თავიანთ შვილებს სამედიცინო მეცნიერების შესასწავლად მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში სახაზინო ხარჯზე, რიცხვით 12 კაცი[2]. იმავე წლის 14 დეკემბერს, იმპერატორ ალექსანდრეს უმაღლესი რესკრიპტით, ატყობინებენ ციციანოვს:

«Находя основательным представление ваше, относительно снабжения Грузии медицинскими чинами дозволяют, выбрав из армян или из грузинских дворян детей желающих посвятить себя врачебной науке, отправить до 12 человек в Московский Университет, где и будут они приняты на казенное иждивение сына же армянского врача Татуллы приказал я ныне же поместить на казенное содержания Александр».

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო კადრების ასეთი სიმცირე იყო, საქართველოს საექიმო მმართველობამ არ დააყოვნა ადგილობრივი ქართველი ექიმებისათვის აეკრძალათ საექიმო მოღვაწეობა, იმათთვისაც კი, ვისაც უმაღლესი სამედიცინო განათლება იტალიაში ჰქონდა მიღებული (ანდრია და იოანე ყარაშვილები, თათული ექიმოვი და სხვ.).

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 535.

2 Акты, том. II, стр. 251.

XIX საუკუნის ერთი რუსი ანონიმი ავტორი სამართლიანად წერს ამ საკითხზე შემდეგს: «Была-ли какя-либо необходимость в принятии Грузинской врачебной управой репресивных мер. относительно туземных лекарей? По совести говоря, нет, Прежде чем отнимать у населения возможность пользоваться врачебной помощью, к которой оно привикло в течении нескольких столетий, следовало позоботится заменить ее другой, боле рациональной. Но этого не было, Запрещая практику Туземным лекарям, врачебная управа обрекала больной населения Грузии на польную безмопощность и если не достигли своей жестокой цели, то только по невозможности практический осуществить обявленное запрещение. Лечит туземные лекаря, конечно продалжали но стали при этом сторожиться, а контроль за их деятельностью сделался крайне затруднительным»[1].

ქართული ტრადიციული მედიცინის აკრძალვით შექმნილ მდგომარეობას ზუსტად ასახავს გენ. ლაზარევის სიტყვები:

«От Грузинского отстали, а к нашему не пристали». რომელიც მან ქართული მმართველობის გაუქმებისა და რუსულის გავრცელების შეუძლებლობის გამო წარმოსთქვა.

1804 წ. 16 იანვარს საექიმო მმართველობა წერს ლიტვინოვს (მიმართვა № 13): „О невозможности позволить производить врачебной практики людям неимеющим на то законное право“ — მოტივად მოჰყავს 1784 წლის 14 მარტის დადგენილება. ორიოდე დღის შემდეგ კი 18. I-ის № 19-ით წერდა, რომ „По рецептам Татуллы из аптека медикаменты отпускать позволить неможно“. ასეთი დადგენილება ადგილობრივი ექიმების მიმართ ერთგვარი დისკრიმინაციის გამოვლინებაა.

ამან უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ზემოთ ვნახეთ, პ. ციციანოვი წერდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უნდობლად უყურებს რუს ექიმებს. ამასვე ადასტურებენ უფრო გვიან რუსი ექიმებიც (პანტიუხოვი და სხვ.). ადგილობრივი, რო-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 957.

ვორც ნასწავლი, ისე ხალხური ექიმები იმდენად პოპულარული ყოფილან, რომ თვით რუსი ოფიცრობაც ხშირად მიმართავდა მათ სამკურნალოდ (პანტიუხოვი). გარდა ამისა, მათ იცოდნენ ადგილობრივ გავრცელებული სხვადასხვა დაავადებანი (სამხარეო პათოლოგია), ზოგიერთ დაავადებათა თავისებური მიმდინარეობანი გამოწვეული კლიმატისა და ადგილობრივი პირობების ზეგავლენით და სხვ. ამიტომაც თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი იოანე ორბელიანი 1807 წლის 2 თებერვალს სწერს საქართველოს მაშინდელ მმართველს პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვს:

„მთხოვეს მე კეთილშობილთ შეკრებილებამან საზოგადოდ ხუთთავე მარშალთა მიერ ხელმოწერილთა წერილითა წარმოდგინებითა რათა წარვადგინო წინარე წარჩინებულებისა თქვენისა, რომ არიან ესენი დიდსა მწუხარებასა შინა უშოვნელობითა წამალთათა, რომ თითქმის მრავალნი სნეულნი მიეცემიან განსაცდელსა და ამისათვის გთხოვთ, რომ კეთილშობილი აქიმოვი თათულა და ტიტულარნი სოვეტნიკი იოანე ყარაევი არიან გამოცდილნი მკურნალობისა ჭელოვნებასა შინა, რომელთასაცა კეთილმზრუნველობასა სნეულთა ზედა და გულსმოდგინებით მოვლასა და მრავალთა მძიმედ სნეულთა ამათგან განთავისუფლებასა სარწმუნოდ რწმუნებულვართ ჩვენ. და ამისათვის გითხოვთ თქვენის წარჩინებულებისაგან, რომ მისცეს ამათ ნება და აფთიაქში ბრძანება, რომ ამათის რეცეპტით მოგვყიდონ ჩვენის ფასით წამალი, და ამით იყვნენ ესენი ჩვენს ექიმად, ვინაიდან ვსასოებთ ამათ მიერ ჩვენ ზედა კეთილწარმართებით მზრუნველობასა და ერთგულებით მოვლასა სნეულთასა, რომელთაცა იციან მრავლის გამოცდილებით ცნობა ანატომიისა ჩვენისა.

რომლისათჳსცა დავშთები აღმატებულებისა თქვენისა მოწყალის ჭელმწიფისა მორჩილს მოსამსახურედ“.

თავადი იოანე ორბელიანი

წელსა ჩყზ თებერვლის ბ[1].

იოანე ორბელიანის ამ წერილით ირკვევა, რომ ხალხი არის „დიდსა მწუხარებასა შინა უშოვნელობითა წამალთათა,

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 334.

რომ თითქმის მრავალნი სნეულნი მიეცემიან განსაცდელსა". ჩანს ამ ექიმებს დიდად აფასებდა ქართველი მოსახლეობა, აღ-ბათ იმ ცოდნისა და გამოცდილების გამო, რომელიც მათ გა-აჩნდათ. აკი თვით ორბელიანიც ამბობს, რომ „არიან დიდათ გამოცდილნი მკურნალობისა ჭელოვნებასა შინა". აშკარაა, რომ მათთვის არ მიუციათ საექიმო პრაქტიკის ნება ქ. თბილისში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1807 წლის 5 იანვარს, კა-ხეთის თავადები თხოვენ ლიტვინოვს, რომ იოანე ყარაშვილი დანიშნული იქნეს თელავში ექიმად.

„მათს მსვლელობის უფალსა და კავალერს საქართველოს ღუბერნატორს

ლუთინოვს თელავის უეზდის საზოგადოდ თავადთა და აზნაურთაგან.

თ ხ ო ვ ნ ა.

თუმცა ყოვლად უმაღლესობისაგან, ჩვენდა მოვლენილ არს აურაცხავი მოწყალება მისს იმპერატორების დიდებულე-ბისა და ბოძებულ არს ჩვენ შორის ლეკრი რუსეთისა, მაგრამ მაშინცა არა მცირედსა მწუხარებას შემთხვევითს დროსა შე-ჭირვებულის ავათმყოფობისასა უცოდინულობისა ჩვენისა რუსულსა ენის გამო და ამა საგნითა დაგვიანებით მისდა ლეკ-რისა შეუტყობლობისა სნეულობისა უძნელდების მას ავად-მყოფს. ვიდრე მოწურვამდე სიკვდილისა, მიხედვითა ამისა გა-მო გვეძლევა თითქმის დიდი შეჭირვება და იძულებულ გვყოფს გარჯად თქვენის მსვლელობისა, რათა თქვენ თქვენს კერძოთ მოგვმადლოთ მამობრივი შემწეობა და არა დააგდოთ ვისდაცა ჯერ არს, თხოვა ჩვენი წარუდგენილი, და ვითარ დროსა გაწ-სვენებულთ მეფეთ ირაკლის და გიორგისასა ყოფილა დადგი-ნებულ ჩვენ შორის აქიმი საქართველოს ტიტულარნის სოვეტ-ნიკი კეთილშობილი იოანე ყარაევი, და ეძლეოდა მას, ყარაევს, მათ მეფეთაგან შესაფერი ჯამაგირი და ულუფა ამისათვის ვიქ-ნებით თქვენის მსვლელობისა შევრდომ მოხსენებულ საზოგა-დოება, რათა თქვენის წარდგინებით სადაც ჯერ იყოს, ამა თხოვითა ჩვენითა დაინიშნოს ჩვენს შორის აქიმად ხსენებული ყარაევი, რომელმაც უწყის აგებულება ჩვენი.

დეკემბერს ლ. ქკს ყუდ.

თელავის უეზდის მარშალი თავადი დავით ყორჩიბაშევი, თავადი ჩოლოყაევი, გრიგოლი, თავადი ნადვორნი სოვეტნიკი კავალერი იოანე ქობულოვი, თავადი და კავალერი ერისთავი რაფაელ, თავადი და ენისელი მოურავი ჯორჯაძე ლევანი, თავადი მაყაშვილი ზაქარია"[1].

კახელ თავადთა მოთხოვნაზე პასუხი ამჯერად არა ჩანს საქმეში. ეტყობა შემდეგში იოანე ყარაშვილს მისცეს უფლება, მაგრამ ხშირი დავისა და გაუთავებელი მიწერ-მოწერის საგანი გამხდარა. რის შემდეგ კელავ აუკრძალეს საექიმო პრაქტიკა, როგორც ეს ერმოლოვის მიერ ლანსკისადმი მიწერილი წერილიდან[2] ირკვევა. 1826 წ. 15.IX-ს. ერმოლოვი წერს, რომ გავითვალისწინოთ მცხოვრებთა და თავადაზნაურთა წინამძღოლის მოთხოვნა და ივანესა და ანდრია ყარაშვილებს საექიმო მოღვაწეობის ნება დავრთოთო. ჩანს ივანეს ნება დართეს, მაგრამ, ალბათ, რაღაც შეზღუდვებით, რადგან 1838 წელს საქართველოში მომუშავე სამედიცინო მოხელეთა სრულ ტაბულაში[3] „ის თბილისში სამსახურის გარეშე თავისუფალ პრაქტიკაზე" მყოფ ექიმად ითვლება ექიმ ლორის-მელიქოვთან ერთად. როგორც გუბერნიის მარშლის იოანე ორბელიანის პ. მ. ლიტვინოვისადმი მიმართული 1807 წლის 6 ივლისის რაპორტიდან[4] ირკვევა, თათული აქიმოვს „მეტად დახელოვნებულ ექიმს" (მას განათლება იტალიაში ჰქონდა მიღებული) სთხოვეს, რომ თავისი უფროსი შვილი სოლომონი რუსეთში გაეგზავნა საექიმო ხელოვნების შესასწავლად. თათული დათანხმებულა და 1802-03 წწ. მომხდარა სოლომონ აქიმოვის გაგზავნა პეტერბურგში, რადგან 1807 წლისათვის, იოანეს თქმით, 5 წლის წასული იყო ის და თვით იმპერატორი ალექსანდრეც თავისი რესკრიპტით 1803 წ. 14/XII ატყობინებს პ. ციციანოვს, რომ თათულის შვილი მოწყობილია სახელმწიფო ხარჯზე. იოანე ორბელიანი წერს, რომ ამჟამად დასრულებული ექნება სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემია და თხოულობს მთელი თავადაზნაურთა სახელით, რომ ის გამოგზავნილ

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 334.
2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 521.
3 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5710.
4 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 531.

იქნეს თბილისში საექიმო მმართველობის ოპერატორის ვაკანტურ ადგილზე, ან ქალაქის ექიმად. აღნიშნული მოთხოვნა შესრულებული იქნა და სოლომონ თათულის ძე აქიმოვი დანიშნეს თბილისის ქალაქის ექიმის თანამდებობაზე.

ორიოდე სიტყვა აქიმოვთა შესახებ: ქართული მედიცინის ისტორიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თათული და სოლომონ აქიმოვები ქართველები, ყარაშვილები იყვნენ, თითქოს ყარაშვილების ერთ-ერთი საგვარეულო ოჯახის (ანტონი, იოსები, ივანე, ანდრია) წევრები, აქიმოვი კი ფსევდონიმია (პროფესიის აღმნიშვნელი) ქართული სიტყვიდან «ექიმიდან" ნაწარმოები, გვარის რუსული დაბოლოებით. ამ მოსაზრებას ჩვენც ვეყრდნობოდით ნაშრომში „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში". მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მოსაზრება მცდარია. თათული აქიმოვი არაა ყარაშვილების გვარიდან, ის თბილისელი სომეხია. ამას მოწმობს იმპერატორ ალექსანდრეს ზემომოყვანილი, 1803 წლის 12 დეკემბრის რესკრიპტი, სადაც ვკითხულობთ:

«Сына же армянокого врача Тапулы приказал я ныне же поместить на казенное содержание».

პლატონ იოსელიანიც ახსენებს რა გიორგი XII-ს დროინდელ ექიმებს, არამართლმადიდებელი სარწმუნოების მქონეთ, თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"[1] წერს: „ესენი იყვნენ ოსეფა ყარაეევი ფრანგი, თათულა ექიმი სომეხთა სარწმუნოებისა და პატრი ნიკოლა და შემდეგი მისი ფილიპე". მაშასადამე, საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ერეკლე მეფისა და გიორგი მე-XIII-ს კარზე ცნობილი თათულა ექიმი და მისი შვილი სოლომონი არ არიან ყარაშვილების გვარიდან[2].

1804 წელს 5 მაისისათვის საქართველოს საექიმო მმართველობის მთელი შტატი ასეთი იყო: ინსპექტორი — 1, ოპერატორი — 0, მეანი — 1, მაზრის ექიმი — 5, კარანტინის — 5[3].

როგორც ჩანს ოპერატორის ადგილი ვაკანტური იყო. გა-

---

1 გვ. 162—163.

2 იხ. მ. შენგელია, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, აქიმოვების ვინაობისათვის, გვ. 290—295.

3 ცენტრარქივი, ფ. 2, საქმე 66.

რდა სამოქალაქო საექიმო უწყებისა თბილისსა და მაზრებში მყოფ სამხედრო ნაწილებს გააჩნდათ აგრეთვე თავიანთი ლაზარეთები, რომლებსაც ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ მოსახლეობაში რუსული მედიცინის დანერგვის საქმეში.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ საექიმო მმართველობის ჩამოყალიბების პირველ წლებში მოსახლეობის დაავადებათა დიფერენცირებასა, მათი მუშაობის მასშტაბსა და სამედიცინო სტატისტიკურ მონაცემებზე, გავეცნოთ 1807 წლის ანგარიშს[1]. 1807 წ. 1 იანვრიდან 1808 წ. 1 იანვრამდე წლიური ანგარიშის ბლანკში სამედიცინო ხასიათის 21 კითხვარია შეტანილი. დაიღუპნენ: 1. აპოპლექსიით, 2. გაცივებით, 3. დაიხრჩო წყალში, 4. მოკვდა ელვით, 5. დაიღუპა ცეცხლის გაჩენისას, 6. მოიხუთა, 7. დაიხრჩო გაზით, 8. დაბეჟილობით, 9. მოკლა ცხენმა, 10. გაჟლიტა ურემმა და ოთხთვალამ, 11. გაჭყლიტა მოჭრილმა ხეებმა, 12. გაიჭყლიტა წისქვილში, 13. შინაგანი ორგანოების ანთებით, 14. ჭლექით, 15. ანტონის ცეცხლით, 16. ეპილეფსიით, 17. მოხუცებულობითი მარაზმით, 18. შხამით მოწამვლით, 19. მხეცებისაგან შეჭმული, 20. მოიხარშნენ, 21. გაურკვეველი მიზეზებით. ამ კითხვებით მოცემული ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალები შეეხება ქალაქებს: თბილისს, გორს, სიღნაღს, თელავს და მაზრებს: თბილისისას, თელავისას, ანანურისას, გორისას, სიღნაღისას.

აპოპლექსიით დაღუპულა — 17, სიმთვრალით — 25, დაიხრჩო — 4, ხანძრის დროს დაიღუპა — 3, შავი ჭირით — 234 (აქედან ანანურში — 215, თბილისში — 15, გორში — 4), ცხენმა მოკლა — 1. შინაგანი ორგანოების ანთებით — 22, ჭლექით — 58 (აქედან ანანურში — 46), მოხუცებულობით — 267 (აქედან ანანურში — 121), გაურკვეველი მიზეზებით — 300, სულ — 931 კაცი. ცალკე თბილისში შემდეგი მონაცემებია: აპოპლექსიით დაიღუპა — 1, დაიხრჩო — 2, ცეცხლის დროს დაიღუპა — 3, შინაგანი ორგანოების ანთებით — 18, ჭლექით — 3, მოხუცებულობითი მარაზმით — 6, გაურკვეველი მიზეზებით — 198, სულ — 231. რასაკვირველია, აღნიშნული მონაცემები არ იქნება ზუსტი, რადგან მაზრაში მომუ-

---

[1] ცენტრარქივი, საქმე 495.

შავე ერთადერთი ექიმი ვერ გასწვდებოდა მთელი მაზრის ავადმყოფთა დიაგნოზისა და გარდაცვალების მიზეზთა გარკვევას. მითუმეტეს, მათი მოვალეობა პირველ რიგში სასამართლო-საექიმო ექსპერტიზა და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იყო და არა დაავადებულთა დიაგნოსტირება და მკურნალობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას გაურკვეველ მიზეზებით გარდაცვალებულთა ასეთი დიდი რიცხვი (მთლიანად საქართველოში — 300, თბილისში — 198), რაც 50%-ზე მეტს შეადგენს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მაშინდელ დიაგნოსტიკურ საშუალებათა დონე.

რუსული სამედიცინო მომსახურების სისტემა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელ საქართველოში არ გავრცელებულა. როგორც სტატისტიკური მონაცემებით ჩვენებისას, ისე საერთო მსჯელობაში, განსაზღვრულ პერიოდამდე საქართველოს ქვეშ ჩვენ ყველგან ვგულისხმობთ ქართლ-კახეთის სამეფოს (ასე იწოდებოდა ის ოფიციალურადაც რუს ხელისუფალთა მიერ). 1810 წლიდან კი იმერეთსაც. ცნობილია, რომ „სამეგრელოს სამთავრო“ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მიღებულ იქნა 1804 წლის 4 ივლისიდან, იმერეთის სამეფო — 1804 წლის 25 აპრილიდან, გურია — 1810 წლის 19 ივნისიდან, აფხაზეთი — 1809 წლის ივნისიდან, სვანეთი — 1933-34 წლებში, მაგრამ ეს სამთავროები ხელშეკრულებით ინარჩუ-ინარჩუნებდნენ განსაზღვრულ ავტონომიურობას“, სანამ ეს მეფის ხელისუფალთათვის ხელსაყრელი იყო საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის სიტუაციასთან დაკავშირებით. ეს სამთავროები ინარჩუნებდნენ მმართველობის ძველ წესებს და რუსული სახელმწიფოებრივი სისტემა, მათ შორის საექიმო მომსახურების იმდროინდელი ორგანოები, რომლებიც ქართლ-კახეთში უკვე 1803 წლიდან იყო, დასავლეთ საქართველოს ზემოხსენებულ სამთავროებს მათ სრულ გაუქმებამდე არ ჰქონია. მათი გაუქმება კი თანდათანობით ხდებოდა მთელი 60—70 წლის განმავლობაში; იმერეთის სამეფო 1810 წელს გაუქმდა, გურიის სამთავრო — 1829 წელს, სვანეთისა — 1857 წელს და 1959 წელს იქ საბოქაულო დაწესდა. აფხაზეთის სამთავროს საბოლოო გაუქმება და აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის რუსეთში გადასახლება 1864 წელს მოხდა. სამეგრელოს „ავტო-

ნომიურობამ“ ფაქტიურად 1857 წელს შეწყვიტა არსებობა. 1867 წელს კი მთავრის მემკვიდრეს საბოლოოდ უარი ათქმევინეს სამთავრო უფლებებზე და ფულადი კომპენსაცია მისცეს. მხოლოდ მისი სრული გაუქმებისა და უშუალოდ რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში შესვლის შემდეგ წესდება იქ რუსული საექიმო მომსახურების სისტემა.

სამედიცინო კადრების უკმარისობა ყოველთვის მტკივნეული საკითხი იყო. 1814 წ. 19/XII შემდეგი შინაარსის მიმართვას[1] უგზავნის რტიშევი ვიაზმიტინოვს — მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს. რამდენიც არ უნდა იზრუნოს კავკასიის ხელმძღვანელობამ მხარის კეთილმოწყობისათვის, ყველაფერი უშედეგო იქნება, თუ არ იქნა გამოსწორებული სამედიცინო მოხელეთა ნაკლებობა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. რტიშევი თხოულობს საქართველოში გამოაგზავნონ 12 სამედიცინო მოხელე. ორიოდე წლის შემდეგ, 1816 წ. 24/X-ს, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, საქართველოს საექიმო მმართველობის მომართვის საფუძველზე, ერმოლოვს აძლევს რაპორტს, სადაც კვლავ ამ მტკივნეულ საკითხზეა ლაპარაკი. რომ საქართველოში არ ჰყოფნით სამედიცინო მოხელეები როგორც სამოქალაქო, ისე საკარანტინო სამსახურისათვის. საჭიროა 5 სამაზრო ექიმი, 3 კარანტინის ექიმი და 12 ექიმის მოწაფე. ექიმის მოწაფეებიც გამოგზავნილი უნდა იქნენ. რადგან, როგორც გუბერნატორი აღნიშნავს, აქ ძნელია მათი შერჩევა.

«Из здешних же народов таковых отыскать во вес невозможно, по той причине, что они к сей части не имеют ни малейшей склонности».

ამ მომართვათა საფუძველზე სამედიცინო დეპარტამენტი 1817 წ. 24 აპრილს ატყობინებს საქართველოს მმართველობას, რომ მათი მომართვის საფუძველზე ეგზავნებათ 10 ფერშალი, 6 — მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტლიდან და 4 — კიევის სამხედრო ჰოსპიტალიდან სამოქალაქო უწყებაში სამუშაოდ. როგორც „ექიმის მოწაფეები“. მაგრამ მოთხოვნილ 8 ექიმზე არაფერს წერენ“. მომდევნო 1817 წ. საქართველოს საექიმო

---

[1] Акты, I, стр. 318.

მმართველობა კვლავ თხოულობს, რომ ქალაქი თბილისი გაზარდა, დიდია მოსახლეობის მოთხოვნა ექიმზე და საჭიროა ქალაქის ექიმისა და მეანის ვაკანტურ ადგილზე მოთხოვნილ იქნეს. საიდანაც ჯერ არს, ექიმები[1]. ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩენილა, რადგან 1819 წ. 9 იანვარს[2] კვლავ თხოულობენ ქალაქის ექიმსა და მეანს. საინტერესოა ტიპიური შტატი მაშინდელი საქართველოს მთელი საექიმო პერსონალისა.

1817 წლამდე, საქართველოს საექიმო მმართველობის ჩამოყალიბებიდან შემდეგი შტატი და ხარჯთაღრიცხვა იყო გათვალისწინებული:

ინსპექტორი	— 1	წლიურად 700 მან. ხელფასით
ოპერატორი	— 1	500 მან.
მეანი	— 1	500 მან.
მწერალი	— 1	80 მან.

საკანცელარიო ხარჯებისათვის გათვალისწინებული იყო 80 მანეთი, გუბერნიებში მიმოსვლისათვის პოლკის ლაზარეთების დასათვალიერებლად — 200 მან. სულ — 2060 მან.

თვითეულ მაზრაში	— 1 ლეკარი	— 300 მან. ხელფასით.
	1 უფრ. მოწაფე	— 60 მან.
	1 უმცრ. მოწაფე	— 45 მან. — 105 მან.

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო ყოველწლიურად 200 მანეთი წარჩინებული ექიმისათვის და გარდამავალი ჯილდო თვითეულზე 100 მან. ხელფასზე წანამატის სახით. ზემოაღნიშნული შტატი 1797 წ. 16 იანვრის დადგენილების საფუძველზე არის დამტკიცებული[3], 1817 წ. 17 სექტემბერს კი საექიმო მმართველობის ახალი ტიპიური შტატი მტკიცდება. შტატი თითქმის უცვლელი რჩება, გარდა ბებიაქალებისა. ახალი შტატით 1 უფროსი და 1 უმცროსი ბებია ქალია გათვალისწინებული, სამაგიეროდ საგრძნობლად გადიდებულია ხელფა-

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 2113.
2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 2475.
3 ცენტრარქივი, ფ. საქმე 23.

სები. ახალი შტატი ხარჯთაღრიცხვით შემდეგი სახისაა: ინსპექტორი — 1—1000 მან. ხელფასით, მეანი — 1—700 მან., ოპერატორი 1—700 მან., საქმის მწარმოებელი — 1—200 მან., საკანცელარიო ხარჯები — 200 მან., მიმოსვლა გუბერნიაში 200 მან., ე. ი. საექიმო მმართველობის აპარატის ხარჯები — 2060 მანეთიდან გადიდებულია 3000 მანეთამდე. მაზრებში: მაზრის ექიმი 5×150—750, ბებიაქალი უფროსი 1—200, უმცროსი — 5×150—750. ამ დროისათვის უკვე მეექვსე ელიზავეტპოლის მაზრაც არის, სადაც 1 ექიმი მუშაობს, ორი მოწაფე (უფროსი და უმცროსი) და ორი ბებიაქალი (უფროსი და უმცროსი). ამგვარად ექვს მაზრაზე შტატით 30 თანამშრომელია გათვალისწინებული 9600 მანეთი ხარჯთაღრიცხვით. გარდა ამისა, 1829 წ. მარტიდან ახალ-ახალი ოლქებისა და გუბერნიების შემოერთებასთან დაკავშირებით საქართველოს საექიმო მმართველობას დაუმატეს ახალი შტატები:

ქუთაისში, ყარაბაღში, ბაქოში, დერბენტში, კუბაში, შირვანში — თითო ექიმი (6 — თითოზე 500 მან. ხელფასით — 3000 მან.). აღნიშნულ შტატებს გარდა, იყვნენ აგრეთვე კარანტინებში მომუშავე ექიმები. საკარანტინო სამსახურის ხაზით, იშვიათად ეპიდემიების გავრცელების დროს, დამატებით მოავლინებდნენ ხოლმე ექიმებს, მაგალითად, 1823 წ. ხოლერასთან ბრძოლის მიზნით გამოგზავნეს ექიმები: ბიდო, ლელკოვი, დობროსლავსკი, ხანკინი, რეინგარდტი.

1831 წლისათვის კიდევ ახალი შტატები ჩანს: თბილისის ქალაქის საავადმყოფოს ექიმი — 1, გუბერნიის ვეტერინარი ექიმი — 1 (საქართველოს საექიმო მმართველობის უწყებაში შედიოდა), ახალციხის ექიმი. ამგვარად, 1831 წლისათვის, როგორც უწყისიდან ირკვევა, სულ საქ. საექიმო მმართველობის უწყებაში 18 ექიმი ყოფილა (მათ შორის 2 დოქტორი, 8—შტაბლეკარი, 8 — ლეკარი), ბებიაქალი — 5, ექიმის მოწაფე — 11, თავისუფალ პრაქტიკაზე მყოფი ექიმი — 3 (სოლომონ ტერმაკაროვი, ივანე ყარაშვილი, გედეონ პრეიალკოვსკი). მაშასადამე, შტატით გათვალისწინებული მთელი მაღალი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 39 ერთეულიდან 5 ვაკანტური იყო. რასაკვირველია, თითქმის მთელი კავკასია ასეთი უმნიშვნელო შტატით (როგორც თვით შიდა რუსეთის გუბერნი-

ები) სამედიცინო მეცნიერებათა მაშინდელი შესაძლებლობის დონეზეც ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი საექიმო მომსახურებით. შეიძლება ითქვას, აღნიშნული შტატი და მეფის მთავრობის მიერ გაღებული თანხები მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასის სამსახურს უნდებოდა. ქალაქის მოსახლეობის ღარიბი ფენა და მთლიანად სოფლის მცხოვრებნი (რაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდა) სრულიად მოკლებულნი იყვნენ საექიმო მომსახურებას. სწორედ ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ მთავრობა იძულებული გახდა 1836 წ. 18/II-ს მიემართა მოსახლეობისათვის მოწოდებით, რათა მათ თავიანთ ხარჯზე აეყვანათ შტატგარეშე ექიმები ქალაქებსა და მაზრებში. ცენტრარქივის ფონდებში[1] ინახება საქმეები, თბილისისა და საქართველოს სხვა მაზრებიდან გამოგზავნილი „უწყებანი", რომლებსაც ხელს აწერს მოსახლეობა, რომ ისინი თანახმანი არიან აიყვანონ თავიანთ ხარჯზე ექიმი.

1836 წლის 2 ივლისს „თბილისის უეზდის კეთილშობილთ უგზავნის ისპრავნიკი ასეთს უწყებას" ამ საკითხზე: „აღსასრულებლად მოწერილობისა უფლისა საქართველოს სამოქალაქო ღუბერნატორისა, მე გიცხადებთ კეთილშობილთა მინდობილის ჩემდა უეზდისთა, რომელ უმაღლესის მნებელობისამებრ ცნობილ არს ფრიად სასარგებლოდ, რათამცა გარდა შტატნის უეზდის ექიმებისა, იყვნენ განწესებულნი ქალაქებში და უეზდებში თვით ექიმი კიდევ, ხარჯსა ზედა ქალაქებისა, მებატონეთა და ნაწილსა ხაზინისა, მისთვის რათამცა ესე ექიმნი, რომელნიცა გაწესდებიან უეზდებში გარდა წამლობისა ავანტყოფთა, ცდილობდნენ, განგრძობასა ზედა ყვავილის აჭრისა და შემთხვევასა შინა დიდის საჭიროებისა, როდესაც უეზდის ექიმი იყოს ავათ. ანუ სადმე, ანუ ჰქონდეს მიუცილებელი საჭიროება თანაშემწესი აღასრულონ ყოველივე ქმნილი ადგილობითის მთავრობისაგან მინდობილება უეზდში, სუდებნის მედიცინის ნაწილში და მედიცინის პოლიციაში. ისარგებლოს რა მისთვის უფლებათა ჭეშმარიტის სამსახურისათა, ხოლო ამისათვის ვთხოვთ იმა კეთილშობილებათა მოაწერონ ამა

---

[1] ცენტრარქივი. ფ. 16, საქმე 5268.

უწყებასა ზედა თვითეულმა საკუთრად, თანხმობასა ზედა თვისსა, რათამცა ტფილისის უეზდში იყოს განწესებული ექიმი ხარჯსა ზედა ტფილისის უეზდის მცხოვრებისა. მოწერილობა ესე ჰქმენით სრულად და ცხადად, რომლისათანაცა ვალად ვრაცხ გამოუხატო კეთილშობილებათა გონებასა შინა, რომელ გამცხადებელი ღონისძიება, მისაღებელი მართველობისაგან უზრუნველობისათვის ხალხთა მშვიდობიანობისა იქმნების საზოგადო სასარგებლო და ამისათვის თანამდებხართ გამოაცხადოთ თანხმობა მოყვანებისათვის მისისა მოქმედებაში.

ივლისის ბ: დღესა ჩყლვ-ს წელსა[1].

ამ უწყებას თანხმობის ნიშნად ხელს აწერს თბილისის თავადაზნაურთა 14 წარმომადგენელი.

რასაკვირველია მაზრაში თითო შტატგარეშე ექიმის აყვანა საქმეს ბევრად ვერ შეცვლიდა, მაგრამ მაინც ერთგვარი გაუმჯობესების შეტანა შეეძლო მოსახლეობის საექიმო მომსახურების საქმეში. თუმცა მათი შენახვის ხარჯები თვით მოსახლეობას დააწვებოდა დამატებით ტვირთად.

1838 წლისათვის სამედიცინო მოხელეთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა: ექიმი — 22 (დოქტორი — 1, შტაბლეკარი — 11. ლეკარი — 10), ბებიაქალი — 17, ექიმის მოწაფე — 29, თავისუფალ პრაქტიკაზე მყოფი ექიმი — 2 (ივანე ყარაშვილი და ლორის-მელიქოვი). სამოქალაქო უწყების 12-საწოლიანი სტაციონარი, საავადმყოფო, მხოლოდ 1820 წელს გაიხსნა ქალაქის საავადმყოფოს სახელწოდებით. ცხადია, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის ერთადერთი 12-საწოლიანი საავადმყოფოს არსებობა სრულიად უმნიშვნელო იყო, მითუმეტეს, რომ ამ დროისათვის მოსახლეობაში საკმაო ნდობა და პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი ახალ რუსულ მედიცინას და დიდი იყო მომართვათა რიცხვი. 1830 წელს ინსპექტორის „შემოვლის ჟურნალში", რომლის წლიური ჩანაწერებიც პეტერბურგში გენერალ-შტაბ დოქტორს ეგზავნებოდა, წერია:

«Тифлисская городская больница пр. об. кр. находится в настоящем устройстве и жители сею края видя

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5268.

очевидную пользу от сего благотворительного заведения прибегают в оную сразным болезнями для получения облегчения в оных»[1].

საავადმყოფო დიდ სივიწროვეს განიცდიდა როგორც ფართობის, ისე მოსამსახურე პერსონალის მხრივ. ინფექციური დაავადებები ენდემურად თბილისში თითქმის განუწყვეტელი იყო და საავადმყოფოს ექიმი იძულებული ხდებოდა ასეთი ავადმყოფები სხვა ავადმყოფებთან ერთად მოეთავსებინა.

1831 წ. თბილისის ქალაქის საავადმყოფოს გამგე, შტაბ-ლეკარი ხონკინი, წერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, რომ

«Свойство холеры по сие время совершенно еще не определено, прилипчивая она или нет, и в какой степени, то одержимые холерою больные не могут быть помещаемы в одной комнате с прочими больными, а так как особой комнаты по тесноте строения больницы для таковых больных уделить не может и при том не имеет потребного числа людей для подавания оным пособии, то о сих неудобствах необходимо долженствующих в стретится при поступлении больных одержимых холерою больница в обязанность себе поставляет донести вашему превосходительству»[2] საავადმყოფოს შტატი მხოლოდ ერთი ექიმით განისაზღვრებოდა.

იგივე ხონკინი იმავე მისამართით ატყობინებს, რომ არა თუ ავადმყოფთა დასაწოლი, არამედ ყოველდღიურად ხოლერით მიცვალებულთა მოსათავსებლადაც არა აქვთ ოთახი, რის გამო იძულებულია გვამები მოათავსოს თეთრეულის ოთახში. ჯერ კიდევ გასულ წელს უთხოვია გუბერნატორისათვის, რათა საავადმყოფოსთან არსებული სარაიის ერთ-ერთი ოთახი დაეთმოთ, რომელიც აბრეშუმსახვევ ფაბრიკას საწყობად ჰქონდა გამოყენებული, მაგრამ თხოვნას უშედეგოდ ჩაუვლია. ჩანს გუბერნატორი ფაბრიკის მეპატრონის ინტერესებს უფრო

---

[1] ცენტრ. არქივი, ფ. 504, საქმე 25.

[2] Центр. архив, ф. 16, д. 4405.

იცავდა, ვიდრე ავადმყოფთა ინტერესებსა და ექიმის კანონიერ მოთხოვნებს.

1838 წლისათვის საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა, მაგრამ სიეიწროვე მაინც მწვავედ იგრძნობოდა.

1838 წლის „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალში „ინსპექტორი დეპნერი ოპერატორი უმისა და მეანი პოპეიკო შემდეგ ჩანაწერს აკეთებენ:

«Во всем в закавказском крае имеется одна только городская больница в Тифлисе на 50 кроватей, которая хотя и довольно хорошо устроена, но по малости весьма недостаточна для помещения всех ищущих там приюта и пособия»[1].

იქვე წერენ:

«Умалишенных состояло в 1838 г. 131 человек — для призрения коих, а Грузии не имеется никакого устройства».

იმავე ჩანაწერებით ირკვევა, რომ საავადმყოფოს გამგედ 1838 წ. ხონკინის ნაცვლად იყო ერკე. ამ დროისათვის საავადმყოფოს შტატში ირიცხება ზედამხედველიც (ალდადანოვი). პრაქტიკაში ყოფილა, აგრეთვე, ექიმის მოწაფეთა მივლინება მაზრებიდან, ალბათ დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რადგან საავადმყოფოს შემოწმებისას ჩანაწერის ავტორებს საავადმყოფოში დახვედრიათ „Лекарские ученики прикомандированные из других уездов. 1838 წ. განმავლობაში საავადმყოფოს გაუტარებია 865 ავადმყოფი, აქედან 788 გამოჯანსაღებულა, 88 გარდაცვლილა, 1839 წლისათვის დარჩენილა 41 ავადმყოფი.

საექიმო-სამკურნალო დახმარების მაშინდელი მოცულობის ცალკეულ დაავადებათა გავრცელებისა და დიაგნოსტიკის განსაზღვრისათვის საინტერესოა ზემოხსენებულ „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალზე“ დართული ცხრილი:

მწვავე დაავადებებით სულ მიღებულია, მთელი 1839 წლის მანძილზე, როგორც საავადმყოფოში, ისე კერძოდ, სამედიცინო ჩინოვნიკების მიერ, 1831 ავადმყოფი, აქედან გამოჯანსაღებულია 1680, გარდაცვლილია 89. ამჟამად ავადმყო-

[1] იქვე ф. 16- д. 5710

ფობს — 62. ქრონიკული დაავადებით მიუღიათ — 286, გამოჯანსაღებულია — 264, გარდაცვლილია —11, ავადმყოფობს — 11, ე. ი. სულ 2117 ავადმყოფი. მათ შორის გამოჯანსაღებულა — 1944, გარდაცვლილია — 100, სახეზეა — 73. გამოჯანსაღებულთა რიცხვი საკმაოდ დიდია, თუ გადაჭარბებულად არა აქვთ ნაჩვენები ავტორებს. მიღებულ ავადმყოფთა საერთო რიცხვს (2117), თუ გამოვაკლებთ საავადმყოფოში გატარებულ ავადმყოფთა რაოდენობას (865), მივიღებთ მეტად უმნიშვნელო ციფრს (1252), რომლებსაც მიუღიათ საექიმო დახმარება საავადმყოფოს გარეშე, ისიც კერძოდ (ავადმყოფთა მიერ სათანადო ჰონორარის გაღებით).

ზემოაღნიშნულ მწვავე დაავადებათაგან ყველაზე დიდი ციფრი მოდის ცხელებით დაავადებულებზე Febris intermites, F. Catarrhalis, F. pneumatica, F. B;liosa, F. gastrica და სხვ.) ამათგან F. infermites — 521 F. Catarrhalis — 337 დანარჩენ დაავადე-ბათაგან mednitis — 15, Ophdalmia — 45 anginaa —42, otitis—5, Pneumonia — 53, Pleuritis—29, gastritis — 9. Enteritis — 49, Hepatitis — 61. Splenitis — 7, Cystitis—1. Reumatismus — 30. Roleola 28, Morbili — 15, Haimortisis — 14, Disenteria — 30, Influenza—37. Blenorrhoica—27.

ქრონიკულ დაავადებათაგან Febris Hestica—6, Artritis —19 Hydrops—42. paralisis —1. siphilis — 51 amenorhea — 10. Hemoroides—5, Hudrochonriasis—5, ptysis—5, melancholia—30, Icteuss — 15 olsfuctio Viscerum abdominalum — 39, Helminhtiasis — 3. Contusio — 11, Luxatio — 7. Fractura ossium — 1, polipus — 2.

ქირურგიული დახმარების დონის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა სამედიცინო დეპარტამენტის 1826 წლის 25 იანვარს № 7 მიმართვა[1]. ამ მიმართვით არმიის, ფლოტისა და სამხედრო ჰოსპიტლების გარდა, სამედიცინო დეპარტამენტი საჭიროდ ცნობს ქირურგიულ ინსტრუმენტებით მომარაგებულ იქნეს სამოქალაქო სამედიცინო უწყებაც. ირკვევა, რომ 1826 წლამდე არცერთ საგუბერნიო საექიმო მმართველობაში არ

---

[1] ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქმე 3415.

ყოფილა ქირურგიული ინსტრუმენტების კომპლექტი და სიჭვირის გამო არცერთ ექიმს არ ჰქონია იგი, რის გამოც «Нет средства производить никаких хирургических операций». საექიმო მმართველობასთან მყოფ ოპერატორს, ძეანს და მაზრის ექიმს შეუძლიათ ოპერაციული დახმარების გაწევა, მაგრამ ქირურგიული ინსტრუმენტების უქონლობის გამო ოპერაციებს ვერ აკეთებენ საჭირო შემთხვევებში, რის გამოც ეს ექიმები კარგავენ ოპერაციულ ჩვევებს. ამიტომ ყველა გუბერნიის საექიმო მმართველობას და მათ შორის საქართველოს საექიმო მმართველობასაც ეგზავნება ყუთი ქირურგიული ინსტრუმენტების კომპლექსებით.

ინსტრუმენტები საექიმო მმართველობიდან ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაცემულიყო ექიმებზე საჭიროების (ოპერაციის) დროს. ინსტრუმენტის დაკარგვის შემთხვევაში საფასურს იხდიდა წამღები ექიმი.

საქმეში ინახება ამ ინსტრუმენტების სია (Реестр к хирургическим инструментам, состовляющим Губернские наборы, 1824 года).

ღირებულების აღნიშნით. ინსტრუმენტები დაჯგუფებულია იმ ოპერაციების სახეობათა მიხედვით, რომლებიც მაშინ კეთდებოდა:

1. ჯიბის საექიმო კომპლექტი. 2. სისხლის გამოსაშვები ინსტრუმენტი; 3. პინცეტი; 4. ინსტრუმენტები ცეცხლნასროლ ჭრილობათა მკურნალობისათვის; 5. თავის ქალას ტრეპანაციისათვის; 6. თვალის ოპერაციებისათვის; 7. საცრემლე აპარატის ოპერაციებისათვის; 8. ცხვირისა და დანამატი ღრუების წანაზარდების (სიმსივნეების) ოპერაციებისათვის; 9. კურდღლის ტუჩის ოპერაციებისათვის; 10. კბილის ამოსაღები; 11. ყელიდან უცხო სხეულის ამოსაღები; 12. ტრაქეოტომიისათვის; 13. წყალმანკის გამოსაშვები; 14. მუცლის ღრუს ამოსაკერი; 15. შარდის გამოსაშვები; 16. ძვლის მოტეხილობათა და თიაქარის ბანდაჟისათვის; 17. სწორი ნაწლავის ფისტულის გასაჭრელი; 18. შარდის ბუშტიდან ქვის ამოსაღები; 19. სამეანო ოპერაციებისათვის; 20. ანევრიზმის ოპერაციებისათვის; 21. სასქესო ორგანოების ამოსაკვეთი; 22. ჩვეულ (ძველ) ამოვარდნილობისათვის; 23. გვამების გასაკვეთი. სულ ამ

კომპლექტში შედის 143 ინსტრუმენტი. ზემოჩამოთვლილი ოპერაციები საკმაოდ სერიოზული ოპერაციებია. თუ გუბერნიის საექიმო მმართველობისათვის ამ ოპერაციებისათვის საჭირო ინსტრუმენტების ქონა სავალდებულო და დაკანონებული იყო, მაშინ მათი გაკეთება მომუშავე ექიმთათვის სავალდებულო და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. გასაკვირი არაა, რომ რუსი ქირურგების ი. ფ. ბუშასა (1771—1843) და ილია ბუიალსკის (1789—1866) ეპოქაში რუსეთსა და მის გუბერნიებში აღნიშნული ოპერაციების წარმოება ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო, მაგრამ მეფის ბიუროკრატიული მთავრობის მიერ შექმნილი პირობების გამო ეს ოპერაციები გუბერნიებში ვერ ხერხდებოდა. მართლაც ინსტრუმენტებით საექიმო მმართველობათა მომარაგების 5 წლის შემდეგაც, 1931 წელს, არც ერთი ოპერაცია არ გაკეთებულა მთელი წლის განმავლობაში, გარდა სამეანო მანიპულაციებისა «Акушерские шипцы были употребляемы 6 раз»[1]. 1838 წელს „საინსპექტორო ჟურნალში" წერენ წლიური ანგარიშის სახით:

«Операции были следующие: шипцы были наложены пять раз с хорошими успехами, оборот сделан четыре раза, тоже успешно»[2].

ასეთი მანიპულაციებით ამოიწურებოდა მთელი ქირურგიული დახმარების დონე არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის საგუბერნიო ცენტრებში, ბუშასა და ბუიალსკის ქვეყნის ზოგიერთ დიდ ქალაქებშიც.

საავადმყოფოს გაფართოებასა და ახალ სამკურნალო დაწესებულებათა გახსნაზე აღრევე დაიწყო მოთხოვნები. 1840 წლის იანვარში საქართველოს საგუბერნიო საამშენებლო კომისიას და საზოგადოებრივი ზედამხედველობის „პრიკაზს" დავალებული ჰქონდათ შეემუშავებინათ საავადმყოფოს, ფსიქიატრიული საავადმყოფოს, ინვალიდთა და უპატრონოთა სახლის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. აღნიშნული

---

1 ცენტრ. არქივი, ფ. 504, საქმე 25.
2 იქვე, ფ. 16, საქმე 5710.

საავადმყოფოები პროექტით უნდა გახსნილიყო ორთაჭალაში, იმჟამად უკვე გაუქმებული საკარანტინოს შენობებში, რეკონსტრუქციის შემდეგ. კარანტინის ორ კვარტალში ეწყობოდა სამკურნალო დაწესებულებები, მესამე კვარტალში კი სამოქალაქო ციხე 105 პატიმრისათვის. მაგრამ ბიუროკრატიული აპარატი ასეთი სახალხო საქმეების გადაწყვეტას და დასრულებას თუ მთლად არ დაასამარებდა, მხოლოდ ათეული წლების შემდეგ ახერხებდა. მართლაც, ახალი საავადმყოფო, რომლის მწვავე საჭიროებაზე მთელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში იყო წუწუნი, მოლოდ 1865 წელს გაიხსნა ქალაქის საავადმყოფოს სახელწოდებით, ყოფილ მიხეილის ქუჩაზე.

არა მარტო სამკურნალო დაწესებულებების უკმარისობა, რომელიც შედარებით დიდი თანხების გაღებასა და ხარჯს მოითხოვდა, არამედ ქალაქის კეთილმოუწყობლობა და უსუფთაობა ქმნიდა ქალაქში ანტისანიტარულ მდგომარეობას, დაავადებათა გავრცელებისათვის ხელშემწყობ პირობებს. თბილისში გამეფებული ანტისანიტარია აღწერილია საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი საექიმო მმართველობის მიერ წარდგენილ 1838 წლის 12 მაისის რაპორტში, სადაც წერენ: „თბილისში უმაგალითო უწესრიგობა სუფევს ყველგან. მოსკოვის საგუშაგოდან დაწყებული ელიზავეტპოლის (განჯის) საგუშაგომდე (კარებამდე). მტკვრის წყალი ერთადერთი სასმელი წყალია თბილისის მცხოვრებთათვის, მთელი სანაპირო დაფარულია ნაგვის დიდი გორებით, ასეთი უწმინდურობის ანაორთქლი აფუჭებს ისედაც გაბინძურებული და შევიწროებული ქალაქის ჰაერს. წყალი, რომელიც ჩამორეცხავს ნაპირებს ერევა ამ დამპალ ნაგავში. ასეთი წყლის ხმარებამ სასმელად და საკვებში, შეიძლება ზიანი მოუტანოს ჯანმრთელობას და გამოიწვიოს კიდევ ეპიდემიური დაავადებები. გარდა ამისა, თათრის მოედნის ქვემოთ, თითქმის ქალაქის ცენტრში, მოწყობილი ყოფილა სასაკლაო. აქ დაკლული საქონლის დაღვრილი სისხლისა და ნარჩენების ლპობა, განსაკუთრებით ზაფხულში, იწვევს საზიზღარ სუნს მთელ ბაზარში. საექიმო მმართველობა თხოულობს მიიღონ ზომები ანტისანიტარიის მოსასპობად.

«Что кажется очень удобноисполнимо при надлежащем действии полиции»[1].

ქალაქის ქუჩების მოუწყობლობასა და უსუფთაობის ნათელ სურათს იძლევა ვ. ბერიძე თავის სტატიაში, სადაც წერს: „...1827 წელს სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (თბილისის მცხოვრებთა მიმართ) პირველ მუხლად შემდეგი იყო აღნიშნული:

„ა) მრავალნი სახის პატრონნი ან სრულებით არ უფრთხილდებიან ქუჩებისა და თავის საკუთრის ეზოების წმინდათ შენახვასა. ესრეთსა გაუფრთხილებლობასა. კეთილ დამყარებულს ქალაქებში არა მოსათმენსა, აქვს ჯერეთ თვით სავნებელი მოქმედებაცა სიმრთელისათვის მცხოვრებთა. ტფილისის ძველნი მცხოვრებნი უეჭველად მოიგონებენ, როგორს უბედურობებს მისცემიან ისინი უწინდელს დროსა, ქუჩების ვიწროობისა და უსუფთაობისაგან.ამის გამო განუცხადებ მე ყოველთა სახლის პატრონთა, რათამცა ამას იქით დაიცვავდნენ თავის ეზოებსა და ქუჩებში, თვითეულ თავის სახლის წინ საჭირო სიწმინდესა. სამოქალაქოს პოლიციას ჩემის ბრძანებისამებრ ექმნება ამაზედ უფიცხლესი ზედამხედველობა და ურჩთა გარდაახდევინებს“.

ამავე სიპიაგინს ქალაქის კეთილმოწყობის მრავალი პროექტი ჰქონია. იგი აპირებდა მოსკოვის გზის (მომავალი გოლოვინის პროსპექტის) გაფართოებასა და გასწორებას, მის ორსავ მხარეს ორ მწკრივად ხეების დარგვასა და ტროტუარის დაგებას, ხეების მოღობვას შეღებილი ბალუსტრადით, ყაბახის მოშანდაკებასა და მის ზემოთ ტერასების მოწყობას, ახალი გზის გაყვანას რიყიდან ჩუღურეთისა და კუკიისაკენ იმ დონეზე, რომ წყალდიდობისაგან დაცული ყოფილიყო, გზების გასწორებასა და კეთილმოწყობას ავლაბარსა და ნავთლუღში (ჰოსპიტლისაკენ), მაგრამ არც ეს პროექტები განხორციელებულა და არც „უფიცხლეს ზედამხედველობას“ მოჰყოლია, როგორც ჩანს, შედეგი, რადგანაც თვით ხელისუფლებას ნამდვილად არც ეცალა ქალაქის კომუნალური მოწესრიგებისათვის. კეთილმოწყობის ხარჯების საგრძნობ ნაწილს თვით მოსახლეობა იხ-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5510.

დიდა. 1831 წ. სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი აღნიშნავდნენ, რომ ქალაქი;

«имеет вид Азиатского, та же теснота и та же нечистота по базарам и другим публичным местам, при домах на улицах и в канавах внутри города находящихся так, что в самое сухое время года можно здесь находить по некоторым улицам всегдашнюю грязь и вообще дурной запах».

საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქში არ არსებობდა ტროტუარები და ქვაფენილები (გამონაკლისს გოლოვინის პროსპექტის ნაწილი შეადგენდა). თბილისის ყველა მნახველი ჩივის, ზოგი კი დაწვრილებითაც აღწერს, როგორი გაუვალი ტალახი იყო ქუჩებში და რა სახიფათო იყო ეტლით მოგზაურობა ორმოებისა და ღრანტეების გამო. სამოციანი წლების დასაწყისშიაც კი სურათი არ შეცვლილა. თვით მთავარმართებლის ბარიატინსკის ანგარიშის მიხედვით, გოლოვინის პროსპექტი წვიმიან ამინდში ისე იყო ალაფებული, რომ ეტლებს გავლა უჭირდათ, ქვეითთათვის კი სიარული შეუძლებელი იყო.

არც ქუჩების განათებისათვის ზრუნავდა ვინმე.

«Об освещении города нечего и говорить: на главной улице вправо и в лево от дома главноуправляющего: горели два тусклых фонаря, да на Эреванской площади светил фонарь возле полиции, а все остальные улицы старого и нового города оставались погруженными в непроницаемый мрак южных ночей» — წერდა ბარონი ტორნაუ ოცდაათიან წლებისა და ორმოციანი წლების დასაწყისის თბილისის შესახებ. 1843 წ. პოლიცმეისტერის ცნობით თბილისში სულ იყო 227 ნათურა. ჯარისკაცთა „სლაბოდკები“ ავლაბარი და თვით ცენტრის შესახვევებიც არ ნათდებოდა. 1 მაისიდან სექტემბრამდე და აგრეთვე დანარჩენ თვეებში 9—9 დღეს, ქალაქს საერთოდ არ ანათებდნენ. განათების ფუნქცია მხოლოდ მთვარეს ეკისრებოდა. ამ წელს პოლიცმეისტერის შუამდგომლობით განათების ხანგრძლიობა ორი თვით გააგრძელეს, ასე რომ წელიწადში 236 ღამე იყო განათებული.

მხოლოდ ორმოციანი წლების ბოლოს მოეწყო თბილისში აირის განათება.

თუ ასეთი მდგომარეობა იყო ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, ადვილი წარმოსადგენია რა იქნებოდა კალაში, ხარფუტში, ავლაბარსა და ჩუღურეთში, გარეთუბნის სანაპიროებზე, სხვადასხვა „სლობოდკებში“...[1].

ჩვენ უკვე განვიხილეთ მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხი დღემდე შემონახული დოკუმენტების (ბრძანებების, ინსტრუქციების, ცირკულარების) შესწავლის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტები სამედიცინო ხასიათის ინსტრუქციები დღესაც გვაცებენ ღრმა მეცნიერული შინაარსით, დაგროვილ ღონისძიებათა სიზუსტითა და გონებამახვილობით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტები ხშირად მხოლოდ დოკუმენტებად რჩებოდა და თვით ღონისძიებანი კი პრაქტიკულად განუხორციელებელი — მთელი ათეული წლების განმავლობაში. ეს ისტორიული დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ რუსული სამედიცინო აზროვნება იმ დროისათვის შესაფერ სიმაღლეზე იდგა, მაგრამ სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია სამედიცინო მეცნიერებათა დონის შეუფერებელი იყო, მეფის ბიუროკრატული აპარატის მოუქნელი მუშაობისა და კლასობრივი თუ კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე შემაფერხებელ მიზეზების შედეგად.

ამის მშვენიერი მაგალითია 1811 წლის ერთი დოკუმენტი, ანანურის მცხოვრებთა მიერ კომენდანტისადმი მიწერილი „არზა“ მოგვყავს მთლიანად:

„თანამდებობისა ანანურის კამენდატის უფალის კაპიტანის ივან პკრაკოფიჩ კუმიკოვს ერთობლივ ანანურელთ მოსახლეთაგან

არზი

აპრილის დამდეგს გამოჩნდა სატკივარი ვატყობდით ჩვენს ხვედით, რომ მოსარიდებელი სატკივარი იყო მივედით და გამოუცხადეთ ჩვენ უფალ კამენდატს ბრეკანტოეს. სატკივარი გამოჩნდა მოგვარიდე ასე ვეეედრებოდით და შედგომილნი ვიყავით ერთს კვირასა, ასე რომ ცალგნით ჩვენ დაგვაყენე, ცალგნით ავანტყოფები, ამის პასუხი ეს მოქვცა, შავი საოფლე არისო, ჭირი არ არისო, მრავალს გაუჯავრდა, ცემა უქალა, აზ-

---

[1] ვ. ბ ე რ ი ძ ე. „ცისკარი“. 1958 წ.

ნაურნი და მღვდელნი როდეს მოვიდნენ მოახსენეს, დეკანოზს წვერის გლეჯა უქადა, აზნაურს ცემა უქადა. კამანდათთან რომ ვეღარ მივედით რომ გვიჯავრდებოდა, ავდეგით და ლეკარს დაუწყევით ლაპარაკი, გრიგოლ ტიხვინიჩს. იმან ეს პასუხი მოგვცა: რომ მე გამამიცხადებია თქვენის კამანდენტისათვის და ის გიმალავსთ, მიდით და ელაპარაკენით, როდეს გაცხარდა ხოც ხშირათა აკდექით ხალხი შევიყარენით, გავგზავნეთ სამი უფროსი კაცი, მოვიდნენ ელაპარაკნენ, ამას ეევედრებოდნენ ცოტას მოშორებით მინდვრათ დაგვაყენეთ. დია, უარი გვითხრა, იქ მოვიდა ფილიპე მაჭავარიანი და უთხრა: გუშინ რომ პირში გვაფურთხებდი, რომ არ არი ჭირიო, დღეს რატო გამოჩნდა და გამიცხადდა. ფილიპეს გაუჯავრდა წადიო, თორე ნაობახტში გაგზავნიო. ფილიპე ცოტა მთვრალი იყო, არ მოეცალა. და დაუძახა ყარაულსა დაეჭირათ, ფილიპე გამობრუნდა შინისკენ წამოვიდა. როდესაც დეეხვივნენ ყარაულები თავის შისით ხანჯალი ამოიღო არა თუ სახმარებლათ, დაჰკრეს შტიკი თავში ფილიპეს და წააქციეს. ეუბნებოდა ყარაულებს მოკალითო და რა მოკლეს მაშინვე დააკვრევინა დალაბანდი და შემოეხვივა როტი. ეუბნებოდა როტსა, შესივენით გაწყვიტეთ კაცი და დედაკაცი. და სალდათები ძრიელ ჰკვირობდნენ, გაგიჟდა ეს კაციო, რაზე გვახოცინებს ამ ხალხსა, რომ ჩვენთვის გულხელდაკრეფილი ვიყავით მოვიდნენ სალდათები შტიკი აღარ იხმარეს, კონდახით მრავალი დახოცეს, ჩვენს კაცსა და დედაკაცსა. კონდახს ნუ ხმარობთო ასე ეუბნებოდა შტიკი იხმარეთო და დახოცეთო, მეცნარ უნდრი აფიცრები იყვნენ და სალდათები, ვენანებოდით დასახოცათ. ფილიპე თრევით წააღებინა ყარაულებსა ციხისაკენ, მამრე ამის გარდა წამოასხა ყარაულები და დადიოდა ბაზარში არჩევდა თითო თითოსა და გზავნიდა ციხეში. დაიჭირა ათი კაცი, ერთი მღვდელი სომხისა, უზიაერბი და ულოცავი ხალხი გაუშვა, ორმოცდაორი დღე ციხეში ვიყავით, ციხეში გაგვიხდა ორი კაცი ავად, მოახსენეს პატრონებმა კარახტონში გაგზავნეო, ხუნდები შეუყარა, თუ ტყუიანო, გაქცევა უნდათო, ეხვეწებოდნენ პატრონები ჭირისაგან ავათ არისო, ისინი ვეღარ გაიქცევიანო, ვეღარც მორჩებიანო, ხუნდი გამოუყარე. ეს პასუხი მისცა: რა მოკვდებიანო საფლავში თან ჩავაყოლინეფო ხუნდსაო. ფეხში ხუნდი და ორი

ხელშეკრული ისე დაიხოცნენ, ისე დაამარხვინა ქრისტიანი ადამიანი, თათრები არცერთი იყვნენ. იმას გარდა დედაკაცებთან დადიოდა წიგნი დამიწერეთო, მინავათობისაო და ეხლავ გამოუშვეფო თქვენ ტუსაღებსა, ატყუებდა და წიგნიც გამოგვართვა ტყუებით, ეს ჩვენი საჩივარი, დაიწერა ესე არზი წელსა ჩყ ია მარიამობისთვის გ ერთობლივ ანანურად მოსახლეთ თხოვნით ვაწერ ისაი გათენაშვილი".

აღსანიშნავია, რომ თარჯიმანის თარგმანი, ალბათ საგრძნობლად შემსუბუქებულად არის დაწერილი. ქართულში წერია, რომ მაჭავარიანი მოკლეს, რუსულ თარგმანში ასე:

«Хотя он комендант и приказал убить его но оне не убили».

ქართულის მიხედვით ის (ფილიპე) თრევით წაიღეს ციხისაკენ, თარგმანშია:

«Потом велел отправить в крепость помянутого Пилипа и десять человека». ქართულში წერია, რომ ის ბრაკენტოვი ბაზარში დადიოდა და იქ შეარჩია, ნებისმიერად, დასაპატიმრებელი ხალხი. თარგმანი ისეა, თითქოს შემთხვევის ადგილზეა ხალხი დაპატიმრებული.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებანი იმ დროისათვის მშვენივრად იყო ჩამოყალიბებული, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით. მაგრამ ის სასტიკად მახინჯდებოდა მეფის ადგილობრივ მოხელეთა მიერ.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობაში მტკიცედ ყოფილა დანერგილი ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა, ისინი თვითონ ითხოვენ საჭირო რეჟიმის დადგენასა და ავადმყოფთა იზოლაციას მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილისაგან.

ეს დოკუმენტი კარგი მაგალითია აგრეთვე იმისა, თუ რამდენად ახდენდა გავლენას სამედიცინო მომსახურებაზე კლასობრივი და კოლონიალური ჩაგვრის აღვირახსნილობა.

მედიცინა გაბატონებული კლასის სამსახურში იყო სინამდვილეში. არც ერთი იმდროინდელი სამკურნალო თუ ეპიდსაწინააღმდეგო დაწესებულება „მდაბიო" ხალხისათვის არ ყოფილა გამიზნული. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კიდევ ერ-

თი დოკუმენტი[1], სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი წერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს (18/I—1836 წ. № 109) ქალაქებსა და მაზრებში შტატგარეშე მედიკოსების დანიშვნის შესახებ, ექიმები უნდა დაინიშნონ:

«В те города кои по многолюдству своему обширности и богатству торговли представляют как особую надобность в усилении медицинского пособия для тамошных обывателей» ან «Там где есть значительное дворянство» ან კიდევ: «В городе и уезды кои хотя не имеют низначительного дворянства ни богатый торговли, но находясь на больших трактах, где часто проходят воинские команды арестантские партии учреждаются рекрутские присутствия».

დოკუმენტში პირდაპირ არის დაყენებული სამედიცინო დახმარების საქმის მხოლოდ გაბატონებული კლასისადმი დაქვემდებარების საკითხი, რადგან ექიმის დანიშვნისათვის საჭირო იყო მემამულეთა, ვაჭართა ან სამხედრო მოხელეთა ყოფნის აუცილებლობა. ყურადღების გარეშეა აგრარული ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მცხოვრებთა სახით.

1840 წლიდან „საქართველოს საექიმო მმართველობა" გადაკეთდა „საქართველო-იმერეთის საექიმო მმართველობად" (Грузино-имеретинская врачебная управа) მეტად საინტერესო სურათს იძლევა იმ დროის წლიური ანგარიშები. მაგალითად, 1843 წლის ანგარიშში[2] მოცემულია მხარის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და სამედიცინო საქმიანობის დეტალური აღწერილობა. წლიური ანგარიში დაყოფილია შემდეგ ქვესათაურებად: 1. საექიმო საპოლიციო ნაწილი, 2. საექიმო დახმარების დაწესებულებები, 3. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დაწესებულებები, 4. სამოსამართლო-სამედიცინო ნაწილი, 5. საექიმო მმართველობის შემადგენ-

---

1 ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქმე 5268.

2 ЦГИАЛ СССР (ლენინგრადი), ф. 1297, г. 1844 оп. 244 д. 31 л.л. 2—6 об.

ლობა გუბერნიებში, 6. საქმეების მოძრაობა საექიმო საჰ-
მართველოში. წლიურ ანგარიშს თან ერთვის უწყისები ავად-
მყოფთა მოძრაობის შესახებ მთელ გუბერნიასა და თბილი-
სის ქალაქის საავადმყოფოში. დაავადებები დაყოფილია 2
ჯგუფად: მწვავე და ქრონიკული დაავადებები. დანართიდან
(№ 1 უწყისი) ირკვევა, რომ 1843 წელს მთელს გუბერნიაში
მწვავე დაავადებებით მიიღეს 2245 კაცი, აქედან გარდაიცვა-
ლა 661, ქრონიკული დაავადებით — 1918, გარდაცვლილა
406[1]. თბილისის ქალაქის საავადმყოფოში მწვავე დაავადებე-
ბით მიუღიათ — 209, აქედან გარდაიცვალა — 26, დარჩენი-
ლა 1 იანვრისათვის 135. ქრონიკული ავადმყოფები 204, გარ-
დაცვლილა 37[2]. როგორც ვხედავთ. საექიმო მომსახურების
ძალიან სუსტი მაჩვენებლებია. ამ წლიურ ანგარიშზე დარ-
თულ სიაში ქართლ-იმერეთის საექიმო მმართველობის შტა-
ტისა და პირადი შემადგენლობის ზუსტი მონაცემებია. მთლი-
ანად სამმართველოს სისტემაში (ერევნის, ალექსანდრეპო-
ლის, ზაქათალის, ელიზავეტპოლის და ნახიჭევანის ჩათვლით)
18 ექიმი მუშაობდა, 11 — უფროსი ექიმის მოწაფე, 11 —
უმცროსი ექიმის მოწაფე, 11 — ბებიაქალი, 1 — ვეტექიმი,
3 კანცელარიის მუშაკი (საექიმო მმართველობაში), ე. ი. სულ
55 კაცი. თითქმის მთელ საქართველოსა და სომხეთზე სამი
აფთიაქი მოდიოდა — სამივე თბილისში: სახაზინო-სათადა-
რიგო აფთიაქი, შმიდტის კერძო აფთიაქი და სარეცეპტო აფ-
თიაქი (Рецептная аптека). 1843 წლის განმავლობაში „სა-
რეცეპტო აფთიაქიდან“ 10868 რეცეპტით გაიცა წამალი,
შმიდტის აფთიაქიდან კი 24988 — რეცეპტით. წლიურ ანგაშ-
რიშში მოცემულია ყველა ეპიდემიის მოკლე დახასიათება,
რომელთაც ადგილი ჰქონდა სამმართველოს სამოქმედო ტე-
რიტორიებზე.

1846 წლიდან, კავკასიაში მთავარმართებლად ვორონცო-
ვის დანიშვნის შემდეგ, მთელი რიგი რეფორმები გატარ-
და. ვორონცოვი კავკასიის „დაპყრობის“ მეტად მოფიქრე-
ბულსა და დიპლომატიურ გეგმებს ადგენდა. გამოდიოდა რა

---

1 იქვე, გვ. 8—7.
2 იქვე, გვ. 9—12.

ქართული ეროვნული ინტერესების დამცველის „როლში“ უაღრესად შორეული მიზნებისაკენ ეჭირა თვალი. თითქმის ყველა დარგს შეეხო მისი რეფორმები და მათ შორის „იმერეთ-საქართველოს საექიმო მმართველობასაც“.

1846 წლის 28 ივნისს (მომართვა № 424[1]) ჩერნიშევს, შინაგან საქმეთა მინისტრს სწერს, რომ მან ჩაიბარა მხარის მმართველობის პასუხისმგებლობა და თავის მოვალეობად თვლის:

«Обратить особое внимание на медицинскую часть гражданского ведомства по разным причинам и по отдельности края, часть сия до сих пор еще не могла совершенно соответствовать своему общеполезному назначению».

მხარეში უკვე არის სხვადასხვა დარგები: სამოქალაქო-სამედიცინო უწყებათა, მედიკამენტებით მომარაგების თავისებურება, საკარანტინო სამსახურის ქსელი და სხვა, რომლებიც ერთ მთლიან ხელმძღვანელობას საჭიროებენ.

«Наконец природа повсюду наделала нас неисчерпаемым богатством целительных вод и других врачебных способов».

ყველა ეს სამოქალაქო სამედიცინო ხასიათის ცალკეული დარგები რომ ერთ ხელმძღვანელობაში იყოს, ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს: „Управления медицинской частью гражданского ведомства на Кавказе“ სამმართველოს უფროსს უშუალო კავშირი ექნება მეფისნაცვალთან, რომლის დახმარებით გაატარებს ღონისძიებებს მხარეში.

ვორონცოვი შიშობს, რომ ამ რეფორმისათვის საჭირო დამატებითი შტატისა და ხარჯების გაღების სიძნელით არ უარყონ მისი მოთხოვნა და მას თვითონ შეაქვს წინადადება, რომ სტავროპოლის მხარეში არსებული „სააფთიაქო ნაწილის საინსპექტორო“ გააუქმონ, რომელიც არაა საჭირო და ამ საინსპექტოროს შტატები მისცენ მას, ზემოხსენებული სამმართველოს ჩამოსაყალიბებლად.

ვორონცოვის აღნიშნულ მოთხოვნაზე იმავე 1846 წლის

---

[1] Акты, т. X, стр. 222.

18 დეკემბერს (მომართვა № 184) ჩერნიშევი ატყობინებს მას, რომ კავკასიის კომიტეტმა განიხილა მომართვა და დაადგინა:

1. სამედიცინო და ფარმაცევტული სამოქალაქო სამმართველოს გამგებლობა ამიერკავკასიაში და კავკასიის ოლქში დაეკალოს განსაკუთრებულ სამედიცინო ჩინოვნიკს სახელწოდებით:

«Управляющего медицинской частью гражданского ведомства на Кавказе». მასთან საქმის წარმოებისათვის დაარსდეს კანცელარია, კანცელარიის გამგის, თანაშემწისა და მწერლის შემადგენლობით.

2. სამედიცინო ნაწილის მმართველი ემორჩილება უშუალოდ მეფისნაცვალს. მისი შერჩევა და დანიშვნა ამ თანამდებობაზე უმაღლესი ხელისუფლების ნებაა. კანცელარიის ჩინოვნიკებს კი ნიშნავს და ათავისუფლებს მეფისნაცვალი მმართველის წარდგინებით.

3. კავკასიის სამედიცინო ნაწილის მმართველი ხელმძღვანელობს იმ საერთო ინსტრუქციით, რომელსაც მისცემს მეფისნაცვალი. მას უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტთან.

4. კავკასიის სამედიცინო ნაწილის მმართველს დაექვემდებაროს კავკასიაში არსებული სახაზინო აფთიაქები: კავკასიის, თბილისის, პიატიგორსკის და ნოვოროსიის. გაუქმდეს «Инспекторство аптекарской части на Кавказе и в Грузии». მისი თანხები მოხმარდეს კავკასიის სამედიცინო ნაწილის სამმართველოს შენახვას. ამ აფთიაქების რევიზიები და ანგარიშსწორებანი დაეკალოს ზემოხსენებულ სამმართველოს. ვორონცოვის გეგმა დამტკიცებულ იქნა და კავკასიაში სამედიცინო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ახალი ორგანო „კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო“. ქუთაისის გუბერნიის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის გამო, გამოეყო შესაბამისად სამედიცინო სამსახურიც. ამგვარად, ვორონცოვის მიერ გატარებული რეფორმისა და ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული სამედიცინო მომსახურების ახა-

ლი ქსელი საბოლოოდ 1848 წელს ასე გამოიყურება: „კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო“ (მმართველი ე. ს. ანდრეევსკი) თავისი აპარატით: კანცელარიის მმართველი და მოადგილე, 3—კონტროლიორ-ბუღალტერი), რომელიც ხელმძღვანელობს მთელი კავკასიისა და ამიერკავკასიის სამედიცინო საქმიანობას.

თ ბ ი ლ ი ს ი ს გ ე ბ ე რ ნ ი ა: „საექიმო მმართველობა“ თავისი ძველი შტატით (ინსპექტორი, ოპერატორი, მეანი, ვეტექიმი და აპარატი) ქალაქ თბილისის I, II და III ნაწილის ექიმები, თითო უფროსი ექიმის მოწაფეებით. თბილისის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი — ორი ექიმის მოწაფით, ბებიაქალები, თბილისის მაზრის ექიმი — ორი ექ. მოწაფით, გორის მაზრის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით, სიღნაღის მაზრის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით. თელავის მაზრის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით, ელიზავეტპოლის მაზრის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით. ჭარბელაქნის ოლქის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით, თბილისის გუბერნიის მთიანი ოლქის ექიმი — ორი ექ. მოწაფით და ერთი ბებიაქალით[1].

თბილისის გუბერნიაში. ქალაქის საავადმყოფოს გარდა, სტაციონარული მომსახურება იყო დაწესებული: კეთილშობილ ქალთა ა/კავკასიის ინსტიტუტში (გატარებულია 135 ავადმყოფი), თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (გატარებულია 126 ავადმყოფი), სასულიერო სემინარიაში (გატარებულია 248 ავადმყოფი), თბილისის ციხის საავადმყოფოში (გატარებულია 202 ავადმყოფი), სიღნაღის ლაზარეთულ განყოფილებაში (გატარებულია 188 ავადმყოფი), თელავის ლაზარეთულ განყოფილებაში (გატარებულია 188 ავადმყოფი). ამბულატორულად ამ საავადმყოფოებში 2194[2] ავადმყოფია მიღებული. მეტად საინტერესოა ცნობები დასახელებული საავადმყოფოების შესახებ, რადგან სანამ ამ მასალებს მივაკვლევდით სრულიად უცნობი იყო მათი არსებობა.

---

1 ЦГИАЛ СССР, ф. 1297, оп. 244 д. 427 лл. 47—50.
2 ЦГИАЛ СССР, ф. 1297, оп. 244, д. 427 л. 12.

ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა: გუბერნიის ექიმი (სტრუ-ვე) 1 ტექ. აპარატით, ქუთაისის მაზრის ექიმი — ორი მოწაფით და ერთი ბებიაქალით, შორაპნის მაზრის ექიმი — ორი მოწაფით, რაჭის მაზრის ექიმი — ორი მოწაფით, ოზურგეთის მაზრის ექიმი — ორი მოწაფით, ერთი ბებიაქალით, ახალქალაქის მაზრის, ექიმი — ერთი ექიმის მოწაფით — ერთი ბებიაქალით[1]. გარდა ამისა დამატებით შტატით გათვალისწინებულია (მაგრამ ქალაქის შემოსავლის ხარჯზე) — 2 ქალაქის ექიმი (1 — ქუთაისის და 1 რედუტ-კალე), 4 — ბებიაქალი და 3 მოწაფე.

«Больницы Городские, тюремные, дома умалишенных. таковых заведений до сего, времени по Кутаисской Губернии не имеется»

ხაზს უსვამს გუბერნიის ექიმი სტრუვე 1850 წლის წლიურ ანგარიშში.

მაგასადამე, „საქართველოს საექიმო მმართველობა“ კი არ გადაკეთებულა „კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოდ“, არამედ სრულიად ახალი ორგანო ჩამოყალიბდა მთელი კავკასიის ხელმძღვანელობისათვის. „საექიმო მმართველობა“ თავისი შტატით ხელუსლებელი დარჩა ტფილისის გუბერნიის საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის.

1853 წლისათვის „კავკასიის სამედიცინო სამმართველო“ 9 კაცს ითვალისწინებდა შტატით, ე. ს. ანდრეევსკის ხელმძღვანელობით.

თბილისის გუბერნიის საექიმო მმართველობის ინსპექტორად კანევსკის ნაცვლად პოპეიკოა, პოპეიკოს ადგილას მეანად არტ ტერგუკასოვი, უმისა რჩება ოპერატორად, ვეტექიმად ა. პ. სტარცოვს ცვლის ბ. ს. მორეტი. ამ დროისათვის თბილისი 3 საექიმო ნაწილად არის დაყოფილი: 1 ნაწილის ექიმია პ. ი. სობოლშჩიკოვი, მე-2 ნაწილისა — ზ. მ. ზუბალა-

---

[1] ЦГИАЛ СССР, ф. 1297, оп. 244 д. 426 лл. 16—16 об.

[2] I—საექიმო ნაწილი, ჩანს, მაშინდელი გარეუბანია, რადგან მისი ადგილსამყოფელი ერევნის მოედანზეა (სკუდიერის სახლი), II—საექიმო ნაწილი — ძველი სეითაბადის უბანი, მოთავსებული ყოფილა სომხის ბაზარში (გულაპოვის სახლში), III—ნაწილი — ავლაბრის (ისანი), უბანია, სამ-

შვილი, მე-3 ნაწილისა — მ. ი. ჩიგიანი[1]. ქალაქის საავადმყოფოს ექიმია ა. ი. იოანისიანი. თბილისის მაზრის ექიმია დ. ალექსი-მესხიშვილი, ბებიაქალები: მ. ი. სპიროვა და ეკ. ფ. პერვასი.

მაზრის ექიმები: გორში — ა. ო. მორიცი, ბებიაქალი — ე. ს. პეტროვა, სიღნაღში — დ. ქ. ლისიცევი, ბებიაქალი — ც. მ. კატკოვსკაია, თელავში — ჩიგიანის ნაცვლად — გ. ი. გორელეიჩენკო. თბილისში შემდეგი აფთიაქებია: 1—სახაზინო აფთიაქი (ივ. ფონ-ირტელი), 2. სარეცეპტურო აფთიაქი (Рецептурная аптека), 3. შმიდტის კერძო აფთიაქი. გარდა ამისა, თბილისში ორი ოპტიკური მაღაზიაა: გლაზერისა და კნიპმანისა. თბილისში ამ დროს 24 ექიმია, 2 — კბილის ექიმი და 3 — ბებიაქალი.

ქუთაისში გუბერნიის ექიმის ინსტიტუტია. გუბერნიის ექიმია ვ. ა. სტრუვე, 1853 წელს ქალაქისა და ვეტექიმის ადგილი ვაკანტურია. ამ დროისათვის უკვე გუბერნიაში შტატით მაზრის ექიმები გათვალისწინებულია: ქუთაისში (ა. ი. სოკოლოვი, ბებია — ზიგმუნდი), ახალციხეში (ი. შტეიმანი. ბებია — ნ. ვუჩინა), რაჭაში (ა. ი. იანისლავსკი, ბებია — ა. კ. გლავაცკაია), სოხუმ-კალეს ოლქში (ვ. მ. სვეჩნიკოვი, ბებია— ვაკანტური), ოზურგეთში (ი. სააკოვი, ბებია — ა. ვ. გურიჩი), შორაპანში (ექიმი ვაკანსია, ბებია — ნ. ალექსანდროვა), რედუტ-კალეში (ვაკანტური)[1]. ამგვარად, ქუთაისის გუბერნიაში შტატით 6 სამაზრო ექიმია და ამდენივე ბებიაქალი, მაგრამ ამათგან გარკვეული ნაწილი ხშირად ვაკანტურია. ასე მაგალითად, 1856 და 1857 წლისათვის ქუთაისის ქალაქის ექიმის, სოხუმ-კალეს ოლქის. ოზურგეთის მაზრის, შორაპნის მაზრი-

---

ყოველი მეტეხის აღმართთან (ონიკოვის სახლში). სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო მოთავსებულია ალექსანდრეს მოედანზე, თუმანოვის სახლში, „თბილისის საექიმო მმართველობა" კი — ერევნის მოედანზე, სუმბათოვის სახლში. ქალაქის საავადმყოფო — ეელიამინოვის ქუჩაზე. აფთიაქები: 1". სარეცეპტურო აფთიაქი — სომხის ბაზართან, აივაზოვის სახლში. 2. შმიდტის კერძო აფთიაქი — ხანის ქუჩაზე, ჯანველოის სახლში, 3. სახაზინო სათადარიგო აფთიაქი — გერმანელთა ახალშენებებს იქით, სახაზინო შენობაში. ოპტიკური მაღაზია: გლაზერისა — ერევნის მოედანზე, კნიპმანისა — აგრეთვე ერევნის მოედანზე.

[1] Кавказский календарь, 1853 г.

სა და რედუტ-კალეს ქალაქის ექიმთა ადგილები ვაკანტურია, რაც, ალბათ, დიდ გავლენას ახდენდა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე[1]. 1861 წლისათვის არსებითი ცვლილებები არ მომხდარა სამედიცინო მომსახურების სტრუქტურასა და შტატებში. მხოლოდ თბილისში 3 საექიმო ნაწილს დაემატა მე-4 ნაწილიც (ექიმი ლ. ჭ. ლისიცევი), ქალაქის საავადმყოფოში ერთი შტატგარეშე ექიმია დამატებით.

ლენინგრადის ისტორიულ არქივში მივაკვლიეთ უაღრესად საინტერესო მასალებს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების საექიმო მმართველობათა წლიურ ანგარიშებს, რომლებიც იმდროინდელი ეპიდემიების, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და საერთოდ სამედიცინო საქმიანობის მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევიან. აქ მოყვანილია პოპეიკოს „მოსაზრება“ 1845 წლის წლიური ანგარიშის გარშემო[2].

«Мнение акушеры Грузино-имеретинской врачебной Управы, надворного советника И. Попеико 31 мая 1846 г.».

ივ. პოპეიკო ამ სამმართველოს მეანი იყო. ის არ დათანხმებია 1845 წლის წლიური ანგარიშის მთელ რიგ ინტერპრეტაციებს და წლიურ ანგარიშზე ხელის მოწერის ნაცვლად საკუთარი ინტერპრეტაციები გამოაყოლა სამედიცინო დეპარტამენტში (პეტერბურგში). პოპეიკო მოითხოვს, რომ წლიური ანგარიში უნდა იყოს არა ტრაფარეტული, არაფრის მთქმელი, არამედ არსებით, სწორ მეცნიერულ ანალიზს უნდა იძლეოდეს და ზუსტად ასახავდეს არსებულ მდგომარეობას:

«Врачебная управа совершенно удалилась от цели, для которой выше медицинское начальство требует подобных сведений». კერძოდ, 1845 წელს გავრცელებულ ყვითელ ცხელებაზე (желчная горячка) ამბობს, „მისი ანგარიში უფრო ნათელი და საინტერესო იქნებოდა თუ იქ აღნიშნავდა:

«Каким характером в течение прошедшего года отличались у нас желчные горячки, как велико было их распространение, как значительна смертность, какое

---

[1] Кавказский календарь 1857 г. 1856 г.

[2] ЦГИАЛ СССР ф. 1297, 1846 г. оп. 244 Д. 162, лл. 23—32.

влияние способствовало или неспособствовало их развитию и какие именно средства и с каким успехом употреблялись при пользованию больных».

პოპეიკო კრიტიკულად უდგება აგრეთვე წლიური ანგარიშის ინტერპრეტაციებს მალარიის, ყვავილის, საყლაპავი მილის სიდამწვრის, ყვავილის აცრის მდგომარეობისა და მიმდინარეობათა შესახებ და გამოსთქვამს მოსაზრებებს კრიტიკულ ასპექტში, რაც იმდროინდელი ექიმის კლინიკური აზროვნების გასათვალისწინებელად ძალზე საინტერესოა.

ივ. პოპეიკო არ იზიარებს ანგარიშის შემდგენლის მოსაზრებას, თითქოს, დიდი სიკვდილიანობა ყვავილით იყოს გამოწვეული:

1. Предрасудки еще неискоренившиеся в низшем классе туземцов და 2. Грубое невежество скудность и совершенную наготу заболевавших, валяющихся по земле зимою, в холодных жилищах почти без всякого покрова и присмотра»[1].

ივ. პოპეიკო აღელვებულია ასეთი ინტერპრეტაციებით, ყვავილის გავრცელებასა და სიკვდილიანობის დიდ პროცენტს ის ხსნის ყვავილის ასაცრელი მასალის — ვაქცინის უვარგისობით, რომელიც ადგილობრივ მზადდებოდ[illegible] საძმართველოს ინსპექტორის დეპნერის მიერ ხელოვნურად დაავადებული ძროხებიდან და არა ხალხის უკულტურობით. ივ. პოპეიკო ამბობს, რომ:

«Забьевшее оспою были в совершенно нагом виде и волялись по земле как свидетельствует управа... можно видет только на островах южного моря, но не в Тифлисе, который относительно народной Цивилизации может сравнится с лучшими городами России».

ვფიქრობთ, ივ. პოპეიკოს მოსაზრებაში გარდა იმისა, რომ მოცემულია ყვავილის გავრცელებისა და დიდი სიკვდილობის სწორი ახსნა, „საკადრისი პასუხია გაცემული ბიუროკრატი „კოლონიზატორის“ ქედმაღლურ შეხედულებებზე „ტუზემცების“ მიმართ, რომელთაც არ სჯეროდათ ჩვენი ხალხის მართლაც „სახალხო ცივილიზაციისა“, ან არ სურდათ

---

[1] ЦГИАЛ СССР, ф. 1297, 1846 г. оп. 244. Д. 162. лл. 23—32.

დაენახათ ასეთი: მათ კოლონიზატორული იდეებისათვის უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ კავკასიელი ხალხი „სამხრეთის ზღვის კუნძულების“ პირველყოფილ განუვითარებელ ხალხად წარმოედგინათ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ითვლება ქვეყნად, საიდანაც გავრცელდა ევროპასა და ამერიკაში ყვავილის აცრის იდეა. აცრასა თუ სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ქართველი მოსახლეობა თვითონვე მოითხოვდა, მაგრამ როგორც ივ. პოპეიკო აღნიშნავს ყვავილის აცრისადმი უნდობლობა, ვაქცინის უვარგისობას გამოუწვევია, რადგან აცრილები მაინც მძიმედ დაავადებულან. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მოსახლეობა თავს აარიდებდა ამ უსარგებლო აცრებს. 1847 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ცალ-ცალკე ადგენდა წლიურ ანგარიშებს, რომ უფრო დეტალურად გავეცნოთ გარდამავალი პერიოდის უკანასკნელი წლების სამედიცინო საქმიანობის ნამდვილ სურათს საქართველოში, განვიხილოთ ცალკეული გუბერნიების მიხედვით, 1857 წელს სამედიცინო დეპარტამენტში წარდგენილი წლიური ანგარიშები. ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ერთ-ერთი (1857 წლის) წლიური ანგარიშის[1] სტრუქტურასა და შინაარსს.

თბილისის გუბერნიის საექიმო მმართველობის 1857 წ. წლიური ანგარიში:

I. საექიმო პოლიციური ნაწილი:

ა) სახალხო დაავადება საერთოდ, ენდემია და ეპიდემია ცალკე.

სამედიცინო-პოლიციური ღონისძიებები, გუბერნიის კლიმატოლოგიურ-ეპიდემიოლოგიური დახასიათება;

ბ) საექიმო დახმარების დაწესებულებები;

გ) დაავადებებისაგან თავდაცვითი დაწესებულებები;

დ) ცხოველთა დაავადებანი.

---

[1] ЦГИАЛ ф. 1297, 1857 г. оп. 244 д. 777 д. лл. — 21, 22—25, 90—93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101—122, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130. 131, 132, 133, 134, 135—37, 138, 140—149, 153—165.

II. სამოსამართლო სამედიცინო ნაწილი.

III. გუბერნიის საექიმო მმართველობის შემადგენლობა.

IV. საექიმო მმართველობის საქმის (საკანცელარიო — ᲗᲐ. Შ.) მოძრაობა.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი:

Лит. А. 1857 წ. ავადმყოფთა მოძრაობის უწყისი მთელს გუბერნიაში;

Лит. В. 1857 წ. ეპიდემიურ დაავადებათა (ხოლერა, ყვავილი, წითელა) მოძრაობის უწყისი თბილისის გუბერნიაში მაზრების მიხედვით;

Лит. С. ავადმყოფთა მოძრაობის უწყისი თბილისის გუბერნიის სამკურნალო დაწესებულებებში;

Лит. Д—1 თბილისის საქალაქო საავადმყოფოს წლიური ანგარიში დ ა ნ ა რ თ ე ბ ი თ:

1. საერთო უწყისი ავადმყოფთა რაოდენობის შესახებ;

2. ქირურგიულ ავადმყოფთა უწყისი;

3. ავადმყოფთა მოძრაობის უწყისი დაავადებათა მიხედვით;

4. თბილისის საქალაქო საავადმყოფოს 1857 წელს გატარებულ ძირითად დაავადებათა სპეციალური მიმოხილვა (25 გვერდზე), სადაც ცალ-ცალკე განხილულია:

ხოლერა, ყვავილი, ტიფი, სისხლიანი ფაღარათი, ნაწლავთა კატარი, ჭლექი, წყალმანკი, ცხელება, ანთება, პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთები, მეტეოროლოგიური დაკვირვებები და უმთავრესი დაავადებანი. სამეურნეო ნაწილი, აფთიაქი, სასწავლო მოწყობილობანი, ავადმყოფთა კვება, საავადმყოფოს შტატი, სტატისტიკური მასალები, ფინანსიური ანგარიში, კალკულაცია.

2. კეთილშობილთა გიმნაზიის საავადმყოფოს წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა მოძრაობის საერთო უწყისი.

2. ქირურგიულ შემთხვევათა მოძრაობის უწყისი.

3. სასულიერო სემინარიის საავადმყოფოს წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა მოძრაობის საერთო უწყისი;

2. ქირურგიულ შემთხვევათა მოძრაობის უწყისი.

4. კეთილშობილ ქალთა ა/კავკასიის ინსტიტუტის საავადმყოფოს წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა რაოდენობრივი მოძრაობის საერთო უწყისი;
2. ავადმყოფთა მოძრაობის უწყისი დაავადებათა მიხედვით.

5. თბილისის ციხის საავადმყოფოს წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა მოძრაობის საერთო უწყისი;
2. ქირურგიულ შემთხვევათა უწყისი;
3. სპეციალური მიმოხილვა (ძირითადი დაავადებები, სამეურნეო ნაწილი, აფთიაქი, ქირურგიული ინსტრუმენტები, კვება, საავადმყოფოს შემადგენლობა, ავადმყოფთა და საწოლდღეთა რაოდენობა),

6. სიღნაღის ლაზარეთის (Лазаретокое отделение) წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა რაოდენობრივი მოძრაობის საერთო უწყისი;
2. ავადმყოფთა მოძრაობის საერთო უწყისი დაავადებათა მიხედვით;
3. ქირურგიულ შემთხვევათა უწყისი;
4. ძირითად დაავადებათა სპეციალური მიმოხილვა (გვ. 8): ფილტვების ანთება, პლევრის ანთება, წითელი ქარი, ეპილეფსია, ანგინა, ხოლერა, ნაწლავების კატარი, სისხლიანი ფაღარათი, ეპიდემიური კატარი, რევმატიზმი, მალარია, ელენთის ავადმყოფობა (ჰიპერტროფია), დაბეჟილობა, ამოვარდნილობა; სამეურნეო ნაწილი: შენობა, აფთიაქი, კვება, მოწყობილობა, საავადმყოფოს შემადგენლობა (შტატი). სტატისტიკური მონაცემები გატარებულ ავადმყოფთა შესახებ.

7. თელავის ლაზარეთის წლიური ანგარიში:

1. ავადმყოფთა რაოდენობრივი მოძრაობის საერთო უწყისი;
2. ძირითად დაავადებათა სპეციალური მიმოხილვა; განხილულია: რევმატიზმი, მალარია, ფილტვების

ანთება; სამეურნეო ნაწილი: შენობა, მოწყობილობა, აფთიაქი.

3. ავადმყოფთა მოძრაობის უწყისი დაავადებათა მიხედვით:

Лит. Е — უეცარი სიკვდილის შემთხვევათა უწყისი;

Лит. Ж — ვეტერინარულ (ცხოველთა) დაავადებათა უწყისი.

დ ა ნ ა რ თ ი: თბილისის გუბერნიის საექიმო სამმართველოს პირადი შემადგენლობის (ექიმები, ბებიაქალები, ექიმის მოწაფეები და აპარატი), სია სოციალური წარმოშობის, ხელფასისა და სხვა მონაცემების ჩვენებით.

წლიური ანგარიშის მთელი ეს სქემა ნათელ სურათს იძლევა სამედიცინო მომსახურების საერთო მდგომარეობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების, დაავადებების, სამედიცინო და დამხმარე პერსონალის, აგრეთვე საექიმო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ.

ამ სქემით არის შედგენილი 1857 წ. ქუთაისის გუბერნიის წლიური ანგარიში. მხოლოდ აქ შედარებით ნაკლებია სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, მიღებულ ავადმყოფთა რაოდენობა, სხვადასხვა სახის დაავადებათა მოძრაობის მაჩვენებელი: დანართებიც ნაკლებად არის წარმოდგენილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საქმე ბევრად ჩამორჩებოდა თბილისისას[1]. როგორც თბილისის გუბერნიის წლიური ანგარიშების დანართებიდან ირკვევა, თბილისის გუბერნიაში წლის განმავლობაში სულ მიღებულია 9712 ავადმყოფი, აქედან გამოჯანმრთელდა — 8351, გარდაიცვალა 1396. ავადმყოფთა მთელი ეს რაოდენობა წარმოდგენილია 94 სახის სნეულებით, ე. ი. მოცემულია დაავადებათა 94 ნოზოლოგიური სახე.

---

[1] ЦГИАЛ СССР, ф. 1297, оп. 244, д. 777 лл. 222—231, лл. 232—235, л. 237, 238, 239—240.

საინტერესო სურათს იძლევა სამკურნალო დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ დანართი Лит. С, თბილისის საქალაქო საავადმყოფოს წლის განმავლობაში მიუღია 688 ავადმყოფი, აქედან გამოჯანსაღებულა — 505, გარდაცვლილა — 150, საწოლდღეთა რაოდენობა — 15168; თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საავადმყოფოს მიუღია — 172, გამოჯანმრთელებულა — 172, საწოლდღეები — 1106; თბილისის სასულიერო სემინარიის საავადმყოფოს მიუღია — 198, გამოჯანმრთელდა 193, გარდაცვლილა — 3, საწოლდღეთა რაოდენობა — 2418; ქალთა ინსტიტუტის საავადმყოფოში მიღებულია — 114, გამოჯანმრთელდა — 100; თბილისის ციხის საავადმყოფო — მიღებულ ავადმყოფთა რაოდენობა — 189, მოკვდა — 11, საწოლდღეთა რაოდენობა 4010. სიღნაღის ლაზარეთი — მიღებულია 171 ავადმყოფი, გამოჯანმრთელდა — 162, გარდაცვლილა — 9, საწოლდღეები — 1965; თელავის ლაზარეთი — მიღებულია 54, გამოჯანსაღდა — 54, საწოლდღეები 287, სულ სტაციონარული დახმარება მიუღია 1686 ავადმყოფს, გამოჯანმრთელდა 1455, გარდაიცვალა 173. უწარმოებიათ კერძო პრაქტიკის გზით მიღებულ ავადმყოფთა აღრიცხვაც. უწყისში შეტანილია წლის განმავლობაში კერძო პრაქტიკით მიღებულ ავადმყოფთა რაოდენობა — 8162, აქედან გამოჯანმრთელდა — 6896. გარდაცვლილა — 1223.

ეპიდემიებისაგან ქუთაისი და მისი გუბერნია დაცული იყო თბილისის გუბერნიასთან შედარებით თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და მეზობელი სახელმწიფოებისა და ოლქებისაგან იზოლაციის მეოხებით. მაგალითად, 1857 წლის ხოლერის ეპიდემია, რომელმაც თბილისის გუბერნიაში დიდი ეპიდემიის სახე მიიღო, ქუთაისში მხოლოდ სპორადული ხასიათი ჰქონდა და 15 შემთხვევით აღინიშნა. სხვა ინფექციური დაავადებებშიც (გარდა მალარიისა, რომელიც მთავარ ეპიდემიურ დაავადებად ითვლებოდა ამ მხარისათვის) 1857 წლისათვის ნაკლებია თბილისის გუბერნიასთან შედარებით.

იმ დროისათვის ქუთაისში არც ერთი სტაციონარული დაწესებულება არ არსებობს, მაგრამ დაავადებულთ სტაციონარული მკურნალობისათვის აწვენდნენ სამხედრო ჰოსპიტლებში, მაგრამ იქ მკურნალობის უფლება ყველას არ ჰქონია.

ქუთაისის გუბერნიის ექიმი სტრუვე წერს წლიურ ანგარიშში, რომ ჰოსპიტალში ათავსებდნენ «Заболевающие люди, имеющие право на попечение правительства».

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მისი დაბალი ფენა, მოკლებული ყოფილა ამ უფლებას. მიღებულ ავადმყოფთა რაოდენობაც ძალიან ცოტაა, მთელი წლის განმავლობაში 905 ავადმყოფი, აქედან გამოჯანმრთელდა — 844, გარდაცვლილა — 21. ეს, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ ქუთაისის გუბერნიაში შტატით გათვალისწინებულ ექიმთა ადგილები კვლავ ვაკანტურია. 1857 წლისათვის გუბერნიის სამედიცინო ნაწილში ირიცხებოდა: გუბერნიის ექიმი — 1, ვეტერინარული ექიმი — 1, მაზრის ექიმი — 3, ექიმის მოწაფეები — 10, ბებიაქალები — 4, ვაქცინატორები — 18[1], მაშინ, როდესაც ქუთაისის გუბერნია უკვე 5 მაზრად იყო დაყოფილი. არ არის არც ერთი აფთიაქი. მოსახლეობას ამ მხრივ მომსახურებას

ცხრილი 1

ასაკი	მთელ ქალაქში		
	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
გარდაცვლილნი 1 წლამდე	195	197	392
1 წლიდან 5 წლამდე	152	137	289
5 „ 10 „	21	15	36
10 „ 20 „	33	25	58
20 „ 30 „	62	33	105
30 „ 40 „	60	35	95
40 „ 50 „	38	23	61
50 „ 60 „	42	22	64
60 „ 70 „	18	17	35
70 „ 80 „	25	35	60
80 „ 90 „	8	17	25
90 „ 100	6	4	10
103 წლის	1	—	1
105 წლის	—	1	1
	661	571	1232[2]

[1] ЦГИАЛ СССР. ф. 1297, оп. 244 д. 777, л. 222—231, 232—235, 237—238, 239—240.

[2] Кавказский календарь — 1846 г. стр. 154.

უწევდა მხოლოდ ქუთაისისა და ახალციხის სამხედრო ჰოსპიტალთან არსებული აფთიაქები. მეტად საინტერესოა 40—50-იანი წლების სტატისტიკური მასალების განხილვა, რომელიც ქალაქ თბილისის სახალხო ჯანმრთელობის მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევა. ცნობები გამოქვეყნებული იყო ქალაქის ექიმის პ. სობოლშჩიკოვის მიერ. ერთ-ერთი ტაბულა იძლევა ქ. თბილისში 1844 წელს გარდაცვლილთა ასაკობრივი ანალიზის სურათს:

1846 წლისათვის ქ. თბილისში მცხოვრებთა რაოდენობა ნავარაუდევია 50.000. ამ ანგარიშით ყოველ 40 მცხოვრებზე ერთი გარდაცვლილია, თითქმის მთელი სიკვდილიანობის ერთი მესამედი ცხოვრების პირველ წლებზე (ჩვილ ბავშვთა ასაკზე) მოდის. ავტორი (პ. სობოლშჩიკოვი) ამას სრულიად ბუნებრივად თვლის, რომ ასეთი სურათია ყველა ქვეყანაში და ამ მდგომარეობამ „არ უნდა გაგვაკვირვოს“ «Это общий и не измененный закон природы» (გვ. 155). ქვემოთ, როცა ავტორი ცალკეულ დაავადებებს იხილავს, თითქმის ყველგან შენიშნავს, რომ ამა და ამ დაავადებამ განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა და სიკვდილიანობის დიდი პროცენტი გამოიწვია მოსახლეობის დაბალ ფენებშიო, მაგრამ საკითხის

ტაბულა 2

გარდაიცვალა:	პიდემიური ფებ.		ეპიდ. წითელ.		ტუბერკულ.		საბ. დის. პენ. det. ზუხოტკა.		ცხელებით და ანთებით.		სხვ. და სხვა ქრონიკული დაავადებ.		ფიცარ. გარდაცვ.		სხვა და სხვა უბედურ. შემთხვევებით დაღუპულნ.	
	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.	ბ.	დ.
წლის I ნახევარში	15	13	74	76	23	17	16	21	46	38	143	115	4	—	12	1
წლის II ნახევარში	69	74	5	4	18	20	30	41	67	31	130	119	4	1	5	—
ს უ ლ:	84	87	79	80	41	37	46	62	113	69	273	274	8	1	17	1
	171		159		78		108		182		507		9		18[1]	

[1] Кавказский календарь — 1846 г.

განზოგადებისას ვერ ხსნის ბავშვთა სიკვდილიანობის სოციალურ ბუნებას და ის ბუნების უცვლელ კანონად მიაჩნია. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით სოციალური უთანასწორობაც ბუნების უცვლელ კანონად მიაჩნდათ იმდროინდელ მეცნიერთა უმრავლესობას.

თბილისის მოსახლეობის (1846 წლის დაავადებათა მიხედვით) სიკვდილიანობის საკმაოდ მეტყველ სურათს იძლევა ავტორი შემდეგ ცხრილში (ცხრ. 2).

1852 წელს ექ. სობოლშჩიკოვი აჯამებს 6 წლის (1845—1850). სტატისტიკურ მასალებს და აქვეყნებს „Кавказский календарь"-ში[2].

ქვემოთ მოგვყავს ეს სტატისტიკური ცნობები, რომლებიც 6 წლის სიკვდილიანობის სურათს იძლევიან თვეების (ცხრ. 3), ასაკისა (ცხრ. 4) და დაავადებათა მიხედვით (ცხრილ. 5):

ექ. სობოლშჩიკოვი განიხილავს რა 1844 წლის სიკვდილიანობის შემთხვევებს, წითელას ეპიდემიის შესახებ აღნიშნავს, რომ «Все умершие в этом году от эпидемической коры были исключительно дети простого и бедного класса».

ასევე ეპიდემიური ფაღარათითა და ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის სიხშირის მიზეზს მოსახლეობის დაბალი ფენის სიდუხჭირეში ხედავს. თბილისს ის არ აკუთვნებს ისეთ ქალაქთა რიცხვს, რომლის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები ხელშემწყობი იყოს ტუბერკულოზის გავრცელებისათვის.

«Но без сомнения, независимо от климатических вредных влиянии она встречает в Тифлисе другие причины, способствующеися развитию, а особенно в простом классе народа, где число ежегодно похищаемых ею жертв, как я заметил, неисправненно бывает значительнее, нежели в высших слоях общества».

ავტორი გარკვევით ამჩნევს ტუბერკულოზის გავრცელების სოციალურ ბუნებას. მაგრამ თბილისში ტუბერკულოზით სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებლები მაინც არ ითვლებო-

---

2 Кавказский календарь — 1852 г., стр. 520—521.

ცხრილი 3

გარდაიცვალა	1845		1846		1847		1848		1849		1850		სულ 6 წლიწადში		
	Კ.	Დ.	Მ.	Დ.	Მ.	Დ.	Მ.	Დ.	Მ.	Დ.	Მ.	Დ.	Მ.	Დ.	სულ ორივე სქესი
იანვარი . .	65	34	100	79	55	47	94	71	69	65	73	66	456	362	818
თებერვალი .	48	25	69	48	72	56	45	53	75	42	57	48	366	272	638
მარტი .	60	51	73	53	64	68	70	46	67	62	65	55	399	335	734
აპრილი .	53	49	51	52	47	56	49	35	85	40	49	37	334	269	603
მაისი .	48	31	50	46	42	33	42	18	50	41	45	39	277	208	485
ივნისი .	27	20	52	43	415	232	59	45	49	33	40	40	642	413	1055
ივლისი .	66	49	78	81	131	130	107	83	80	31	63	35	522	409	931
აგვისტო . .	82	53	112	87	91	83	133	86	93	57	94	72	605	438	1045
სექტემბერი .	75	58	80	60	82	68	84	73	101	87	112	70	534	416	950
ოქტომბერი .	89	90	58	62	83	62	83	75	90	83	78	63	481	435	916
ნოემბერი .	107	84	43	43	76	58	79	63	89	84	75	33	469	365	834
დეკემბერი .	125	83	54	29	84	55	83	48	90	74	80	53	516	342	858
ს უ ლ	845	627	820	683	1242	948	925	696	938	699	831	611	5601	4264	9865

გარდაიცვალა	1845	1846	1847	1848	1849	1850	ს უ ლ
ცხელებით .	103	171	189	194	128	109	894
ანტებით .	114	119	146	192	156	120	847
ციებით .	21	29	47	89	64	197	447
ყვავილით . .	345	176	—	—	277	60	858
ნოლერით . .	—	—	702	—	—	—	702
ტუბერკულოზით .	121	85	79	91	73	75	524
დისპეპსიით .	103	131	188	191	132	128	873
ფაღარათით .	172	229	231	223	178	164	1197
წყალმანკით . .	63	81	48	69	77	62	400
ყივანახველით . . .	14	14	—	—	—	46	74
მოხუცებულობით .	57	69	72	68	74	79	419
სხვა და სხვ. დაავ.	359	399	488	504	478	402	2630
ს უ ლ .	1472	1503	2190	1621	1637	1442	9865

და ცუდად, სხვა ქალაქებთან შეფარდებით. თბილისში ყოველ 18 გარდაცვლილზე მოდის 1 ტუბერკულოზით გარდაცვლილი.

ოდესაში 14,5 გარდაცვლილზე —1
ბერლინში 9, 26-ზე — 1
ვენაში 6 —„— — 1
ლონდონში 5 —„— — 1

სიკვდილიანობის მნიშვნელოვან პროცენტს იძლევა საბავშვო დისტროფიები (Сухотка), მას არჩევენ როგორც დამოუკიდებელ, პირველად დაავადებას, აგრეთვე სხვა დაავადებათა შედეგად განვითარებული და ფიზიკური განუვითარებლობისა და მოუვლელობის შედეგს, ეს დაავადება ანადგურებდა ბავშვთა ასაკის თითქმის 1/3-ს 6 თვიდან 3 წლამდე, ექიმები უძლურნი იყვნენ და ურჩევდნენ მხოლოდ ბავშვების ქალაქგარეთ გაყვანას. ხშირი იყო აგრეთვე საყმაწვილო (Золотуха), წითელა, შედარებით იშვიათი — სკარლატინა.

მოზრდილთა დაავადებებიდან ყველაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხვადასხვა სახის ანთებებს (სასუნთქი ორგანოებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის ანთება), წითელი ქარის, ღვიძლისა და ელენთის ანთებას, რევმატიზმს. და-

ცხრილი 5

გარდაიც. ვალა	1845		1846		1847		1848		1849		1850		ს ულ		სულ ორივე სქესის
	მ.	დ.	მ.	დ.	მ.	დ.	მ.	დ.	მ.	დ.	მ.	დ.	მ.	დ.	
ცხოვრების 1 წელი . .	203	216	224	239	185	213	183	234	218	242	187	202	1200	1346	2546
1-წდან 5 წ-დე . .	133	144	162	156	220	220	175	163	137	168	193	124	919	977	1896
5—10 წ.	63	41	41	23	68	47	57	40	37	26	25	25	291	292	493
10—20 წ.	60	41	51	47	87	84	46	43	58	44	45	32	347	291	638
20—30 წ.	100	46	96	53	145	76	91	57	119	53	113	60	664	345	1009
30—40 წ.	75	36	66	34	212	90	102	35	100	26	91	39	644	260	904
40—50 წ.	55	20	46	19	114	62	77	29	79	51	83	26	454	187	641
50—60 წ.	39	20	33	23	67	52	50	25	54	30	59	22	302	172	474
60—70 წ.	51	15	40	29	55	41	60	27	64	32	58	27	328	171	499
70—80 წ.	36	28	32	27	53	37	54	24	37	30	47	30	259	176	435
80—90 წ.	24	15	26	22	25	19	23	9	26	11	21	15	145	91	236
90—100 წ.	6	4	30	6	9	5	6	4	7	5	6	8	37	32	69
100—110 წ.	2	1	—	3	2	2	1	3	2	—	3	1	10	10	20
110 წ. მეტი	—	—	—	2	—	—	—	1	1	1	—	—	1	4	5
	845	627	820	683	1242	948	925	696	938	699	831	611	5601	4264	9865

ავადებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, აგრეთვე ცხელებას, ფაღარათიანობას.

ძალარიით გარდაცვლილთა რიცხვი ყოველწლიურად აღირიცხებოდა. ავტორის აზრით, ის ადვილად იკურნება დიეტითა და ქინაქინით, მაგრამ სიკვდილიანობის საკმაოდ დიდი რიცხვია ცნობებში (447 — 6 წლის განმავლობაში) სხვა დაავადებებთან შედარებით. სხვადასხვა დაავადებებში (ტაბ. № 4—2630) გაერთიანებულია წყალში დამხვრჩალნი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ტრავმები, თერმული სიდამწვრეები, თვითმკვლელობა და სხვა უბედური შემთხვევები. საინტერესოა სიკვდილიანობის და შობადობის შეფარდება ქ. თბილისში. 1849 წლისათვის დაბადებულა მამრ. სქესის 2564 ბავშვი, დედრ. სქესის — 2376, სულ — 4940. გარდაიცვალა — 3591 (მამრ. 1973, დედრ. 1618). იმავე წელს დაქორწინების 1699 შემთხვევა იყო.

1853 წელს მთელს კავკასიასა და ა/კავკასიაში დაბადებულა:

მამაკაცი — 56875
დედაკაცი — 50707

სულ: 107,583

გარდაიცვალა: მამაკაცი — 37394
დედაკაცი — 30898

სულ: 58292

დაქორწინდა: — 28753 წყვილი

ამავე წელს ქალაქ თბილისში დაბადებულა:

მამაკაცი — 1012
დედაკაცი — 947

სულ: 1959

გარდაიცვალა მამაკაცი — 678
დედაკაცი — 659

სულ — 1337

დაქორწინებულა — 574 წყვილი[1].

გარდაცვლილთა შორის ქრონიკული დაავადებით — 701, მწვავე ქალური და საბავშვო დაავადებით — 536.

სიკვდილიანობა შობადობის სტატისტიკური მონაცემები თითქმის სტაბილურია წლების განმავლობაში, მაგალითად:

1856 წლისათვის — დაბადებულია სულ ორივე სქესის — 2078,
გარდაიცვალა — 1753,
შეუღლდა 514 წყვილი[2].

1860 წლისათვის თითქმის იგივე მაჩვენებლებია:
დაიბადა — 2129 (1111 მამაკაცი. 1018 დედაკაცი),
გარდაიცვალა — 1689 (948 მამაკაცი, 741 დედაკაცი),
დაქორწინდა — 556 წყვილი[3].

1860 წელს მთელ კავკასიაში[4] დაბადებულა:
60204 მამაკაცი,
55406 დედაკაცი

სულ: 115610
გარდაიცვალა 45523 მამაკაცი,
36429 დედაკაცი

სულ: 81952
შეუღლდა 30757 წყვილი.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაცია, ერთი მხრივ, ნათელ სურათს იძლევა მოსახლეობის დემოგრაფიის ზოგიერთ საკითხებზე და, მეორე მხრივ, ის მომავალ მკვლევარებსაც გამოადგებათ ცალკეული საინტერესო საკითხების გასარკვევად. ამიტომ არ მოვერიდეთ ტექსტის გადატვირთვას ციფრებითა და ტაბულებით.

---

1 Кавказский Календарь, 1854 г., стр. 538—539.
2 Кавказский Календарь, 1857 г., стр. 345.
3 Кавказский Календарь, 1861 г., стр. 319.
4 Кавказский Календарь, 1861 г., стр. 319.

* *

1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის პოსტზე ვორონცოვი ბარიატინსკიმ შეცვალა. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მანამდე არსებული ადმინისტრაციული მმართველობის მთელი რიგი ფორმები და ვორონცოვის რეფორმები. ბარიატინსკი კრიტიკულად მიუდგა ვორონცოვის მიერ 1847 წელს გატარებულ სამედიცინო სამსახურის რეორგანიზაციის საქმეს, მის მიერ დაწესებულ სტრუქტურას. მას ზედმეტად მიაჩნდა „სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო“, რომელიც აერთიანებდა საკუთრივ სამედიცინო ნაწილს (საექიმო მმართველობა, საგუბერნიო, სამაზრო და სამოქალაქო ექიმები, საშუალო სამედიცინო პერსონალთა ჩინები) და სამეურნეო ანუ სააფთიაქო ნაწილს, რადგან მისი აზრით, იგი აფთიაქებს ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს როგორც ფაქტიურად სხვისი საუწყებო, კერძოდ, სამხედრო სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს, დაქვემდებარებული დაწესებულება. გარდა ამისა, კავკასიის მეფისნაცვალის ადმინისტრაცია უშუალო ხელმძღვანელობას უწევს, საერთოდ არსებული წესების მიხედვით, ადგილობრივ (საგუბერნიო) ხელისუფლებას და „სამმართველო“ მხოლოდ ზედმეტი და უმოქმედო ინსტანციაა. ბარიატინსკის აზრით, კავკასიაში იგრძნობოდა აგრეთვე სამედიცინო საქმიანობის სხვადასხვაგვარობა ერთსა და იმავე მდგომარეობასა და უფლებებში მყოფი გუბერნიების სამედიცინო ხელმძღვანელობაში, მაგალითად: თბილისსა და სტავროპოლში, ზემოხსენებული „სამედიცინო ნაწილის სამმართველოს“ გარდა, არსებობდა „საექიმო მმართველობა“, გუბერნიის ექიმის ინსტიტუტთან ერთად, რაც ბარიატინსკის სრულიად ზედმეტად მიაჩნდა. კავკასიის სხვა გუბერნიებში კი „საექიმო მმართველობა“ არ არსებობდა, მის მოვალეობას უშუალოდ ასრულებდა გუბერნიის ექიმი. „ბარიატინსკი 1861 წელს კავკასიის კომიტეტისადმი წარდგენილ თავის პროექტში „О преобразовании управления медицинского частью гражданского ведомства на Кавказе“[1] მოითხოვს შემდეგს: 1. სააფთიაქო ნაწი-

---

[1] Акты, т. XII, кн. 2, стр. 1359.

ლის გამოყოფას და გადაცემას სხვა უწყების განკარგულებაში; 2. კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოს გაუქმებას; 3. თბილისისა და სტავროპოლის საექიმო მმართველობათა ლიკვიდაციას. ამასთან იგი აყენებს საქმოქალაქო სამედიცინო სამსახურის სტრუქტურის პროექტს:

1. მთავარი ზედამხედველობა სამედიცინო ნაწილის მიმართ ეკისრება უშუალოდ კავკასიის მეფისნაცვალს;

2. გუბერნიის საექიმო ნაწილი იქნება გუბერნიის ექიმის გამგებლობაში გუბერნიის უფროსის (გუბერნატორის) უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ;

3. მაზრებში, ოლქებსა და ქალაქებში საექიმო საქმიანობას განახორციელებდენ მაზრის, ოლქისა და ქალაქის ექიმები.

4. საექიმო-სამეცნიერო, საექიმო-სამოსამართლო და სპეციალურ საერთო სამედიცინო საკითხებს განაგებს კავკასიის სამედიცინო საბჭო, რომელიც სპეციალური დაწესებულება იქნება მხარის საერთო ხელმძღვანელობისათვის.

ბარიატინსკის პროექტის განხორციელებას შეაგვიანდა, მაგრამ 1867 წლისათვის ის მაინც გატარდა. ბარიატინსკის პროექტი საბოლოო ანგარიშში საზარალო იყო, რადგან არსებითად იგი არსებული სამედიცინო დაწესებულებათა შემცირებისაკენ იყო მიმართული საექიმო დაწესებულებათა სრული უკმარისობის სიტუაციაში. „საექიმო მმართველობა", რომელიც ასე თუ ისე გარკვეულ საქმიანობას ეწეოდა, ზედმეტად იქნა მიჩნეული. გაკვირვებას იწვევს ბარიატინსკის ტენდენციები სამედიცინო დაწესებულებათა შემცირებისაკენ და არსებული აფთიაქების რაოდენობის საკმარისად მიჩნევა, მაშინ როდესაც აშკარად იგრძნობოდა მათი უკმარისობა. მთელი საუკუნის განმავლობაში, ყოველწლიურ ანგარიშებსა და რაპორტებში, როგორც პროგრესულად განწყობილი, ისე რეაქციული ტენდენციების მატარებელი მოხელეები ერთხმად აღიარებენ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში საექიმო კადრებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უკმარისობას. მაგრამ, თურმე, ბარიატინსკი მტრულად ყოფილა განწყობილი საერთოდ მედიცინის მიმართ და მისი პირადი, სუბიექტური ემოციებიდან გამომდინარეობდა მის

მიერ გატარებული სამედიცინო საქმიანობის განვითარების შემაფერხებელი ღონისძიებები.

ა. ა. ზისერმანი თავის მონოგრაფიულ წიგნში ბარიატინსკზე წერს, რომ იგი სიძულვილით იყო განწყობილი მედიცინის ძიძართ.

«К докторам — писал Барятинский Царю — я питаю решительное отвращение. Я слишком много страдал от этих господ в первые годы моей молодости и, стало быть, имею основание боятся их больше чумы. В тот день, когда я увижу хотя одного из них у себя я буду уверен, что мой последний час пробил, так как они все не более, не менее, как потентованные убийцы, не подвергающиеся никакой ответственности»[1].

საკურორტო საქმის ჩანასახები

საქართველო ძველთაგანვე ცნობილია კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორების სამკურნალოდ გამოყენების მხრივ. კლიმატურად სასურველი ადგილების მინერალური წყლების (როგორც სასმელად, ისე აბაზანების სახით) გამოყენება ძალიან ხშირად გვხვდება უძველეს ქართულ წყაროებში. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ XIX საუკუნის პირველ ნახევარში „საკურორტო საქმის ჩანასახებზე", ვგულისხმობთ საკურორტო-ბალნეოლოგიურ ღონისძიებათა განახლებას, თანამედროვე ტიპის კურორტთა ჩამოყალიბებას. პირველი კურორტი საქართველოში, რომელმაც მიიქცია საყოველთაო ყურადღება და შემდგომში ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად იქცა მთელს რუსეთის იმპერიაში, ბორჯომი იყო. ბორჯომის მინერალური წყლებიც უძველესი დროიდან ყოფილა გამოყენებული ბალნეოლოგიური მიზნით. პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ აღმოჩენილ იქნა, საკოპტაჟო მუშაობის დროს, უძველესი აბაზანები, რომლებიც ჩვენი წელთ-

---

[1] А. А. Засерман, А. Н. Барятинский, стр. 375.
(ციტირებულია ნაშრომიდან: Проф. Г. З. Пицхалеури, В. В. Пиражков — «Кавказское медицинское общество и его передовые деятели»).

აღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება[1]. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ბორჯომის ხეობა გამუდმებული ბრძოლებისა და რბევის არენა იყო. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ის თითქმის გაუკაცრიელდა და ბორჯომის მინერალური წყლებიც მიავიწყდა ხალხს.

მხოლოდ 1825 წელს ბორჯომის ხეობას ესტუმრა ხერსონის გრენადერთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი პ. კ. პოპოვი, რომელმაც პირველმა რუსთა შორის (ოფიციალური ცნობებით) იმკურნალა მისი მინერალური წყლებით. მანვე, იმავე წელს, პირველად ამოაშენა ზედა წყარო (შემდეგში ეკატერინეს) ქვით და დააშენა ოროთახიანი ხის სახლი, რაც პირველი ნაგებობაა განახლებული ბორჯომის მინერალურ წყლებზე.

1825 წელს საქართველოს სამედიცინო-ტოპოგრაფიულ აღწერაში მოყვანილია საქართველოს საექიმო მმართველობის აზრი ბორჯომის მინერალურ წყლებზე, რაც პირველი ოფიციალური ცნობაა ამ წყლების შესახებ: „მინერალური წყლები საქართველოში მრავალ ადგილასაა, მაგრამ ყველა ამ წყლით სარგებლობა თანაბარი უშიშროებით როდი შეიძლება. ბორჯომის მჟავე გოგირდიან წყლებზე, რომელიც გორის მაზრის ბორჯომის ხეობაში მდებარეობს და ახალციხის საფაშოს ესაზღვრება, ისე ვერ წავა ავადმყოფი, თუ მას შეიარაღებული მცველები არა ჰყავს. თუმცა ყველა ვისაც შემთხვევა ჰქონია, ეს წყლები ენახა და ესარგებლნა, დიდი ქებით იხსენიებს მათ, როგორც ნამდვილ საშუალებას ბევრი ავადმყოფობის წინააღმდეგ“[2].

---

[1] მინერალური წყლების უძველესი დროიდან გამოყენების შესახებ იხ. მ. შენგელია, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“ საქმედგამი, 1956, გვ. 31—33.

[1] მასალები ბორჯომის ისტორიაზე უმთავრესად აღებულია საქართველოს ცენტრარქივის ფონდიდან (ფ. 1087, საქმე 1022), დოკუმენტების თითქმის მთლიანი ასლი ინახება ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში, ჩვენი თხოვნით კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ექ. ქ. ეღენტმა ხსენებული დოკუმენტების საფუძველზე შეასრულა ნარკვევი „კურორტ ბორჯომის ისტორიისათვის“.

1827 წელს ჩნდება პირველი ოფიციალური ცნობები საერთოდ საქართველოს მინერალური წყლების შესახებ. საქართველოს საექიმო მმართველობის მიმოწერებიდან ირკვევა, რომ მინერალური წყლები ბევრგან ყოფილა მიკვლეული, პროვიზორ ვილემსის მიერ შესწავლილი ქიმიური ანალიზის სახით. ამ წყლებს შორის უპირატესობა შემდეგში ბორჯომისათვის მიუციათ. იმხანად ბორჯომის ხეობა ერთგვარ ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა და მეტად საშიში იყო არამც თუ დასახლებისათვის, არამედ სამიმოსვლოდაც კი, რადგან ახალციხის საფაშო ოსმალეთის ხელში რჩებოდა და ეს ხეობაც ოსმალთა სათარეშოს წარმოადგენდა. მაგრამ მალე, 1829 წელს, ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რუსეთმა მიიღო ახალციხის საფაშო, რითაც მე-16 საუკუნიდან მოწყვეტილი სამცხე საბოლოოდ შეუერთდა საქართველოს. ბორჯომის ხეობაში კვლავ დაიწყეს ქართველებმა დასახლება. ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების დადგენაში საქართველოს საექიმო მმართველობა ღებულობს მონაწილეობას და 1835—1836 წლებში პროვიზორი ვილემსი აკეთებს ციხის ჯვრისა და ბორჯომის ზედა წყაროს (შემდეგში ეკატერინეს) წყლის პირველ ქიმიურ ანალიზებს.

1837 წელს ბორჯომის მინერალური წყლები გადადის ქართულ გრენადერთა პოლკის განკარგულებაში. ისინი იქ აშენებენ ოროთახიან ფიცრულ ბარაკებს. ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები უკვე საყოველთაოდ ცნობილი ხდება მთელს კავკასიაში. მაგრამ კეთილმოწყობის მხრივ ის მეტად სავალალო მდგომარეობაშია.

1841 წელს ბორჯომს ესტუმრა კავკასიის მთავარმართველი ე. ა. გოლოვინი, თავისი „უკურნებელი სენით“ დაავადებული ქალიშვილით. როგორც თანამედროვენი მოგვითხრობენ გოლოვინის ქალიშვილი განიკურნა ბორჯომის წყლებით. ამის შემდეგ გოლოვინი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ბორჯომს. მან განკარგულება გასცა, რომ მოეწყოთ წყლის აბაზანები სამხედრო პირთა მომსახურებისათვის. მომდევნო წელს მისი ბრძანებით მოეწყო „ეკატერინესა“ (გოლოვინის ქალიშვილის სახელია) და „ევგენის“ (თვით გოლო-

ვინის) სახელობის წყაროები, გაკეთდა აბაზანები. აშენდა ორი ხის სახლი, მოეწყო ბორანი მტკვარზე და სხვ. ამგვარად, დიდი მოხელის პირადი ინტერესები შეიქნა აუცილებელი, რომ ბორჯომის მინერალური წყლების კეთილმოწყობის საქმე ცოტათი მაინც წასულიყო წინ, მაგრამ გოლოვინის მთავარმართებლობის დასასრულისათვის ბორჯომი „თავისი კეთილმოწყობით ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა ავადმყოფთა მოთხოვნილებებს. 1846 წელს მთელი ბორჯომი შედგებოდა აქ დასახლებულ ჯარისკაცთა რამდენიმე სახლისა და სამხედრო რაზმის ყაზარმისაგან, რომელიც წყლებს თვალყურს ადევნებდა, აგრეთვე ერთი სამიკიტნოსა და ორი კერძო სახლისაგან. მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა და უხერხულობისა, ბორჯომის მინერალური წყაროების სახელი, მათი სამკურნალო თვისებების ქება სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა"[1]. 1846 წ. გაზ. „კავკაზში" (20/IX № 39) მოთავსებულია წერილი, რომლის ავტორი ბორჯომში ყოფილა იმხანებში. თავის შთაბეჭდილებებს იგი ასე გადმოგვცემს:

„...ბუნებისა და მისი სიკეთის მიმართ უმადური ადამიანები მეტწილად ყველგან აძაგებენ მინერალურ წყლებს, მაგრამ ბორჯომის წყლები დღემდე იმსახურებენ ავადმყოფთა საყოველთაო მადლობას და განცვიფრებას მათი სამკურნალო თვისებებით... დაცარიელებული ხეობა მალე ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა და ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან წყნარი და მხიარული დასვენების კერად გადაიქცევა"[1]. 1846 წელს პროვიზორმა კერსტენმა მეორედ გააკეთა წყლების ქიმიური ანალიზი.

ქართულ გრენადერთა პოლკი, რომლის მმართველობასა და განკარგულებაში იყო ბორჯომი, 1837 წლიდან გადაყვანილ იქნა თეთრ წყაროში. ბორჯომის წყლები კი დროებით, 1847 წელს, გადაეცა გზათა VIII ოლქის მმართველობას.

1846 წელს, ვორონცოვის მმთავარმართებლად დანიშვნის შემდეგ კავკასიაში, რიგი რეფორმები ჩატარდა. „იმერეთ-საქართველოს საექიმო მმართველობა „გადაკეთდა" სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოდ", რითაც,

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 1022.

[1] „კავკაზი", 1846, № 20/IX—№ 39.

თითქოს, რუსეთის საგუბერნიო საექიმო მმართველობისაგან განსხვავებული ორგანიზაცია შეიქმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ რეფორმის ერთ-ერთ მოტივად ვორონცოვი ასახელებდა. კავკასიაში „ბუნების მიერ უხვად შექმნილი საჰკურნალო წყლების ამოუწურავი სიმდიდრის“ გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის სხვა, ახალი ფორმების საჭიროებას. მართლაც, ვორონცოვის ახალმა „სამმართველომ“, ექიმ ე. ანდრეევსკის ხელმძღვანელობით, უფრო სერიოზულად მოჰკიდა ხელი ბორჯომის კეთილმოწყობას.

1849 წლის 30 ნოემბერს ბორჯომის წყლების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის საქმე სამხედრო უწყებიდან გადაეცა კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოს. იმავე წელს მოხდა ბორჯომის წყლის პირველი „ექსპორტი“. თბილისში პირველად ჩამოტანილი იქნა 1300 ბოთლი (ნახევარლიტრიანი ბოთლებით) ბორჯომის წყალი.

1850 წელს მთავრდება ხის შვიდთაღიანი ხიდის მშენებლობა მდ. მტკვარზე. 1950-51 წლებში იწყება „ვორონცოვისა“ და „მინერალური წყლების“ პარკების, აგრეთვე სასტუმროს მშენებლობა.

1851-52 წლებში თავ. ავალიშვილებს საბოლოოდ ჩამოართვეს უფლებები ბორჯომზე, რომელიც მე-17 საუკუნიდან ჰქონდათ მათ ნაბოძები თეიმურაზ მეორის სიგელით, ბორჯომი გადაეცა ხაზინას და თავად ავალიშვილებს ამის საფასოდ შთამომავლობითი პენსია დაუნიშნეს (5.000 მან. წლიურად). ბორჯომი თანდათან იზიდავს დამსვენებლებს და მკურნალობის მსურველებს, უკვე იმდენად კეთილმოწყობილი ხდება, რომ დასასვენებლად და სამკურნალოდ მაშინდელი საზოგადოების მეტად „ბრწყინვალე წარმომადგენლები“ მიდიან. 1850 წელს, ზაფხულში, ბორჯომის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ ჩამოსულთა რიცხვი 52 იყო. მათ შორის — ნინო გრიბოედოვა-ჭავჭავაძე, მისი და სოფიო მეუღლით, ბარონ ნიკოლაით და თავადი ირაკლი გრუზინსკი[1].

---

[1] ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღები დავასახელოთ ბორჯომის შემდგომი ისტორიიდანაც:

1853 წელს ვორონცოვმა უკრაინელ კაზაკთა 200 კომლი ჩამოასახლა

საექიმო დაკვირვებები ბორჯომის მინერალური წყლების მოქმედებაზე პირველ ხანებში შემთხვევით ხასიათს ატარებდა. 1827 წელს საექიმო მმართველობა გენერალ შტაბ-დოქტორს ცალკეული ექიმებისა და მოსახლეობის დაკითხვით მიღებულ ცნობებს აწვდიდა. პირველ საფუძვლიან დაკვირვებებს ბორჯომის მინერალური წყლების მოქმედებაზე გვაწვდის ქართულ გრენადერთა პოლკის ექიმი, შტაბლეკარი ს. ა. ამიროვი. მან „ჩანაწერებში ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ", მოგვცა მის დაკვირვებაში მყოფი ავადმყოფის მკურნალობის შედეგების სურათი. ამიროვის ცნობებით, 1843—1844 წლებში ბორჯომის მინერალური წყლებით ისარგებლა 502 ავადმყოფმა, მათ შორის სრულიად განიკურნა 272 ავადმყოფი, მდგომარეობა შეუმსუბუქდა 163 ავადმყოფს, უცვლელ მდგომარეობაში დარჩა 65 ავადმყოფი, გარდაიცვალა — 2.

1846 წელს გაზ. „კავკაზი" (№ 15) ვრცელ წერილს ათავსებს ბ ო რ ჯ ო მ ი ს წ ყ ლ ე ბ ი ს ქ ი მ ი უ რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს, წყლების ექსპლოატაციის.

———

ბორჯომის ხეობაში, ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიიდან, რაც ვორონცოვის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთი ამკარა გამოვლინება იყო. მაგრამ უკრაინელი კაზაკების ეს იძულებითი მიგრაცია საქართველოში მარცხით დამთავრდა, ჩამოსახლებულთა დიდმა უმრავლესობამ ვერ აიტანა მათთვის უჩვეულო ბორჯომის კლიმატური თუ ეკონომიური პირობები და ხელისუფლება იძულებული გახდა ნება დაერთოთ მათთვის დაეტოვებინათ კავკასია და, კერძოდ, ბორჯომი.

1854—56 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ბორჯომში მოწყობილი იყო სამხედრო ჰოსპიტალი.

1858 წ. ბორჯომისა და მისი მინერალური წყლების მართვა ბარიატინსკის ბრძანებით სახელმწიფო მამულების ექსპედიციისა და სამედიცინო ნაწილის სამმართველოს ნაცვლად „ბორჯომის სახაზინო მამულის მმართველობას" (მმართველი — ზინოვიევი) დაეკისრა.

1863 წელს—დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი თავის საზაფხულო რეზიდენციად აცხადებს ბორჯომს;

1864 წელს ფ. შმიდტი აკეთებს წყლების ქიმიურ ანალიზს;

1867 წელს გ. ვ. სტრუვე აკეთებს წყლების ქიმიურ ანალიზს;

1869 წელს 17 მაისს ჩამოყალიბდა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო, რომლის განკარგულებაში გადავიდა ბორჯომის

მისი ჩვენებებისა და ბორჯომის საერთო აღწერილობათა შესახებ. წერილში დაწვრილებით არის გადმოცემული მაშინდელ ექიმთა მოსაზრებები ბორჯომის მინერალურ წყლებზე. 1850 წელს ე. ანდრეევსკიმ ბორჯომში მიავლინა დოქტორი სობესტიანსკი, რომელმაც მთელი სეზონის განმავლობაში დაკვირვებები მოახდინა ამ წყლების მოქმედებაზე. სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის 1852 წლის წლიურ ანგარიშში წერენ, რომ „თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების უმნიშვნელოვანეს წყაროებს შორის, უეჭველია, უპირატესობა ბორჯომის წყლებს ეკუთვნის...

1852 წელს წყლით ისარგებლა 120 ავადმყოფმა. ის დიდად სასარგებლო აღმოჩნდა ისეთი დაავადებებისათვის, როგორიცაა: სკროფულოზი, ნაწლავების გაუვალობა, მადის დაკარგვა, თეთრად ბოლა, მენსტრუაციის მოშლა, ისტერიული ბნედა, რევმატიზმები, ხერხემლის „დასუსტება“, ნიკრისის ქარი, საშვილოსნოს გამაგრება, ნაწლავების ანთება, ბუასილი და ქრონიკული ანთება“[1].

ბორჯომის მოწყობამ და განსაკუთრებით მისი კლიმატისა და წყლების შესწავლამ უფრო სისტემატური და მეცნიერული ხასიათი მიიღო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 80-იან წლებში, მოწინავე ქართველი და რუსი ექიმებისათვის მეტად მიმზიდველი თემა იყო ბორჯომის მინერალური წყლების მოქმედების შესწავლა, ამ საკითხს მრა-

———

მინერალური წყლებიც. იმავე წლის 21 ივნისს მმართველად დაინიშნა მედხცხნის დოქტორი ა.ა. რემენტი.

1871 წ. ბორჯომში იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II და მომდევნო წელს, ალექსანდრე II-ს სენატისადმი მიმართული ბრძანებით, ბორჯომი და მისი მამული საკუთრებად გადაეცა დიდ მთავარს—მიხეილ რომანოვს.

1872 წლის 28 სექტემბერს გაუქმდა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების მმართველის თანამდებობა, მათი ფუნქციები,უშუალოდ, კვლავ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოს გადაეცა. ამგვარად ბორჯომის მინერალური წყლების გამგეობაც ამ უწყების განკარგულებაში გადავიდა.

[1] ცენტრარქივი, ფ. 1087, საქ. № 1022.

ვალი სადოქტორო დისერტაცია მიეძღვნა XIX საუკუნის დაძლევს.

როგორც სამედიცინო ნაწილის მიმართვებიდან ჩანს, XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში ბევრი მინერალური წყალი აუწერიათ და შეუსწავლიათ (აბასთუმნის, ციხისჯვრისა და სხვ.).

საქართველოს ბალნეოლოგიური რესურსების, მათი მდგომარეობისა და გამოყენების საკითხები კავკასიის სამედიცინო სამმართველოს ყოველწლიურ ანგარიშებში უკვე სავალდებულო მოხსენებისა და განხილვის საგანი ხდება. „იმერეთ-საქართველოს საექიმო მმართველობის“ 1844 წლის წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ:

«Минеральные воды существуют во многих местах губернии, именно: Тифлисские, Кобинские, Джамурские, Саваниковские, Тезерские, Хцихские, Холошкие, Атенские, Сигнахские, Шамшадильские, Торгайские, Цхальтубские, Петрисцихские (ныне Екатериновские), Хомокие, Цинубанские, Аббас-туманские, Цихисджварские и Уровельские. Лучшее устройства имеется при Тифлисских водах, заключающееся в 4-х частных, 1-ом казенном и 1-ом церковном больших зданиях. Ахалцихские воды хотя весьма мало устроены, однако сама местность представляет возможность пользоваться оным, Прочем же источники, находящиеся в отдельных и по большой части неприступных местах, не могут быть употребляемы с пользою. На опите Тифлисские ваны употребляются с большим успехом в накожных сыпах, в паралич и других нервических недугах, в застарелом ревматизме, вообще, в простудных болезнях в геморое, в задержании женского очищения и ртутном болезни.

Ахалцихские, вообще сообразно составным частям каждого источника употребляются с пользою в ломотах, в завалах брюшных внутренностей, в геморое, в параличе, в разных хронических страданиях глаз и ушей в задержании женского очищения, от меркурияльной болезни и в разных злокачественных язвах,лишаях и сыпях.

Не говоря об жителях пользовавшихся в течение года минеральными водами, без ведома медиков, а особенно в целительном действии оных, по назначению врачей пользовалось от разных болезней с желаемом успехом. Тифлисским 71 а Ахалцихским 63 больных»[1].

როგორც ირკვევა, ამ დროისათვის საკმაო რაოდენობის მინერალური წყაროები ყოფილა სამედიცინო სამმართველოს ყურადღებისა და აღრიცხვის ქვეშ. აღრიცხული მინერალური წყლების სიმრავლის გამო, უფრო გვიან, 1869 წელს ყალიბდება სპეციალური ორგანიზაცია „თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო“ მედიცინის დოქტორის, ა. ა. რემერტის ხელმძღვანელობით. მაგრამ ბორჯომს გარდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, არც ერთ მინერალურ წყალსა და ბალნეოლოგიურ კურორტს არ ღირსებია წესიერი ექსპლოატაცია. თვით ბორჯომის ისტორიაც აშკარა მაგალითია მეფის მთავრობის ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა საერთო-სახალხო სარგებლობის საქმისადმი. მთელი საუკუნის განმავლობაში იწერებოდა ბორჯომის მინერალური წყლების ღირსებებზე, მისი კეთილმოწყობის საჭიროებებზე, მაგრამ საქმე მხოლოდ მაშინ კეთდებოდა, როდესაც ის მთავარმართებლისა და მისი ოჯახის წევრებისათვის იყო საჭირო. ბორჯომის კეთილმოწყობის სამუშაოები უშუალოდ დაკავშირებულია, ბორჯომის, ვორონცოვის საზაფხულო რეზიდენციად, შემდეგში კი მიხეილ რომანოვის საკუთრებად (მამულად) გახდომასთან.

მაგრამ ასე თუ ისე, ამ „დიდ მოხელეთა“ პირადი ინტერესებისა, თუ იმ საერთო კეთილსასურველი გავლენის მეოხებით, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გამოიწვია, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ბორჯომი მაინც, როგორც იმდროინდელი ავტორები აღნიშნავენ, „მთელს რუსეთსა და ევროპაშიც კი ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად იქცა“[2].

კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს კლიმატურ-ბალ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1297, г. 1844, оп. 244 д — 31.

[2] Доброславский, об Абастуманских минеральных водах, ж. мин. вн. д. 1833, ч. 9, № 6, ст. 153.

ხეოლოგიური ფაქტორების მეცნიერულ შესწავლას, მართალია, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მას მაინც სიამოვნებით ჰკიდებდნენ ხელს მოწინავე, ამ საქმით დაინტერესებული, ექიმები. ბორჯომს გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებსაც სწავლობენ, ჯერ კიდევ 1833 წელს, დობროსლავსკიმ შეისწავლა აბასთუმნის თერმული გოგირდის წყაროები, ურაველის მჟავე რკინიანი და ახალციხის მარილიანი (Горко-соленные) წყლები, აღწერა მათი თვისებები და უჩვენა დაავადებანი, რომლებსაც ეს წყლები უხდებოდა[1]. 40-იანი წლებიდან უფრო სისტემატურ ხასიათს ღებულობს მინერალური წყლების გამოვლინება და შესწავლა.

გაზეთი „კავკაზი“ სისტემატურად ათავსებს სტატიებს ამ საკითხზე ადგილმდებარეობათა აღწერის, წყლების ქიმიური ანალიზისა და შემადგენლობის, ტემპერატურის, კლიმატური ფაქტორების, მკურნალობის მეთოდების, დაავადებათა ჩვენებებისა და წინააღმდეგჩვენებათა შესახებ. ვილემსს გამოუკვლევია რაჭის (უწერისა და გლოლის) წყლები[2]. ვ. პერევალენკოს სპეციალურად უმოგზაურია საქართველოს მინერალური წყლების შესასწავლად. იგი აღწერს: აბასთუმნის, ურაველის, უწერის, სამეგრელოს, ბორჯომის, წინუბნის, ახალციხის, რაჭის მინერალურ წყლებს და ათავსებს მეტად საინტერესო სტატიებს[3] პერიოდულ პრესაში, წყლების ექსპლოატაციის ისტორიის, ქიმიური შემადგენლობის, სამკურნალო თვისებების, ექსპლოატაციის მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აბასთუმნისა და ურაველის წყლების შესახებ პერევალენკოს ცალკე წიგნიც კი გამოუცია[3]. აბასთუმნისა და ურაველის წყლებზე ი. ვერზეინი ათავსებს რუსეთის ჟურნალში სტატიას[4]. ვერზეინის და ამიროვის მონაცემების საფუძველზე

---

[1] Кавказ, 1846, № 25.

[2] Кавказ. 1846, № 15. 1849, № 39—40, № 21 Закавказский вест. 1851, № 23 и 24: 1848; № 16419: 1849, № 40 и Кавказский календарь на 1849 г. Кавказ 1851 № 46, 47, и 56: Закавказ. вести 1851 № 25.

[3] Переваленко В. Абастуманская и Уривальская минеральная вода, Тифлис 1851, 12 (18, 4, 3, 146).

[4] Верзейн И. Описание Аббас-Туманских минеральных вод. Воен. мед. журн. 1851 ч. 57.

კავკასიის სამედიცინო სამმართველოს მმართველი, ექიმი ერ. ანდრეევსკი, 1852 წელს სცემს წიგნს, სადაც დეტალურად არის მოცემული ბორჯომის, ურაველისა და აბასთუმნის მინერალური წყლების, აგრეთვე ამ ადგილების კლიმატური ფაქტორების დახასიათება, სამკურნალო თვისებების ჩვენებებისა და წინააღმდეგ ჩვენებების აღწერით, კლიმატოლოგიისა და პალნეოლოგიის განვითარების მაშინდელი დონის შესაფერისად[1]. 50-იან წლებში თანდათან უფრო ძლიერდება ინტერესი და პერიოდულ პრესაშიც უფრო ხშირია სტატიები ამ საკითხზე[2].

გარკვეულ ინტერესს იჩენენ კლიმატური ფაქტორების შესასწავლად. სწავლობენ თბილისისა და თბილისის გუბერნიის, აგრეთვე, ქუთაისის გუბერნიის და სხვ. კლიმატს[3].

XIX საუკუნის I ნახევარში ბორჯომის გარდა, ექიმთა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაქალაქევის მინერალურმა წყლებმა. ნაქალაქევის მინერალური წყლებიც უძველესი დროიდან ყოფილა გამოყენებული საქართველოში. საინტერესოა, რომ პლატონ იოსელიანის აზრით, ნაქალაქევში, ამ ანტიკური ქალაქის ეას (არქეოპოლისის) უძველესი გალავნის ალაყაფის კარებისა და წყალსადენის გვერდით „მინერალური აბანოს“ ნაშთებიც ყოფილა.

«Древняя стены этого города, именовавшегося Гре-

---

[1] Андреевский Ераст. Абастуман, Боржом и Урвель главнейшая из Карталинских минеральных вод Тифлис. 1852. 8 С. З. и 74 (18. 4, 3. 285).

[2] См. Закавказск. вестн. 1851 № 13. რაჭის მინერალური წყლების შესახებ

Кавказ — 1853 № 6 2 и 64: ბორჯომის მინერალურ წყლებზე

Закавказ. вестн. 1853 № 15 — ბიღების მეთოდების შესახებ

იხილეთ აგრეთვე:

Ж. Мин. вн. д. 1854. 2. 5.

Воен. Мед. журн. 1857—269 № 11 отд. 7. с. 1—15.

Коневский — руководство к правильному употреблению минеральных вод вообще и кавказских в особенности. Тифлис, 1859, 8, с. 40 18. 3. 1. 133 და სხვ.

[3] Хаников Н. — Тифлисский климат, Кавказ, Кал. 1848 г. Циммерман А. — О климате Кутаисской губернии

Климат Тбилисской губернии, Закавк. вестник, 1849. № 26 и 27. Несколько замечаний о климате Заквказьия. Кавказ. 1953, № 70—73 და სხვ.

ками археополисом или древним городом, ворота между ними, водопроводы, остатки минеральной бани востановляемой теперь владителем Мингрелии К. Давидом Дадианом и др. руины изумительны»[1].

ამ წყლების უძველესი დროიდან გამოყენებაზე მედიცინის დოქტორი სილიბისტრო პლეშკოვსკიც მიუთითებს. მან პირველმა, რუს ექიმთა შორის, შეისწავლა და აღწერა ეს მინერალური წყლები. ის ამბობს:

«По дошедшим до нас преданиями, местные и соседние жители с давных времен испытывали целительную силу воды этого источника, одна эмпирическая доверенность к целебному действию его, обыкновенно предшествующая опытом врачей, могло привлекать больных искавший облегчения в своих страданиях»[2].

როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა. აღნიშნული წყლები შვებას აძლევდა ავადმყოფებს. პლ. იოსელიანი, ს. პლეშკოვსკი და ქუთაისის გუბერნიის პროკურორი ქოქრაშვილი, რომელსაც უმკურნალია აქ და თავისი შთაბეჭდილებები წერილობით გაუზიარებია ს. პლეშკოვსკისათვის (პლეშკოვსკი თავისი სტატიის ბოლოს ათავსებს ქოქრაშვილის წერილს). მიუთითებენ, რომ სამეგრელოს მფლობელს, დავით დადიანს დაუწყია წყლების მოწყობა. პლეშკოვსკი წერს. რომ 1851 წლის 8 ივლისს დავით ლევანის-ძე დადიანს დაუწყია მშენებლობა, გაუკეთებია მდ. ტეხურისაგან წყაროს გამომყოფი ქვის კედელი. განზრახული აქვს ააშენოს სააბაზანო სახლი-აბაზანებით და თავშესაფარი სახლი მომსვლელთათვის. წყაროს გარშემო ადგილი გაწმენდილია, გზა შეკეთებულია, მიღებულია ზომები მომსვლელთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფისათვის. ქორქაშვილი, რომელიც 19 წელიწადი იყო

[1] Пл. Иоселиани «Города существовавшее и существующее в Грузии, «Тифлис, 1850 г., стр. 57.

[2] С. Плешковский «Накалакевский теплый минеральный источник в Мингрелии», Закавказски; вестник, 1851 г., № 12—13—14.

ს. პლეშკოვსკის, ეს სტატია, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 160 ხელნაწერიდან ირკვევა.1851" ცალკე წიგნად გამოუცია, ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ. ეს ხელნაწერი წარმოადგენს ამ წიგნიდან გადაწერილ ტექსტს. პარალელური ქართული თარგმანით.

ავად «Застарелою ломатою в руках и ногах с мучительною при том безсонницею». აღფრთოვანებულია, რომ დ. დადიანი იქ სასწრაფოდ აკეთებს სამუშაოებს და იმედოვნებს. 1851 წლისათვის დამთავრდებაო. 1865 წელს ივ. პანტიუხოვი აღწერს დ. დადიანის მიერ გაკეთებულ აუზს:

«Он сделан из тесаного, известкового камня, имеет шесть с половиною аршин длины, два с четвертью ширины, и один с небольшим глубины»[1].

ნაქალაქევის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის ანალიზი გაუკეთებია ს. პლეშკოვსკის 1850 წელს.

«Кроме значительного количества в свободном состоянии углекислого газа, содержит в себе углекислый натр, сернокислый натр, малое каличество железной окиси и кремнезема... Принадлежит к разряду весьма деятельных естественных минеральных щелочных вод с избитком кислаго — углекислого натра и имеет явное сходство с боржомским источником и с минеральною Елизаветинскою водою в Пятигорске... температура воды 20°Р. при 20° воздушной теплоты».

ს. პლეშკოვსკი თვლის, რომ ნაქალაქევის მინერალური წყლები სამკურნალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დალევის, ისე აბაზანების სახით. ის აღწერს ამ წყლების მოქმედების მექანიზმს ორგანიზმზე და ადგენს ჩვენებებსა და უკუჩვენებებს. ჩვენებებში აღნიშნავს საჭმლის მომნელებელ ორგანოებისა და შარდსასქესო ორგანოების ქრონიკულ დაავადებებს — კენჭოვანს, ლიმფურს და სხვ. წინააღმდეგ ჩვენებებში ჩამოთვლის: სისხლსავსეობას, მწვავე სისხლდენას, ორსულობასა და მალარიას. ნაქალაქევის მინერალურ წყლებს შემდეგში სხვა ავტორებიც ეხებიან: გრუმი[2], ეიხვალდი[3], ტოროპოვი[4], პანტიუხოვი[5].

---

1 Ив. Пантюхов. «Накалакевский минеральный источник». Сборник труд. Кавк. мед. общ. № 3, 1867 г.

2 Грум, «минеральная вода России».

3 Военно-мед. журнал кн. 1 и 2, 1860 г.

4 Опыт медицинской Географии и пр., 1864 г.

5 «Абхазская и Мингрельская мин. воды» газ. «Кавказ», № 55 и 56, 1865 г.

მოგვიანებით, 1867 წელს, ნაქალაქევის მინერალური წყლების ანალიზს ექიმი პანტიუხოვი აკეთებს[1] და ცოტა ეჭვი შეაქვს ამ წყლების შეფასებაში, კერძოდ პლეშკოვსკის მოსაზრებები გადაჭარბებულად მიაჩნია მას. თუმცა პანტიუხოვის ანალიზი და მოსაზრებები უფრო იწვევენ ეჭვს, რადგან, როგორც მისი წერილიდან ირკვევა, ნაქალაქევის მინერალურ წყლებზე ყოფნისას, ამ წყალს მდინარის (ტეხურის) წყალთან შერეულად მიიჩნევს და ანალიზისათვის სწორედ ასეთ მინარევ წყალს იღებს, თანაც ანალიზი წყლის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ გაუკეთებია.

პლეშკოვსკი იმავე სტატიაში იძლევა რაჭის (შოვი, უწერა) რკინის მქავე წყლების აღწერილობას. დაწვრილებით აღწერს მათ გეომნეზიას, სამკურნალო მოქმედებას, ჩვენებებსა წინააღმდეგ ჩვენებებს, მიღების წესებს, დაბოლოს მინერალური წყლების გამოყენების საერთო დებულებებს.

ამგვარად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში საფუძველი ეყრება თანამედროვე ტიპის კურორტებისა და სამკურნალო-მინერალური წყლების შესწავლას, რომელიც შემდგომში უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. ვამბობთ შესწავლას, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი მართლაც შესწავლას არ გასცილებია, კურორტებისა და ბალნეოლოგიური აბაზანების მოწყობა, მათი ხალხის სარგებლობაში გადაცემა მეფის ბიუროკრატიული მთავრობის საზრუნავი საგანი არ გამხდარა.

საქართველო დღეს კურორტების ქვეყნად ითვლება და ამიტომ საკურორტო-ბალნეოლოგიური რესურსების გამოვლინებისა და შესწავლის ისტორია არაა ინტერესმოკლებული. ამიტომ შევეხეთ აქ ამ საქმიანობის დასაწყისის ისტორიას.

სააფთიაქო საქმე[2]

აფთიაქის გახსნას, რომელიც აუცილებელი კომპონენტია საერთოდ სამედიცინო დახმარების კომპლექსში და რომლის

---

1 И. Пантюхов, «Накалакевский Минеральный источник» сборник Кавк. мед. общ., № 3, 1867, отд. III, стр. 10.

2 სააფთიაქო საქმის ისტორიაზე, XIX საუკუნის საქართველოში, ნარ-

გარეშე თითქმის აზრიც არა აქვს საექიმო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, საკმაოდ შეაგვიანდა. საქართველოს საექიმო მმართველობის შექმნიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი აფთიაქის გახსნა თბილისში. 1805 წლის 10 თებერვალს მთავარმართებელი პ. ციციანოვი მიმართავს საქართველოს საექიმო მმართველობას[1], ჩანს, პასუხად მოთხოვნაზე, რომ ადგილი აფთიაქის გასაშენებლად გამოყოფილიყო, მაგრამ ახალი ადგილის გამოყოფას სამკურნალო მცენარეების ბაღის გასაშენებლად ციციანოვი არ თვლის მიზანშეწონილად, რადგან ის ასე ჩქარა არ იქნება გამოსაყენებელი. ამიტომ იძლევა რჩევას, რომ დედოფალი მარიას ბაღი (მდებარე წავკისის ჭიშკართან), რომელიც ახლახან გადაეცა ხაზინას, გამოყენებულ იქნეს სამკურნალო მცენარეების ბაღად, თან მიმართავს საექიმო მმართველობას, რომ მმართველობის რომელიმე წევრის მიერ შემოწმებულ იქნეს გამოსადეგია თუ არა ის სამკურნალო მცენარეების პლანტაციად. იმავე წლის 28 თებერვალს ასეთსავე შინაარსის მიმართვას უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს და დასძენს რომ «Казенной аптеки необходимо нужно». როგორც ამ მომართვიდან ირკვევა წამლებს რუსი ექიმები ადგილობრივი ექიმებისაგან იძენდნენ, რაც თანხების გადახარჯვას იწვევდა. იმავე წელს, 5 მაისს, შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა იმპერატორს, პ. ციციანოვის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, წარდგინება, რომ საქართველოში აუცილებელია აფთიაქისა და სამკურნალო მცენარეთა ბაღის გახსნა, რადგან

«Войска и гражданокие чиновники, службу там отправляющие, от влияние климата и перемены вод, и сверх того, первые от чистых военных действий в сем краю более, нежели где нибудь, имеют нужды в пособиях врачебных».

კვევი გამოაქვეყნა აკად. ი. ქუთათელაძემ (იხ. ჟურნ. „თანამედროვე ფარმაცია“ № 1, 1935). ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ XIX საუკ. I ნახევარს (პირველად წყაროებზე დაყრდნობით), საკითხის მთლიანობისათვის, როგორც სამედიცინო-სანიტარული საქმიანობის განუყოფელ დარგს.

[1] Акты, т. II, стр. 252.

საინტერესოა, რომ მინისტრი აფთიაქის გახსნის აუცილებლობას ასაბუთებს არა ქვეყნის მოსახლეობის საჭიროებისათვის, არამედ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა სარგებლობისათვის. იმავე დღეს იმპერატორი ალექსანდრე აწერს მინისტრის წარდგინებას „Быть по сему Александр". მაშასადამე, საქართველოში პირველი აფთიაქის ოფიციალური გახსნის თარიღია 1805 წლის 5 მაისი. იქვე დამტკიცებული იყო შემდეგი შტატი:

ცხრილი 6

	Число людей	Жалования серебром	
		одному	всем
1. Аптекарь	1	700	700
2. Помощников	3	300	900
3. Учеников	4	140	560
4. Писарь	1	100	100
5. Работников из инвалидов	10	45	450
Всего: . .	19		2710

ეწოდა მას „Грузинская полевая аптека". ინვალიდების დიდი რაოდენობა (10) გათვალისწინებული იყო, ალბათ, სამკურნალო მცენარეების ბაღში სამუშაოდ, მაგრამ სამკურნალო მცენარეების ბაღის გაშენების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა წლობით გაჭიანურდა. 1806 წ. 28 თებერვალის მიმართვით კოჩუბეი ატყობინებს ციციანოვს, რომ ბაღის გაშენება ინჟ. გენერალ ფელკერზომის დასკვნით ძალიან ძვირი ჯდება, რადგან საჭიროა იქ არსებული ხის ნაგებობის გადატანა და წყალსადენის გაყვანა სარწყავი წყლის მიწოდების მიზნით"[1]. საბოლოოდ მხოლოდ 1809 წ. 4 აგვისტოს გადაწ-

[1] Акты . т. II, стр. 254.

ყდა საკითხი. იმპერატორის წარდგენითა და სენატის დადგენილებით დედოფალ მარიას ბაღი გადაეცა თბილისის აფთიაქს[1], როგორც საექიმო მმართველობის ინსპექტორის რიზენკოს მომართვიდან ირკვევა (15/III—1809 წ.)[2]. დედოფალი მარიას ბაღი ხილის ბაღი ყოფილა. მისი გადაცემა აფთიაქისათვის „შემსრულებელი ექსპედიციის" მიერ მოხდა 1809 წლის 23 ივლისს. მაგრამ არა ჩანს, საბოლოოდ მოხდა თუ არა სამკურნალო მცენარეების ბაღის გაშენება. ვფიქრობთ არ გაშენებულა, რადგან 1836 წელს, გოლოვინის სტროგონოვისადმი მიმართულ წერილში (18/XII—1840, № 343)[3]. აღნიშნულია, რომ პროვიზორი შმიდტი, რომელსაც კერძო აფთიაქის გახსნის უფლება ეძლეოდა თბილისში, ერთ-ერთ პირობად კისრულობდა სამკურნალო მცენარეების ბაღის გაშენებას. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმოებდა მიწერ-მოწერა აფთიაქის შენობის აშენების საკითხზე. 1805 წლის 28/II-ს პ. ციციანოვმა წარადგინა აფთიაქის შენობის ხარჯთაღრიცხვა 10 ათასი მანეთის ოდენობით. 1809 წლის 26 ივლისს ამ საქმეზე კავკასიის ახალი მთავარმართებელი გენერალი ტორმასოვი წერს კურაკინს, რომ აფთიაქის შენობის აშენება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ამას პ. ციციანოვის ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს. იმჟამად სამშენებლო მასალებზე ფასები მომატებულა და ტორმასოვი თხოულობს 19.197 მანეთს, ე. ი. 9197 მანეთის დამატებას[4]. ტორმასოვი მიმართავს აგრეთვე თხოვნით, რომ შენობა, რომელიც აფთიაქისათვის შენდება, მისცენ კავკასიის მმართველს, ვინაიდან ის მეტად უვარგისსა და ვიწრო შენობაში, დედოფალ მარიას ყოფილ სახლში, ცხოვრობს.

საბოლოოდ, დამატებითი თანხა გამოყოფილ იქნა. მეორე თხოვნაზე კი ტორმასოვს უარი ეთქვა და გადაწყდა ახალ შენობაში აფთიაქი და საექიმო მმართველობა მოთავსებულიყო.

---

1 იქვე, გვ. 105.

2 ფ. 16, საქმე 565.

3 იქვე.

4 იქვე.



მაგრამ საბოლოოდ გაურკვეველი დარჩა, აშენდა თუ არა ეს შენობა, ან ვინ დაიკავა ის. აი, რას წერენ კავკასიის არქეოლოგიური კომისიის წევრები:

«По делам департамента не видно кончен-ли пос-

трійкою означенной дом, кем он занят и где помещается врачебная управа и аптека»[1].

1813 წლის 31/III-ს საექიმო მმართველობა წერს[2], რომ საქართველოს საველე აფთიაქს ბინა არა აქვს. ის იმყოფება ქალაქიდან შორს, სოლომონ ნაზარბეკოვის სახლში, რომლის საფასურად იხდიან 15 მანეთს, მედიკამენტები და სხვა სააფთიაქო მოწყობილობანი, კერძო სახლებში ინახება, ცუდი პირობების გამო წამლები და ხელსაწყოები ფუჭდება. ციციანოვის ბრძანებით აფთიაქის სპეციალური შენობა უნდა აშენებულიყო, მაგრამ დღემდე არ აშენებულა. საექიმო მმართველობა წინადადებას იძლევა აფთიაქისათვის შეისყიდონ გენერალ-მაიორის, თავად კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლი, რომელიც კარგ ადგილას მდებარეობს და შენობაც კარგია, აფთიაქს მთლიანად დაიტევს. ამით აფთიაქი გადარჩება ზარალს და ყოველთვიურად 15 მანეთის გადახდას. ეს შენობა საექიმო მმართველობას ეკავა ქირით, ბოლოს იგი ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან უყიდიათ აფთიაქისათვის 12.000 მანეთად (ვერცხლით, თეთრი ფულით). ამგვარად აფთიაქი თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისეულ სახლში მოთავსდა. არსებული აფთიაქი სრულებით ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას. ის მხოლოდ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის იყო გახსნილი. წამლები, სააფთიაქო ხელსაწყოები, წამლის შუშაც კი მოსკოვიდან იგზავნებოდა. ყველაფერი ეს დიდ სიძნელეებს ქმნიდა აფთიაქის ნორმალური მუშაობისათვის. 1815 წლიდან შემოუღიათ თიხის მოჭიქული ჭურჭლის ხმარება (შ. ს. ს. სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალური ნებართვის შემდეგ)[3], რომელიც ადგილობრივი წარმოებისა ყოფილა. იმ ხანებშივე გენერალ-მაიორი თავადი ერისთავი აპირებდა მინის ქარხნის გახსნას, რისთვისაც სპეციალურად გამოწვეული ჰყოლია ოსტატები. მინის განვითარება აუცილებელი იყო, როგორც აფთიაქების საჭიროებისათვის, ისე ღვინის საექსპორტო წარმოებისათვის. გადმოცემით თავად ერის-

---

[1] იქვე, გვ. 344.

[2] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1515.

[3] ცენტრარქივი, ფონდი 504, საქმე 23.

თავებს ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ჰქონიათ მინის წარმოება სოფ. გვარებში, 1821 წელს თავადი ელიზბარ ერისთავი აწყობს ქსნის ხეობაში მინის ქარხანას, მაგრამ მან მხოლოდ 1832 წლამდე იარსება. 1828 წელს რუსეთიდან ჩამოიყვანეს ვინმე ნ. ლევაშევი, მინის წარმოების მოსაწყობად, რომელმაც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისთან და თავად ალ. აბაშიძესთან ერთად მოაწყო მინის ქარხანა ახალციხის მაზრაში (აწყურში). ამ ქარხანამ იარსება 1840 წლამდე, მისი გამოშვებული პროდუქცია ძალიან ცუდი და ძვირი იყო. 1843 წელს თავადმა ელ. ერისთავმა კვლავ მოაწყო მინის ქარხანა. ქარხანამ პირველი წლიდანვე სააფთიაქო ჭურჭლის დამზადება დაიწყო. 1844 წლიდან ამ ქარხანამ დეპარტამენტიდან მიიღო ნებართვა, რომ თბილისის აფთიაქები მოემარაგებინა მინის ჭურჭლით. შემდეგ წლებში ის სტავროპოლის სახაზინო აფთიაქსაც ამარაგებდა. 1853 წლისათვის აქ ისე გადიდდა მინის წარმოება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად (ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებით), რომ ელ. ერისთავის ქარხანა მთელი კავკასიის აფთიაქებს ამარაგებდა მინის ჭურჭლით. 1850 წელს ელ. ერისთავის წარმოების მინა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ვერცხლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ქარხანა 1855 წელს ცეცხლმა იმსხვერპლა, მაგრამ 1856 წელს ელ. ერისთავმა კვლავ აღადგინა. ქარხანა წელიწადში 6—7 თვეს ბოთლებს, დოქებსა და ქილებს ამზადებდა (60—70 ათას ცალს), დანარჩენ 5—6 თვეს კი სააფთიაქო ჭურჭელს. ამგვარად, ყოველწლიურად 14—16 ათასი მანეთის ღირებულების 6—7 ათას ფუთ სააფთიაქო მინის ჭურჭელს იძლეოდა. 1872 წელს ელ. ერისთავი გარდაიცვალა და ქარხანამაც შეწყვიტა თავისი არსებობა[1].

დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული აგრეთვე სამკურნალო მცენარეებით მომარაგების საქმე. გვიანდელი დოკუმენტებით (1831) მტკიცდება, რომ სამკურნალო მცენარეების ნაწილს სახაზინო აფთიაქი ღებულობდა რუსეთიდან,

---

1 П. В. Гугушвили, «Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тбилиси, 1957, стр. 275—283.

უმთავრესად კი მას ამარაგებდა ერთი გლეხი, ვინმე ტერტერაშვილი, რომელიც თბილისიდან 20 კმ დაშორებით აგროვებდა სამკურნალო მცენარეებს, ბალახებსა და მათ ფესვებს. სამოქალაქო პირებისათვის წამლების გაცემის რეჟიმს მტკიცედ იცავდნენ, რომ მათზე უფასოდ არ დახარჯულიყო მედიკამენტები. 1824 წლის 2 თებერვალს სპეციალური ცირკულარით[1] სამედიცინო დეპარტამენტი სასტიკ კონტროლს აწესებს, რათა სამხედრო ჰოსპიტლებში მყოფ სამოქალაქო ავადმყოფთათვის არ გაეცათ წამლები ჰოსპიტალთან და პოლკებთან არსებული აფთიაქებიდან. ფასის გადახდითაც კი აკრძალული იყო მათზე წამლების გაცემა.

1829 წლამდე მთელ კავკასიაში მხოლოდ ზემოხსენებული 1 სახაზინო აფთიაქი არსებობდა, 1829 წელს კი შენბერს მთავრობის ნებართვით გაუხსნია კერძო აფთიაქი[2] იმ პრივილეგიით, რომ 15 წლის განმავლობაში მთავრობას არავისთვის არ უნდა მიეცა ნება ახალი აფთიაქის გახსნისა. 1 კერძო აფთიაქის გახსნას მაინც ერთგვარი გაუმჯობესების შეტანა შეეძლო ამ საქმეში. არც ერთ სამაზრო ცენტრში არ იყო აფთიაქი და იქ განწესებული ექიმების მუშაობას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა სამკურნალწამლო პრეპარატების მიუწვდომლობის გამო.

1830 წ. 28 აპრილს პასკევიჩი წერს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ აფთიაქების გახსნა: «Необходимо в здешнем крае, где многие погибают от недостатки медицинских пособий»[3]. და უგზავნის პროექტს, საქართველოს საექიმო მმართველობის მიერ შედგენილს, აფთიაქების გახსნის საჭიროების შესახებ. მათი მოთხოვნით საჭიროა საქართველოს ყველა ქალაქში გაიხსნას თითო აფთიაქის განყოფილება. პასკევიჩი აფთიაქებს ჰყოფს ორ ჯგუფად: I Аптека I-го отделения ძემდეგი შტატითა და ხარჯთაღრიცხვით: უფროსი გეზელი — 1 (400 მან. ხელფასით), აფთიაქის მოწაფე — 1 (400 მან.), მოსამსახურე — 2 (60×2=120 მან.); ხარჯები:

---

1 ცენტრარქივი. ფონდი 16, საქმე 3120.

2 ამჟამად № 28 აფთიაქი (კიროვის ქ. № 6), რომელსაც 1959 წელს არსებობის 130 წელი შეუსრულდა („თბილისი", № 66 (6668) 4/6—1959).

3 Акты — т. VIII, стр. 224.

შეშა — 100 მან., ძმარი, თაფლი, სპირტი, ზეთი, სანთელი, კვერცხი, შაქარი, ფქვილი და სხვა — 140 მან. სულ ხარჯთაღრიცხვა — 960 მანეთი;

2. Аптека II-го отделения შემდეგი შტატით: აფთიაქის გეზელი — 1 (350 მან.) და ერთი მოსამსახურე (60 მან.), ხარჯებისათვის — 120 მან., სულ 590 მან. — წლიურად. მოთხოვნა იყო I განყოფილების აფთიაქები გახსნილიყო დერბენტში, ნუხაში, შუშაში, ქუთაისში, ბაქოში, კუბაში და სხვ. II განყოფილების აფთიაქები — ელიზავეტპოლში, თელავში, სიღნაღში, გორში და დუშეთში, სულ თხოულობდნენ 13 აფთიაქის გახსნას. პასკევიჩს ამ მიმართვის საპასუხოდ 1831 წლის 25 მარტს[1] წერენ, რომ დამატებითი აფთიაქების შესახებ მსჯელობა ჰქონდა სამედიცინო დეპარტამენტსა და სამედიცინო საბჭოს და გადაწყდა, სახაზინო აფთიაქების გახსნა დამატებით შეუძლებელია, რადგან ისინი თავიანთი შემოსავლითა და მოგებით ვერ იარსებებდნენ და ხაზინას დააწვება მათი შენახვაო.

«Продажа лекарств по рецептам и казенных аптек обращалась боле в убыток в пользу Казны» (იქვე), ამგვარად. საქართველოში აფთიაქების გახსნის საკითხი საბოლოოდ უარყვეს იმ მოტივით, რომ ისინი მოგებას ვერ მისცემდნენ ხაზინას. სამხედრო ჰოსპიტლის და პოლკის პატარა აფთიაქებს ნება დართეს ფულის გადახდით წამლები მიეცათ სამოქალაქო მოხელეებისა და მოსახლეობისათვის. შენბერმა 1829 წელს გახსნილი თავისი აფთიაქი 1836 წელს შმიდტს მიჰყიდა ადრინდელი პირობებით, ამ პირობით შმიდტს „მონოპოლიის" ვადა 1844 წელს უთავდებოდა. მან მოითხოვა, რომ ეს ვადა გაეგრძელებინათ კიდევ 10 წლით, ე. ი. 1854 წლამდე, სამაგიეროდ ის კისრულობდა ახალი შენობის აშენებას აფთიაქისათვის და სამკურნალო მცენარეების ბაღის გაშენებას. კავკასიის მაშინდელი მთავარმართებელი გოლოვინი[2] თანხმდება 10 წლით ვადის გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში, თუ შმიდტი ერთ აფთიაქს გახსნის კიდევ შემახში, სადაც ძლიერი საჭიროებაა მას-

---

[1] Акты, т. VII , стр. 231.
[2] Акты, т. VII , стр. 69.

ზე. ეტყობა შმიდტი ამაზედაც დათანხმებულა, რადგან გოლოვინი 1840 წლის 18 დეკემბერს სტროგონოვს აცნობს შმიდტთან შეთანხმების პირობებს და თხოულობს შმიდტთან ასეთი ხელშეკრულების ნებართვას. გოლოვინის ამ მიმართვაზე სტროგონოვი პასუხობს, რომ სამედიცინო დეპარტამენტი თანახმაა შემახში აფთიაქის გახსნაზე. მაგრამ შმიდტის „მონოპოლიის" 10 წლით გაგრძელების წინააღმდეგია. მხოლოდ გოლოვინის განმეორებით მიმართვის (17/III-1841 წ. № 207) შემდეგ სამედიცინო დეპარტამენტი თანხმდება ვადის მხოლოდ 7 წლით, ე. ი. 1851 წლამდე, გაგრძელებას (6/V-1841 წ. № 258[1]), აფთიაქების მუშაობის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ მათი შტატების რაოდენობასა და მდგომარეობას; სახაზინო აფთიაქი ჩამოყალიბებისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ითვალისწინებდა უშუალოდ აფთიაქის 9 შტატს და 10 მოსამსახურე პერსონალს. 1831 წლის შტატით ითვლება: 3 — პროვიზორი, 1 — გეზელი, 4 — მოწაფე და 14 — მომუშავე[2]; 1838 წელს კი — 1—აფთიაქარი, 2—პროვიზორი, 2—გეზელი, 4—მოწაფე, 5 მომუშავე[3]. აფთიაქს პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ვილემსი, შემდეგში კარლ კირილის ძე სიუნნბერგი. შენბერის კერძო აფთიაქში 1831 წელს შტატით იყო: 1—პროვიზორი (ფლორ ეგორის ძე შენბერი), 1—გეზელი, 3—მოწაფე, 3—მომუშავე[4].

1838 წელს კი — 1—აფთიაქარი (შენბერის ნაცვლად კარლ ეგორის ძე შმიდტი), 1—პროვიზორი, 1—გეზელი, 6—მოწაფე, 5—მომუშავე[5].

აფთიაქები ეპიდემიების დროს კარანტინებსა და მაზრის ექიმებს ამარაგებდა ე. წ. „გამწმენდელი ნივთიერებებით"

---

[1] Акты. т. VIII , стр. 72.

[2] ცენტრარქივი, ფ. 504, საქმე 46.

[3] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5710.

[4] ცენტრარქივი, ფ. 504, საქმე 46.

[5] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5710.

(Очистительные материалы). ეს ნივთიერებები მათ ეძლეოდათ უფასოდ, წლის ბოლოს კი საექიმო მმართველობა უნაღდებდა აფთიაქს ამ მასალების ღირებულებას, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებათა დონისა და მასშტაბის ერთგვარი განსაზღვრისათვის საინტერესოა მოვიყვანოთ დახარჯული „გამწმენდელი ნივთიერებების“ რაოდენობა. 1830 წლის 1 იანვრიდან 1831 წლის 1 იანვრამდე სულ დახარჯულია:

შაბიამნის მჟავა	—	—	5550
მანგანუმის მარილი	—	—	2065
საჭმელი მარილი	—	—	10918
ქლორკირი	—	—	118
გოგირდი	—	—	260
გვარჯილა	—	—	106

აღნიშნულ ნივთიერებათა ღირებულება შეადგენს 6430 მან. და 79 კაპ. (ასიგნაციით).

აფთიაქის პირველ ქართველ მუშაკად ითვლებოდა აზნაური ქაიხოსრო ბლორძველი (ბლორძველიშვილი), რომელიც თბილისის სახელმწიფო აფთიაქის პირველი კლასის უფროს მოწაფედ მუშაობდა ოცდაათიან წლებში.

თბილისის აფთიაქისაგან ანგარიშებს იბარებდა სტავროპოლში არსებული «Инспекторство аптекарской части на Кавказе и Грузии», რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდა მას. აღნიშნული საინსპექტორო, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვორონცოვის მიერ ლიკვიდირებულ იქნა და მისი შტატითა და ხარჯთაღრიცხვით საქართველოს საექიმო მმართველობის რეორგანიზაცია მოხდა. აფთიაქების ინსპექცია კი დაეკისრა ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სამოქალაქო მმართველობის სამედიცინო ნაწილს.

არც 1844 წლისათვის შეცვლილა აფთიაქების რაოდენობა. ამ წლის წლიურ ანგარიშში[1] „საქართველო-იმერეთის — გუბერნიაში“ მხოლოდ თბილისში უჩვენებენ 1—სახაზინო-სათადარიგო აფთიაქს, სახაზინო-სარეცეპტო აფთიაქს და შიდ-

---

[1] ЦГИАЛ СССР ф. 1297 г. 1844 оп. 244 д. 31.

ტის კერძო აფთიაქს. 1843 წლისათვის „სახაზინო-სარეცეპტო აფთიაქს“, როგორც მას უწოდებდნენ, 10868 რეცეპტი მიუღია, შმიდტის კერძო აფთიაქს კი — 24988. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ შმიდტის აფთიაქის კეთილმოწყობას და კარგ მუშაობას.

«аптека Шмидта без всякого сомнения может стать наровне с лучшими заведениями сего рода империи, как по своему наружному устройству, так изобилием доброкачественных и свежих материалов, равномерно все отрасли сего завеедния, как-то: рецептурная, лаборатория со всею польностью новейших апаратов, и ведения книг, вполне заслуживает одобрения, везде заметна заботливость в высшей степени порядка и соблюдение в точности предписанных правил»[1].

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად გამოყოფის შემდეგაც, 1850 წლისათვის, ქუთაისის გუბერნიაში არ იყო არც ერთი სამოქალაქო უწყების სახაზინო აფთიაქი. მოსახლეობისათვის გამოწერილი რეცეპტებით წამლების გაცემა ხდებოდა ქუთაისის, ახალციხის და ოზურგეთის სამხედრო ჰოსპიტლების აფთიაქებიდან. ქ. ქუთაისში საგუბერნიო ექიმის განკარგულებაში ყოფილა კერძო პატარა აფთიაქი. ჰოსპიტლის აფთიაქების მედიკამენტური კატალოგით:

«Маленькая вольная аптека, содержаемая преимущественно медикаменты, на положенные по каталогу для военных госпиталей, находится в ведении Губернского врача»[2].

იმდროისათვის (1850 წელი) ქ. თბილისში კვლავ 2 აფთიაქი იყო: ერთი შმიდტისა და მეორე სახაზინო-სარეცეპტურო, ამის გარდა, არსებობდა კიდევ სათადარიგო (Запасная аптека) აფთიაქი-მაღაზია, რომელიც ამარაგებდა ა/კავკასიის სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებს.

---

[1] ЦГИАЛ СССР, ф. 1297 г. 1844 оп. — 244. д. 31.

[2] იქვე.

1850 წელს სახაზინო-სარეცეპტურო აფთიაქს 14998 რეცეპტით გაუცია მედიკამენტები. აფთიაქის საქმიანობას კვლავ აღტაცებული ქებით იხსენიებენ:

«Вольная аптека... Шмидта как прежде, так и ныне находится в блестительном положении — во всем отличный порядок, снобжена всеми нужными материалами и приписами на четыре года, — препараты приготовляются с тщательной аккуратностью, а некоторые новые выписанны из заграницы»[1].

1850 წელს შმიდტის აფთიაქს 27510 რეცეპტით გაუცია წამლები, რაც თითქმის ორჯერ მეტია სახაზინო-სარეცეპტურო აფთიაქის მიერ მიღებულ რეცეპტებთან შედარებით. დღიურად, საშუალოდ 90 რეცეპტის მიღება ამ აფთიაქის საკმაოდ დატვირთულობაზე მიუთითებს. 1857 წლისათვის[2] თბილისში უკვე ოთხი აფთიაქია: შმიდტის, სახაზინო-სარეცეპტურო, სათადარიგო აფთიაქი-მაღაზია და მეოთხე, პროვიზორ ეიზრიხის ახლადგახსნილი კერძო აფთიაქი. სახაზინო-სარეცეპტურო აფთიაქს 1857 წლისათვის 4412 რეცეპტი მიუღია. შმიდტის აფთიაქზე კვლავ არ უშვებენ შემთხვევას, რომ წლიურ ანგარიშებში ქება-დიდებით არ მოიხსენიონ, მას თითქოს შეუძლია „Занять место в ряду лучших столичных аптеках", მოთავსებულია „Роскошном помещении". ის მომარაგებული ყოფილა ახალი მასალებისა და წამლების დიდი მარაგით: ყველა უახლესი მედიკამენტებით, რომელსაც ნაწილობრივ საზღვარგარეთიდანაც ღებულობდა უშუალოდ, ნაწილი კი მისსავე ლაბორატორიაში მზადდებოდა «Весьма замечательной новыми и превосходными химическими снарядами».

„შმიდტის აფთიაქში ყოველთვის ყოფილა მდიდარი ასორტიმენტი ქირურგიული ინსტრუმენტებისა, დესმურგიული და სხვა საექიმო პრაქტიკისათვის საჭირო მოწყობილობებისა". შმიდტის აფთიაქს 1857 წ. 17.989 რეცეპტი მიუღია.

პროვიზორ ეიზრიხის ახლადგახსნილი აფთიაქი საკმაოდ მომარაგებული და მოწყობილი ჩანს, 1857 წ. 8903 რეცეპტი მიუღია.

---

1 ЦГИАЛ ф. 1297, оп. 244, д. 427.

2 ЦГИАЛ, ф. 1297 оп. 244. д. 777.

თბილისის საქალაქო საავადმყოფოს საკუთარი აფთიაქი არ ჰქონდა. ის მედიკამენტებს ღებულობდა ზემოხსენებული აფთიაქებიდან. 1857 წელს 6310 დანიშნულებით გამოუტანიათ წამლები აფთიაქებიდან. თბილისის ციხის საავადმყოფოსთან არსებობდა პატარა აფთიაქი, რომელიც მთელი წლის მარაგს თბილისის აფთიაქებიდან ღებულობდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ აფთიაქს ლაბორატორია არ ჰქონია და წამლები კეთდებოდა სამმართველოში. აფთიაქი ყოფილა აგრეთვე სიღნაღის ლაზარეთთან, რომელიც მედიკამენტების მთელი წლის მარაგს თბილისის სათადარიგო აფთიაქებიდან ღებულობდა, მაზრის ექიმისა და თბილისის საექიმო მმართველობის მოთხოვნით. ამ აფთიაქს მედიკამენტების მოსახლეობაზე გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. მას არც ლაბორატორია გააჩნდა. 1857 წელს 1827 რეცეპტით გაუციათ წამლები. ასეთივე აფთიაქი ყოფილა თელავის ლაზარეთთანაც, რომელსაც უშუალო მეთვალყურეობას უწევდა მაზრის ექიმი, როგორც თელავის ლაზარეთის 1857 წლის წლიური ანგარიშიდან ირკვევა ეს აფთიაქები, გარდა იმისა, რომ თბილისის სათადარიგო აფთიაქებიდან მარაგდებოდნენ, ადგილობრივაც აწარმოებდნენ სამკურნალო მცენარეთა ფესვების, ფოთლების შეგროვებასა და დამზადებას.

თბილისის გუბერნიაში სხვაგან არსად არაა აფთიაქები, გარდა სამხედრო ნაწილებთან და ჰოსპიტლებთან არსებული აფთიაქებისა, რომელთაც ნება ეძლეოდათ, როგორც ზემოთ ვთქვით, მიეყიდათ მოსახლეობისათვის წამლები რეცეპტით[1].

1857 წელს კი ქუთაისში კვლავ არ არის არც სახაზინო, არც კერძო აფთიაქი, წამლების გაცემა ხდება ქუთაისისა და ახალციხის სამხედრო ჰოსპიტლების აფთიაქებიდან[2].

როგორც ბარიატინსკის 1861 წლის პროექტიდან[3] ირკვევა, კავკასიის სამედიცინო ნაწილის სამმართველოს ხელმძღვანელობა კავკასიაში არსებულ აფთიაქებზე ფორმალური ყოფილა, რადგან მათი ფაქტიური მფლობელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო სამხედრო-სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, რომლის საუწყებოთაც ითვლებოდა საერთოდ აფთი-

---

1 ЦГИАЛ ф. 1297, оп. 244, д. 777.

2 ЦГИАЛ СССР, ф. 1297 оп. 244, д. 777, лл. 222—231.

3 Акты, т. 12, кн. II, стр. 1359.

აქები. ახალი პროექტით ბარიატინსკი მოითხოვს სააფთიაქო სისტემის გამოყოფას სამედიცინო სამმართველოსაგან, რაც (როგორც საერთოდ ბარიატინსკის პროექტი) მხოლოდ 1867 წელს განხორციელდა.

აღსანიშნავია, ბარიატინსკის ტენდენციები საერთოდ ხარჯების შემცირებისაკენ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ის თავისი პროექტით თბილისისა და სტავროპოლის საექიმო მმართველობათა ლიკვიდაციას მოითხოვდა, ასევე ზედმეტად მიიჩნევდა აფთიაქების გახსნას. „მართალია აფთიაქები ყველგან არ არის, მოსახლეობა მაინც არ განიცდის დიდ სივიწროვეს, რადგანაც ყველა ჯარის ნაწილებთან და ჰოსპიტლებთან არის აფთიაქები. საიდანაც ფასით შეუძლიათ შეიძინონ წამლები"[2] — წერდა იგი. ზედმეტია იმის მტკიცება, თითქოს დასავლეთი საქართველო, ქუთაისის გუბერნიის სახით, არ საჭიროებდა თუნდაც ერთი აფთიაქის გახსნას, მაგრამ ბარიატინსკი მეფის ხელისუფლების მიერ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის გაღებულ ყოვლად უმნიშვნელო გროშების შემცირებასაც კი მოითხოვდა. ბარიატინსკის ხარჯების მინიმალური გაწევით, ალბათ, სურდა უმაღლესი ხელისუფლების კმაყოფილება დაემსახურებინა.

ეპიდემიები და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებანი

ეპიდემიები

ეპიდემიები ძალიან ხშირი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. შავი ჭირის და ქოლერის მუდმივი კერა იყო საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე სახელმწიფოები: ოსმალეთი და სპარსეთი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის ხანაში არ იყო არც ერთი კარანტინი, რადგან თურქეთსა და სპარსეთში ეპიდემიის გავრცელებისას ისეთ მკაცრ ზომებს აწესებდნენ სრული იზოლაციის გზით, რომ ქვეყანა დაცული იყო ეპიდემიის გავრცელებისაგან.

---

[2] Акты, т. XII, кн. 2. стр. 1324.

1800 წელს 22 აგვისტოს გენერ. ლაზარევი უგზავნის გიორგი მეფეს წერილს[1]: „როგორც გავიგე ახალციხეში გავრცელებულია „Погубное моровое псветрие“, რომელიც ზომების მიუღებლობის შემთხვევაში შეიძლება შემოიჭრას თქვენი აღმატებულების სამფლობელოში, საჭიროა საზღვარზე დავაწესოთ საგანგებო ზომები და ქალაქში ჩამოვაყალიბოთ კარანტინი რუსეთში არსებული კარანტინების მსგავსად, სადაც გატარდებიან წერილების მომტანნი და სავაჭროდ მოსულნი და უსაქმოდ მომსვლელებს კი საერთოდ ავუკრძალოთ საზღვარზე გადმოსვლა. ნება მომეცით თუ მოისურვებთ მოგართვათ ჩემი გეგმა აპრობაციისათვის“[2].

მეფე გიორგიმ, სრულიად დაიმედებულმა, ასეთი შინაარსის პასუხი გაუგზავნა: „გებრძანათ ახალციხეში ჟამი არისო და გაფრთხილდით, რომ საფიქრებელი არისო; ასეთი ყადაღა გვაქვს, რომ ახალციხიდან და იმისის გარემოს სოფლებიდან ხალხი ვერავინ მოვა ჩვენს ქვეყანაში და ვერც საზღვარს შიგნით გაივლის და არც შემოუშვებენ ჩვენის საზღვრის მთავარნი“[3].

გიორგი მეფის მიერ მიღებული ზომები „სრული იზოლაცია დაავადებული კერიდან“ იმდენად რადიკალური და შედეგიანი იყო, რომ პლატონ იოსელიანი მას ახასიათებს როგორც მეტად მარჯვე და მოსწრებულ ქმედებას გიორგისას, რომელმაც რუს მოხელეებში თავიდან დაცინვა გამოიწვია. აი, რას მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი ამის შესახებ:

„1800 წელსა გაჩნდა ჭირი ქალაქსა: შემოიტანეს ესე ახალციხის მხრითა, რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკისთან სთხოვეს მეფეთა მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან წერილითა უწყებულმან წერილითვე აცნობა: ყარანთინსა უნდა ყარაულებით და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერცვინ შემოვიდეს მუნით აქეთ ჩემსა სამეფოშიო. ამისათვის კმარა ეს ზომაო: მე მივსწერე ახალციხისა ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ მავალთა თუ შემოვა ვინმე ჩემს სამძღვრებში არავის მივიღებთო, სავაჭ-

---

[1] Акты т. I, стр. 140.

[2] Акты т. I, стр. 149.

[3] პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „ცხოვრება გიორგი XIII-ისა“, თბილისი, 1936.

როსა წავართმევთ და თვით მასცა თოფსა ჰკვრენო. გაიცინეს შეფთა ესრეთსა პასუხზედა; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ჯარსა ბრძანება თავისი და ნამდვილ აღარავინ შემოვიდა და ექვსსა თვეზედ ჭირიცა გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა გაიმართა. იტყვიან მომსწრენი დღეთა ამით მწარეთა: მართლად ერთმანცა კაცმან ვერ გაბედა შემოსვლა სოფლებშიცო: მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსრულდა მტკიცედ, რომელ არავინ უნახავთ არავის მისრული სამძღვრებისა სოფლებში კაცი ოსმალთა ადგილეიიდან[1].

ჩანს მტკიცედ ყოფილა დაკანონებული მეტად მკაცრი ზომები „თოფის კვრაც" კი, შედეგად მიზანსაც აღწევდნენ „ნამდვილ აღარავინ შემოვიდაო". პლ. იოსელიანის ამ თხზულებიდანვე ირკვევა, რომ სასტერილიზაციოდ, „გასაწმენდად" და „ჩირქიდამ გასაშორებლად" იმ დროს ხმარობდნენ ძმარს და „ადუღებულ ნაცრიან წყალს".

ამ ეპიდემიასთან დაკავშირებით ვერაზე, ლურჯი მონასტრის გვერდით, სნეულთათვის აუშენებიათ წნელის 4 დიდი სახლი „გარედამ და შიგნიდამ ლესულნი გაჯითა". სნეულთა მოვლა-პატრონობა დავალებული ჰქონდა ქალაქის მელიქს — დარჩია ბებუთოვს. მაშასადამე, გიორგი XII-ის დროსაც საკმაო ორგანიზებულობა ყოფილა ეპიდემიებთან ბრძოლის საქმეში.

ეპიდემიებიდან ყველაზე ხშირი და ძლიერი იყო შავი ჭირის, ქოლერის და ნაწილობრივ ყვავილის, აგრეთვე ზოგი ისეთი დაავადება, რომელთა დიფერენცირება მაშინ ალბათ არ შეიძლებოდა (მაგ., ტულარემია და სხვ.).

შავი ჭირი

შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა 1803 წლიდან 1807 წლამდე, მეორედ — 1811 წლიდან 1812 წლამდე, მესამედ — 1838 წლიდან თითქმის 1843 წლამდე, ხოლერის ეპიდემია კი— 1828—1830 წლებში და 1848 წელს. შავი ჭირის ეპიდემია პირველად 1802 წლის 20 დეკემბერს ჯავახეთში იქნა შემჩნეული. ამ თარიღით გენერალი ლაზარევი ატყობინებს პ. ციციანოვს[2],

---

[1] პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „ცხოვრება გიორგი XIII-ისა", თბილისი, 1936.
[2] Акты, т. II, стр. 256.

რომ ჯავახეთში გამოჩნდა შავი ჭირის ეპიდემიის ნიშნები. ამის გამო 1803 წლის 15 იანვარს პ. ციციანოვი კოჩუბეის[1] წერს, რომ შავი ჭირი ნამდვილად გავრცელებულა საქართველოში. გარდაცვლილა მხოლოდ 13 კაცი, მაგრამ მოახლოვებულია გაზაფხული და შეიძლება გამრავლდეს შავი ჭირის შემთხვევები. საქართველოს საექიმო მმართველობა არაა დაკომპლექტებული ექიმებით, არის ვაკანტური ადგილები, ისინი კი, რომლებიც მუშაობენ „Остаются почти безполезным за не имением медикаментов". ციციანოვი თხოულობს გამოგზავნონ ექიმები ვაკანტური ადგილების შესავსებად. მალე პეტერბურგიდან უმაღლესი რესკრიპტით ატყობინებენ პ. ციციანოვს, რომ ყოველგვარ საჭირო ზომებს მიიღებენ ეპიდემიის შესაწყვეტად, მაგრამ რაიმე კონკრეტულ დახმარებაზე, კერძოდ ექიმების გავზავნაზე, რასაც ციციანოვი თხოულობდა, არაფერს წერენ.

გაზაფხულზე ეპიდემია მართლაც გაძლიერდა, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც პანიკა იყო ხალხში გავრცელებული. პანიკა გამოწვეული იყო 5 წლის წინათ გავრცელებული შავი ჭირის გამანადგურებელი ეპიდემიით. დაშინებული ხალხი გარბის ქალაქიდან — წერდა პ. ციციანოვი 1803 წლის 13 ივლისს[2]. პანიკის შესამცირებლად ციციანოვმა აკრძალა ქალაქიდან გასვლა. ისეთი ძლიერი პანიკა ყოფილა, რომ თვით ანტონ კათალიკოსსაც უთხოვია ქალაქიდან გასვლა. ციციანოვს ეპიდემია დიდ საფრთხედ ირ მიაჩნდა და არც საჭიროდ თვლიდა მოსახლეობის ქალაქიდან გასვლას. მაგრამ ეპიდემია თანდათან გაძლიერდა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედო: ლორს, დუშეთს, თელავს, გორს, ანანურს.

21 ივლისის ცნობებით ალავერდის სპილენძის მაღაროებში გავრცელდა შავი ჭირი. მუსინ-პუშკინი იტყობინება, მუშებსა და ჯარისკაცებში 15 დღეში 55 კაცი იმსხვერპლა, 40 კი დაავადებულიაო. როგორც მუსინ-პუშკინი წერს, წამლის შესაძენი თანხები არ ყოფილა გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით და საკუთარი ფულით გაუგზავნია კაცი თბილისში წამლების საყიდლად პატრი ფილიპთან, მაგრამ თბილისიდან ყველა გასულა შავი ჭირის შიშით, ვისაც წამლები ჰქონდა.

---

[1] Акты, т. II, стр. 256, № 76.

[2] Акты, т. II, стр. 256.

31 ივლისს პ. ციციანოვი კვლავ აგზავნის რაპორტს პეტერ-ბურგში, სადაც იტყობინება, რომ მოქალაქეთაგან (სამხედროებს გარდა), 215 კაცია გარდაცვლილი თბილისში. მთავარი მეთვალყურეობა ყველა ლაზარეთზე დაავალა საქართველოს საექიმო მმართველობის წევრს, მეანს ფალკენშტეინს (შემდეგში ინსპექტორს), რომელსაც შავი ჭირის მკურნალობის საკუთარი მეთოდიც ჰქონია შემუშავებული, რამაც ციციანოვის მოწმობით „უკეთესობისაკენ მიმართა ავადმყოფთა მდგომარეობა". ამჟამად ფალკენშტეინი მუსინ-პუშკინთან ერთად გაუგზავნიათ ალავერდში, სადაც შტაბლეკარი ლიხაჩევი მუშაობდა. 10 აგვისტოსათვის დუშეთში გაჩენილა სნეულება, ციციანოვი ბრძანებას აძლევს დუშეთის კომენდანტს, რომ ხალხს ქალაქიდან გასვლის ნება დართოს, მხოლოდ არაფერი გაიყოლონ თან გადადებისათვის საშიში ბარგი. საექიმო მმართველობის დადგენილებით ყველაფერი ცეცხლში უნდა დაიწვას ხის, სპილენძისა და ტყავის ბარგის გარდა, რომელიც უნდა დამუშავდეს სათანადო წესით.

1805 წლის 24 ივნისს ციციანოვი წერს ლიტვინოვს (იმერეთში, სოლომონ მეფესთან მყოფ მოხელეს), რომ აქ მიღებული ცნობებით შავი ჭირი რაჭაშიც გავრცელებულა, სასწრაფოდ გვაცნობეთ მართალია თუ არა ეს, და წინადადებას იძლევა აკრძალონ მიმოსვლა რაჭასა და იმერეთს შორის. მაშასადამე, შავი ჭირის 1803—1807 წლების ეპიდემია მარტო აღმოსავლეთ საქართველოთი არ შემოსაზღვრულა.

31 აგვისტოსათვის ეპიდემია თბილისში ოდნავ შენელებულა, მაგრამ გაძლიერდა გორსა და დუშეთში, საიდანაც ხალხი მთლიანად გაიხიზნა, გავიდა მთებსა და ტყეებში. ეპიდემიამ იმსხვერპლა 4 ექიმი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კარანტინების მუშაობას კავკასიის ხაზზე, რათა არავინ გაიპაროს საქართველოდან რუსეთში მიმავალი, მოზდოკის კარანტინის გავლის გარეშე. 4 ნოემბრის ცნობებით, ჭირმა თელავში იმსხვერპლა თვით თელავის კომენდანტი და მაზრის ექიმის, შტაბ-ლეკარის — მათე ვორონჩენკოვის, ცოლი და ქალიშვილი.

საინტერესოა შავი ჭირით გარდაცვლილთა ე. წ. გენერალური უწყისი (Генеральный ведомость) 1803 წლის 15 ივლისიდან 1804 წლის 1 ივნისამდე.

1. თბილისში გარდაცვლილა სულ 368 კაცი (აქედან სამოქალაქო — 142, დანარჩენი სამხედრო).

2. ლორის (თბილისი) ოლქში —	მოსახლეობიდან —	382
3. თელავის მაზრაში		75
4. ქ. თელავში		89
5. ქ. გორში		49
6. გორის მაზრაში	„	249
7. დუშეთში		102
8. ანანურში		256
	სულ:	1570

აღნიშნული ცნობა, როგორც შენიშვნიდან ირკვევა, არაა სრულყოფილი. მას აკლია თელავში, ანანურში, გორში და ლორში დაღუპულ სამხედრო პირთა შესახებ ცნობები.

თბილისში დაღუპულ სამხედრო პირთა მიხედვით (226 კაცი) თუ ვიმსჯელებთ, ამ საერთო რიცხვს ძალიან გაზრდის სხვა მაზრებში გარდაცვლილ სამხედრო პირთა რაოდენობის სრული ცნობები. საინტერესოა, რომ თბილისში ყოველდღიურად იწერებოდა ე. წ. „Утренний рапорт о тифлисских жителях и воинских чинах". მაგალითისათვის მოვიყვანთ 1803 წ. 9 სექტემბრის „დილის რაპორტს" თავისი ფორმით.

ცხრილი 7

В которой части	Вчерась больных состояло		К тому числу приб.		Умерло		Выздаровлею		Затем состоит больных	
	муж.	жен.	муж.	жен.	муж.	жен.	муж.	жен.	муж.	жен.
Всего:	52	14	2	1	1	1	1	—	53	14

მეტად საინტერესოა ეს დოკუმენტი, რადგან ის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვარი ორგანიზებულობის მაჩვენებელია.

აღნიშნული ეპიდემია, მეტნაკლები სიძლიერით 1808 წლის

აღნიშნული ეპიდემია მეტ-ნაკლები სიძლიერით 1808 წლის
კურაკინს[1], რომ:

«имею честь в. с. принесть мое поздровление с окончанием заразы повсюду на Кавказской линии...»

როგორც ამავე წერილიდან და აგრეთვე იმპერატორის გუდოვიჩისადმი გაგზავნილი მიმართვიდან (28/I—1808 წ.)[2] ირკვევა, შავი ჭირის გავრცელების წყაროდ ამჯერად ასტრახანი დაუდგენიათ, აქედან გავრცელებულა მოზდოკს, ყაბარდოს და ამის შემდეგ კი საქართველოს მოსდებია.

1811—1812 წწ. შ ა ვ ი ჭ ი რ ი ს ე პ ი დ ე მ ი ა პირველად ახალციხეში გამოჩენილა. 1810 წლის დეკემბერში ტორმასოვი პოლიციის მინისტრს ატყობინებს[3] პეტერბურგში, რომ მიღებულია მკაცრი ზომები, ახალციხეს ორმაგი ალყა შემოარტყა, მაგრამ ჯარსა და მილიციაში მაინც გაჩნდა. ეპიდემია გამოჩნდა ქართლის სოფელ ქარელშიც, სადაც 1810 წლის 10 დეკემბერს ერთ ოჯახში სამი კაცი მოკვდა. ქარელის შემთხვევა საექიმო მმართველობის ინსპექტორს რიზენკოს შეუმოწმებია და ავადმყოფობა მსუბუქ ფორმად ჩაუთვლია, რომელიც შემოიფარგლებაო ერთი სოფლით, მაგრამ ეპიდემია თანდათან გზას იკვლევდა და 1811 წლის 25 ივნისის ცნობებით ის სოფ. ბრეთში გამოჩნდა. ერთ ოჯახში 4 კაცი გარდაცვლილა, ინფექციის მიმტანი იყო ოჯახის უფროსი, რომელიც ახალციხიდან მოსულა. თებერვლის ბოლოსათვის ეპიდემია თითქოს შეწყდა, მაგრამ ამავე წლის 28 ივნისს ქუთაისიდან ატყობინებს სიმონოვიჩი ტორმასოვს, რომ საჩხერეში გამოჩენილა ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობის საკმაო რაოდენობა იმსხვერპლა. ეპიდემიის შემომტანად თვლიან იმერეთის მეფის სახლთუხუცესის, თავად ზურაბ წერეთლის აზნაურს, გრიგოლ ათანას ძე მაჭავარიანს, რომელიც ქართლიდან მოსული მესამე დღეს მომკვდარა. შემ-

---

[1] Акты, т. III, стр. 55.

[2] Акты, т. III, стр. 54.

[3] Акты, т. IV, стр. 105.

დეგ მისი ახლობლები და ნათესაეები გამხდარან ავად. 13 ივლისს ეპიდემია მატულობს. იგი გავრცელდა რაჭაში, ქუთაისში. ქართლიდან მიმავალ გზაზე გაიხსნა კარანტინი. შავი ჭირი სამეგრელოში გავრცელებულ „1811 და 1812 წლებში. ამ მხარეში, — წერს ა. ბოროზდინი, — შავი ჭირი (ჟამი) გაჩნდა და მუსრი გაავლო აქაურებს, მცხოვრებნი ჟამის შიშით თავტანდაკარგულნი და შიმშილისაგან სულამორთმულნი, სახლკარს თავს ანებებდნენ და ცდილობდნენ კავკასიის სხვადასხვა მხარეში და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში გადახვეწილიყვნენ, როცა ჟამობა გათავდა, უკან ცოტანიღა დაბრუნდნენ, უმრავლესობა გლეხობისა ახალ ადგილებზე დარჩნენ, განსაკუთრებით კახეთში, რომლის ბუნება სრულიად ჩამოგავს სამეგრელოს ბუნებას“[1].

თბილისში გაზაფხულიდანვე მძვინვარებდა ეპიდემია, მოსახლეობა მთლიანად გასულა ქალაქიდან. 12 ნოემბერს მარკიზ პაულიჩი მოუწოდებს[2] მოსახლეობას, რომ ზამთრის მოახლოვებასთან და ეპიდემიის შემცირებასთან დაკავშირებით, დაუბრუნდნენ ქალაქის ცხოვრებას. ქალაქში ჩამოყალიბებული ყოფილა კომიტეტი სახელწოდებით: „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი“. კომიტეტის თავმჯდომარეა ქალაქის ცნობილი მელიქი — დარჩი ბებუთოვი, წევრებად — ექიმები: რიზენკო და პრიბილი; 1—ნაცვალი, 1—მოქალაქე და ქალაქის კომენდანტი, კომიტეტი ვალდებულ იყო ჩაეტარებინა მთელი რიგი ღონისძიებები...[3].

ქალაქში შეიქმნა კარანტინები: ერთი — აბანოებთან, მეორე — ავლაბარში, მესამე — წავკისის ჭიშკართან, თვითეულ კარანტინში იყვნენ: კარანტინის კომისარი, ერთი ლეკარი, ერთი თარჯიმანი, 3—4 მოსამსახურე. ის, ვინც გაექცევა კარანტინსა, ჩაითვლება „სამშობლოს მოღალატედ“. 28 ნოემბრისათვის, გალინსკის ცნობით ქალაქგარეთ იმყოფებოდა 10000 კაცი. კარანტინის გამტარუნარიანობა თვეში 2160 კაცი ყოფილა. გალინსკი თხოულობს ნებართვას, რათა ქალაქგარეთ მყოფი არასაეჭვო ოჯახები შემოუშვან კარანტინში დამუშავების გა-

---

1 ა. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო, სახელგამი, 1934, გვ. 266.

2 Акты, т. V, стр. 29.

3 ი ქ ვ ე.

რეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში კარანტინები 10.000 კაცის გატარებას მთელი ზამთარი მოუნდებოდა, რის გამოც მოსალოდნელი იყო მოსახლეობა უსახლკაროდ დარჩენილიყო ზამთრის თვეებში[1].

მომდევნო, 1812 წლის 5 აპრილს მარკიზ პაულიჩი ატყობინებს ბალაშოვს[2], რომ ეპიდემია ჩაცხრა. მის მიერ ჩამოყალიბებულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია. ეპიდემია მძვინვარებდა უმთავრესად 1811 წლის მაისიდან 1812 წლის 1 იანვრამდე და ამ ხნის განმავლობაში ეპიდემიამ იმსხვერპლა:

მამაკაცი — 1646, ქალი—567, ბავშვი—574, სულ—2787.

გამოჯანსაღდა და გამოწერილია კარანტინიდან დამუშავების შემდეგ: მამაკაცი — 574, ქალი — 531, ბავშვი — 155.

1812 წლის 1 იანვრისათვის კარანტინში ითვლებოდა ავადმყოფი: მამაკაცი — 266, ქალი — 276, ბავშვი — 89.

ჯანმრთელები, რომელნიც კონტაქტში იყვნენ დაავადებულებთან: მამაკაცი — 393, ქალი — 410, ბავშვი — 31.

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები შეეხება თბილისს, ანანურს, ელიზავეტიპოლს, გორს, თელავს, სიღნაღს და ამ სამაზრო ქალაქებში შემავალ სოფლებს, ბორჩალოს დისტანციის ჩათვლით.

მართალია, 1812 წლის აპრილში მარკიზ პაულიჩი ატყობინებს ბლუდოვს ეპიდემიის ჩაცხრომის შესახებ, მაგრამ, როგორც ერთი „უწყისიდან" ირკვევა, 1812 წლის განმავლობაში ეპიდემია კვლავ მძვინვარებდა.

გუბერნატორი მალინსკი ერთგვარ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, რადგან ეპიდემია ვერ იქნა ლიკვიდირებული. ალბათ ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად, ის მიმართავს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომ თავიანთი მოსაზრებანი წამოაყენონ ეპიდემიის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. თბილისის მცხოვრებნი ადგენენ წერილებს, განცხადებას მაზრის თავადაზნაურთა მარშლის იოსებ თუმანიშვილის სახელზე. ეს განცხადება კა-

---

1 Акты, т. V, стр. 31.
2 Акты, т. V, стр. 35.

Ведомость

Находящиеся в селениях Горийского уезда зараженных людей с 13-го июня по 27 числа сего 1812 года.

ცხრილი 8

	Сост. по сумнени		Больных		Померло		Выпущено		в новь прибыло				Ныне состоит			
									сумнит.		больных		сумнит.		больных	
	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.	м.	ж.
1. Межурисхевски	10	19	—	—	—	—	10	19	—	—	—	—	—	—	—	—
2. Чали Амилехверов . . .	4	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4	5	—	—
3. Тинисхида . .	4	9	—	—	—	—	4	9	—	—	—	—	—	—	—	—
4. Квемо Хандаки	3	5	—	—	—	—	3	5	—	—	—	—	—	—	—	—
5. Метехи . . .	6	—	6	—	1	—	—	—	—	—	—	—	6	—	5	—
6. Кавтисхеви . .	2	1	1	3	—	—	—	—	—	—	—	—	2	1	1	3
7. А л ы . . .	4	10	2	3	—	5	—	—	—	—	—	—	6	5	—	3
8. Уплисцихе .	4	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4	4	—	—
9. Шиндиси . . .	4	6	—	—	3	3	—	—	—	—	—	—	1	3	—	—
10. Ахалтубани .	2	—	—	—	—	—	—	—	—	1	—	—	2	1	—	—
11. Хидистави .	4	6	5	2	9	8	—	—	—	—	6	9	—	—	6	9
12. Квахрети . .	4	5	2	4	2	2	—	—	—	—	—	—	4	3	—	4
13. Бреги .	5	6	—	—	1	1	—	—	—	—	—	—	4	5	—	—
14. Бибниси .	—	—	—	—	—	—	—	—	6	4	3	1	6	4	3	1
15. Арадети .	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	3	2	2	2	3
16. Атоцы .	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	3	1	1	1	3
17. Тигвы . . .	—	—	—	—	—	—	—	—	1	3	1	1	1	3	1	1
18. Чали Абайдзеви	—	—	—	—	—	—	—	—	1	2	—	1	1	2	—	—
	57	76	16	12	15	20	17	33	11	12	14	18	44	39		

რგად გამოხატავს თბილისის საზოგადოებრივ აზრს ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხებზე:

„მათ ბრწყინვალებას ტფილისის უეზდის მარშალს იოსებ იგორიჩს ერთობით ტფილისის მცოვრებთაგან განცხადება.

მის აღმატებულების, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის უფლის დეისტვიტელნი სტატსკის საევტნიკის და კავალერის მარკ ლევანტიჩის წინადადებითა საქართველოს გუბერნიის მარშლის უფლის ღენერალ-მაიორის და კავალერის თომა მათვეიჩის და თქვენის ბრწყინვალებისაგან გამოგვეცხადა ჩვენ საზოგადოდ ტფილისის მცხოვრებთ, რომელ უბედურობითა მომსვრელი სნეულობა ამჟამად კიდევ აღმოჩნდა. და ამისათვის საზოგადოობამ თავის კერძოთ, ხუთსავ ჩასტში ხუთი კაცი დანიშნეთო, რომელთაც ჰქონდეთ მზერა რომ ურგოობა, სნეულობის მიფარვა არ იქნასო და ეგრეთვე თვითოეულსა ჩასტსა შინა რაოდენი კაცნი საჭიროდ დაინახოთ ტფილისში მცხოვრებთაგან მიუჩინეთო, ამისათვის უცხადებთ .თქვენს ბრწყინვალებას, რომელ თუმცა საქართველოს უპირატესი მართებელი და სამოქალაქო გუბერნატორი კეთილ დარგებითა პოლიციის და მედიცინის ჩინოვნიკთადმი და ყოველსა სიფრთხილითა ისწრაფვიან ამა მომსვრელი სნეულების განქარვებას, გარნა, უმეტესის მხურვალულ დასარწმუნებლად ჩვენის კეთილ ცხოვრებისათვის. ეს ხსენებული კაცნი ჩვენის აზრითურთ მოგვითხოვეს ამისათვის. ჩვენ ხუთსავ ჩასტსა შინა პირველკაცათ ავღნიშნეთ პირველ ჩასტში მირიმან მირიმანოვი, მეორე ჩასტში სოლომონ აბიმელიკოვი, მესამე ჩასტში კარაპიტ იფრუმოვი, მეოთხეს ჩასტში ავლაბრელი ივან სულხანოვი. მეხუთეს ჩასტში გარეთუბანს ხოსროვ არტემოვი, რომელთაც ამათ თავთავის ჩასტი, თითო ჩასტი უნდა გასწილონ ცხრა ნაწილად და თითოს ნაწილს მიუჩინონ ორორი კაცი, რომელთაც შედგების თითოს ჩასტში თვრამეტი კაცი, და აგრეთვე პირველსავე დაწყობას რაც თითოს ნაწილს რამდენი სახლიც ებარება და ან დანიშნული კაცების სახელები ყველა თავთავის ჩასტისა თავისმა პირველმა კაცმა ლეპერტით უნდა მოახსენოს პოლიციას და პოლიციამ გამოუცხადოს სამოქალაქო გუბერნატორს და აგრეთვე ჰქონდეს ბრძანება პოლიციის, რომ ვინც ამ ჩასტში მიჩენილმა უფროსმა დანიშნოს, იმ ერთს თვეს ისინი

ამ ქვემო დარიგებისამებრ მოაქციონ, და მეორეს თვეს სხვა უნდა დანიშნონ.

1. დანიშნულნი ჩასტებში ხუთნი პირველნი კაცნი ყოველთვის თითონ გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ, რომ იმათმა დანიშნულმა კაცებმა ქვემორე დარიგების პუნქტებზე არ უსუსტონ და ისე აღასრულებინონ და თავიანთ ჩასტებში და არავის მიადგეს და ან ჩასტების ნაწილებში ასეთი კაცი არ დაინიშნონ რომ იყოს მემთვრალე და ანუ საქმეში გამოუყენებელი და ამით პირველი სიფრთხილე ამაში უნდა მოიხმარონ, რომ ავათმყოფი არ დაიმალოს.

2. ამ ხუთსავე ჩასტისათვის ამ ხუთს პირველს კაცს უნდა ჰყვანდესთ ორი ჭირის მცოდნე კაცი და ერთი დედაკაცი, და რომელს ჩასტშიც გამოჩნდეს ჭირი ამათ პოლიციამ მოსთხოვოს კაცისთვის კაცი და დედაკაცისთვის დედაკაცი. და ამ ჭირის მცნობთა ჯამაგირი ტფილისის საზოგადო მცხოვრებთაგან უნდა მიეცეს, როდესაც მედიცინის ჩინოვნიკნი მიდიოდნენ ჭირის გასაჩხრეკათ ესენიც თან გაატანონ მდაბლის ხალხის დასარწმუნებლად, რომ არა თქვან არ იყო ჭირი და გაიყვანესო.

3. მესამე ყოველს დილას და საღამოს ყოველ ჩასტებში ნაწილების გამორჩეულთ კაცთ გაშინჯონ თავის რწმუნებულნი ხალხი რათა პოლიციისათვის განგებ ანუ გაყვანის შიშით იჭვიანი ავადმყოფები არ დაემალოსთ.

4. რომელს ოთახშიაც ჭირი გაჩნდეს და ავადმყოფთან შემნახავი იყოს ისინი გაიყვანონ ავადმყოფი ცალკე და იჭვნეული ცალკე და თუ იმ გამვლელს ნებავდეს იმავ ავადმყოფს გაჰყვეს მოსავლელათ, ამ ოთახში რაც ნივთი იყოს გასატანი თან გაატანონ და დარჩომილი ნივთს კურითი უყონ როგორც რიგია და იმავ სახლში დარჩეს. მაგრამ ამეზედ ჩასტების ნაწილის კაცებმა თვალყური უნდა დაიჭირონ, რომ არა დაეკარგოს რა სახლის პატრონსა.

5. ავათმყოფიანს ოთახს გარდა რაც სხვა სახლში ან ბარგი და ანუ ხალხი დარჩეს ისინი იმავე სახლში გაიწმინდნენ, როგორც კურითის რიგია და რამდენსაც დღეს სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანებით მედიციის ჩინოვნიკი დაუნიშვნენ იმდენი დღე იმავე სახლში კარანტინი უნდა გასწიონ.

6. რადგან ვისაც ჭირი უჩნდება, ავადმყოფი მეხუთე ჩასტიდამ გამოჰყვათ და ქალაქზე გამოატარებენ, ამისი ხალხს ეშინიან ხოლმე, და ამგვარად მოხვდეს: პირველისა, მეორისა და მესამე ჩასტისა ჩაჰყალღარის ხევში გაუკეთდეს სახლები, მეოთხე ავლაბრის ჩასტისა ბებუთოვის საყდარს იქით ხევში გაკეთდეს სახლები, საცა შარშან იყო და მეხუთე გარეთუბნის ჩასტისა, რომელიც გაკეთებულია მონასტერთან, მთავრობის ბრძანებით იქ გაიყვანონ.

7. ამ ჩასტების ნაწილების გამორჩეულნი კაცნი ფრთხილად უნდა მოიქცნენ, რომ თავთავის ნაწილში სოფლებიდამ ანუ სხვა მხრიდამ პოლიციის მალვით ჭირიანი არავინ შემოეპაროსთ.

8. ჩასტის ნაწილებში გამორჩეულთ კაცებმა იმ დღის ვითარება ყოველ დღესა ჩასტში უფროსად გამორჩეულთ კაცო უნდა გამოუცხადონ და იმათ რომელიც საჭიროდ დაინახავენ პოლიციას შეატყობინებენ: დასასრულ რომ მისი აღმატებულება უმჯობეს უწყით ჩვენს კეთილდღეობის მოვლას არ დააკლებს და რაც პოლიციის სრული დარიგება და ანუ მედიციის ჩინოვნიკთ გაფრთხილება არის ისინი მოიქცევიან, მაგრამ რადგან ამჟამად ჩვენ მიერ ჩვენი აზრის მოხსენებაც ენებებინა ამისათვის ჩვენის მიხედვისამებრ ჩვენს მხარეს ეს მოვახსენეთ ხალხის დასამყუდროებლათ. გთხოვთ თქვენს ბრწყინვალებავ, აზრი ესე ჩვენი წარუდგინოთ გუბერკის მარშალს და იგი არ დააგდებს წარუდგენლათ მათის აღმატებულებისადმი კეთილ განსახილველად:

ივნისის იზ. წელსა ჩყიბ.

ხელს აწერენ თავადი დარჩია ბებუთოვი, თავადი დიმიტრი თუმანოვი, ფალავანდოვი, ივანე სუმბატოვი, რევაზ ბარათოვი, იოანე ბეგთაბეგოვი, მანუჩარ თუმანოვი, პაპა არღუთინსკი, სულ 48 ხელმოწერაა (აზნაურები, მოქალაქეები და სხვ.)[1].

ამ მიმართვას გუბერნიის მარშალი ორბელიანი უგზავნის სამოქალაქო გუბერნატორს მალინსკის.

ამ მიმართვიდან ჩანს თუ რამდენად ყოფილა დანერგილი

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1434.

საზოგადოებაში არა სპეციალისტთა შორისაც, ეპიდემიასთან ბრძოლის მეტად რაციონალური ხერხების ცოდნა.

1811-12 წლებში შავი ჭირის ეპიდემიის საბოლოო შედეგებზე სტატისტიკური მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა[1]:

ქალაქი თბილისი (მაისი—დეკემბერი)	ავად გახდა	759,	მოკვდა	528
ანანური (აპრილი)		272	„	57
ელიზავეტპოლი (ივლისი—დეკემბერი)		558	„	537
გორი (ივნისი—სექტემბერი)		113	„	113
თელავი (მაისი—ივლისი)		48		48
მაზრებში:				
თბილისის (აპრილი—ივლისი)	„	203		175
ანანურის (მაისი—დეკემბერი)	„	407		229
ელიზავეტპოლის (ივლისი—დეკემბერი)	„	172		145
გორის (დეკემბერი 1810—1811)	„	1609		1177
თელავის (მაისი—დეკემბერი)	„	950		774
სიღნაღის (მაისი—ივლისი)	„	142	„	142
ბორჩალოს დისტანცია (მაისი—დეკემბერი)	„	359	„	331
სულ:		5592		4255

ეს სია არაა სრული. აქ ნაჩვენებია დაავადებანი და სიკვდილიანობა ამა თუ იმ ადგილას მხოლოდ ეპიდემიის გაძლიერების მომენტისათვის, ცხრილში არ შედის აგრეთვე სამხედრო ნაწილებში დაბალი ჩინის მოხელეთა და სალდათების დაავადება-სიკვდილიანობის მაჩვენებელი ციფრები, მათი აღრიცხვა სამხედრო უწყების ხაზით ხდებოდა.

როგორც ამ ცრილიდან ჩანს, ეპიდემია მეტად ავთვისებიანი ყოფილა, რადგან სიკვდილიანობის დიდ პროცენტს იძლევა. (76%).

1811 წელს დეზინფექციის მიზნით კავკასიაში პირველად იქნა ხმარებული გიტონის შებოლება (пары хлористоводородной кислоты) ეპიდემიით ყველაზე მეტად იმერეთი დაზარალებულა. ჯერ იყო და ტიფმა და შიმშილიანობამ დარია ხელი მოსახლეობას. ამას დაერთო, 1811 წლის 8 ივნისიდან, შავი ჭირის ეპიდემიაც. იმერეთის მეფე სოლომონი, მარკიზ პაულიჩს 1812 წლის 1 მარტს წარუდგენს რაპორტს, რომლის მიხედვით იქ ასეთი სურათი ყოფილა:

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 957.

ქ. ქუთაისში	გარდაიც. ტიფით, შიმშ. და ჭირ.	280	კაცი, გაქ. 140 კაცი-
ქუთაისის ოლქში	გარდაიცვალა ტიფით შიმშილ.	9690	გაქც. 2500
ვაკის	„	11100	2000
ბაღდადის		1780	200
რაჭის		3000	1520
საჩხერის		1800	400
ჩხარის		5100	„ 690
	ს უ ლ	32750	7450

სოციალური და კოლონიური ჩაგვრით გაღატაკებულ ქვეყანას ისიც დაერთო, რომ 1810 წელს ადრე დამდგარმა ყინვებმა სრულიად გაანადგურა მოსავლიანობა. რასაც მოჰყვა 1811 წელს „ისეთი შიმშილობა, რომლის მსგავსი მოსახლეობას არ ახსოვდა, უჭმელობისაგან ღონემიხდილი მშობლები იმათ აძლევდნენ შვილებს, ვინც მათ აჭმევდა. ხალხი რკოსა და ვაზის რტოებს ფქვავდა და იმით იკვებებოდა, ხოლო როცა ესეც აღარ ჰქონდათ, ბალახს სჭამდნენ. იმავე წლის მარტში ისეთი დიდი თოვლი დადო, რომ შინაური პირუტყვი ერთიანად მოისპო“[2]. ამ მდგომარეობამ გააძლიერა ტყვეების გაყიდვაც. როგორც სოლომონ მეორის ზემოხსენებული რაპორტიდან ირკვევა შიმშილიანობისა და „ჭირიანობის“ დროს 2000 კაცი იქნა გაყიდული, ალბათ ოსმალეთის ბაზრებში. იმდროინდელი სტატისტიკური მასალების მიხედვით IX საუკუნის დამდეგისათვის მთელი იმერეთის სამეფოს მოსახლეობა 120 ათასს შეადგენდა. გამოდის, რომ შიმშილით, ტიფითა და ჭირით გარდაცვლილთა, გაქცეულთა და გაყიდულთა (42.200) სახით იმერეთს თავისი მოსახლეობის მესამედზე მეტი დაუკარგავს.

მომსვრელი ეპიდემია ჩაცხრა, დიდი მასშტაბით ის 1938 წლამდე აღარ ყოფილა, მაგრამ ჩანს, დროდადრო, ენდემურად, აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე და მცირე მასშტაბით შემოისაზღვრებოდა. ასე მაგალითად, 1813 წლის ნოემბრის თვეში თბილის-

---

1 Акты, т. V, стр. 97—98 т. IV, стр. 385.

2 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 224.

ში კვლავ გავრცელებულა[1]. საქართველოს საექიმო მმართველობის 1830 წლის წლიურ ანგარიშში აღნიშნულია:

«Чумная зараза открывшаяся во время турецкой продолжала еще в некоторых местах свое действие в начале 1830 года между жителями горских народов, в Душетском и Елизаветпольском уездах, на неусыпной деятельностью местного начальства оня болезнь теперь уже не существует в наших границиях»[2].

მაგრამ სანამ შავი ჭირის 5-წლიანი (1838—1843) ეპიდემია შემუსრავდა ხალხს, კიდევ ახალი დაავადება გამოჩნდა (1828—1830). შავი ჭირის ეპიდემიაზე საქართველოს საექიმო მმართველობა 1838 წლის „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალში" წერს: „ახალციხის ფაშალიკატში 16 ივნისიდან გაჩნდა შავი ჭირი (Pestis), საიდან და, კერძოდ, როგორ შემოვიდა ის რუსეთის ფარგლებში, ეს ჯერ კიდევ არაა ცნობილი. ავადმყოფობა პირველად გამოჩნდა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში, შემდეგ კი გავრცელდა თვით ქალაქშიც. გარნიზონის მცირე რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადგილობრივ მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით, დაავადება უმთავრესად გავრცელდა ჯარის ნაწილებში, განსაკუთრებით — პირველი ქართული სახაზო ბატალიონის დაბალი ჩინის პირებში. მცხოვრებლებიდან უმთავრესად დაზარალდნენ მოზარდები და ბავშვები 4 წლამდე. მოხუცები იშვიათად ავადდებიან. დაავადების ხასიათი უმთავრესად ნაღვლისმიერი ფორმისაა, ხანდახან წმინდა ნერვული, ძალიანი იშვიათად კი ლპობითი. დაავადების აღმოჩენა ხდებოდა შეტევითი ხასიათის ცხელებით, დროგამოშვებითი ციებ-ცხელების სახით და რამდენიმე პარაქსიზმის შემდეგ, გამოჩნდებოდა ძირმაგარები Carbunculi ან შესივება bubones საზარდულში ან იღლიის ქვეშ, ყურსუკან ან ჯირკვლებში. შესივებული ჯირკვლები საკმაოდ ადრე მწიფდებოდა, და თუ მოხერხდებოდა მათი ადრე დაჩირქება, ავადმყოფები ჯანსაღდებოდნენ. შესივებული ჯირკვლის დაშლა ხშირად დაავადების არასასურველი გამოსავლის მაჩვენებელი იყო.

---

[1] Акты, т. V, стр. 346.

[2] ცენტრარქივი, ფ. 504, საქმე 25.

ძირმაგარები განსაკუთრებული სისწრაფით განიცდიდნენ ნეკროზს, რაც ვრცელდებოდა უმნიშვნელო ფართობზე, და წესიერი მკურნალობის შედეგად რჩებოდა ავთვისებიანი წყლულები. ავადმყოფების მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა, ხშირად დაავადება რთულდებოდა მეტად დამაუძლურებელი ფაღარათითა და წყალმანკით Hurdops anasarca რისგანაც კვდებოდნენ. სამკურნალო საშუალებები ენიშნებოდათ ცხელების თვისების შესაბამისად. ლიკვიდაციის ღონისძიებები გამოყენებული იყო საკარანტინო წესდების თანახმად. ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ ახალციხის ძირითადი მცხოვრებლები, ასე ვთქვათ ჭირთან თანშეზრდილები, ძალიან ადვილად იკურნებოდნენ — განსაკუთრებით სრულწლოვანები. კიდევ ერთი გარემოება იმსახურებს ყურადღებას: როდესაც ჩამოიფცქვნებოდა ძირმაგარის ნეკროზული ნაწილები, ავადმყოფის მომვლელები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩირქგროვიდან აეღოთ პირველი ჩირქი საშრობ ქაღალდზე და ძირმაგარის ნეკროზული ნაწილები შეენახათ შემდეგი დროისათვის. ხმარობენ რა მის ფხვნილს წყალთან შერეულს ფიქრობენ, რომ ეს არის ნამდვილი, უტყუარი დამცველი შავი ჭირისაგან — ასეთია დამღუპველი ცრურწმენა აღმოსავლეთის მცხოვრებლებისა, ეს ხომ არ არის დაუშრობელი წყარო გამუდმებული შავი ჭირისა აღმოსავლეთის ხალხში. შავი ჭირით დაავადებული იყო 349, აქედან გამოჯანმრთელდა 134[1].

ამონაწერიდან ნათლად ჩანს შავი ჭირის კლინიკის და მიმდინარეობის იმდროინდელი გაგება. უსათუოდ საყურადღებოა ავტორთა მიერ ნახსენები ის „დამღუპველი ცრურწმენა" აღმოსავლეთის ხალხთა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა შავი ჭირით დაავადებულთა ძირმაგარიდან ნეკროზული ქსოვილისა და ჩირქის აღება, მისი შენახვა მომავალი წლისათვის და ფხვნილად ქცევის შემდეგ მისი მიღება ხსნარის სახით. ვფიქრობთ ეს „დამღუპველი ცრუმორწმუნეობა" კი არ არის, არამედ გონიერი ხალხური გააზრებაა, რომელმაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა იმუნოლოგიას. სწორედ ამიტომ იყო, რომ „ახალციხის მკვიდ-

---

1 საქართველოს სსრ ცენტრალური რქივი, ფ. 16, საქმე 5710.

რი მცხოვრებნი, ასე ვთქვათ, ჭირთან ერთად დაბადებულნი, ძალიან ადვილად ჯანსაღდებოდნენ, განსაკუთრებით ხანშიშესულები".

ცნობილია, რომ ხავკინის მიერ მოწოდებული, შავი ჭირის საწინააღმდეგო წინასწარი აცრა არ წარმოადგენს უმნიშვნელო ღონისძიებას შავი ჭირის ეპიდემიასთან ბრძოლაში. ეს საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას მოელის. როგორც ჩანს ხავკინის მიერ მოწოდებულ აცრის იდეას ადრე ქართულ ხალხურ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის ვხვდებით.

მაშასადამე, ეპიდემია დაწყებულა ახალციხეში 1828 წლის 16 ივნისს. კავკასიის მაშინდელი მთავარმართებელი გოლოვინი ატყობინებს ბლუდოვს[1], რომ ახალციხეში გაჩნდა შავი ჭირი და მისი არ ყოფნისას თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს, შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის ამიერკავკასიის კომიტეტს, კარანტინის ინსპექტორსა და ახალციხის პროვინციის ადმინისტრაციას გაუტარებია შემდეგი ღონისძიებები:

1. დაწესებულია დროებითი კარანტინი ახალციხის პროვინციასა და გურიის დამაკავშირებელ გზაზე, აბასთუმნის სანჯაყში;

2. აღდგენილია ბაღდადის დროებითი კარანტინი;

3. დაწესებულია საკორდინო-საკარანტინო ხაზი ახალციხესა და ალექსანდრეპოლს შორის, რათა ყველამ, საქართველოსაკენ მიმავალმა, გაიაროს ალექსანდროპოლის კარანტინი;

4. მოწყობილია დროებითი კარანტინი სურამისა და ბორჯომის ხეობას შორის;

5. მივლინებულია საექიმო მმართველობის ორი წევრი, 2 სამხედრო ექიმი, 2 ფელშერი, 2 ბებიაქალი სამედიცინო ღონისძიებათა გასატარებლად და ახალი კარანტინების ორგანიზებისა და მეთვალყურეობისათვის;

6. ახლადჩამოყალიბებულ კარანტინებში გაგზავნილია 12 კარავი, დანიშნულია თითო ოფიცერი კომისრის თანამდებობაზე და 20 რიგითი ჯარისკაცი, ერთი უნტეროფიცერით ყარაულის დასაწესებლად;

---

[1] აქტები, ტ. IX, გვ. 72.

7. კარანტინის ინსპექტორის დასახმარებლად, რომელსაც დაკისრებული აქვს მთელი საკარანტინო ხაზების მეთვალყურეობა, დანიშნულია ერთი უნტეროფიცერი სამხედრო უწყებიდან;

8. მთლიანად ახალციხის პროვინციის გარშემო დაწესებულია საკარანტინო-საკორდონო ზონა ფეხოსანი ჯარისა და კაზაკებისაგან;

9. გარდა სამხედრო ნაწილებისა, შეიარაღებულია აგრეთვე მცხოვრებლები, საკარანტინო ზონის უკეთ დაცვის მიზნით: წალკაში — 100 კაცი, ბორჯომის ხეობაში — 60 კაცი და ა. შ.

10. დანერგილია სრული საკარანტინო ტერმინი, როგორც ახალციხეში მომსვლელ უცხოელთათვის, ისე ახალციხის მცხოვრებთა ურთიერთობისათვის სხვა მხარეებთან;

11. ახალციხის პროვინციაში შემავალი ყველა სასაზღვრო კარანტინი, აგრეთვე დროებითი კარანტინები, მომარაგებულია საჭირო რაოდენობის სადეზინფექციო მასალებით;

12. დადგენილია, თბილისში მიღებული და თბილისიდან გასაგზავნი ყველა კორესპონდენცია გადიოდეს ფოსტასთან არსებულ კარანტინში, საკარანტინო დამუშავებას.

ეპიდემიასთან ბრძოლა საკმაოდ კარგად ყოფილა ორგანიზებული. როგორც 26 ივლისის მომართვიდან ჩანს მიღებულ იქნა აგრეთვე დამატებითი ღონისძიებები:

1. სანამ ეპიდემია არ ჩაქრება, ეპიდემიის ადგილებიდან, საკარანტინო „გაწმენდიდან“ არავინ იქნება გამოშვებული 28 დღემდე.

2. საქონელი, განსაკუთრებით ინფექციის მიმღები (შალი, აბრეშუმი, ბამბის ქსოვილი და სხვ.), არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გატანილი ეპიდემიის ადგილიდან ეპიდემიის სრულ ლიკვიდაციამდე მერე გაიტანონ მხოლოდ გულდასმითი „შებოლვისა“ (окуривание) და დამუშავების შემდეგ, საკარანტინო წესდებათა სრული დაცვით.

3. ჭირიანი ავადმყოფების პირადი სარგებლობის საგნები და ნივთები დაიწვას ცეცხლში, სახლები გულდასმით „შებოლვილ იქნეს“, გაირეცხოს და განიავდეს არანაკლებ 8 დღე-ღამის განმავლობაში. სახლები, რომლებიც არ გაიწმინდება საკარანტინო წესდების თანახმად, აგრეთვე ნაკლებღირებული სახლები, მიეცეს ცეცხლს.

4. მიღებულია ზომები მცხოვრებთა დასარწმუნებლად, რომ საგნები, რომლებიც გაივლიან „გაწმენდას“ დაუბრუნდებათ მათ უკლებლივ და დაუზიანებელი. თუ ვინმე გადამალავს „დაჭირიანებულ“ საგნებს, დაისჯება საკარანტინო კანონების ძთელი სისასტიკით;

5. დეპეშები და ყოველგვარი წერილობითი კორესპონდენციები „შებოლებულ იქნეს“ ქლორით, მათთვის მოწყობილ სპეციალურ ყუთში, პაკეტები არა მარტო დაიჩხვლიტოს, არამედ კუთხეებიც გაიხსნას, რათა ქლორი შეიჭრას თვით პაკეტის ნაოჭებში;

6. მცხოვრებლებს მიეთითათ, რომ საეჭვო საგნები, რომლებსაც ავადმყოფი ხმარობდა, ჩადონ რამდენიმე საათით „გამდინარე წყალში“. ეს რამდენადაც უბრალო საშუალებაა, იმდენად სასარგებლოა. ქალაქი ახალციხე დაყოფილია ნაწილებად. თვითეულ ნაწილს ჰყავს თავისი კომისარი და მოადგილეები, დაწესებულია შიგა კარანტინები, კარანტინები და საკარანტინო განყოფილებები, საერთო სარგებლობის ადგილები: ეკლესია, აბანო დახურულია, პროვინციის უფროსი ყოველ 3 დღეში იძლევა ცნობებს ეპიდემიის მიმდინარეობის შესახებ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეპიდემიის წყაროს ძიებას, გოლოვინი წერს, რომ ვერ მოხერხდა სნეულების გაჩენის მიზეზის დადგენა, რადგან ამას სპეციალური მუშაობა სჭირდება და თავისუფალი, გამოცდილი პიროვნება, რომელსაც ასეთი მუშაობის ჩატარება შეუძლია, არ არისო. ბოლოს ეპიდემიის გამომწვევი მიზეზების გარკვევა დაევალა კარანტინის ინსპექტორს პაულს. აღსანიშნავია, რომ ეპიდემიასთან ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ჩვენ სასიქადულო პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

1838 წლის 5 აგვისტოს გოლოვინი წერდა ბლუდოვს, რომ გენერალ-მაიორი, თავადი ალ. ჭავჭავაძე დანიშნულია:

«Главным начальником над всеми существующими и имеющими быть учрежденными кордонными линиями от Ахалцихокой провинцыы во все стороны»[1].

---

[1] აქტები, ტ. IX, გვ. 73.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ენერგიულად და მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რათა თავისი სამშობლო ეხსნა მომსვრელი ეპიდემიისაგან. ალ. ჭავჭავაძის საქმიანობას გოლოვინი ასე ახასიათებს:

«Сделанная кн. Чавчавадзе по Кордонам распоряжения весьма хороши и ручаются за точность исполнения каждым своей обязанности к преграждению заразе распространится за линию»[1].

1840 წლის 4 დეკემბერს გოლოვინის სტროგანოვისადმი მიმართულ ცნობაში[2] ალექსანდრე ჭავჭავაძე კვლავ იხსენიება „ამიერკავკასიის მხარის შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის კომიტეტის" თავმჯდომარედ. როგორც ჩანს, ის დიდხანს ეწეოდა ამ საქმიანობას.

1838 წლის 1 სექტემბრის ცნობით ეპიდემია შეჩერებულია ერთ დონეზე, მაგრამ ლიკვიდირებული არაა. ეპიდემია ძალაზე ავთვისებიანია, სიკვდილიანობის დიდ პროცენტს იძლევა. ყოველდღიურად ტარდება კომიტეტის სხდომები ახალციხეში და მიღებულ ღონისძიებათა და განკარგულებათა ასლები ოქმებით იგზავნება თბილისში. მოწყობილია შავი ჭირის ლაზარეთი. მას აქვს საეჭვო ავადმყოფთა განყოფილება სამოქალაქო და სამხედრო პირთათვის განურჩევლად. შექმნილია საიდუმლო პოლიცია საპატიო მოქალაქეთაგან. ქალაქის თვითეული ნაწილიდან დაქირავებულია მოქალაქე, რომელიც საიდუმლოდ აცნობებს კომიტეტს გადამალულ ავადმყოფებსა და ოჯახებს. ახალციხე გარშემორტყმულია ალყით, პიკეტებით, 4 კაცის შემადგენლობით ისე, რომ თვითეული პიკეტი ხედავდეს მეორეს[3].

1838 წლის 19 ოქტომბრისათვის ახალციხეში შავი ჭირით დაავადებულთა, გარდაცვლილთა და გამოჯანსაღებულთა უწყისი შემდეგ სურათს იძლევა:

ავად გამხდარა: მამაკაცი — 226, ქალი — 67, სულ — 293; გარდაცვლილა: მამაკაცი — 159, ქალი — 49, სულ — 208; გამოჯანსაღებულია: მამაკაცი — 61, ქალი — 17, სულ — 78.

---

1 იქვე.

2 იქვე. გვ. 85.

3 Акты, т. IX, стр. 75.

ავადაა 19 ოქტომბრისათვის: მამაკაცი — 6, ქალი — 1, სულ — 7[2].

მაგრამ წლის ბოლომდე, როგორც „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალიდან“ ჩანს, დაავადებულთა რიცხვი 349-მდე და გარდაცვლილთა რიცხვი 215-მდე გაზრდილა. ეპიდემია კვლავ ავთვისებიანია: სიკვდილიანობა 68%-ს აღწევს.

1839 წლის 4 იანვრის ცნობით, ახალციხეში ეპიდემია მოისპო და ალყა მოხსნილია 1838 წლის 22 დეკემბრიდან. მაგრამ 1839 წლის გაზაფხულს კვლავ მოჰყვა ეპიდემია. 7 მაისიდან 2 ოქტომბრამდე ახალციხეში და მის ახლო-მახლო სოფლებში შავი ჭირით ავად გამხდარა 128 კაცი, აქედან გარდაცვლილა— 73, გამოჯანსაღდა — 52, სიკვდილიანობა 57%-ს აღწევს. მომდევნო წლებშიც არ წყდება ეპიდემია, 1841 წლის მაისში 10 შტატგარეშე ექიმს აგზავნიან ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეპიდემია 1842 წლამდე მძვინვარებდა კავკასიის სხვადასხვა მხარეებში (ერევანი, ალექსანდრეპოლი და სხვ.).

ცნობილია, რომ მაშინ მეფის რუსეთის „განაპირა გუბერნიაში“ საექიმო საქმიანობისათვის ფინანსურ დაბანდებათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და საექიმო კადრების მკვეთრი უკმარისობა იყო. მიუხედავად ამისა, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებები იმდენად გონებამახვილური და ეფექტური ხერხებითა და მეთოდებით ყოფილა შემუშავებული, რომ მას გარკვეული შედეგები უნდა მოჰყოლოდა ეპიდემიის ლიკვიდაციის საქმეში.

მედიცინის ისტორიასა და ქართულ ხალხურ მედიცინაში, ზემოხსენებულ წყაროებამდე, უცნობი იყო შავი ჭირის „აცრის“, იმუნიტეტის გამომუშავების ხალხური მეთოდის არსებობა, რომელმაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა იმუნოლოგიის განვითარებას საერთოდ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ისეთ გავლენიანი პიროვნება, როგორიც იყო პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელსაც დიდი მონდომებითა და სერიოზულობით უმუშავნია ამ პოსტზე წლების განმავლობაში. სახელოვანი

---

2 Акты, т. IX, стр. 80.

ქართველი რომანტიკოსის ეს საქმიანობა დღემდე უცნობი იყო ქართული მედიცინის ისტორიაში.

ქ ო ლ ე რ ა

1828—1830 წ. წ. ე პ ი დ ე მ ი ა. 1828 წლიდან ქოლერა ძლიერი ეპიდემიის სახით გავრცელებულა. ხან გამოჩნდებოდა, ხან ჩაქრებოდა, მაგრამ 1830 წლის გაზაფხულიდან თბილისში ისე ძლიერად მძვინვარებდა, რომ მთელი თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან გასულა. 1830 წლის 25 აგვისტოს პასკევიჩი წერს შინაგან საქმეთა მინისტრს[1], რომ თბილისი თითქმის დაცარიელდა. მრეწველობა და ვაჭრობა შეწყდა, მცხოვრებლებმა დასტოვეს ქალაქი, დარჩნენ მხოლოდ რუსი მოხელეები და უცხოელები, რომელთაც არა აქვთ ქალაქიდან გასვლის საშუალება. ქალაქში შიმშილობაა. არ არიან სამედიცინო მოხელეები (ექიმები). ამიტომ თბილისის სამხედრო ჰოსპიტალს წინადადება მიეცა მიიღოს სამკურნალოდ, განურჩევლად, ყველა ავადმყოფი. ეპიდემია გავრცელებულია ყველგან: თბილისის მაზრაში, სიღნაღში, თელავში, დუშეთში, გორში, სხვა ადგილებში კი (შირვანისა და ბაქოს პროვინცია, კუბა, დერბენტი, ელიზავეტპოლი, ნახჭევანი და სხვ.), სადაც უკვე რამდენიმე თვეა ეს ეპიდემია არსებობს, ამჟამადაც არ შენელებულა.

1830 წლის ქოლერის ეპიდემიით გამოწვეული პანიკის ნათელ სურათს იძლევა პოეტი ალ. ორბელიანის მოგონება „პირველი ხოლერა თბილისში", რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში[2]. ავტორი მხატვრული ენით აღწერს თბილისის ღარიბი მოსახლეობისა და მაღალი ფენის წარმომადგენელთა სულიერ მდგომარეობას.

თბილისში ქოლერით ყოველდღიურად კვდებოდა ადამიანთა დიდი რაოდენობა. ერთ-ერთი დღემდე შემორჩენილი ცნობით 1830 წლის 31/7-დან 31 აგვისტომდე 678 კაცი მოკვდარა. ასე: 31.7 — 6 კაცი; 1.8 — 17; 2.8 — 15; 4.8 — 40;

---

[1] Акты, т. VII[1]. стр. 227.

[2] ხელნაწერი ფონდი S—1665.

5.8 — 37; 6.8 — 29; 7.8 — 36; 8.8 — 57; 9.8 — 55; 10.8 — 53; 11.8 — 49; 12.8 — 44; 13.8 — 42; 14.8 — 18; 15.8 — 36; 16.8 —32; 17.8 — 40; 18.8 — 23; 19.8—21; 20.8 — 14; 21.8 — 9; 22.8 — 3; 23.8 — 3; 24.8 — 4; 25.8 — 3; 26.8 — 1; 27.8 — 3; 28.8 — 1; 29.8 — 2; 30.8 — 2; 31.8 — 1[1].

ასეთი შემზარავი სურათი იყო თბილისში აგვისტოს თვეში. გენ. სტრეკალოვის რაპორტით[2] აგვისტოს მეორე ნახევარში ქოლერა განსაკუთრებული სიძლიერით მძვინვარებდა მაზრებშიც (თბილისის, თელავის, გორის, სიღნაღის, დუშეთის, და სხვ.). აგვისტოს მეორე ნახევრიდან 1 სექტემბრამდე მისი ცნობით, 2772 კაცი დაღუპულა.

პასკევიჩი წერილით[3] (4/10—1830 წ.) ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ქოლერის ეპიდემია შეწყდა, დღეღამეში შეიძლება გამოჩნდეს 3—4 შემთხვევა ისიც იოლ ფორმებში, 2—3 დღის ავადმყოფობით გადააქვთ ხოლმე, თბილისში მაცხოვრებლები თანდათან ბრუნდებიან, ვაჭრობა-მრეწველობა ცოცხლდება. შეწყდა ეპიდემია აგრეთვე გორში, თელავში, სიღნაღში, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმის პრიბილისა და სხვა გამოცდილ მედიკოსთა დასკვნით ეპიდემია მთლიანად მოისპო.

მეტად საინტერესოდ არის აღწერილი ქოლერის კლინიკის, შიმდინარეობის, მკურნალობისა და სხვა საკითხები 1830 წლის ე. წ. „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალში". მოგვყავს ამონაწერი მთლიანად: „ქოლერა Cholera morbus ეპიდემიური დაავადებაა. ქოლერა Morbus შეინიშნება და ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ავადმყოფი პირველად იგრძნობს სიმძიმეს თავის არეში, შუილს ყურებში, არაჩვეულებრივ დაღლილობას მთელ ტანში, შემდეგ ეწყება პირღებინება და ფაღარათი თეთრი წებოვანი სითხით, ხანდახან ორივე ერთად. ხან კი ავადმყოფობა მიმდინარეობს ორი უკანასკნელი ნიშნის გარეშე. ამას თან ერთვის ძლიერი კრუნჩხვები დაწყებული ნაკუთალიდან, რომელიც გრძელდება ქვედა კიდურების თითებამდე და პირი-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 4204.

[2] Акты, т. VIII, т. 28.

[3] იქვე, გვ. 228—230, 231.

ქით, აქედან მუცლამდე, შუასაყრამდე, შემდეგ ხელის თითებამდე, ეს ნიშნები ხანდახან რამოდენიმე წუთით სუსტდება და შემდეგ ისევ ისეთივე სიძლიერით იწყება, ამას მოსდევს გაძნელებული სუნთქვა და მაღალი სიცხე. ენა დაფარულია მოყვითალო-მომწვანო, ან თეთრი წებოვანი ნადებით; საშინელი წყურვილი, არაჩვეულებრივი ნაღველი; გულმკერდის ქვეშ აუტანელი ტკივილები, ხან ნეკნებქვეშა არეში, მაგრამ არა ისეთი სიძლიერის; ავადმყოფის გარეგანი შეხედულება იცვლება, მთელი ტანი ცივდება ისე, რომ ხელის შეხება მარმარილოს შეგრძნებას იწვევს. კანი მოლურჯოა, სახის ცვლილება გამოხატავს უდიდეს მწუხარებას, გულის ცემა ჩერდება და მაჯისცემა თითქმის არ იგრძნობა. ხელის თითების ბოლოები დანაოჭებულია (რაც ყოველთვის სიკვდილის მაჩვენებელი ნიშანი იყო). ხშირად ვითარდება გულყრები, კრუნჩხვებით; ზედა და ქვედა კიდურებში, რომელიც ისე აუძლურებს ავადმყოფს, რომ ღონე სრულიად ეკარგება და კვდება 3—4—6—8—12 საათის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ვისაც ავადმყოფობა მთელი სიძლიერით მოეკიდა, მისი მოქმედება არ გაგრძელებულა 2 დღე-ღამის მეტი. ვინც უმკლავდებოდა დაავადების სიძლიერეს ძალიან იშვიათად კარგავდა გრძნობას და გონებას. ავადმყოფობის დასაწყისიდან ბოლომდე დაავადების ნიშნები ისევე გაურკვეველი და სხვადასხვანაირია, როგორც თვითონ ეს დაავადება.

ხანდახან ავადმყოფი გრძნობს მსუბუქ თავბრუხვევას და მაშინვე ემართება გულყრა, ხელ-ფეხი უცივდება, ეწყება ღებინება და ფაღარათი, ხდება სრულიად უგრძნობი, რასაც ემატება კიდურების კრუნჩხვები. ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელ ადამიანს, ჩვეულებრივი მუშაობის დროს დაეწყება ღებინება, ფაღარათი, გრძნობს ტკივილს გულის კოვზის ქვეშ და ძლიერ სისუსტეს მთელ ტანში, კრუნჩხვების გარეშე. ხან კი ჯანმრთელ ადამიანს ემართება გულყრა, ეცემა უგონოდ და უცივდება მთელი ტანი, ყველა დანარჩენი ნიშნების გარეშე. ავადმყოფობა ყველაზე უფრო ძლიერად და ადრე ემართებათ ადამიანებს, რომლებიც მძიმე სამუშაოს ასრულებენ მზის ქვეშ, პაპანაქება სიცხეში, აგრეთვე დაბლობ ადგილებში, ნესტიან ბინებში

მცხოვრებ ღარიბ-ღატაკებს. უფრო ნაკლებად ემართებათ იმათ. რომელთაც ცხოვრების უფრო კარგი პირობები აქვთ.

დაავადების თვისებები: ქოლერის ნიშნების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ავადმყოფობა ანთებითი თვისებისაა და იგი განსაკუთრებით აზიანებს ნაღვლის ბუშტს, მთავარ ძარღვს და ნახევარმთვარისებურ ნერვულ წნულს Plexus semilunaris ეს მტკიცდება შემდეგი მოვლენებით: 1. დაავადების მოულოდნელი შეყრით მანამდე ჯანსაღ ადამიანზე, 2. სისხლის ძლიერი გადასვლით სხეულის პერიფერიიდან მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანოებისაკენ, განსაკუთრებით ტვინისაკენ, ღვიძლისა და ფილტვებისაკენ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ დაავადების დასაწყისში ვენიდან გამოშვებული სისხლი სულ შავია, რადგან მოკლებულია ჟანგბადს. ანთების საწინააღმდეგო საშუალებები იძლეოდნენ კარგ შედეგებს, ხოლო ამგზნები საშუალებანი არავითარ სარგებლობას არ გვაძლევდა. ნაღვლის მუშტის დაზიანება მტკიცდება იმით, რომ ღებინებისა და ფაღარათის დროს მასა ყოველთვის წყლიანია და ყოველგვარი ძალისა და დაჭიმულობის მიუხედავად ნაღველი არ გამოიყოფოდა.

ქოლერის გამომწვევი მიზეზები: დაავადება კავშირში იმყოფება ჰაერის განსაკუთრებულობასთან, მაგრამ ატმოსფეროს პირობებთან გაურკვეველ დამოკიდებულებაშია. დღემდე შეუძლებელი იყო ზუსტად დაგვედგინა ამ დაავადების გამომწვევი მიზეზები, არაფერი ყოფილა შემჩნეული იმის გარდა, რომ დაავადება მძვინვარებდა უქარო და უნალექო ამინდებში, დიდი სიცხეების დროს, რომელიც შუადღემდე და შუადღის შემდეგ ჩრდილში აღწევდა რეუმირის თერმომეტრით 28°-მდე. ავადმყოფობა თავის მოქმედებას განაგრძობდა დიდი წვიმისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარის 3 დღე-ღამის ქროლვის შემდეგაც, მხოლოდ უფრო ნაკლები სიძლიერით და გაცილებით ნაკლები მსხვერპლით

დაავადების გავრცელება. ეს დაავადება რამდენადაც ცნობილია ვრცელდება მდინარეებით, დიდი გზებით და მთიანი და მისი ახლო მდებარე დაბლობები ხშირად რჩება ამ დაავადების გარეშე.

დ ა ა ვ ა დ ე ბ ი ს გ ა დ ა დ ე ბ ა. ცდებით დამტკიცდა, რომ ეს ავადმყოფობა ვრცელდება მხოლოდ ჰაერით, თუმცა სხვები ფიქრობენ, რომ იგი გადადის შეხებითაც. ამას უარყოფს ის ფაქტი, რომ ქალაქის საავადმყოფოს მოსამსახურეები თბილისში ხოლერის ეპიდემიის გაჩენის დროს არ ერიდებოდნენ კონტაქტს ავადმყოფებთან, რომელთაც არ ჰქონდათ ხოლერის ნიშნები. ავადმყოფობის დაწყებიდან დამთავრებამდე უშიშრად ტრიალებდნენ ავადმყოფებთან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაავადებულა. დაავადება არც ტანსაცმლიდან გადადიოდა, გინდაც ის არ განიავებულიყო.

 გ ა მ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ე ლ ი ზ ო მ ე ბ ი. ერთადერთი საუკეთესო და საიმედო გამაფრთხილებელი ზომა დაავადების აღმოჩენისას არის ხალხის მოთავსება მაღალ და ჯანსაღ ადგილებში, მხოლოდ გაფანტულად, რათა მჭიდრო დასახლებით არ გაძლიერდეს მისი მოქმედება.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი. დღევანდლამდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი სპეციფიური საშუალება ანთებითი მოვლენების საწინააღმდეგოდ. მკურნალობა, განსაკუთრებით დაავადების დაწყებისას, ბევრ შემთხვევაში იძლეოდა სასურველ შედეგს. სახელდობრ, შიშველი ხელებით ზედა და ქვედა კიდურების ხანგრძლივი სრესა ზეთიანი მაუდის ნაჭრით, კრუნჩხვების დამთავრებამდე. სისხლის გამოშვება თუ საჭიროა განმეორებითაც, ტკბილი ვერცხლისწყალი დიდ, განმეორებით დოზებში (არა ნაკლები 10,0 მიღებაზე), ციცი წყლის გადასხმა, ყინულით სრესა მთელი ტანის. განსაკუთრებით გულის კოვზთან.

ამგზნებ საშუალებებს კი, როგორიც არის მთიხვი moschus orientalis ქაფური და სხვ. არ მოჰქონდა შესამჩნევი სარგებლობა. ვითვალისწინებ რა მკურნალობის ყველა ამ მეთოდს ერთად, — წერს ავტორი, — საკუთარი გამოცდილებით შემიძლია დავასკვნა, რომ ანთების საწინააღმდეგო საშუალებები ყველაზე საუკეთესოა აღმოსავლური ხოლერის დროს. ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამტკიცებ, რომ თვითონ ვიყავი მძიმედ დაავადებული ამ ავადმყოფობით და უიმედო მდგომარეობაში, მხოლოდ მკურნალობის ზემოხსენებულმა მეთოდებმა გადამარჩინეს“.

ასეთია იმდროინდელი შეხედულებანი ქოლერაზე და მის ეთიოპათოგენეზზე. ინტერესმოკლებული არ იქნება აგრეთვე ქოლერით დაღუპული ავადმყოფის გვამის შემოწმების აქტი, რომელიც ეკუთვნის ქართველ ექიმს პეტრე კლაპიტონიშვილს:

„სახე და მთელი სხეული გასივებული, გალურჯებულია და ძალიან მოდუნებული, კანი ალაგ-ალაგ გაყვლეფილია მდუღარით დამწვარის მსგავსად. ზედა კიდური ხელის მტევნიდან დაწყებული გამომშრალია, გაშავებულია თვით ფრჩხილებიც კი. თითები მოკრუნჩხულია, კანი ხელის და ფეხის გულებზე დანაოჭებულია. გარდა ამისა, მარჯვენა ფეხის ბარძაყზე, გარეთა მხარეზე, ჩანს ახლახან შეხორცებული ჩირქგროვიდან ნაწიბური. გვამმა მზის სხივების პაპანაქების ქვეშ მყოფმა მიიღო სრული სიდამპლე, რის გამოც უშვებდა მყრალ სუნს. გვამის გარეგანი დათვალიერება, დაავადების ნიშნები და ავადმყოფობის ხანმოკლეობა ადასტურებს, რომ ავადმყოფი გარდაცვლილა ქოლერით“[1].

ზემოხსენებულ წყაროებში მშვენივრადაა აღწერილი ქოლერის კლინიკა, მიმდინარეობა, სიმპტომატოლოგია. ცნობილია, რომ ქოლერის გამომწვევი მიზეზი დიდხანს გაურკვეველი იყო, მხოლოდ 1883 წელს იქნა აღმოჩენილი რობერტ კოხის მიერ ქოლერის ვიბრიონი და, ცხადია, ქოლერის გავრცელებასა და ეპიდემიოლოგიაზე არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა:

„თუმცა თვით ცდებით დამტკიცებულია, რომ ქოლერა ეპიდემიური დაავადებაა და არ გადადის ჟამის მსგავსად ავადმყოფებთან და მის ნახმარ ნივთებთან შეხებით, მაგრამ მისი მოქმედება არანაკლებ დამღუპველია და მისი გავრცელება ჰაერში უფრო სწრაფია. მისი ნამდვილი თვისებები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა ცნობილი განათლებულ ევროპაში[2].

ან კიდევ:

„რამდენადაც ცდებით გამორკვეულია, ეს დაავადება გადადის მხოლოდ ჰაერით...“ და სხვ. ჩანს მაშინ საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონიათ ხოლერის გამომწვევ მიზეზებზე, რადგანაც დღეს მთელი რიგი ექსპერიმენტებით დამტკიცებულია,

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 4405.

2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 4408.

რომ იგი ჰაერით კი არ ვრცელდება, არამედ ქოლერის ვიბრიონთა კუჭ-ნაწლავში მოხვედრით. ალბათ, ამან გამოიწვია 1832 წლის 3 ოქტომბრის განკარგულება, რომ „არ მიეღოთ არავითარი შემზღუდველი ზომები ხოლერის გავრცელების შემთხვევაში"[1].

1831 წლის დოკუმენტებითაც დასტურდება ქოლერის არსებობა თბილისში თბილისის საქალაქო საავადმყოფოს გამგის, შტაბლეკარ ხონკინის 8 აგვისტოს რაპორტით ირკვევა, რომ საავადმყოფოში მოუყვანიათ 5 ხოლერით დაავადებული. საინტერესოა ხონკინის შემდეგი სიტყვები:

„ქოლერის თვისებები დღემდე ჯერ კიდევ მთლიანად გაურკვეველია, გადამდებია იგი თუ არა, ან რამდენად გადამდები, ამიტომ ხოლერით დაავადებული ავადმყოფები შეუძლებელია მოვათავსოთ ერთ ოთახში სხვა ავადმყოფებთან ერთად, რადგანაც განსაკუთრებული ოთახი საავადმყოფოში სიეიწროვის გამო შეუძლებელია გამოიყოს ასეთ ავადმყოფთათვის, ავრეთვე არა გვყავს მსახურთა საჭირო რაოდენობა დახმარების გასაწევად"[2]. ცხადია, თბილისის 25-საწოლიანი საავადმყოფო ვერ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაეცვათ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის მინიმალური წესები. ხონკინის განცხადებით ყოველდღიურად კვდებოდნენ ავადმყოფები და იძულებულნი იყვნენ მათი გვამები მოეთავსებინათ საავადმყოფოს თეთრეულის ოთახში. ხონკინი განმეორებით თხოულობს, რომ მიეცათ მისთვის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის სარაია, რომელსაც გარდაცვლილთა გვამების მოსათავსებლად გამოიყენებდა. ზოგიერთი ცნობით, ამ ეპიდემიის დროს ხოლერით დაავადებულთა რიცხვი საქართველოში 25809-ს აღწევდა. გარდაცვლილა აქედან 13795 კაცი[3].

ქ ო ლ ე რ ა ე პ ი დ ე მ ი ი ს ს ა ხ ი თ თ ბ ი ლ ი ს ი ში გ ა ვ რ ც ე ლ დ ა ა გ რ ე თ ვ ე 1847 წ ე ლ ს. 1846 წლის ოქტომბერში ის გავრცელებული იყო შემახში, ლენქორანში და ზოგიერთ სხვა კასპიის ზღვის სანაპირო ქალაქებში. ამ დროს თბილისში ეპიდემიის არავითარი ნიშნები არ არსებობდა, მაგ-

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 4546.
2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 4405.
3 ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 959.

რამ მომდევნო წლის მაისში ის თბილისშიც გამოჩნდა. თუ მაისის თვეში ყოველდღიურად 3—4 ქოლერით დაავადებულს ღებულობდნენ, ივნისის თვეში უკვე 17 ქოლერით ავადმყოფი მოჰყავდათ.

აღნიშნული ეპიდემია დაწვრილებით აქვს აღწერილი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმის მოადგილეს კრასნოგლიადოვს[1]. მას აღწერილი აქვს აგრეთვე ქოლერის ნიშნები: სახის დამახასიათებელი გამომეტყველება, ხმის ჩახლეჩა, ან ხმის სრული გაქრობა, წყლიანი პირღებინება და ფაღარათი, ნაღველი, ტკივილი გულის კოვზის ქვეშ, შარდვის შეფერხება ან სრული ანურია, კრუნჩხვები, მარმარილოსებური კიდურების გაცივება და სხვ. მრავალი. კრასნოგლიადოვი არჩევს ქოლერის 3 ფორმას:

1) Cholera orgastica
2) Cholera Spastica
3) Cholera asphystica

ქოლერის ყველა ფორმაში განასხვავებს შემდეგ პერიოდებს:

1. გაცივების პერიოდი, 2. რეაქციის პერიოდი, 3. დაუძლურების ანუ ტიფოზური პერიოდი. ამ ძირითად პერიოდებს ავტორი კიდევ უმატებს დასაწყის და გამოჯანსაღების პერიოდებს.

1847 წლის ქოლერის ეპიდემიაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის[2] პ. სობოლშჩიკოვი (თბილისის ქალაქის ექიმი). თბილისის ეპიდემია მაისის პირველ ნახევარში დაიწყო, პირველი ივნისიდან ეპიდემია გაძლიერდა. თბილისში აღრიცხული იყო ქოლერის 1300 შემთხვევა. აქედან გარდაცვლილა 702 კაცი. ხშირი ყოფილა დაავადების მსუბუქი ფორმები, რის გამოც ბევრი აღრიცხვის გარეშე დარჩენილა, რადგან მოსახლეობა თავს არიდებდა ექიმთან მისვლას, სანამ არ გაურთულდებოდა. აღსანიშნავია, რომ ეპიდემიის დაწყებამდე ქალაქ თბილისში 12 ექიმი მუშაობდა, აქედან 5 ექიმი ამ ეპიდემიამ იმსხვერპლა.

---

1 «Замечания о холере появившейся в Тифлисе в июне 1847 г. СПБ, 1847.

2 Кавказский календарь, 1852 г. стр. 505—519.

ეპიდემია 4 თვე გაგრძელდა თბილისში, აგვისტოს ბოლოსათვის უკვე ჩაცხრა. ამ ეპიდემიის შესახებ ერ. ანდრეევსკი (კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის უფროსი) წერს მიმოხილვას, რომელშიც ორიგინალურ მოსაზრებებს იძლევა. მისი აზრით ქოლერის ეპიდემიის დროს მნიშვნელოვანია „Состояние нравственности и бодрость духа предупреждают полное развитие болезни". მწუხარება და განცდები ძლიერ ართულებსო მდგომარეობას. ის სასტიკი წინააღმდეგია სისხლის გამოშვებისა ქოლერის დროს. მისი დაკვირვებით ყველა დაიღუპა, ვისაც სისხლი გამოუშვეს. ანდრეევსკი თვლის, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს როგორმე შევწყვიტოთ ქოლერული ფაღარათი, რომელიც ყველაზე საშიში და დამღუპველია ავადმყოფისათვის ქოლერის მიმდინარეობაში. ამ მიზნით მას ხმარებაში შემოღია და ყველაზე კარგ საშუალებად თვლის ნავთს nahptagenia, petroleum ის აძლევს ნავთს 10-10 წვეთს არაყში, ღვინოში ან რომელიმე არომატულ სასმელში გარეულს, 3-ჯერ დღეში, უნიშნავს 2-3 დღის განმავლობაში, ავტორი ირწმუნება: ის იმდენად ეფექტურია, რომ განმეორებით არასოდეს არ დასჭირვებია მისი გამოყენება. პ. საბოლშჩიკოვიც დიდი მოწონებით იხსენიებს ანდრეევსკის მეთოდს, თეთრი ნავთის გამოყენებას ქოლერის მკურნალობაში.

როგორც ირკვევა, ქოლერის მკურნალობაში შეუთანხმებლობა ყოფილა ანდრეევსკი-საბოლშჩიკოვსა (სამოქალაქო ექიმები) და პრიბილ-კრასნოგლიადოვს (სამხედრო ექიმები) შორის. ანდრეევსკი და საბოლშჩიკოვი წინააღმდეგი არიან ქოლერის მკურნალობაში კალომელისა და სისხლის გამოშვებისა. კრასნოგლიადოვი კი[1] კარგ საშუალებად თვლის როგორც სისხლის გამოშვებას, ისე სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმის, ი. ა. პრიბილის მიერ შემოღებულ კალომელის ხმარებას. ეტყობა ჰოსპიტალში არ იყენებდნენ ანდრეევსკის მეთოდს — ქოლერის მკურნალობას თეთრი ნავთით. აღსანიშნავია, რომ სისხლის გამოშვებას მართლაც ვნება უნდა მოეტანა ქოლერით

---

1 Красноглядов, «Замечания о холере, появившейся в Тифлисе, в июне, 1847 года, СПБ, 1847.

დაავადებულთათვის, რადგან მათი ორგანიზმი ისედაც დასრუტულია სითხისაგან, თეთრ ნავთს კი შესაძლებელია მადეზინფექცირებელი და დადებითი როლი შეესრულებინა ქოლერიან ავადმყოფთა მკურნალობაში.

ქ ო ლ ე რ ი ს 1857 წ ლ ი ს ე პ ი დ ე მ ი ა. შავი ჭირის ეპიდემია შედარებით იშვიათი გახდა, სამაგიეროდ ქოლერა შეიქმნა ხშირი სტუმარი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მცხოვრებთათვის. ბარიატინსკის № 540 მიმართვით 1857 წლის 30 ივლისს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებენ, რომ ამიერკავკასიაში, შუშის მაზრაში, მაისის პირველ რიცხვებში გაჩნდა ქოლერა. მაისის ბოლოს გამოჩნდა სიღნაღის მაზრაში, ივლისის ბოლოსათვის კი თბილისში. უკანასკნელი ცნობებით, როგორც ბარიატინსკი იტყობინება, შუშის მაზრაში 26 მაისისათვის ავად გამხდარა 255, გამოჯანმრთელებულა 185, გარდაცვლილა 53.

შუშის მაზრაში 26 მაისისათვის ავად გამხდარა 255, გამოჯანსაღდა 185, ვარდაიცვალა 53.

ვარადინში 1/7	ავად	გამხდარა	18,	გამოჯანსაღდა	9,	გარდაიცვალა 9
ლენჭორანში 27/5	„	21		3		10
შემახში 14/7		98		5		53
სიღნაღში 4/6—15/6	„	65	„	40	„	16
ელიზავეტპოლში	„	4	„	1	„	3

ბარიატინსკი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებს, რომ მან გუბერნატორებს უბრძანა ქოლერის გავრცელების ლიკვიდაციისა და დაავადებულთა მკურნალობისათვის მიიღონ ისეთივე ზომები, როგორიც 1847 წელს იქნა მიღებული[1].

1858 წლის 11 აპრილს[2] ბარიატინსკი იმავე კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს პეტერბურგში უგზავნის 1857 წლის ქოლერის ეპიდემიის საბოლოო შედეგებს, რომლის მიხედვით პირველად 1857 წლის 5 მაისს გამოჩენილი ქოლერა საბოლოოდ შეწყდა იმავე წლის 11 დეკემბერს. მთელ ამიერკავკასიაში, ამ ხნის განმავლობაში, ავად გამხდარა 16377 კაცი, აქედან გარდაცვლილა 5914. ცნობაში მოცემულია ცალკეულ ადგილებზე ეპიდემიის გამოჩენის, ჩაქრობის, დაავადებულთა და გარდაც-

---

1 აქტები, ტ. XII, წიგნი I, 1904, გვ. 173.

2 იქვე, გვ. 175.

ვლილთა ზუსტი მონაცემები. თბილისის გუბერნიის მაზრებიდან ნაჩვენებია შემდეგი:

სიღნაღში	გაჩნდა 29/5, შეწყდა 6/9, ავად გამხ. 1351, გრდ. 403				
თელავში	გაჩნდა 10/6, შეწყდა 7/10, ავდ გამხ. 209, გარდაც. 107				
თბილისში	12/6	28/8	854	„	221
სართიჭალაში	2/7	10/7	20	„	8
ბორჩალოში	2/7	2/9	94		45
გორში	4/7	22/8	61		24
ოსეთის ოლქში	16/7	1/X	108		151
ელიზავეტპოლში	—	—	527		228
	სულ თბილისის გუბერნიაში 3257				1051

სამედიცინო ნაწილის სამმართველოს 1857 წლის წლიურ ანგარიშში[1] ქოლერის ამ ეპიდემიას მსუბუქ ფორმად მიიჩნევენ. მას განასხვავებენ აღმოსავლეთის ქოლერისაგან Cholera orientalis და თავისი ეპიდემიური და კლინიკური მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით მიაკუთვნებენ „სამამულო ქოლერას Cholera nostra ანუ ხოლერინას, რომელიც თითქოს ხასიათდებოდა კუჭ-ნაწლავის უბრალო აშლილობით და ემორჩილებოდა დროულ მკურნალობას. რაც არ უნდა მსუბუქ ფორმად მიიჩნიონ იგი სიკვდილიანობის 30%-ს მაინც იძლევა, მაგრამ ადრინდელი ეპიდემიები 60%-მდე იძლეოდა და ამდენად მისი სიმსუბუქე შედარებითია.

ქოლერის ეპიდემია საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე 1865 წლამდე აღარ გამოჩენილა.

ყ ვ ა ვ ი ლ ი

ყვავილის სამშობლოდ ჩინეთი და ინდოეთი ითვლება. ყვავილი პირველად რუსეთში მხოლოდ მე-16 საუკუნეში გამოჩნდა, ევროპაში კი მე-6 საუკუნიდან არის ცნობილი. ყვავილის ეპიდემია მუსრს ავლებდა კაცობრიობას, ასეულ ათასობით განისაზღვრება ყვავილით დაღუპულთა რიცხვი. რუსეთში 1881—1890 წლებში, ე. ი. 10 წლის განმავლობაში, 1 მილიონამდე მცხოვრები გამხდარა ავად, აქედან 205.200 გარდაცვლილა, ე. ი. 25%-ზე მეტი, გადარჩენილთა გარკვეული

---

1 ЦГИА ф. 1297, 1857, оп. 244, д. 777.

ნაწილი კი დამახინჯებული და დაბრმავებული იყო. საქართველოში, ჩანს, უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული ყვავილი, რადგან მისი საწინააღმდეგო ღონისძიება აცრის სახით ძველი დროიდან გამოუმუშავებია ქართველ ხალხს. XI საუკუნის „უსწორო კარაბადინში“ ნახსენებია და აღწერილია ყვავილი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გაჩნდა ყვავილი, მაგრამ ძლიერი და მომსვრელი ეპიდემიის სახით არ გავრცელებულა. ის საქართველოს მოსახლეობაში არ იწვევდა ისეთ პანიკასა და შიშს, როგორც მაგალითად, შაკი ჭირი და ქოლერა, ალბათ იმიტომ, რომ მათ იცოდნენ ყვავილის საწინააღმდეგო აცრა ვარიოლაციის სახით.

რუსეთთან შეერთებამდე ედუარდ ჯენერის მიერ 1796 წელს შემოღებული ძროხის ყვავილის აცრა ანუ ვაქცინაცია საქართველოში არ იყო გავრცელებული (ცნობილია, რომ ინგლისში, ჯენერის სამშობლოში, ყვავილის აცრის იდეა ვარიოლაციის სახით საქართველოდან იქნა შეტანილი).

როგორც ა. ციციანოვის მიერ კოჩუბეისათვის მიმართული 1805 წლის 19 ოქტომბრის წერილით ირკვევა, მას პეტერბურგიდან მიუღია (1805 წ. 29/6-ის №587) მომართვა საქართველოში ძროხის ყვავილის აცრის, ანუ ვაქცინაციის გავრცელების შესახებ. ამ მომართვაზე პ. ციციანოვი შემდეგ პასუხს იძლევა:

«О распространений в Грузии прививания коревьей оспы я имею честь получить и имею таковую же в. с. донести, что несколько сот лет как бабки по деревням в грузии прививают оспу только не коровью, а обыкновенную и при том болезнь сия не производит здесь никаких худых последствии. За всем тем не оставлю я обвешанием в нушить о лользе сей коровный оспы»[1].

შემდეგში იტყობინება, რომ მიღებული ინსტრუქციები გადაუგზავნა კაპიტან-ისპრავნიკებსა და კომენდანტს, მაგრამ ეჭვობს, რომ მან გავრცელება ჰპოვოს ქართველ მოსახლეობაში სწორედ ეს მომენტი ითვლება საქართველოში ყვავილის აცრა-ვაქცინაციის პოპულარიზაციისა და გავრცელების დასაწყისად.

---

[1] Акты, т. II, стр. 254.

1808 წელს 30 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრი წერს საქართველოს მმართველს ახვერდოვს, რომ ექიმი გუნი ამზადებს ყვავილის პირველ ვაქცინას „Материя сей оспы“. როგორც ჩანს, ექ. გუნი უშუალოდ უგზავნიდა მაზრის ექიმებს ასაცრელ მასალას და თვითონვე თხოულობდა აცრილ ბავშვთა რაოდენობის შესახებ ცნობებს და სხვ. მინისტრი იტყობინება, რომ საჭირო არაა ცნობები ეგზავნებოდეს ექ. გუნს. ცნობები გაგზავნილ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროში და აქედან ვისაც ჯერ არს მიეცემა ცნობები საჭიროებისამებრ. ყვავილის „მატერია“, გაგზავნილი ექიმი გუნის მიერ, უნდა იგზავნებოდეს ძალიან ფრთხილად, მიღებული მასალა გასინჯულ უნდა იქნეს, სანამ გაეგზავნება მაზრის ექიმებს. თუ საცდელი აცრის შემდეგ არ აღმოჩნდა გამოსადეგი (ე. ი. რეაქცია არ მოგვცა), მაშინ ის როგორც უვარგისი არ გაეგზავნოს მაზრის ექიმებს, რათა უსარგებლო აცრამ არ გამოიწვიოს მოსახლეობის უნდობლობა აცრის მიმართ[1].

1808 წ. 24 ივნისს, (აგრეთვე 30 ივლისს), ვორონჩენკოვი წერს ახვერდოვს, რომ მოსახლეობა არ იძლევა აცრის ნებას, ამასვე იტყობინებიან ანანურიდანაც. ვორონჩენკოვი თხოულობს, რომ მიწერონ კომენდანტებსა და პოლიციას, რათა დახმარება გაუწიონ ექიმებს.

1808 წელს თელავის მაზრის ექიმი ფილარერრო დადიოდა სოფლებში ყვავილის ასაცრელად. იყო საბუეში, საგარეჯოში, კალურში, ენისელში, რუისპირში და ადგილობრივ მოხელეთა მიერ დადასტურებულ ცნობებს აგზავნიდა საქართველოს საექიმო მმართველობაში. მაგრამ ამას იმდენად ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, რომ სრულიად უმნიშვნელო იყო ბავშვთა ამ დაავადებებისაგან დაცვის საქმეში. 1811 წლის 3 მაისის დადგენილების თანახმად გუბერნიის საექიმო მმართველობასთან და, კერძოდ, საქართველოს საექიმო მმართველობასთან, აგრეთვე ყველა მაზრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ყვავილის კომიტეტები (оспенный комитет) მაგრამ საქართველოში, რატომღაც, დაგვიანდა მათი შექმნა. 1816 წლის 20

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 698.

იანვრისათვის. «В Грузии как здесь в Тифлисе, так и по уездным городам комитетов и прививании предохранительной оспы по неудобности еще не открыты»[1].

ამას წერს საქართველოს საექიმო მმართველობა სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული მომართვის პასუხად. სამედიცინო დეპარტამენტი 1815 წლის 27 ნოემბერს წერდა, რომ 1811 წლის 3 მაისის დადგენილებით ყვავილის კომიტეტებს დავალებული აქვთ 3 წლის განმავლობაშ არ დატოვონ არც ერთი ბავშვი ყვავილის საწინააღმდეგო აცრის გარეშე. გარდა უკანასკნელი წლის უკანასკნელ მესამედში დაბადებულებისა, მაგრამ ომის გამო ეს საქმე შეფერხებულა. ამიტომ სამედიცინო დეპარტამენტი იტყობინება, რომ ვადა, რომელშიც უნდა აცრილიყო ყველა ბავშვი გაგრძელებულია, კიდევ ორი წლით. იმ პირებს (ექიმის მოწაფეები, კერძო პირები, გლეხები), რომლებიც წლის განმავლობაში — 1000 ბავშვს აუცრიან ჯილდოს სახით მიეცემათ ინსტრუმენტები, გაკეთებული «По одобренному образцу» საჭიროა აიღონ ვალდებულება და ყოველგვარი საშუალებით გაავრცელონ ეს ოპერაცია.

ამ მომართვის საფუძველზე საქართველოს საექიმო მმართველობამ ყველა მაზრის ექიმს გაუგზავნა მსგავსი მიმართვები, სადაც აღნიშნულია, რომ ყოველი სამედიცინო მოხელე ცდილობდეს „რაც შეიძლება მეტ ბავშვს აუცრას ყვავილი და მათი რაოდენობის შესახებ დროზე აცნობოს საექიმო მმართველობას“[2].

ვორონჩენკოვი სამედიცინო დეპარტამენტის მოთხოვნის თანახმად აგზავნის უწყისს იმ ბავშვთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც აეცრათ წინადამცველი ყვავილი საქართველოში, 1814 წლის 1 იანვრიდან 1815 წლს 1 ნოემბრამდის“. ამ უწყისით ირკვევა, რომ წელიწადსა და 9 თვეში აცრილა ყვავილი სულ 2495 ბავშვზე.

ვორონჩენკოვი წერს სამედიცინო დეპარტამენტს, რომ მათ მიერ მოთხოვნილ ფორმასა და კითხვებს ვერ პასუხობს, რად-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1947.
[2] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1947.

გან აღნიშნული ცნობების შედგენა ყვავილის კომიტეტის კომ-პეტენციას შეადგენს, რომელიც რატომღაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საქართველოში. ამიტომ ვერ პასუხობს კით-

ადგილმდებარეობის დასახელება	აცრილია	მიიღო	არ მიიღო	აუცრა
ქ. თბილისში	647	624	20	ვორონ[ჩ]ენკოვმა
„	653	630	23	პრიბილიმ
„	415	400	15	დობროტოვსკიმ
ქ. გორში	360	345	65	კორალსიმ
გორჩალოს დისტანციის სხვადასხვა სოფლებში	420	400	20	თათარი მირზა ალი ალიბალოვი

ხვებზე: დაბადებული, გარდაცვლილი და აუცრელად დარჩენილი ბავშვების რაოდენობის შესახებ და ჯერდება მხოლოდ ზემოაღნიშნულ უწყისს[1].

მაზრის ექიმები ხშირად ჩივიან, რომ ხალხი გაურბის ყვავილის აცრას. 1817 წლის 1 აგვისტოს საქართველოს საექიმო მმართველობის ინსპექტორი პრიბილი და ოპერატორი ვორონ-ჩენკოვი ატყობინებენ სტალს, რომ როგორც მაზრის ექიმების რაპორტით ირკვევა, მოსახლეობა არ იცრის ყვავილს და თხოულობენ გაუწიონ რაიმე დახმარება ამ საქმის შესრულებაში. 1820 წლის 6 თვის (1/1-დან 1/7-მდე) უწყისით ირკვევა, რომ აცრას ჯერ კდევ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ზოგიერთ მაზრაში არ აუცრიათ არც ერთი ბავშვი. ასე მაგალითად:

1824 წლის 11 დეკემბერს დეპნერი და მარტინენკო საქართველოს საექიმო მმართველობის სახელით კვლავ წერენ ხოვენს, რომ საქართველოში (მაზრის ექიმების ცნობებითა და ჩვენი დასტურით) ხალხი კვდება ნატურალური ყვავილით, ამიტომ საჭიროა ყვავილის აცრა უფრო გავრცელდეს, ჩამოყალიბდეს მაზრებში ყვავილის კომიტეტები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ სამედიცნო მოხელეებს ყვავილის აცრაში[2]. საჭიროა აგრეთვე ჩამოყალიბდეს საქართველოს ყვავილის კო-

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1785.
[2] ცენტრარქივი ფ. 16, საქმე 3130—3298.

მიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სამაზრო ყვავილის კომიტეტს საამისო დასტურს იძლევა მთავარმართებელი ერმოლოვი. ამგვარად, 1811 წელს გადაწყდა ყვავილის კომიტეტების შექმნა, მაგრამ 1824 წლამდის ვერ მოხერხდა, მიუ-

მაზრის ან ქალაქის დასახელება	აცრილია	მიიღო	არ მიიღო	აუცრა
თბილისში	354	349	5	სომხის მღვდელმა ტერ-დავიდოვმა, ტერ-ხაჩატუროვმა და სხვ.
თელავის მაზრაში	212	190	22	ტერ-ბაღდასარმა, ტერ-ხაჩატურმა
	125	117	8	ექიმის მოწაფემ-იაკუნინმა
	389	238	51	თელაველმა მცხოვრებმა ბეკანამ
გორის მაზრაში	240	237	3	ქალაქის ექიმმა გუშიჩკამ
სიღნაღის მაზრაში	648	648	—	ქალაქის ექიმმა ლიუტვიდმა
„	211	211	—	სიღნაღის მაზრის მცხოვრებმა ივანე სიმონოვმა
ბამბაკის დისტანცია	608	608	—	სომხის მღვდელმა ტერ-მემლიქსეტექსმა
	23	23	—	სომხის მღვდელმა არუთინოვმა
სულ	2810	2721	89[1]	

ხედავად იმისა, რომ ცალკეული სამედიცინო მოხელეები ხშირად მოითხოვდნენ მას და პერიოდულად ამახვილებდნენ ყურადღებას ამ საკითხზე.

ამჯერად ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მთავრობამ საექიმო მმართველობის მოთხოვნას და ჩამოყალიბდა ყვავილის კომიტეტები. მაზრებში ადგილობრივ ხელისუფალთ დაეგზავნათ მიმართვები. საქართველოს არქიეპისკოპოსი, სომხური ეკლესიის მეთაურები და თავადაზნაურთა წარმომადგენლები იძლევიან თავიანთ კადრებს კომიტეტების წევრებად. კომიტეტის წევრთა ტიპიური შემადგენლობა ასეთი იყო: მაზრის ექიმი, თავადაზნაურთა წინამძღოლი, სასულიერო პირი.

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 2650.

მაგალითად, თელავის მაზრის ყვავილის კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. თელავის მაზრის ექიმი სტ. შარიმანაშვილი, 2. მარშალი პორუჩიკი ჩოლოყაშვილი, 3. ქართული ეკლესიის წარმომადგენელი ზაქარია სიდამონიძე, 4. სომხური ეკლესიის წარმომადგენელი ბაღდასარ ტერ-სარქისოვი. არც კომიტეტების ჩამოყალიბებას შეუცვლია მაინცდამაინც დიდად მდგომარეობა. 1827 წლის 13 აპრილს სამოქალაქო ნაწილის გენერალ-შტაბ-დოქტორი კვლავ წერს, რომ ყვავილის აცრის საქმე დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა, მაგრამ ვერ დგას სათანადო დონეზე. საჭიროა, რომ მაზრის ექიმებმა, ყვავილის აცრის კომიტეტმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მას, ყოველდღიურად წარმოადგინონ ცნობები საექიმო მმართველობაში და ყვავილის კომიტეტებში, არა მარტო მათ მიერ გაკეთებული აცრის რაოდენობის შესახებ, არამედ ისიც თუ რამდენს და ვის შეასწავლეს ყვავილის აცრა.

«Усердие и полезное для Государства в деле оспопрививания участие всякого лица не останется безнаграждения», მაგრამ ის, ვისაც ვალდებულება აკისრია, ამ საქმეში და არ შეასრულებს «Будет взыскано с примерною строгостью».

1828 წლის 24 მაისს საქართველოს ყვავილის[1] კომიტეტი საქ. სამოქალაქო გუბერნატორს ხოვენს აძლევს წარდგინებას, სადაც ყვავილის აცრის გავრცელების წარუმატებლობის მიზეზად დასახელებულია ხალხის გაუნათლებლობა, დაბნეულობა და ცრურწმენა. კომიტეტი მოითხოვს გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი: 1. ხელახლა მიეთითოს საქართველოს ყველა სამაზრო ექიმს, რათა მათ თვითონ კი არ დაიწყონ ყვავილის აცრა, არამედ ეცადონ ეს ოპერაცია შეასწავლონ სხვებს. 2. თავიანთი მოვალეობის გარდა, ბებიაქალებს დაევალოს ყვავილის აცრა. 3. წინადადება მიეცეს ქართულ და სომხურ ეკლესიის წარმომადგენლებს სურვილის მიხედვით თავიანთი რიგებიდან გამოჰყონ ვაქცინატორები. 4. ადგილობრივი ხელისუფალთა მიერ გამოვლინდეს, ყვავილის აცრის გავრცელებაში

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 3626.

მოპოვებული წარმატებებისათვის, დასაჯილდოებელი პირები, განთავისუფლდნენ ისინი ზოგიერთ საზოგადოებრივ ვალდებულებათაგან (გადასახადები და სხვ.). 5. საქართველოს საექიმო მმართველობამ გაიღოს ფულადი ჯილდოები ექიმის იმ მოწაფეებზე, რომლებიც განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ყვავილის აცრაში და ამზადებენ ახალ ვაქცინატორებს. 6. ყველგან განმეორებით მიეთითოს პოლიციას, რომ მათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ყვავილის ამცრელებს, ეკლესიებმა კიდევ უფრო გააძლიერონ იმ პირთა შეგონებები, რომლებიც გაურბიან ყვავილის აცრას და სხვ.[1].

1828 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ეგზარხოსი ატყობინებს გენერალ ხოვენს, რომ მან საქართველოს სამღვდელოებას გამოუცხადა გამოიყენონ დარწმუნების ყოველგვარი ზომები „и пастирские увещания" ხალხის მიმართ, ბავშვებზე ყვავილის წინადამცველი აცრის სარგებლობის შესახებ. მათ მიეცათ აგრეთვე რჩევა გახდნენ ვაქცინატორები ისწავლონ და აუცრან ბავშვებს ყვავილი და სხვ.[2].

ყვავილაცრილ ბავშვთა რაოდენობა ნელ-ნელა იზრდებოდა. 1838 წლის „საინსპექტორო შემოვლის ჟურნალში" საქართველოს საექიმო მმართველობა ათავსებს შეჯამებულ მასალებს, სადაც ყვავილის აცრის შესახებ შემდეგი ჩანაწერია გაკეთებული:

«Оспопрививания в Закавказском крае возимела довлитый успех, несравненно против прежнего времени, втечении 1838 года привито предохранительной оспы 6946 младенцам».

მეფის ბიუროკრატიული მთავრობა ცალკეულ პირთა და მოღვაწეთა ყურადსაღები წინადადებებისა და რაციონალურ მოსაზრებათა პრაქტიკაში დანერგვას ათეული წლები უნდებოდა. საქართველოს ყვავილის კომიტეტი დაგვიანებით ჩამოყალიბდა, ხოლო მის 1828 წლის წინადადებებზე, ყვავილის ამცრელთა (ვაქცინატორთა) წახალისების მიზნით დაჯილდოებისა და ზოგიერთ ვალდებულებათაგან განთავისუფლების შესახებ, მხოლოდ 1850 წელს მოახდინეს რეაგირება.

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16. საქმე 3822.

[2] ენტრარქივი, ფ. 16, საქმე 3829.

1850 წლის 22 ოქტომბრის მომართვაში ნათქვამია: მეფისნაცვლისა და კავკასიის კომიტეტის წარდგენით დამტკიცებულია, რომ ის პირები, რომლებიც ითვლებიან ყვავილის ამცრელებად ამიერკავკასიაში, განთავისუფლდნენ ოჯახიანად ფულადი და ნატურალური გადასახადისაგან და საზოგადოებრივი ბეგარისაგან იმ ხნის განმავლობაში, სანამ ითვლებიან ვაქციონატორებად[1].

1843 წელს მთელ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში აცრილია 11333. ყვავილის ამცრელთა რაოდენობა 105 ყოფილა, გაცემულია ყვავილის ასაცრელი 112 დანა. დაურიგებიათ აგრეთვე მოკლე, ყვავილის აცრის სახელმძღვანელო ინსტრუქცია ქართულ ენაზე — 22, თათრულზე — 56, სომხურზე — 56, რუსულზე — 42. ამ დროისათვის წლიურ ანგარიშებში წერენ, რომ „საქართველო-იმერეთის გუბერნიის მცხოვრებლებს აღარ ეეშვებათ ყვავილის აცრის სარგებლიანობა და ყველა სიამოვნებით მიმართავს მას. ყვავილის ამცრელთა საქმიანობა მიმდინარეობს მაზრის ექიმისა და საერთოდ ყვავილის აცრის სამაზრო კომიტეტის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ"[2]. მაგრამ, როგორც ივ. პოპეიკოს 1845 წლის წლიური ანგარიშის ზემომოყვანილი კრიტიკული ანალიზიდან ირკვევა. წლიურ ანგარიშებში არაიშვიათად, გადაჭარბებულად და შელამაზებულად ასახავდნენ ხოლმე სინამდვილეს და რაც არ უნდა დიდი იყოს აცრილთა რაოდენობა და ვაქციონატორთა რიცხვი, თუ თვით ვაქცინა უვარგისია, რასაკვირველია, ყოველგვარი ღონისძიება ფუჭია.

1845 და 1849 წლების ყვავილის ეპიდემიები აღწერილია თბილისის ქალაქის ექიმის პ. საბოლშჩიკოვის[4] სტატიაში. იგი შემდეგ ცნობებს იძლევა ამ ეპიდემიათა შესახებ.

1845 წლის იანვრის თვეში თბილისში გამოჩენილა ყვავილის ეპიდემია, რომელიც მომდევნო (1846 წლის) 1 ივნისამდე გაგრძელებულა.

---

[1] Акты, т. X. стр. 224.

[2] ЦГИА, ф. 1297, г. 1844, оп. 244, д. 31.

[3] Кавказский календарь, 1852, стр. 505—519.

1845 წლის I ნახევარში ყვავილით გარდაცვლილა მამრ. სქესის — 8, დედრ. — 8, სულ — 16.

II ნახევარში ყვავილით გარდაცვლილა მამრ. სქესის — 179; დედრ. — 150, სულ — 329.

1846 წ. 1/I-დან 1/6-მდე	99	77	— 176
სულ:	286	235	521

ასაკის მიხედვით სიკვდილიანობა ასეთ სურათს იძლეოდა: ცხოვრების I წელს უმნიშვნელოა. განსაკუთრებით დიდია სიკვდილიანობა 1—5 წლამდე. 1—10 წლამდე გოგონები მეტი რაოდენობით კვდებოდნენ, ვიდრე ბიჭები. 10 წლის ზემოთ კი, პირიქით, ბიჭები მეტი—ვიდრე გოგონები. ასე მაგალითად, დაბადებიდან 10 წლამდე 170 ბიჭი მოკვდა და 206 გოგონა და 10 წლიდან 50 წლამდე 116 მამაკაცი და 29 ქალი. ასაკის მიხედვით სიკვდილიანობის ნათელი სურათია შემდეგ ცხრილში:

ცხოვრების 1 წელს გარდაიც.	მამრ. — 13,	დედრ. — 37,	სულ—ორ. სქ. 50
1—5	92	117	209
5—10	65	52	117
10—20	41	41	60
20—30	62	8	70
30—40	10	1	11
40—50	3	1	4
სულ:	286	235	521

1849 წელს კვლავ იყო ყვავილის ეპიდემია თბილისში შედარებით ნაკლები სიძლიერით, ის 1849 წლის აგვისტოდან დაიწყო და მომდევნო 1850 წ. ივნისამდე გაგრძელდა. სიკვდილიანობა თვეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

	1849 წ.	1850 წ.
იანვარში გარდაიცვალა ქ. თბილისში	5	23
თებერვალში "	12	15
მარტში	8	7
აპრილში	7	11
მაისში	8	2
ივნისში	6	1

ივლისში			9	—
აგვისტოში			14	1
სექტემბერში		„	32	—
ოქტომბერში		„	77	—
ნოემბერში		„	50	—
დეკემბერში	„	„	49	—
			277	601

სულ გარდაიცვალა 337 კაცი.

ეპიდემიებმა ყვავილის აცრის საქმე წინ წასწია. მკვეთრად გაიზარდა მომდევნო წლებში ყვავილის აცრის რიცხვი.

1850 წელს ქუთაისის გუბერნიაშიც ყოფილა ყვავილის ეპიდემია, რომელიც ოსეთიდან შემოსულა. მიუხედავად მიღებული ზომებისა (იზოლაცია, აცრის გაძლიერება ახალი კარგი ვაქცინით და სხვ.) ეპიდემია თებერვლიდან ივნისის ბოლომდე გაგრძელდა. განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა ყვავილის ეპიდემია რაჭის მაზრაში, რასაც ხსნიან მცხოვრებთა ხშირი მიმოსვლით ქალაქებში და ასაცრელი მასალების უკმარისობით ამ მხარეში.

წლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყვავილის აცრის საქმე ქუთაისის გუბერნიაში სავალალო მდგომარეობაშია. გუბერნიას სულ 15 ვაქციონატორი ჰყავს. 1850 წელს აუცრია „ 13591 ბავშვი. ბევრია აუცრელი მოზრდილებშიც. აცრისა და ვაქცინატორების საქმიანობას ხელმძღვანელობს გუბერნიის ექიმი. მომდევნო 1851 წლიდან კი განზრახული ყოფილა აცრის ხელმძღვანელობა უშუალოდ მაზრის ექიმებისათვის დაეკისრებინათ[2]. მოთხოვნილი იყო ვაქცინატორების შტატის გადიდება. 1850 წელს[3] თბილისის გუბერნიაში აუცრიათ სხვადასხვა ასაკის 12572 მცხოვრები. გუბერნიაში სულ 54 ვაქცინატორია, თბილისში — 11, გორში — 3, თელავში — 5, სიღნაღში — 2, ელიზავეტპოლში — 15, ოსეთის ოლქში — 2, მთის ოლქში — 2, თუშ-ფშავ-ხევსურეთში — 2, ჭარ-ბელა-

---

1 Акты, т. XI, стр. 842—844.

2 ЦГИА СССР, ф. 1297 оп. 244 д. 426.

3 ЦГИА СССР, ф. 1297 оп. 244 д. 427.

ქანში — 12. მათზე გაცემულია 80 ასაცრელი დანა. წახალისების მიზნით შემოღებული იყო ყოველწლიურად ვაქცინატორების დაჯილდოება „მედლით“. ყვავილის ეპიდემია, თბილისის გარდა, გავრცელებულა თელავსა და სიღნაღში, სიღნაღში ავად გამხდარა 375, აქედან 56 გარდაცვლილა, თელავში — 92, გარდაცვლილა — 6.

1857 წელს კვლავ ეპიდემიაა თბილისის გუბერნიაში. მას სპორადული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მთლიანად მაინც ყვავილით დაავადებულთა რიცხვმა 337-ს მიაღწია (აქედან მხოლოდ 13 გარდაიცვალა): თბილისში — 13 (გარდაიცვალა 7), გორში — 229 (სიკვდილიანობა სულ არაა), თელავში — 94 (გარდაიცვალა 6), სიღნაღში — 1.

ამ წელს 10875 კაცი აიცრა. ვაქცინატორთა რაოდენობა გუბერნიაში იგივეა, რაც 1850 წლისათვის (54).

აღსანიშნავია, რომ ამ წელს სიღნაღში ყვავილის ერთი შემთხვევაა, მაგრამ წითელას საკმაოდ დიდი ეპიდემიური ხასიათი მიუღია (303 დაავადებული, 25 გარდაცვლილი).

1857 წელს ქუთაისში ყვავილით დაავადების შემთხვევები არ ყოფილა. ვაქცინატორთა რაოდენობა, 1850 წელთან შედარებით, მხოლოდ 3-ით გაიზარდა (18). ვაქცინატორთა შტატის ასეთი სიმცირის კომპენსაციას ცდილობენ მოხალისე ვაქცინატორებით (30 მოხალისე). ქუთაისის ეკონომიურ საზოგადოებას გუბერნიის ექიმის წარდგინებით 4 ჯილდო დაუწესებია და გაუცია 1857 წელს საუკეთესო ვაქცინატორებზე (ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი). წლის განმავლობაში აუცრიათ 5321 პირისათვის. საერთოდ მაინც 50-იანი წლების ბოლოსათვის ყვავილის აცრის საქმემ წინ წაიწია. იგი მომდევნო წლებში თანდათან მატულობს. ასე მაგალითად, შეჯამებული სტატიტიკური ცნობებით მთლიანად თბილისსა და ქუთაისის გუბერნიაში:

აცრილია ყვავილზე:	1854 წელს 31110 მცხოვრები,	1855 წელს 31650
დარჩა აუცრელი:	8572	4954
მოკვდა ყვავილის აცრის გარეშე	477	762[1]

[1] Акты, т. XI стр. 842—844.

ზემომოყვანილი თანმიმდევრული სტატისტიკური ცნობები, ვფიქრობთ, იძლევიან მთელი გარდამავალი ხანის ნათელ სურათს ყვავილის ეპიდემიის გავრცელებისა, ამ ეპიდემიით გამოწვეული სიკვდილიანობისა და გატარებული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

საკარანტინო სამსახური

ეპიდემიებთან ბრძოლის საშუალებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიება იყო საკარანტინო ქსელი, რომელიც უმთავრესად ეწყობოდა საზღვრისპირა საკვანძო-სავაჭრო გზებზე, ეპიდემიების დროს კი დაინფიცირებული უბნის სადემარკაციო ხაზებიდან გამომავალ გზებზე. საკარანტინო სამსახურის უმთავრესი მოვალეობა იყო გარეშე სახელმწიფოებიდან ან დაინფიცირებული უბნებიდან ეპიდემიის შემოტანასა და გავრცელებასთან ბრძოლა, დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფთა იზოლაცია და მაშინდელი საშუალებებით მათი დეზინფექცია, ე. ი. ის ასრულებდა დაახლოებით დღევანდელი სანეპიდსადგურების როლს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ჩვენში კარანტინები არ არსებობდა. საჭიროების დროს ცხადდებოდა მხოლოდ მეფის მკაცრი ბრძანება საზღვრის, ანდა ინფიცირებული უბნის სრული იზოლაციის შესახებ, რითაც ხშირად მიზანსაც აღწევდნენ, რადგან ეპიდემიის შიშით ყოველი მოქალაქე დაინტერესებული იყო ბრძანება ზუსტად შეესრულებინა.

1803 წლის 18 აპრილს პ. ციციანოვი წერს რაპორტს[1], რომ საჭიროა საქართველოს იმ საზღვრების უზრუნველყოფა კარანტინებით, რომლებიც ყველაზე საშიშია ინფექციურ დაავადებათა შემოტანის მხრივ. ლაპარაკია, სახელდობრ, ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებზე. ამ მიზნით თხოულობს 4 კარანტინის გახსნას.

1. სურამში — იმერეთის საზღვართან,
2. წალკაში ახალციხე-ჯავახეთის საზღვარზე.

---

[1] Акты, т. II, стр. 239.

3. კარაკლისში — ყარსისა და ერევნის ოლქის საზღვრებში.

4. შამშადილში — შამშადილის პროვინციაში, განჯის სახანოს საზღვართან.

კარანტინები უნდა ყოფილიყო საბაჟოებთან ერთად ჩამოყალიბებული. თვითეული კარანტინისა და საბაჟოს შენახვისათვის ციციანოვი წლიურად თხოულობს 10.000 მანეთს. ციციანოვის ამ წერილიდანვე ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1801 წელს კნორინგს შეუდგენია მოთხოვნა კარანტინების გახსნის შესახებ, მაგრამ ჩანს უყურადღებოდ დაუტოვებიათ, რადგან ციციანოვს დასჭირდა საკითხის ხელმეორედ დასმა. იმავე წლის 31 აგვისტოს კოჩუბეის[1] თხოვს, რათა აპრობირებულ იქნეს დროულად მისი მოთხოვნა კარანტინების გახსნის თაობაზე და გამოიყოს ფულადი სახსრები მათ მოსაწყობად. თუმცა ამჟამად შავი ჭირის ეპიდემია თითქოს ჩამცხრალია, მაგრამ გაზაფხულზე სავაჭრო გზებიდან საქონელთან ერთად კიდევ შემოვა, თუ სასაზღვრო კარანტინები არ იქნებაო.

1803 წლის 23 ოქომბრის რესკრიპტით დაამტკიცეს საბაჟო-საკარანტინო საგუშაგოები, 1804 წლის 1 იანვრიდან — ზემოხსენებულ ადგილებში. ამ ოთხიდან ერევან-ყარსის საზღვარზე მდებარე, კარაკლისის საბაჟო-საკარანტინო საგუშაგო მიჩნეულ იქნა მთავარ, სრულ საგუშაგოდ, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა დანარჩენ 3 საგუშაგოს[2].

მაშასადამე, კარანტინების გახსნა უშუალოდ დაკავშირებული იყო არა მარტო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან, არამედ მთავრობის საბაჟო-საგადასახადო, ე. ი. ფინანსურ-ეკონომიურ ღონისძიებებთან. გარდა ამ სასაზღვრო კარანტინებისა, ეპიდემიებთან დაკავშირებით იხსნებოდა დროებითი კარანტინები. მაგალითად, 1807 წლის 16 აგვისტოს ტაგაურის ხეობაში გაჩენილი ეპიდემიის გამო დროებითი კარანტინი გაუხსნიათ სოფ. ყაზბეგში და კაიშაურის პოსტთან[3]. იმავე წლის 4 დეკემბერს ქართლის ერთ-ერთ სოფელში გაჩენილა გადამ-

---

[1] Акты, т. II, стр. 242.

[2] იქვე.

[3] Акты, т. III, стр. 43.

დები სნეულება. გუდოვიჩი წინადადებას აძლევს ლიტვინოვს, რომ სოფ. თამარშენში, მოხერხებულ ადგილას გახსნას კარანტინი, დანიშნოს სამედიცინო მოხელე, მოამარაგოს მედიკამენტებით და მოახდინოს სოფლის გასინჯვა და „შებოლება“ (დეზინფექცია) როგორც საჭიროება მოითხოვს. სოფლის გარშემო დააყენოს გუშაგები, რათა შეწყდეს ურთიერთობა ამ სოფელთან[1].

1809 წლის ივნისიდან, ეპიდემიის შეწყვეტის შემდეგ, დაიხურა ბევრი შიდა კარანტინი, მაგრამ მაინც დატოვეს კობში, ანანურში, ხოლო მცხეთის კარანტინი გადაიტანეს გორში. ანანურის კარანტინი იცავდა ოსეთიდან მიმავალ გზას და გორსა იმერეთთან დამაკავშირებელ გზას[2]. 1809 წლის ნოემბრის ცნობებით ახალციხეში ჩნდება შავი ჭირი. ტორმასოვი თხოულობს ახალი, დამატებითი კარანტინების გახსნას ბორჩალოში, მცხეთაში, ყაზბეგში და მიუთითებს სამედიცინო მოხელეთა ძლიერ საჭიროებაზე. 1803 წლიდან, შავი ჭირის ეპიდემიის გაჩენის მომენტიდან, — წერს ტორმასოვი კურაკინს, — სულ იგრძნობა სამედიცინო მოხელეთა მწვავე საჭიროება და თხოულობს, რომ გამოგზავნონ ექიმები და ასიგნირებული[3], ახალი, დამატებითი კარანტინების ხარჯები. მაგრამ კურაკინი 1810 წლის 20 იანვარს ზემოხსენებულ მოთხოვნებზე ცივ უარს ამბობს. თქვენი მოთხოვნა დამატებითი კარანტინების გახსნის შესახებ „Не может быть признано удобным“, მიუხედავად შავი ჭირის ეპიდემიის საშიშროებისა. მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ არ გავრცელდეს ეპიდემია. შექმენით დროებითი საგუშაგოები, გამოიყენეთ თქვენს განკარგულებაში მყოფი მოხელეები და არსებული მედიკამენტები. კურაკინი აფრთხილებს, რომ ზედმეტი ხარჯები არ იქნას გაწეული და მიუთითებს:

«На хозяйственная бережливость, дабы ничего не было допущено, что не нужно и без чего легко можно обойтится»[3].

---

[1] Акты, т. III, стр. 54.

[2] იქვე 83, 86.

[3] Акты, т. IV, стр. 88—89.

მაგრამ თანდათან, აუცილებელ საჭიროებათა გამო, იზრდება სასაზღვრო და შინა კარანტინების რაოდენობა. მაგრამ კარანტინები ძალზე მოუწყობელია. თითქმის ყველა ახლადდანიშნული კავკასიის მთავარმართებელი თავის მუშაობის დასაწყისში კარანტინების მშენებლობისა და მათი მოუწყობლობის საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ ისინი ყოველთვის მოუწყობელი რჩებოდა, ისე რომ საკარანტინო წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდნენ.

1818 წლის 22 მაისს ერმოლოვი წერს ვიაზმიტინოვს კარანტინების მოუწყობლობის შესახებ. იგი ახასიათებს ცალკეული კარანტინების მდგომარეობასა და ნაკლოვანებებს და დასძენს:

«Таковые состояние карантинов, остовляет одно только удивление, что язвы не избирала Кавказскую Губернию вечным местом своего пребывания».

ერმოლოვი კატეგორიულად მოითხოვს, რომ გამოგზავნილ იქნეს არქიტექტორი „Но известного не именем, а искуством и хозяйственною распорядительностью". რომ მან შეადგინოს ისეთი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გაითვალისწინებს საკარანტინო სამსახურისათვის საჭირო ყველა ნაგებობას. ერმოლოვმა სამჯერ (22/5 და 23/8—1818 წ. და 9/4—1819) მიწერა ვიაზმიტინოვს კარანტინების მშენებლობის სპეციალისტ-არქიტექტორის გამოგზავნაზე, მაგრამ უარს უთვლიდნენ იმ მოტივით, რომ კავკასიაში არ აპირებდნენ ფართოდ კარანტინების აშენებას და მცირე მასშტაბის მშენებლობისათვის ადგილობრივი კადრებიც საკმარისიაო. დიდი თხოვნის შემდეგ, 1819 წლის 24 მაისს, აგზავნიან არქიტექტორ ვილსტერს. 1818 წელს სენატი იხილავს და ამტკიცებს კარანტინების ახალ წესდებასა და შტატებს. შეიცვალა „შებოლების" („окуривание"—დეზინფექცია) წესები. საქონლის, ნივთის „შებოლება" ახალი წესდებით ხდება ნაჯერი მარილის სიმჟავითა და გოგირდით („пресищенной соляной кислоты и посредством серы").

ამ მეთოდით სტერილიზაციისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული გერმეტული პაკგაუზები, რომლის კარ-ფანჯრე-

ბიდან გაზი არ უნდა გასულიყო. ამ წესით სტერილიზაცია თითქოს არ აფუჭებს ყველაზე ნაზ საქონელსაც კი. ახალი წესდება ითვალისწინებდა, რომ „საქონლის სტერილიზაციას აუცილებლად ესწრებოდეს კარანტინის ლეკარი"[1]. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ კარანტინის მუშაობისა და მოქმედების მოცულობაზე მოგვყავს კარანტინის ტიპიური შტატები და აღწერილობანი: 1819 წელს დუმანის სასაზღვრო კარანტინში იყო სულ 45 კაცი, მათ შორის 1 — კარანტინის კომისარი, 1 — უფროსი ექიმის მოწაფე და 42 — რიგითი ჯარისკაცი, მსახურები და 1 — უნტეროფიცერი. ის შემდეგ ნაგებობათაგან შედგებოდა: აბანო, „შესაბოლებელი" ოთახი. საქონლის საწყობი, ნივთების გასანიავებელი ფარდული, ორი ოთახი მგზავრთათვის, ცეხგაუზი, ნაგებობა მსახურთათვის («под одною связью с служительской") საგუშაგო, იზოლატორი საეჭვოთათვის (сумнительная) კომისრის ოთახი, საექიმო, სამზარეულო, ინსპექტორის სახლი (4 ოთახითა და სამზარეულოთი), მგზავრთა გასასინჯი ფარდული. კარანტინს შემოვლებული ჰქონდა მუხის ღობე[2].

შტატების განსაკუთრებული სიუხვე იგრძნობოდა ყიზლარის სასაზღვრო-საკარანტინო კანტორაში[3], რომელიც მდებარეობდა საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო გზაზე. აქ შემდეგი შტატი იყო გათვალისწინებული: ინსპექტორი — 1, მოადგილე — 1, შტაბ-ლეკარი — 1, მდივანი — 1, ექიმი — 3, ბებიაქალი — 1, თარჯიმანი — 1, კომისარი — 3, პაკგაუზის კომისარი — 1, ზედამხედველი — 11, მწერალი — 2. უფ. ფერშალი — 2, უმც. ფერშალი — 2, მსახური — 20. მომდევნო წლებში ყიზლარის საკარანტინო კანტორა გადატანილ იქნა მოზდოკში, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის სამიმოსვლო ურთიერთობამ ყიზლარიდან მოზდოკში გადაინაცვლა. ყიზლარში დარჩა მხოლოდ საკარანტინო საგუშაგო. კარანტი-

---

1 Акты, т. VII, часть 1, стр. 205..

2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 2445.

3 ცენტრარქივი, ფ. 2, საქმე 279.

ნის ყოველდღიური მუშაობის რეგისტრაციისათვის ასეთი ფორმა არსებობდა:[1]

როდის შეიყვანა კარანტინში	ეინ. ვისი და რა საქონელი	ადამიანთა და საქონლის რიცხვი	გაწმენდის დრო	რა ნივთიერებით გაიწმინდა	როდის გაწერა	იმყოფება კარანტინში	
					თვე და რიცხვი	გაწ. ადამ. რიცხვი	საკარანტინო ვადის დაუმთავრებ. გამო

აღსანიშნავია, რომ საკარანტინო წესდებათა დარღვევისათვის კარანტინის მუშაკები სასტიკად ისჯებოდნენ. მაგალითად, 1816 წელს ორთაჭალის კარანტინის კომისარმა მაგაკელოვმა ჭირიანობის დროს დაარღვია საკარანტინო წესი, მიითვისა გადამდები სნეულებით დაავადებულთა ტანისამოსი და ნივთები, რომელიც უნდა დამწვარიყო ცეცხლში. ერმოლოვის განკარგულებით მას ჩამოერთვა ყველა ჩინი და აზნაურობა («Лишить чинов и дворянства») და გადასახლებულ იქნა ციმბირში სამუდამო საკატორღო სამუშაოზე. განაჩენი დაამტკიცა სენატმა და მოყვანილ იქნა სისრულეში[2]. კავკასიაში განლაგებულ კარანტინებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა კარანტინის ინსპექტორი. საკარანტინო კანტორისადმი ერთგვარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საექიმო მმართველობას. 1828 წლის 30 მაისს საექიმო მმართველობა თხოულობდა, რომ რადგან მმართველობის რეზიდენცია არის თბილისი და აქედან შეუძლებელია კარანტინის მოხელეთა ყოველგვარ მოქმედებას ზედამხედველობა გაეწიოს, საჭიროა ხელმძღვანელობაში მეტი ოპერატიულობის მიზნით, თურქეთის საზღვარზე მდებარე ერთ-ერთ კარანტინში გაიხსნას საკარანტინო სამმართველო, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს ხაზზე მდებარე ყველა კარანტინის მუშაობას. მაგრამ აღნიშნული წინადადება უარყოფილ იქნა თბილისის სამხედრო გუბერნატორის მიერ იმ მოტივით, რომ კავკასიაში არსებული კარანტინები არ მდებარეობენ ერთ ხაზზე, ისინი გაფანტულნი არიან როგორც კავკასიის მთებისა და თურქეთის საზღვრებზე, აგ-

[1] ცენტრარქივი, ფ. 2, საქმე 279.
[2] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 3798.

რეთვე ქვეყნის შიგნით, ასე რომ ერთ-ერთი რომელიმე კარანტინი არ შეიძლება ცენტრალური კარანტინი გახდეს: კარანტინების სამმართველოს სამყოფ ადგილად ყველაზე მოხერხებულად ისევ თბილისი სცნეს.

«Как средоточие всех карантинов и местоприбывания высшего начальства»[1].

საკარანტინო საქმის ხელმძღვანელობის თბილისიდან სასაზღვრო კარანტინში გადატანის წინადადება საექიმო მმართველობას ჩაუთვალეს, როგორც ცდა იმისა, რომ თავიდან მოეშორებინათ კარანტინებისადმი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

1801 წლიდან განუწყვეტელი ეპიდემიები იყო. აუცილებლობამ საკმაო რაოდენობის კარანტინების გახსნა გამოიწვია. საკარანტინო კანტორის, ანუ სამმართველოს ჩამოყალიბებას ვერ მიაღწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მიუხედავად მისი დიდი საჭიროებისა. მისი ფუნქციები დავალებული ჰქონდა საექიმო მმართველობას, რომელიც შიდა რუსეთის საგუბერნიო საექიმო მმართველობასთან შედარებით მეტად გადატვირთული იყო, მუშაობის თავისებურებისა და მრავალფეროვნების გამო. როზენი ბლუდოვს წერდა[2], რომ კავკასიაში 1828 წლიდან არსებობს გადამდებ სნეულების გავრცელებასთან მებრძოლი განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში 1834 წელს შედიოდნენ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმი, გუბერნიის პროკურორი, საექიმო მმართველობის ინსპექტორი, ოპერატორი და საკარანტინო ინსპექტორი. როზენი თხოულობს, რომ აღნიშნულ კომიტეტს დაევალოს კარანტინის ხელმძღვანელობა. ჩანს, საკარანტინო საქმის პასუხისმგებლობა მეტად სამძიმო საქმე იყო.

კავკასიის კარანტინები თავისი განლაგებისა და ფუნქციათა მიხედვით 2 ჯგუფად იყოფოდა: 1. სასაზღვრო კარანტინები და 2. შიგა კარანტინები.

სასაზღვრო კარანტინებიდან ერთი წყება განლაგებული იყო თურქეთ-სპარსეთის საზღვარზე და იცავდა ამ ქვეყნებიდან

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 3798.

2 Акты, т. VIIII, стр. 137.

ინფექციის შემოჭრის საშიშროებას, მეორე წყება კი კავკასიის მთების გასწვრივ და იცავდა კავკასიიდან რუსეთში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას.

1834 წლისათვის კავკასიაში შემდეგი კარანტინები იყო:

I. ს ა ს ა ზ ღ ვ რ ო კ ა რ ა ნ ტ ი ნ ე ბ ი: 1. დერბენტის 2. ბაქოს, 3. სალიანის, 4. ლენქორანის, 5. ჯევადის, 6. ჯემბრაილის, 7. ორთუბათის, 8. ჯულფის, 9. შარურის, 10. იგდირის, 11. გუმრინის, 12. ჯამბაზის, 13. დიგვირის, 14. ოზურგეთის, 15. წმ. ნიკოლოზის, 16. რედუტ-კალე, 17. სოხუმ-კალე.

II. შ ი გ ა კ ა რ ა ნ ტ ი ნ ე ბ ი: 1. ორთაჭალის, 2. თბილისის (ფოსტის კანტორასთან), 3. ანანურის, 4. პირაზინის, 5. კურაკჩაის, 6. გერგერის, 7. წალკის, 8. სურამის.

1831 წელს სენატორების კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მიერ კავკასიაში ჩატარებული რევიზიის შედეგად დაწერილი მოხსენებიდან[1] ირკვევა, რომ 1803 წლიდან 1831 წლამდე კარანტინების მოწყობაზე დახარჯულია სულ 11.000 ჩერვონეცი და 154260 მან. ვერცხლით (როზენის ცნობით ყოველწლიურად კარანტინების შენახვაზე იხარჯებოდა 13.000 მანეთი ვერცხლით[2]. სენატორები (მეჩნიკოვი და კუტაისოვი) წერენ, რომ კარანტინები ძალზე მოუწყობელია, ანანურის კარანტინი ისე ცუდად არის აშენებული და ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ასეთი კარანტინები:

«будут местами пораженния заразы нежели удержания оней. они будут живыми могилами для тех, кои имеют несчастие туда попадатся. (იქვე). ისინი ფიქრობენ რომ «на устроистве карантинов основывается блогосостояние Закавказского края, состоящего полутора милиона жителей».

არსებულ კარანტინებს არ შეუძლიათ თურქეთსა და სპარსეთიდან გადამდებ სნეულებათა შემოტანის შეჩერება და თხოულობენ მათი კეთილმოწყობის გარდა, დამატებითი კარანტინების გახსნას საზღვაო და სასაზღვრო ადგილებში: ბა-

---

[1] Акты, VIII, стр. 125.

[2] Акты, т. VIII, стр. 133.

ქოში, ლენქორანში, სალიანში (სპარსეთის მხრიდან), შავ ზღვაზე სოხუმ-კალეში, თურქეთის მხრიდან.

კარანტინების ზემოხსენებულ სიაში ეს კარანტინები აღნიშნულია. ჩანს, შეუსრულებიათ მათი მოთხოვნა.

ბარონ როზენმა კარანტინების მშენებლობისა და შენახვისათვის ხარჯების გადიდება მოითხოვა, მაგრამ 1835 წლის 30 ივლისს ბლუდოვი პასუხობს, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი თანხები დიდია და ხაზინა ვერ გაიღებსო.

1838 წლის 18 აგვისტოს გოლოვინი წერს[1] (ახალციხეში ეპიდემიასთან დაკავშირებით) ბლუდოვს, რომ კარანტინები და საკარანტინო სამსახური არ დგას კავკასიაში სასურველ დონეზე, არაა უზრუნველყოფილი მგზავრთა წესიერი მიღება კარანტინებში. ისინი მოკლებულნი არიან საკარანტინო მზრუნველობის მინიმუმს. შენობებისა და საწყობების უვარგისობის გამო შეუძლებელი ხდება საქონლის შენახვა. ვაჭრები და მგზავრები გაურბიან კარანტინებს, უკანვე ბრუნდებიან, ან მთებისა და ტყეების გაელით მიიპარებიან. გოლოვინი თხოულობს არსებულ 17 სასაზღვრო კარანტინს გარდა გაიხსნას ახალი კარანტინები: ბომბორაში, ბიჭვინთაში, გაგრასა და გელენჯიკში.

კარანტინების საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა კავკასიის ხელისუფალთა წინაშე. 1841 წელს გენერალ გრამბეს შეუდგენია პროექტი, რომლის თანახმად რუსეთის შიგა გუბერნიები დაცული უნდა ყოფილიყო ეპიდემიის გავრცელებისაგან ამიერკავკასიიდან. გრამბეს პროექტით უნდა შექმნილიყო კარანტინების მეორე ხაზი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის ქედის გასწვრივ, კერძოდ: სოხუმი—კალე, ვლადიკავკავი, დერბენტი. გოლოვინი არ უჭერს მხარს ამ მოსაზრებას. ის არ თვლის საჭიროდ მუდმივი კარანტინების მეორე ხაზის შექმნას, თუ საქართველოში ეპიდემია არ გავრცელდება. პირიქით გოლოვინი თხოულობს ვლადიკავკავში მოქმედი კარანტინის დახურვას, ერთი მეთვალყურის დატოვებით, სანამ მისი გახსნის აუცილებელი საჭიროება არ შეიქმნება. გოლოვინი დაჟინებით მოითხოვს არსებული სასაზღვრო კარანტინების მოწყო-

---

[1] Акты, т. IX. Часть I, стр. 62.

ბას ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ საკარანტინო სამსახურის წესდებასა და თავიანთ მიზანს.

გოლოვინი აღნიშნავს, რომ კარანტინის მოხელეები უმთავრესად გაუნათლებელნი და უზნეონი არიან. ისინი თვით წარმოადგენენ ბოროტმოქმედების წყაროს, ამასთან არ აქვთ ცხოვრების ნორმალური პირობები: ცხოვრობენ მიწურებში, დაუსახლებელ ადგილებში, სადაც პროდუქტები ნაკლებად იშოვება ან ძალიან ძვირია, ხელფასი კი მცირე აქვთ 240 მან. ვერცხლით წლიურად, მაშინ როდესაც ა/კავკასიის მოხელე, ასეთივე ჩინის მქონე, ღებულობს 800—1000 მან. ვერცხლით. საკარანტინო სამსახურის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მას საჭიროდ მიაჩნია გაუდიდდეს ხელფასები ამ მოხელეებს.

1838 წელს გაჩენილი შავი ჭირის ეპიდემია 5 წელიწადი გაგრძელდა. ამის მიზეზად სწორედ საკარანტინო საქმის არაწესიერ მოწყობას თვლიდნენ. 1843 წელს სპეციალური კომისია შეიქმნა ასეთი ხანგრძლივი ეპიდემიის მიზეზის გასარკვევად. კომისიის დასკვნით მიზეზის გარკვევა არაა ძნელი, რადგან:

«Карантинов нет в кавказском крае, то, что называют здесь карантинами, не что иное как карантинная застава и притом в самом жалком и безпорядочном положении».

კომისია აღწერს ალექსანდროპოლის კარანტინს, რომელიც მეტად მნიშვნელოვან პუნქტზეა და თითქმის სხვა კარანტინებზე უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ:

1. შენობა უვარგისია და შეულესავი;

2. ადგილმდებარეობაც უვარგისია, ჭაობიანი, უწყლო ადგილზეა;

3. არაა შემოღობილი;

4. კარანტინის კვარტალი ისეა მოწყობილი, რომ კავშირი აქვთ ერთმანეთთან, რაც ეწინააღმდეგება საკარანტინო წესდებას;

5. ოთახები, სასაქონლო კვარტალი და სხვ. გამოყოფილი არაა ერთმანეთისაგან;

6. ცხოველების განყოფილება, კომისრის სახლი და სხვა

მოხელეებისა და მოსამსახურეების საცოვრებლები გაერთიანებულია ძლიერ შევიწროვებულად.

აი, ყველაზე კარგი კარანტინი კავკასიაში, ასკვნის კომისია და დასძენს:

«Решительно можно сказать, что до сего времени карантинная часть, столь важная для блогосостояния Государства находилась здесь в самом жалком и безпорядочном положении».

კომისიის დასკვნებსა და მოსაზრებებს მთლიანად იზიარებდა ნეიდგჰარდტიც, არსებობს მისი მიწერ-მოწერა და პროექტები ამ საკითხზე[1].

ვორონცოვი 1845 წლის 21 მაისს პეროვსკისადმი გაგზავნილ წერილში მიმოიხილავს კავკასიასა და ამიერკავკასიაში არსებული კარანტინების მდგომარეობას და აღნიშნავს, მთავარმმართებლები და მეფისნაცვლები წლების განმავლობაში აწარმოებდნენ მიმოწერას შინაგან საქმეთა სამინისტროდან კარანტინების მოუწყობლობის შესახებ, მაგრამ

«Карантинная Закавказская линия в полном значении этого слова не существует, что настоящих карантинов там нет»[2].

ვორონცოვი მოითხოვს საკარანტინო სამსახურის საქმის გადასინჯვას კავკასიასა და ამიერკავკასიაში. საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საკითხი დარჩეს თუ არა ახლანდელი კარანტინები და საკარანიტნო საგუშაგოები, თუ ზოგიერთი მათგანი გადაკეთდეს და რა თანხაა საჭირო ამისათვის, რა რაოდენობით და სად შეიძლება შემცირდეს საკარანტინო პოსტები და სხვ.

«Я душевно желал бы скоро положить конец этому важному делу, переписка о коем производится уже несколько лет. принять один раз навсегда карантинныя линии и тем самым имеет возможность привести постепенно все карантинныя учреждения на кавказе в то устройство и в тот порядок, в котором они должны на-

---

[1] Акты, т. X, I часть, стр. 682—686.

[2] Акты, т. X, стр. 215.

ходится для безопасности Кавказских провинции и самой Империи».

საბოლოოდ ვორონცოვმა 1847 წლიდან გაატარა კარანტინების მიმართ გარკვეული ღონისძიებები, რიგი კარანტინები დახურა, ზოგიერთ კარანტინში შეამცირა შტატები და, რაც მთავარია, ერთ დაწესებულებად აქცია, გააერთიანა, ჩამოაყალიბა საბაჟო-საკარანტინო სამსახური (карантинно-таможенная служба). 1857 წლისათვის ვორონცოვის მიერ შეკვეცილი და შტატშემცირებული შემდეგი კარანტინები იყო კავკასიის ხაზზე: ეკატერინოგრადის საკარანტინო კანტორა და ცენტრალური კარანტინი, ყიზლარისა და ეკატერინოგრადის კერძო კარანტინები. საკარანტინო საგუშაგოები: სოლდატოვო-მალკოვსკის, იზვესტნო-ბროდსკის, მოზდოკის, ჩეხვლენის, უსტ-ლაბინსკის, პრონჩო-ოკოპსის, ნევინნომისკის, ბატალპაშინსკის და შადრუკოვსკის. ბარიატინსკი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარისადმი 1857 წლის 7/I-ს მიწერილ მიმართვაში[1] აყენებს საკითხს მთელი რიგი კარანტინების ლიკვიდაციისა და ა/კავკასიის სასაზღვრო ხაზის კარანტინების რეორგანიზაციის შესახებ.

ბარიატინსკის აზრით, თურქეთში დიდი ხანია შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემია არ არის. ა/კავკასიის სასაზღვრო კარანტინები ამჟამად უკეთ მოწყობილია და ამიტომ კავკასიის ხაზის ზემოთ დასახელებული კარანტინების არსებობა ზედმეტად მიაჩნია. ის საჭიროდ თვლის, რომ კარანტინები კავკასიის ხაზზე ლიკვიდირებულ იქნეს, გარდა შანდრუკოვის საკარანტინო საგუშაგოსი, საკარანტინო შენობები გადაეცეს სამხედრო უწყებებს, განთავისუფლებული კადრებიდან საუკეთესონი გადაყვანილ იქნენ კარანტინების ამიერ-კავკასიის ხაზზე. საჭიროების შემთხვევაში, შავი ჭირის ეპიდემიების გავრცელებისას, საკმარისად თვლის დროებითი სახელმწიფო კარანტინების ჩამოყალიბებას. კავკასიის კომიტეტი, რასაკვირველია, არ დააყოვნებდა ბარიატინსკის პროექტის დამტკიცებას, რადგან პროექტი მიმართული იყო შტატებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებისაკენ.

---

[1] Акты, т. XII, кн. I, 1904 г., стр. 145.

1857 წლის 12 ივნისის დადგენილებით კავკასიის კომიტეტმა მოიწონა ბარიატინსკის პროექტი.

1861 წლის 31 მარტის დადგენილებით კავკასიის საკარანტინო-საბაჟო სამსახური საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა:

1) ყუბანის საბაჟო-საკარანტინო ოლქი
2) ქუთაისის
3) ერევნის
4) ბაქოს
5) დაღესტნის „
6) ა/კ საბაჟო-სასაწყობო თბილისში.

ქუთაისის და თბილისის გუბერნიების სასაზღვრო ტერიტორიაზე ქუთაისის ოლქის კარანტინები იყო განლაგებული, ქუთაისის საბაჟო საკარანტინო ოლქი იყოფოდა 3 დისტანციად:

I. სოხუმ-კალეს დისტანცია გაგრიდან დაწყებული, შავი ზღვის სანაპიროთი, მდ. ენგურის შესართავამდე (ალბათ ანაკლიამდე). ამ დისტანციაზე განლაგებული იყო:

1) სოხუმ-კალეს კანტორა II კლასის კარანტინით,
2) ოჩამჩირის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგო
3) გუდავის „ საგუშაგო
4) კელასურის გამსვლელი საკარანტინო-საბაჟო პოსტი.

II. ფოთის დისტანცია:

1) ფოთის კანტორა I კლასის კარანტინით
2) რედუტ-კალეს საგუშაგო
3) ნიკოლოზის საგუშაგო
4) ოზურგეთის საგუშაგო
5) გამსვლელი საკარანტინო-საბაჟო პოსტები:
ა. ანაკლიის, ბ. ნიკოლოზის, გ. ლიხაურის,
6) ქუთაისის სატრანზიტო პოსტი.

III. ახალციხის დისტანცია.

1) ახალციხის კანტორა კარანტინით
2) ხოზიაპინსკაიას საგუშაგო
3) გამსვლელი პოსტები: ა. კოჩკაევის, ბ. ხოზიაპინსკის[1].

---

[1] Акты, т. XII, кн. I, 1904, გვ. 145.

საქარანტინო სამსახურის ქსელი 1861 წ. საქართველოში

გარიკაბინსკის პროექტით



ახალციხის დისტანციის გაგრძელებაზე ერევნის საკარანტინო-საბაჟო ოლქი იყო. ამავე დადგენილებით მიღებულ იქნა ახალი წესდება, შტატები, ხელფასები[1], თვითეულ კარანტინში გათვალისწინებულია ექიმი და ფერშალი.

ასეთი სახით ჩამოყალიბდა საბოლოოდ საკარანტინო სამსახური 60-იანი წლების დასაწყისისათვის, სამედიცინო დაწესებულებათა ის ქსელი, რომელზედაც დამოკიდებული იყო (ყოველ შემთხვევაში მაშინდელი გაგებით) უდიდესი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება. როგორც ვხედავთ, მთელი 60 წელიწადი იყო ბრძოლა, საქართველოში საკარანტინო სამსახურის გაუმჯობესებისათვის, რომ ისინი მდგარიყვნენ შემუშავებული საკარანტინო წესდებათა მოთხოვნილებისა და მოწინავე რუსული სამედიცინო მეცნიერების დონეზე. მაგრამ მეფის ბიუროკრატიული მთავრობა ხალხის საჭიროებისათვის ვერ იმეტებდა საკმაო თანხებს, რის გამოც მთელი ამიერკავკასია მუდამ ეპიდემიებისა და მათი მძიმე შედეგების საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. თუ ერთნი მოითხოვდნენ კარანტინების მუშაობისა და მათი პირობების გაუმჯობესებას, მეორენი, პირიქით, ზედმეტად თვლიდნენ არსებულსაც და ხარჯების შემცირების მიზნით ხშირად ხურავდნენ უკვე ჩამოყალიბებულ და მოქმედ კარანტინებსაც.

კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში საკარანტინო სამსახურში ქართველები ბევრნი მუშაობდნენ. მათგან უნდა დავასახელოთ: გრიგოლ ეგნატეს ძე თულაშვილი, რომელიც დიდხანს ხელმძღვანელობდა საკარანტინო სამსახურს, როგორც კარანტინის ინსპექტორი. ფორმულარულ სიაში აღნიშნულია როგორც ყიზლარის მოქალაქე. მაგრამ იქვე წერია „из Грузинских дворян“, დაბადებულია 1765 წელს. ფორმულარული სიის მიხედვით 1822 წელს 57 წლის ყოფილა. 1781 წელს შესულა ტომსკის ფეხოსან პოლკში პოდპორუჩიკის ჩინით, შემდეგ ყუბანის ეგერთა პოლკში უმსახურნია. 1800 წელს ყიზლარის სათავადაზნაურო საზოგადოებას აურჩევია დეპუტატად ასტრახანის სათავადაზნაურო საკრებულოში „Для сочинения дворянской родословной книги“, საქართველოს რუსეთთან

---

[1] Акты, т. XII, кн. I, 1904, 160—164:

შეერთების შემდეგ, 1801 წლიდან, თულაშვილი საქართველოში გადმოდის სამუშაოდ. სხვადასხვა დროს მუშაობდა თარჯიმნად, ლორის სამაზრო ხაზინადრად, საქართველოს სამთო ექსპედიციის კომისრად, „მონეტნი დვორის“ ხაზინადრად, თელავის კაპიტან-ისპრავნიკად.

1815 წელს თბილისის პოლიციის უფროსი იყო. 1816 წლიდან კი ერმოლოვის ბრძანებით ინიშნება საკარანტინო ინსპექტორად, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა.

საკარანტინო სამსახურში იყვნენ ქართველ თავადაზნაურთა სხვა წარმომადგენლებიც. თულაშვილის თანაშემწე იყო თავადი თუმანიშვილი, რომელიც 1822 წლიდან გადაჰყავთ ანანურის კარანტინის კომისრად.

მცხეთის კარანტინის კომისარი იყო ბარათაშვილი. გარეთუბნის კარანტინის კომისრად თელავიდან 1822 წელს გადმოჰყავთ „ზედგენიდზევი“.

ავლაბრის კარანტინის კომისრად 1821 წელს - მუშაობდა თავადი ფალავანდიშვილი. გუმრინისაში — შტაბ-კაპიტანი ბეჟანიშვილი და სხვ.

სამხედრო მედიცინა

რუსული მედიცინის დანერგვაში უდიდესი როლი ითამაშა სამხედრო მედიცინის გავრცელებამ კავკასიაში. სამოქალაქო საექიმო უწყებათა გვერდით თბილისსა და მაზრებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს ჰქონდათ თავიანთი ლაზარეთები, ჰყავდათ სამხედრო ექიმები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეჰქონდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისა და ახალი რუსული მედიცინის დანერგვის საქმეში, შემდგომში სამხედრო ჰოსპიტლების გახსნამ კი მეტი რეპუტაცია მოუპოვა მას.

ლაზარეთების სამედიცინო პერსონალი ემატებოდა სამოქალაქო საექიმო პერსონალს. ამით ფართოვდებოდა ექიმთა წრე, რაც საფუძველს უყრიდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესწავლას მედიკურ-ტოპოგრაფიულ, კლიმატურ-ბალნეოლოგიური, თუ სამხარეო პათოლოგიის თვალსაზრისით.

სამხედრო ნაწილებში სამედიცინო საქმიანობის დონის განსაზღვრისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება როგორც

მთლიანად პირადი შემადგენლობის, ისე მათ შორის დაავადებულთა რაოდენობრივი მონაცემების ცოდნა.

1802 წლის 24 ივნისისათვის თბილისის მუშკეტერთა პოლკში სულ 1358 კაცი ირიცხებოდა, რომლებიც განაწილებული იყვნენ ახლომახლო სოფლებში როტებად (საგარეჯო, ხაშმი, მარტყოფი, მანავი, კოდა, ქვეთი და ბამბაკი). მათგან ავადმყოფი იყო — 104. დონის კაზაკთა შჩედროვის პოლკში 1802 წლის 16 ნოემბრისათვის 461 კაზაკიდან 34 ავადმყოფია.

ზოგიერთ სამაზრო ცენტრებში და მნიშვნელოვან საკომუნიკაციო პუნქტებში მდგარ სამხედრო ნაწილებში ასეთი მდგომარეობაა: 1803 წლის მარტში კავკასიის გრენადერთა პოლკის როტაში, რომელიც დუშეთში იდგა, (მაიორი ჩხეიძე), 10 კაცი გამხდარა ავად 159-დან. მე-17 ეგერთა პოლკის ბატალიონში, რომელიც კარაკლისში იდგა 1803 წლის აპრილში 100 ავადმყოფი ირიცხებოდა 317 პირადი შემადგენლობიდან.

1803 წლის სექტემბერში ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკში, რომელიც დაბანაკებული იყო თელავში და დანაწილებული იყო სოფლებში: ყვარელში, კარდანახში, ველისციხეში და სხვ., დაბალი ჩინის 1016 პირადი შემადგენლობიდან 143 ავადმყოფი იყო.

თბილისის მუშკეტერთა პოლკში სექტემბრის თვეში 206 ავადმყოფია, ჯანსაღი 274 (ე. ი. ავად იყო თითქმის 40%). იმავე წლის ოქტომბერში კავკასიის გრენადერთა პოლკის საშეფო ბატალიონში 150 კაცი გახდა ავად, აქედან 16 გარდაიცვალა. მოგვყავს მაშინდელი უწყისი, რომლითაც ირკვევა ექიმთა დიაგნოსტიკური დიაპაზონი, ჯარის ნაწილებში გავრცელებული უმთავრესი დაავადებები და ბატალიონის ლაზარეთის მოცულობისა და დატვირთვის დონე:

Ведомость

Кавказского гренадерского полка 2-ого фузелерного баталиона за сентябрь 1803 года об умерших и больных в баталионном лазарете (на 25 сентября)

больные:

простудною горячкою —	10
Лихорадками трясевицами —	36
перемежающимся —	9

Желчными горячками —	21
Воспалительными горячками —	7
Выхождение задней кишки спрохода после бывшего кровавого поноса —	1
Поносами простым —	8
кровавым —	5
Застарелыми цинготными ранами —	2
Открытием нарывом в горле после жабы и паносам —	1
Слабостью после различных болезней —	26
ИТОГО —	126

Умерло в течении сентября 16 нижных чинов[1].

საინტერესო სურათს იძლევა აგრეთვე, ავადმყოფთა მოძრაობის შესახებ, მე-15 ეგერთა პოლკის მაისის თვის ცნობა.

Движение болезненности в 15-ом егерском полку за май 1803 года

	состояло к 1 мая	заболело	выздоров.	умерло	состоит к 1/VI
опухолью	6	3	2	2	5
водянкою	5	—	1	2	2
чахоткою	3	2	—	1	4
нарывом	7	1	4	—	4
затвердением внутренностей	7	5	6	—	6
слабостью	5	6	3	—	8
горячкою	12	6	6	2	10
лихорадкою	40	15	3	5	47
цинготною	11	—	6	—	5
ломотою	12	1	10	—	3
ранами	12	4	8	—	8
колотьем	8	—	6	—	2
поносом	9	—	8	—	1
венерическою	8	—	2	1	5
всего	145	43	65	13	110[1]

1 ცენტრარქივი, ფონდი 1087, საქმე 957.

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა სამხედრო ნაწილებში დაავადებათა და სიკვდილიანობის პროცენტები საკმაო დიდ მაჩვენებლებს იძლევა.

მომდევნო წლებში, მაგ., 1805 წლის 1 ოქტომბრისათვის, სამხედრო ნაწილების რიცხვიც გაზრდილა და ლაზარეთშიც იმატა ავადმყოფთა რიცხვმა. ამ დროისათვის თბილისში 4—5 პოლკი იდგა. ამ პოლკებში სიით ირიცხებოდა: შტაბ-ოფიცერი — 15, ობერ-ოფიცერი — 68, უნტერ-ოფიცერი — 153, მუზიკანტი — 54, რიგითი ჯარისკაცი — 1808, უმწყობრო — 224, აქედან ლაზარეთში იწვა: უნტეროფიცერი — 3, რიგითი ჯარისკაცი — 110, უმწყობრო — 13; საექიმო პუნქტში — ავადმყოფები: შტაბ-ოფიცერი — 3, ობერ-ოფიცერი — 12, უნტერ-ოფიცერი — 8, მუზიკანტი — 9, რიგითი — 115 და უმწყობრო — 11[1].

ავადმყოფთა რიცხვი ძალიან დიდია (284). ლაზარეთებში საწოლთა რაოდენობაც შედარებით დიდია (126). ასევე სამაჯრო ცენტრებში განლაგებულ სამხედრო ნაწილების ლაზარეთებსაც ერთგვარი მნიშვნელობა ექნებოდა მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების საქმეში მიუხედავად იმისა, რომ ლაზარეთი მხოლოდ სამხედრო პირებს ეხმარებოდა და კანონით მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა არ იყო გათვალისწინებული.

1807 წლის 16 აგვისტოს გუდოვიჩი წერს კოჩუბეის, რომ ტაგაურის ხეობაში გაჩნდა გადამდები სნეულება, რის გამოც ხსნის საკარანტინო საგუშაგოებს სოფ. ყაზბეგსა და კაიშაურში. უჩივის სამედიცინო ჩინოვნიკთა დიდ სიმცირეს, მაგრამ:

«Буду по возможности мое изворочиваться наличным теперь числом лекарей состоящих при войсках».

მაშასადამე, უკიდურეს შემთხვევაში სამხედრო ნაწილების სამედიცინო პერსონალის გამოყენება ხდებოდა. მაგ., როგორც ერთი დოკუმენტიდან[2] ირკვევა 1812 წელს გორში, მანუჩარ ტატინოვის სახლში, გახსნილი ყოფილა სამხედრო ლაზარეთი. ცხადია, ამ ლაზარეთში მომუშავე ექიმს ქალაქებისა-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 258.

[2] იქვე, საქმე 1321.

თვის დახმარების გაწევა არ ევალებოდა, მაგრამ გორში მათ ყოფნას მაინც მნიშვნელობა ჰქონდა, შეეძლო გორის მოსახლეობისათვის სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა, ქალაქში სანიტარული და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები გაეტარებინა, ანდა გასამრჯელოს აღებით ემკურნალა ხალხისათვის.

ლაზარეთები მოუწყობელი იყო, არ მარაგდებოდა საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით. ერთ-ერთი ლაზარეთის ექიმი 1805 წლის 10 სექტემბერს მიმართავს საქ. საექიმო მმართველობას, რომ ლაზარეთს წამლები არ ჰყოფნის, არა აქვს საწოლები და თეთრეული:

«Лазарет находится в весьма дурном состояние»[1].

XIX საუკუნის I ნახევარი გამუდმებული ომიანობისა და ბრძოლების პერიოდია. კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში წარმოებული ომები ოსმალეთთან, სპარსეთთან, შამილთან, აგრეთვე აჯანყებულთა დამსჯელი ექსპედიციების ოპერაციები მოითხოვდა სამხედრო-საექიმო საქმის ორგანიზებასა და საჭირო დონეზე დაყენებას.

ჩრდილოეთ კავკასიაში გეორგიევსკის შემდეგ თანმიმდევრულად გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტლები: სტავროპოლში, მოზდოკში, ვლადიკავკაზში. ამიერკავკასიაში პირველად თბილისში გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალი 1808 წელს, შემდეგ ელიზავეტპოლში, ქუთაისში, ნუხში, შემახში. ჩრდილოეთ კავკასიის ჰოსპიტლების უმთავრესი დანიშნულება იყო ა/კავკასიის მთავარი კომუნიკაციებისა და შიგა რუსეთის რაიონების მომსახურება, ხოლო ა/კავკასიის ჰოსპიტლებისა—უშუალოდ ა/კავკასიის ცალკეული რაიონების ყოფილ სამეფოებსა და სამთავროებში განლაგებული ჯარების ავადმყოფთ. სტაციონარული, სამკურნალო მომსახურება. ომიანობის დროს დამატებით იხსნებოდა დროებითი ჰოსპიტლები. თბილისში სამხედრო ჰოსპიტალი გაიხსნა 1808 წელს გენერალ-ფელდმარშალ გუდოვიჩის მოთხოვნით. იმპერატორის რეზოლუციაც „Быт по сему“ დათარიღებულია ამავე წლით, მაგრამ რატომღაც 1912 წელს გადაიხადეს

---

[1] Центрархив, дело 75-а, стр. 158.

[2] История Тбилисского окружного военного госпиталя, ЗАКВО, г. Тбилиси, 1941 г. стр. 3—7.

ჰოსპიტლის 100 წლისთავის იუბილე. თავიდანვე ჰოსპიტლების შტატი შემდეგნაირად იყო გათვალისწინებული: ჰოსპიტლების უფროსობა ეკისრებოდა თბილისში განლაგებული დივიზიის ექიმს, რომელიც ხელფასს მხოლოდ დივიზიიდან მიიღებდა. თვით ჰოსპიტალის შტატი ასეთია: უფროსი ექიმი I კლასის — 1, უმცროსი ექიმი — 2, უფროსი ფერშალი — 2, უმცროსი ფერშალი — 2, აფთიაქის გეზელი — 1, უფროსი მოწაფე — 1, უმცროსი — 2, მოხელე — 2[1]. დამხმარე მუშებად და ზედამხედველებად უმწყობრო სამსახურის ინვალიდებს იყენებდნენ ჯარის ნაწილებიდან. ჰოსპიტალი გათვალისწინებული იყო 200 ავადმყოფისათვის, რასაკვირველია, აღნიშნული შტატი ძალიან მცირე იყო ავადმყოფთა ნორმალური მომსახურებისათვის. ამიტომაც საქართველოში და ა/კავკასიაში გახსნილ ჰოსპიტლებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ერთი ანონიმი ავტორის თქმით:[2]

«первые Кавказские Госпиталя были довольно жалкия военно-враечбные заведения. Жалкая по своему Крайнему убожеству во всем в помещении, продовольствии, больничных принадлежностях и самой медицинской помощи. Поэтому лечебное дело не могло в них идти хорошо и смертность достигала почтенных цифр. Ясное дело, что госпиталя открывали для пользования больных и раненных солдат, а между тем эти последние далеко не охотно шли туда лечится, некоторых-же госпиталей положительно избегали. Последевшему в боях и видавшему всякие виды солдату иногда приходилось изошрять всю свою находчивость для того, чтобы не попасть в один из таких «храмов смерти» — особенно дурной репутацией пользовался Нухинский госпиталь, в котором смертность была грамадна»[3].

რაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს ანონიმი, ავტორის ეს სიტყვები. იგი მაინც ჰოსპიტლების ცუდ მუშაობასა და სამ-

---

1 История Тбилисского окружного военного Госпиталя, ЗАКВО, г. Тбилиси, 1941, стр. 3—7.

2 Центрархив ф. 1087, д. 957, стр. 36—38.

3 Центраархив, ф. 1087, д. 957, стр. 87.

კურნალო საქმის სისუსტეზე ლაპარაკობს. მაგრამ გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება ავტორის სიტყვები, თუ თვით ციფრებს დავაკვირდებით: 1834 წლის ჰოსპიტლის ანგარიშის მონაცემებით „ყოველ $8^1/_2$ ავადმყოფზე 1 სიკვდილიანობა მოდიოდა". აი, შედარებითი ცხრილი 1834 და 1835 წლების ერთი თვის სტატისტიკური მონაცემებისა:

აგვისტოს თვე	1834	—	1835
შემოვიდა ავადმყოფი	689	—	649
გამოჯანმრთელთა	634	—	557
გარდაიცვალა	79	—	24

1835 წლის 1 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე ჰოსპიტალში შემოსულა 137 ავადმყოფი, გამოჯანსაღდა 81, გარდაიცვალა 6[1]. ასეთი სავალალო მდგომარეობა იყო თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში განსაკუთრებით მისი არსებობის პირველ ხანებში.

ჰოსპიტლების მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა 1828 წლიდან, როდესაც ისინი უფრო მტკიცე კანონიერ ბაზაზე დადგნენ. ამ წელს გამოვიდა „Устав о военных Госпиталах". ამ წესდების მიხედვით ჰოსპიტლები მარაგდებოდნენ მედიკამენტებით განსაკუთრებული კატალოგით (№ 1 კატალოგი მუდმივმოქმედი ჰოსპიტლებისათვის და № 2 — ომისდროინდელი ჰოსპიტლებისათვის). ჰოსპიტლებთან გათვალისწინებული იყო აფთიაქები, რომლებიც აწარმოებდნენ წამლების გაცემას ყველა სამხედრო მოსამსახურეზე[2].

თბილისში არსებული ჰოსპიტალი, ძველი კაზარმული ტიპის, ბნელსა და დაბალ შენობაში იყო მოთავსებული. 1828 წლისათვის იგი, ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით, მჭიდროდ დასახლებული უბნის ცენტრში მოხვდა, ამით ქალაქის მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა გავრცელების საშიშროება იქმნებოდა. კავკასიის სამხედრო სამედიცინო ნაწილის უფრო-

---

[1] История Тбилисского окружного военного Госпиталя, ЗАКВО. Тбилиси, 1941, стр. 3—7

[2] თბილისში, ჰოსპიტალის სიშორის გამო წამლების გაცემას აწარმოებდა «Тифлисская Запасная оптека» ოთხელიც ქალაქის მცხოვრებლებსაც აძლევდა ფასით წამლებს.

სის, შტაბ-დოქტორი ს. ი. ზუბოვისა და განსაკუთრებით ივანე ანტონის-ძე პრიბილის მონდომებითა და მეცადინეობით 1828 წელს ნავთლუღში მოხერხდა სამხედრო ჰოსპიტლის მშვენიერი შენობის აგება. ნავთლუღი ამ ბიზნისათვის შერჩეულ იქნა ი. ა. პრიბილის მიერ იმ მოტივით, რომ ნავთლუღი ტკვრის მდინარების ბოლო, ქალაქ გარეთა უბანია, და იქით მოსალოდნელი არ იყო ქალაქის ზრდა. ამით ქალაქი ეპიდემიის გავრცელებისაგან დაზღვეული იქნებოდა.

ახალი ჰოსპიტალი 600-საწოლიანი იყო. შემდეგ წლებში ის სერიოზული სამკურნალო დაწესებულება გახდა. ამ ჰოსპიტალმა დიდი როლი ითამაშა მეცნიერული მედიცინის დანერგვის, მოსახლეობისათვის კვალიფიციური დახმარებისა და სამედიცინო კადრების აღზრდის საქმეში. ის ერთადერთი სამკურნალო დაწესებულება იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, სადაც იმ დროისათვის შესაფერი კვალიფიციური მკურნალობა შეეძლო მიეღო ავადმყოფს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ომის დროს განსაკუთრებული სამხედრო-სანიტარული მომსახურების ქსელი იშლებოდა. 1827 წელს. როდესაც რუსეთ-სპარსეთის ომი წარმოებდა, დროებითი ჰოსპიტლები გახსნილ იქნა ლორში, შუშაში, ეჩმიაძინის მონასტერში. ეს ომი მოულოდნელად და სამხედრო-სანიტარული პირობების წინასწარი გათვალისწინების გარეშე დაიწყო, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჯარი, განსაკუთრებით წყლისა და საკვების უქონლობის გამო.

რუსეთ-თურქეთის ომს (1828-29) შედარებით მომზადებული შეხვდა კავკასიის სამხედრო-სამედიცინო უწყება. წინასწარ იყო გათვალისწინებული სამხედრო-სანიტარული პირობები, რის გამოც დაავადებები ჯარის ნაწილებში ნაკლები იყო. ამ ომში სამხედრო-სანიტარულ სამსახურს ხელმძღვანელობდა ილიჩენკო, რომელიც იმ ხანებში დაინიშნა შტაბ-დოქტორად[1]. რუსეთ-თურქეთის ომი მთელი წელიწადი გაგრძელდა. გენერალ პასკევიჩის მოქმედ კორპუსში ირიცხებოდა 16883 რიგი-

---

1 კავკასიის სამხედრო-სამედიცინო ნაწილის უფროსი, შტაბ-დოქტორი ს. ი. ზ უ ბ ო ვ ი ამ დროს თბილისში იყო, მაგრამ კავკასიიდან წასვლის მოლოდინში ომში მონაწილეობა ილიჩენკოს დააკისრა.

თი ჯარისკაცი, აქედან საერთო დანაკარგი იყო 3673 კაცი (21,75%). მათ შორის მოკლული — 736 და 2679 — დაჭრილი და კონტუზია მიღებული[1]. დროებითი ჰოსპიტალი გაიხსნა ბორჯომის მინერალური წყლების შენობათა ბაზაზე.

სამხედრო ჰოსპიტლების რაოდენობა თანდათან მატულობს კავკასიაში. მაგალითად, 1853 წლისათვის მუდმივი ჰოსპიტლები იყო: თბილისში, დუშეთში, ქუთაისში, ახალციხეში, ერევანში, ნახიჭევანში, გორში, შემახში, თემურხანშურაში, დერბენტში.

ომის დროინდელი ჰოსპიტლები — დედოფლის წყაროში, კურახში, ახტინში, კუმუხში, ხოჯალ-მეხინოკში, მინ. წყლებზე, პეტროვსკში, ყვარელში, ახალქალაქში.

ნახევარჰოსპიტლები: ელიზავეტპოლში, ვანში, კულპინში, გუდამაყარში, ოზურგეთში[2] და სხვ.

1856-57 წლებისათვის არსებობდა აგრეთვე კავკასიის მოძრავი ჰოსპიტლები № 1, № 2 და № 3 და III კლასის კადრის ჰოსპიტალი თურქეთის საზღვართან. მთელ სამხედრო-სამედიცინო საქმიანობას ხელმძღვანელობდა „კავკასიის არმიის გენერალ შტაბ-დოქტორის სამმართველო". მის განკარგულებაში იყო, ზემოხსენებული ჰოსპიტლების გარდა, სამხედრო ნაწილებში მომუშავე 100-მდე სამხედრო ექიმი[3]. კავკასიაში 1857 წლისათვის იყო კავკასიის კორპუსი, რომელშიც 3 ფეხოსანი დივიზია შედიოდა (19, 20 და 21-ე), თვითეული 4 პოლკისა და პოლკში 5 ბატალიონის შემადგენლობით, გრენადერთა ბრიგადა 2 პოლკისა და 5 ბატალიონის შემადგენლობით, სახაზო ბატალიონები: 13 — კავკასიის, 18 — ქართული, 16 — შავი ზღვის. ამათ გარდა იყო არარეგულარული კავკასიის სახაზო ჯარის ნაწილები, დონის 20 პოლკი, ცხენოსანი პოლკი, ქართულ ფეხოსანთა დრუჟინა, ანაპის სამთო ნახევარესკადრონი, გურიის ასეული და სხვ. თვითეულ ამ ნაწილს ჰყავდა სამედიცინო-სანიტარული ნაწილები, სააფთიაქო მომსახურებით[4].

---

1 ცენტრარქივი, ფ. 1087, საქმე 957.
2 Кавказский Календарь, 1853.
3 იქვე, 'გვ. 424.
4 Акты, т. XII, кн. 2, 1290.

1856 წლის 1 ნოემბრისათვის სულ კავკასიის მხარეში 44 სამხედრო ჰოსპიტალია, 14.405 საშტატო ერთეულით. 1857-58 წწ. სამხედრო ოპერაციების დამთავრებასთან დაკავშირებით ნაწილი ჰოსპიტლებისა დაიხურა და 1858 წლის ბოლოსათვის საბოლოოდ დარჩა:

III კლასის ჰოსპიტლები	— 6
II „	— 7
I „ „	— 7
ნახევარჰოსპიტლები და განყოფილებები	— 8
დროებითი ჰოსპიტლები	— 14
სულ:	42

12000 საშტატო ერთეულით[1]. გარდა ამისა, თვითეულ ნაწილთან საჭიროების მიხედვით იხსნებოდა ლაზარეთები. საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც ბარიატინსკი იძლევა თავის წლიურ ანგარიშში, კავკასიის ჯარის ნაწილებში დაავადებებისა და სიკვდილიანობის შესახებ:

დაავადება ჯარის ნაწილებში მთელი შემადგენლობის საერთო რაოდენობიდან ასეთი იყო: 1856 წელს 1—$1^{3}/_{10}$; 1857 წ. — 1 — $^{1}/_{14}$; 1858 წ. 1 — $1^{3}/_{10}$.

გარდაცვლილთა რიცხვი მთელი პირადი შემადგენლობის რაოდენობასთან შეფარდებით: 1856 წ. 1—23; 1857 წ. 1—$28^{2}/_{29}$ 1858 წ. 1—$40^{1}/_{4}$.

გარდაცვლილთა რიცხვი დაავადებულთა რაოდენობასთან შეფარდებით: 1856 წ. 1 — $16^{1}/_{2}$; 1857 წ. 1 — $20^{3}/_{5}$; 1858 წ. 1 — $27^{19}/_{20}$.

ამ მონაცემებით გარდაცვლილთა რიცხვი, როგორც პირადი შემადგენლობისა, ისე დაავადებულთა რაოდენობასთან შეფარდებით, თანდათან კლებულობს.

როგორც ვხედავთ, კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო ბევრად ჩამორჩება კავკასიის სამხედრო-სამედიცინო სამსახურს, როგორც შტატით და სტაციონარულ დაწესებულებათა რიცხვით, ისე მატერიალური და

---

1 Акты, т. XII, кн. 2, 1296.

სამკურნალწამლო საშუალებათა მხრივ. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ მეფის მთავრობის პოლიტიკაში იმპერიალისტური, დაპყრობითი ზრახვები უფრო წინა პლანზე იყო წამოწეული, ვიდრე მოსახლეობის კეთილდღეობასა და, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე ზრუნვა.

ხალხური მედიცინა

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საექიმო-სამკურნალო დახმარებას მოკლებული იყო სახელმწიფოებრივ სამკურნალო უწყებათაგან. ამიტომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი იძულებული ხდებოდა მიემართა ხალხურ მკურნალთათვის, რომელთა შორის იყვნენ „ექიმბაშები", შარლატანები. მაგრამ მოიპოვებოდნენ ნამდვილი მკურნალები, რომელთაც ერის ძველი კულტურული ტრადიციების მეოხებით წინაპართაგან შესწავლილი ჰქონდათ მკურნალობისა და ქირურგიული მანიპულაციების მეტად ეფექტური მეთოდები. ამ მკურნალებს სიამოვნებით მიმართავდა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამიტომ ქართული ხალხური მედიცინის გათვალისწინების გარეშე, სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამედიცინო საქმის ისტორიის მთლიანი სურათი.

ქართული ხალხური მედიცინის სამკურნალო წესებსა და მეთოდებს ჩვენ ვყოფთ ორ ძირითად ჯგუფად[1]. 1. ხალხური მედიცინის მაგიურ-რელიგიური მეთოდები, 2. ხალხური მედიცინის რაციონალური მეთოდები; მაგიურ-რელიგიური მეთოდებიდან აღსანიშნავია: 1. ავგაროზები, თილისმა და ხვითო; 2. შელოცვები; 3. სამედიცინო-რელიგიური რიტუალები. ავგაროზი ორგვარია: საგნობრივი და წერილობითი. საგნობრივ ავგაროზებად გამოყენებული იყო როგორც ორგანული, ისე არაორგანული ბუნება: გველის ენა, აფთრის კბილი, ძვლის ნატეხი, სხვადასხვა ქვები, მძივები და სხვ.

წერილობითი ავგაროზები წარმოადგენენ ქაღალდზე დაწერილ ტექსტებს (ვედრებითა და შელოცვებით). ავგაროზის

---

[1] იხ. მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა — ქართული ხალხური მედიცინა.

მატარებელი, ხალხის რწმენით, დაცულია ყოველგვარი ავი სულისა, თვალისა და სხვადასხვა დაავადებათაგან. ის ძლიერ გავრცელებული იყო საქართველოში, ხელნაწერი, გრაგნილი თუ წიგნაკებად დაკეცილი ავგაროზებით მდიდარია ჩვენი მუზეუმი. 1863 და 1864 წელს (ქუთაისში) სტამბურადაც კი გამოიცა იგი პატარა წიგნაკის სახით.

შ ე ლ ო ც ვ ე ბ ი — უმთავრესად ტარდებოდა ექიმბაშებისა, ან მცოდნე მოხუცი ქალების მიერ. ცალკეულ დაავადებაზე არსებობდა თავისებური ტექსტი. მაგალითად: ხველების, ციების, წითელი ქარის, მჯდომის, კბილის ტკივილის, გველის ნაკბენის, ავი თვალის, ყამის და სხვა დაავადებათა მიმართ შელოცვის სათანადო ტექსტი იყო შემუშავებული. სამედიცინო-რელიგიური რიტუალებიდან აღსანიშნავია: 1. ბატონების კულტთან დაკავშირებული რიტუალი. ხალხის რწმენით სახად დაავადებებს: ყივანახველას, წითელას, ქუნთრუშას, ყვავილს, წითურას, ჩუტყვავილას იწვევენ „ბატონები", რომელნიც წარმოადგენენ ზებუნებრივ უსხეულო არსებებს — სულებს, მაგრამ მიწაზე, სადღაც უჩინარ ადგილას მობინადრეთ, ისინი დროდადრო მოევლინებიან სოფლებს. აი, ამ დაავადებათა მიმართ უხსოვარ დროიდან შემუშავებულია სათანადო რიტუალი, რომელიც გამოიხატება უმთავრესად „ბატონების" პატივისცემაში (მხიარულება, მუსიკა, სიმღერა, სანთლის დანთება და სხვ.). ბატონების დედად აღიარებულია წ-ა ბარბარე. ბარბარეს დღემდის შემორჩენილი კულტით კი ეს რიტუალი ქართველთა უძველეს წინაპარ ტომებს უკავშირდება[1].

2. ხატის მიზეზი. ხშირად დაავადებებს უკავშირებდნენ რომელიმე წმინდანის ხატის განრისხებას. ამის გარკვევა და დადგენა უმთავრესად მკითხავის მოვალეობას შეადგენდა. ქრონიკულად დაავადებული, რომელიც ჩვეულებრივი სამკურნალო საშუალებებით არ იკურნება, მიმართავდა მკითხავს. მკითხავი უსახელებს მას იმ წმინდანს, რომლის ხატის მიზეზითაც არის დაავადებული. ავადმყოფი ვალდებულია განრის-

---

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ: მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, 1936, საქმედგამი.

ხებული ხატისაგან გამოისყიდოს თავისი „დანაშაული“ შესაწირავებით და სხვადასხვა რიტუალური წესების შესრულებით.

საქართველოში ისეთი ადგილები, სადაც დამამიზეზებელი ხატები სხედან ძალიან ბევრია. ფშავში დიდ სალოცავად ითვლება თამარ მეფის სალოცავი, ის „აქიმ დედოფლად“ იწოდებოდა.

ხევსურეთში — პირიმზე, ფუძის ანგელოზის ნიშანია, რომელსაც „სულით“ ავადმყოფთა, ავქარიანთა და სიზმრით შეშინებულთა განკურვნას შესთხოვდნენ. მთიულეთში — ლომისის წმ. გიორგის და ხახმატის ჯვარია.

მესხეთ-ჯავახეთში ყველაზე მიზეზიან ხატად ითვლება პტენის წმ. გიორგი და ვარძია. პტენის წმ. გიორგი თითქოს არჩენს ციებ-ცხელებას, ვარძიაში კი მიჰყავთ სულით ავადმყოფები, დახუთულები და სხვ.

სამეგრელოში ცნობილია ხატობა „ჯეგემისარონის“ სახელწოდებით, ილორისა და ქიაჩის ხატები. ხატის მიზეზთან უშუალო კავშირშია „მკითხაობა“. არსებობს მკითხაობის სხვადასხვა წესი, მკითხაობენ ანთებული სანთლებით, წყლით, სარკით და სხვ. ზემოქმედებისა და შთაგონების გაძლიერების მიზნით ისინი ხშირად მიმართავენ „ქადაგად დაცემას“, მოჩვენებით გონებადაკარგულობისა და არაამქვეყნიურ სამყაროში გადასვლას. ამ მდგომარეობაში ისინი აძლევენ ვითომ ზეშთაგონებულ რჩევა-დარიგებებს ავადმყოფთ. მაგიურ-რელიგიური, ხალხური მეთოდები ძლიერ გავრცელებული იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ხშირმა ომიანობამ, შიმშილმა, ვაჭრობისა და მიმოსვლის განვითარებამ ძლიერ გაავრცელა ეპიდემიები და დაავადებები. სამედიცინო კადრების უკიდურესი სიეიწროვის პარალელურად, რამაც გამოიწვია მაგიურ-რელიგიურ ქმედებათა გავრცელება, გამრავლდა მკითხავებისა და შარლატანების რიცხვი. თუ რამდენად იყო გავრცელებული „ქადაგად დაცემა“, გვიჩვენებს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ერთ-ერთ საიდუმლო კრების დიალოგი:

ე ლ ი ზ.[1] — არა, ნუ შიშობთ, ერთგულებს მაინც ვიპოვით, და ამას გარდა კიდევ მოიპოვება საშუალება ბრბოს აღ-

---

[1] ელიზბარ ერისთავი — შეთქმულების მონაწილე.

საშფოთებლად. საკმარისა გავავრცელოთ ხმა, რომ ახალ წვეულებს კრებენ ჯარში წასაყვანად და ნახავ როგორ იფეთქებს.

დ ი მ.[1] — დიახ, ამას გარდა განა ცოტანი გვყავს ჩვენ ბებერი მისნები, — საკმარისია მხოლოდ, რომ იმათ მოიგონონ გრძნობის დაკარგვა, დავარდნენ ხალხის წინაშე და მორთონ ყვირილი. რომ წმინდა გიორგი ამას და ამას ბრძანებს, ღვთის მშობელი — ამას და ამას და მაშინ ნახავთ...

როგორც ჩანს, ის იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ ხალხზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა. შეთქმულების მონაწილენი თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად მათზე იმედსაც კი ამყარებდნენ.

1837 წელს მთავრობის მიერ სპეციალური ზომები იქნა მიღებული „მისნებისა", შარლატანებისა და საერთოდ „ემპირიკების" წინააღმდეგ. სამაზრო კომენდანტებთან და საპოლიციო უწყებებში დაგზავნილ მიმართვებში აღნიშნავენ, რომ შარლატანებისა და „ემპირიკების"[2] რიცხვი თანდათან მატულობს არა მარტო სოფლებში, არამედ თვით ქალაქ თბილისშიც და მოუწოდებენ, აღრიცხონ ყველა ასეთი და სასტიკად აუკრძალონ „მოღვაწეობა". მაგრამ ზემოხსენებულ, მაგიურ-რელიგიურ ქმედებათა გვერდით, გავრცელებული იყო ხალხური მკურნალობის რაციონალური მეთოდები. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან უხვად იყო გამოყენებული ქართულ-ხალხურ მედიცინაში მცენარეული, ცხოველური და მინერალური სამყარო. მათ შესახებ ცნობები შემონახულია ძველ რომაელ და ბერძენ მწერალთა და ისტორიკოსთა ნაწერებში[3]. უძველესი დროიდანვე იყო გამოყენებაში მინერალური წყლები, როგორც სასმელად, ისე აბაზანების სახით. დღემდე შემორჩენილია უძველესი კომუნალური ნაგებობანი აბანოებსა და წყალსადენების სახით, რომლებიც მაღალი სანიტარულ-ჰიგიენური ტექნიკის მაჩვენებელნი არიან.

---

1 დიმიტრი ერისთავი — შეთქმულების მონაწილე.

2 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5404.

3 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში", 1956, მედგამი, გვ. 27—28.

ქართული ხალხური მედიცინას მაღალ შეფასებას აძლევენ იმ დროს კავკასიაში მომუშავე რუსი ექიმებიც. ექიმი პანტიუხოვი 1869 წელს წერდა, რომ ხალხურ მედიცინაში „თერაპიულ საშუალებათაგან, ყველაზე მნიშვნელოვანია და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს მინერალური წყლები". ის იმ დროისათვის (ე. ი. 1869 წელს) რიონის დაბლობში 50-მდე მინერალურ წყალს ითვლიდა. ის აღნიშნავს, აქაური მცხოვრებნი მინერალური წყლების ორგანიზმზე ზემოქმედებას კი არ მიაწერდნენ რაიმე ზებუნებრივ ძალებს, არამედ მათ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. ამ მხრივ დასავ. საქართველოს მცხოვრებლებს მაღლა აყენებს ავტორი გერმანიის ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებლებთან შედარებით, „სადაც წყლის მიღებას უკავშირებენ სხვადასხვა საიდუმლო რიტუალებს", ქართულ ხალხურ მედიცინაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ხალხურ ქირურგებს, დასტაქრებს, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში. საყოველთაოდ ცნობილი იყვნენ ძმები იაშვილები, ბაჯიაშვილები, თურმანიძეები, ზაქარაიები და მრ. სხვა, რომლებიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ ხელობას, ისინი პატიოსნად ეკიდებოდნენ ტრადიციით მიღებულ, ამ კეთილშობილურ საქმეს მრავალრიცხოვანი წარლატანებისა და ფსევდოექიმისაგან განსხვავებით.

ექ. პანტიუხოვი ამბობს, რომ ექიმი-ქირურგები აკეთებდნენ მეტად რთულ მანიპულაციებს: თავის ქალას ტრეპანაციას, საშარდე სისტემიდან ქვის ამოღებას, დიდი წარმატებით მკურნალობდნენ სიდამწვრეს, მოტეხილობებს, ჭრილობებს და სხვ. კავკასიურ ხალხურ კონსერვატულ ქირურგიას „ჰქონდა ბევრი და უეჭველი უპირატესობა ე. წ. მეცნიერულის წინაშე და დახმარებისათვის ადგილობრივ ხალხურ ქირურგებს ხშირად ევროპელებიც მიმართავდნენო". ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ერთ-ერთი ხალხური ექიმი თურმანიძეების გვარიდან განწესებული იყო ჯარში ექიმად, ქირურგიულ მკურნალობათა უამრავ ხალხურ მეთოდებიდან და მანიპულაციებიდან შედარებით გავრცელებული იყო ჭრილობათა, მოტეხილობათა და ამოვარდნილობათა მკურნალობა, თვალის ოპერაციები,

ემბრიოტომია, საშარდე სისტემიდან ქვის ამოღება[1], თავის ქალას ტრეპანაცია, ყვავილის აცრა და სხვ.

ამჟამად, ჩვენთვის საინტერესო წლებში, როგორც ცენტრარქივში შემონახული დოკუმენტებით ირკვევა, საქართველოში ცნობილი ყოფილან ხალხური დოსტაქრები იაგულაშვილები — სიმონი და გიორგი. 1819 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ხოვენის წარდგინებით, კავკასიის მთავარმართებელმა ველიამინოვმა დააჯილდოვა ისინი ვერცხლის მედლით, რომლის წითელ ლენტაზე წარწერილი იყო „за усердие", ძმები სიმონ და გიორგი იაგულაშვილები იყვნენ თელავის მაზრის სოფ. ურიათუბნის მცხოვრებნი, სახელმწიფო ყმები. მათ თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში, სამედიცინო მოხელეთა თანდასწრებით გააკეთეს ორი ოპერაცია ერთი 6 წლის, ხოლო მეორე 11 წლის ბავშვებზე. შარდის ბუშტიდან ქვის ამოღება (lutholomia რის გამოც ჯილდოს გარდა გაცემულ იქნა თვითეულ მათგანზე ატესტატი. სადაც წერენ, რომ გაცემულა ეს ატესტატი: „В поощрение его и на предбудущее время заниматься столь полезным для общества упражнением". ამ მოვლენას პირველი ქართული ნაბეჭდი გაზეთი „ქართული გაზეთიც" გამოეხმაურა, იმავე წლის 19 სექტემბრის ნომერში ასეთ ინფორმაციას ათავსებს თავის ფურცლებზე:

„აგვისტოს კ (20) რიცხვსა თელავის უეზდის სოფლის ურიათუბნის მცხოვრებთა, სახელმწიფო ყმათა, ორთავე ძმათა იაგულოვთა ებოძათ ორდენის ლენტებით ვერცხლის მედლები იმ წარმატებისათვის, რომელიც აღმოუჩენიათ მათ ქვის გამოღებისა და შირიმიანის კაცების მორჩენაში[2].

ადგილობრივი სწავლული საექიმო კადრების აშკარა დისკრიმინაციის დროს, რომელსაც ეწეოდა მაშინდელი ხელისუფლება, გაკვირვებას იწვევს სოფლის ხალხურ მკურნალთა ეს დაჯილდოება, მაგრამ, ჩანს, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში და მათს ოპერაციებს დიდი ეფექტი მოუხდენია საექიმო მმართველობის ხელმძღვანელობაზე და

---

1 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „ქართული ხალხური მედიცინის ისტორიიდან", ეტიუდები ქართ. მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 16.

2 გაზ. „ქართული გაზეთი", № 29, 19/IX—1819.

ოპერაციაზე დამსწრე სამედიცინო მოხელეებზე. საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდებში კიდევ მივაკვლიეთ ერთ ანალოგიურ საქმეს, რომელიც აგრეთვე მეტად საინტერესო მასალას იძლევა. 1830 წლის 20 ივნისს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი მიმართავს საქართველოს საექიმო მმართველებს, რომ აზნაურმა ზაქარია ლომიძემ წარუდგინა მას განცხადება და შუამდგომლობები ყარაბაღის კომენდანტის, ელიზავეტპოლის პოლკის უფროსის და თვით მის მიერ ნაოპერაციევ პირებისაგან, რომ ის დაჯილდოებულ იქნეს კენჭოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობისათვის. გუბერნატორ სთხოვს საექიმო მმართველობას, რომ სათანადო მოსაზრება წარმოადგინოს ამის გარშემო. იმავე წლის 29 ივნისს (მომართვა № 1130) საექიმო მმართველობა აძლევს ასეთ პასუხს: „მისი მაღალ აღმატებულების წინადადების შედეგად საექიმო მმართველობას პატივი აქვს მოახსენოს, რომ მან დაუშვა აზნაური ლომიძე, რათა გაეკეთებინა შარდის ბუშტის ქვის ამოღების ოპერაცია (luthotomia 5 წლის ბიჭზე. გააკეთა რა მან ეს ოპერაცია საკმაოდ კარგად, მაგრამ უხეში ინსტრუმენტებით, საექიმო მმართველობა ფიქრობს ნება დაერთოს მას შემდეგშიც აკეთოს ეს ოპერაცია, აგრეთვე მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ ლომიძე არ იმსახურებს არავითარ ჯილდოს, რადგან ამ ოპერაციის გაკეთებაზე ალბათ ღებულობს საჭირო გასამრჯელოს ბავშვების მშობლებისაგან". საექიმო მმართველობის ხელმძღვანელობა ამჯერად ვერ შეხვდა ლომიძეს იმ გულუხვობით, როგორც იაგულაშვილებს. მისთვის ჯილდო ვერ გაიმეტა ყოვლად გაუმართლებელი მოტივებით. ჯილდოს დაკავება ოპერაციისაგან გასამრჯელოს მიღების მოტივით არაა სწორი. ატესტატი კი, რითაც მას უფლება ეძლეოდა ოპერაციების წარმოებისა, გაცემულ იქნა.

საინტერესოა თვით ზაქარია ლომიძის თხოვნა, საიდანაც ირკვევა ზოგიერთი დეტალი მისი ამ დარგში მოღვაწეობის შესახებ. ზაქარია თელავის მაზრის სოფ. ვაქირის მცხოვრებია. ოპერაციებს უმთავრესად აკეთებდა გორისა და თელავის მაზრებში. ის იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ ორი წლით ყარაბაღის ბეკს მიუწვევია, სადაც აკეთებდა ოპერაციებს. შემდეგში ქ. ელიზავეტპოლის (კიროვაბადი, აზერბაიჯანის სსრ)

მცხოვრებთა მიწვევით იქ 10 ოპერაცია გაუკეთებია ისეთი ავადმყოფებისათვის, რომლებიც მისივე თქმით „სიკვდილის სარეცელზე იწვნენ“. ყველაფერ ამას ოფიციალურად ადასტურებენ თვით სამოქალაქო გუბერნატორი (მომართვა № 4417 20/6—1830), ყარაბაღის კომენდანტი, ელიზავეტპოლის ოლქის უფროსი, ელიზავეტპოლის ოლქის ექიმი, შტაბ-ლეკარი პეტრე კლაპიტონიშვილი (ოღონდ მათ მიერ გაცემული შუამდგომლობები საქმეში არ შემონახულა). აღსანიშნავია, რომ ქართველი თავადაზნაურების ერთი ნაწილი უკადრისობდა ექიმის პროფესიას, რის გამოც საექიმო განათლების მისაღებად გასაგზავნი პირები, მთავარმართებლის პ. ციციანოვის მიმართვით თუ ვიმსჯელებთ (№ 11 19/11 1803 წ.), შესაძლებელი იყო შეერჩიათ მხოლოდ სომხებში, იშვიათად—ღარიბ ქართველ აზნაურებში. 1828 წლის 31 იანვარს პასკევიჩი ზაკრევეცისადმი გაგზავნილ № 72 მიმართვაში წერს, რომ მან ვერ შეარჩია სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გასაგზავნი კანდიდატები, რადგან აქაური ახალგაზრდები უმთავრესად მიისწრაფვიან სამხედრო სამსახურისაკენ“.

«Можно решительно утвердить, что они не имеют расположение к наукам“ — მტკიცედ ასკვნის პასკევიჩი. პასკევიჩის ასეთ შეხედულებას აბათილებს აზნაურ ზაქარია ლომიძის მოღვაწეობა, რომელიც მეტად შთაგონებულ და თავისი პროფესიისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილ დოსტაქრად გვევლინება, ამას ადასტურებს მისი ფრაზები თხოვნიდან:

«С большим нждивением посвятив себя вырезывать камни из мочевого пузыря»... «изыскал я особенное искуство спасать от таковой болезней».

ამ ოპერაციას ის მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან ოპერაციად თვლის.

«Учинил сию важную операцию искусно...» «на столь важную способность мою и труды».

ის შარდის ბუშტიდან ამოღებულ ქვების კოლექციას აგროვებდა, რომელიც განცხადებასთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად, როგორც მისივე განცხადებიდან ირკვევა, მთავარმართებლისათვის წარუდგენია.

1834 წელს ექიმმა რეინგარდტმა გამოაქვეყნა წერილი ჟურნალში: „Военно-медицинский журнал“ (№ 1, 2—XXI—1834), სადაც წერს, რომ მას თვითონ უნახავს ზემოაღნიშნული ოპერაცია, რომელსაც დიდი ხელოვნებით აკეთებდნენ ძმები იაშვილები. ამგვარად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში 5 ქართველი დოსტაქარია გამოვლენილი, რომლებიც დიდი წარმატებით აკეთებდნენ შარდის ბუშტის ქვის ამოღების ოპერაციებს.

საქართველოში შარდის ქვის ოპერაციებს, როგორც ძველი სამედიცინო ძეგლებიდან ჩანს, უძველეს დროიდან მისდევდნენ. თვით ქვას (კენჭს) შირიმს უწოდებდნენ და ამ ოპერაციის გამკეთებელ ექიმს მეშირიმეს. ამგვარად, „მეშირიმეობა“ ხალხურ მკურნალთა შორის ერთგვარ ცალკე სპეციალიზებულ პროფესიას წარმოადგენდა, რადგან თვით „აქიმნი“ ავადმყოფებს ურჩევდნენ მეშირიმესათვის მიემართათ. შირიმს სულხანსაბა ორბელიანიც განმარტავს, როგორც ბუშტისა და თირკმლის ქვას. „ქართული გაზეთის“ ზემოხსენებულ ინფორმაციაშიც იაგულაშვილების შესახებ, კენჭოვანი დაავადება გაიგივებულია „შირიმიანთა“ დაავადებაში.

XI საუკუნის ძეგლიდან — „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, რომ თირკმლისა და შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებას საკმაოდ კარგად იცნობდნენ, როდესაც ის „ქვად შეიქმნების და მის მეტი ღონე არ არის რომე მეშირიმემა გარედაღმა გამოართვას“ (გვ. 336).

მე-15 საუკუნის ძეგლში, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“, იმ დროისათვის საკმაო სიზუსტით აღწერილია კენჭოვანი დაავადების კლინიკა, კონსერვატულ მედიკამენტური მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები. „მაგრამ თუ არა წაშალმან ვერ უშუველოს და ესე ქვა ქუეძო ბუშტუშიგან იყოს და ვერ უშუველოს მ ე შ ი რ ი მ ე მ ა ნ ა მ ო ა რ თ ვ ა ს“.

მაშასადამე XIX საუკუნის I ნახევარში ქართულ ხალხურ მედიცინაში გავრცელებული ეს ოპერაცია უძველესი ქართული წარმოშობისა ყოფილა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 50-იანი წლების მიწურულში ძალიან ბევრი ყოფილან „ექიმბაშები“ და შარლატანები, რომლებიც ზიანს აყენებდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობას.

საინტერესოა ამ მხრივ 1856 წელს ატეხილი „პოლემიკა“ ადგილობრივ მკურნალებთან დამოკიდებულების შესახებ, სამედიცინო სამმართველოსა და კავკასიის ხელისუფალთა შორის. თვით ქ. თბილისშიც ყოფილან შარლატანები და „ადგილობრივი მკურნალები“. მათ შორის არის ვინმე ავლაბრელი ს. პაპუმოვი, თათარი ისმაილი და სხვ., რომლებიც მკურნალობით სწამლავდნენ თავიანთ პაციენტებს. სამედიცინო სამმართველო და საექიმო მმართველობა მოითხოვდნენ აეკრძალათ შარლატანებისათვის საექიმო პრაქტიკა, მაგრამ ჩანს ხელისუფლება იძულებული ხდებოდა საექიმო კადრების სიმცირის გამო დაეშვა იგი. გენერალი მურავიოვი ბებუთოვის მიმართვაზე (28/I—1856 წ.)[1] აწერს რეზოლუციას:

«Не отменять положения Совета допускающего туземным врачам практику».

საექიმო მმართველობა პოპეიკის ხელის მოწერით 5 კითხვას უყენებს კავკასიის ადმინისტრაციას, რითაც ცდილობს ერთგვარი გარკვეულობა შეიტანოს ხალხურ მკურნალებთან დამოკიდებულებაში.

1. ვინ ჩასთვალონ „туземным вранам“, ისინი, ვინც თავს გამოაცხადებენ ექიმებად გამოცდების გარეშე? და დაშვებულ იქნენ ასეთი ექიმები პრაქტიკაზე?

2. ადგილობრივ სამედიცინო ხელისუფლებას დაემორჩილონ ეს „მკურნალები“ თუ არა?

3. ვალდებულნი არიან ისინი ჩაბარონ ანგარიშები სამედიცინო სამმართველოს თავიანთი საქმიანობის შესახებ თუ არა?

4. როგორ მოექცეს საექიმო მმართველობა იმ საჩივრებს (რაც საკმაოდ ხშირია), რომელსაც ღებულობენ ამ „მკურნალობით“ ვნება მიყენებული პაციენტებისაგან?

5. აწარმოოს თუ არა საექიმო მმართველობამ ქიმიური ანალიზები ასეთი წამლებისა, რომელსაც ხშირად გზავნის ხელისუფლება.

პოპეიკო აყენებს წინადადებას მათი გამოყენების ერთგვარი რეგლამენტაციის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა 11

---

[1] Акты, т. XI, стр. 867.

შუხლად[1]. ამ მოთხოვნათა თანახმად პოპეიკოს საჭიროდ მიაჩნია, რომ ეს ხალხური მკურნალები მუშაობდნენ სწავლული ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, საშუალო სამედიცინო პერსონალის უფლებებისა და მოვალეობათა ფარგლებში, რომ მათთვის შედგენილ იქნეს სპეციალური პოპულარული სახელმძღვანელოები, რომ ისინი თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ ექიმებს და სხვ. მიუხედავად საექიმო მმართველობის ასეთი მოთხოვნებისა კავკასიის ადმინისტრაცია არ კრძალავდა მათ საქმიანობას, უფრო სწორად, იძულებული იყო არ მიეღო მათ წინააღმდეგ ზომები, რადგან ასე თუ ისე მოსახლეობის დიდი ნაწილი ექიმების სიმცირის გამო, სამედიცინო მომსახურების გარეშე რჩებოდა და ამ ხალხური მკურნალების საქმიანობით კმაყოფილდებოდა. საექიმო მმართველობა ბრალს დებს ადმინისტრაციას, რომ ის ხელს უწყობს შექმნან განსაკუთრებული კლასი «Туземных лекарей» ადმინისტრაცია ამ „ბრალდებაზე“ პასუხობს:

Правительство вовсе не думает созидать особого сословия народных лекарей, тем мене давать существованию их какую нибудь законность; — напротив оно желало-бы пресечь, домашние способы лечения, по большей части неверные — сокращать класс домашних лекарей до совершенного уничтожения их, даровать народу способы просвещенной медицины и умножить для него врачей ученых; **но при недостатке еще средств к сему в настоящее время, в особенности в здешнем крае,** принуждено терпеть — и именно только терпеть в народе временем порожденные в нем и им сбольшим доверием употребляемые способы лечения и **смотреть пока на это зло сквозь пальцы»...** относительно Цирюльников, вследствие циркуляра о них Министра внутренних дел, по журналу 7/III 1846 г. также положил: Оставить этот класс до времени в том положении, в каком он теперь находится...

---

[1] Акты, т. XI, стр. 870.

Практику туземных лекарей не дозволяется, а только допускается или иначе говоря не запрещается... не следует принимать по оному ни запретительных, ни учредительных мер».

ბებუთოვი პასუხობს პოპეიკოს 5 კითხვაზე. ამ ახსნა-განმარტებებით საბოლოოდ უარყოფენ ამ მკურნალების ოფიციალურ აღიარებას, საჭიროდ არ თვლიან მათზე ცნობების გაცემას, ანგარიშების მიღებას მათი საქმიანობის შესახებ და სხვ.. რადგან ეს გამოიწვევს ხელისუფლების მიერ მათ აღიარებას, როგორც განსაკუთრებული კლასისას („Особым сословием"). ამიტომ „სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ" პოპეიკოს ზემოხსენებული მოთხოვნები ამ საკითხზე. პოპეიკოს მოთხოვნებზე ბებუთოვის პასუხის — პროექტისათვის გენერალ მურავიოვს ასეთი რეზოლუცია დაუდვია: «Совершено согласен».

საინტერესოა პოპეიკოს იდეა ხალხური მკურნალების სწავლულ მკურნალებთან დაახლოვების შესახებ, თუნდაც მათი სამედიცინო კანონმდებლობათა რეგლამენტაციის ქვეშ მოქცევის თვალსაზრისით, მაგრამ, რასაკვირველია, ეს განუხორციელებელი იდეა იყო, როგორც სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ისე თვით ხალხური მკურნალების გარკვეული ნაწილის კეთილსინდისიერი საქმიანობისაკენ „მოუქცევლობით".

სამედიცინო პერსონალი

რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში საექიმო კადრების სიმცირისა და ძველ ქართველ ექიმთა საექიმო საქმიანობის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს შევეხეთ ამ წიგნის პირველ თავში (გვ. 30, 31, 32, 33) სამედიცინო-სანიტარული საქმის ორგანიზაციის საერთო საკითხებთან ერთად. აქ გვინდა მოკლედ შევეხოთ იმ დროის სამედიცინო პერსონალს. ამ პერიოდის პირველი რუსი ექიმები, რომელთაც თავი ისახელეს კავკასიაში კეთილსინდისიერი და უმწიკვლო მუშაობით იყვნენ: გ. ლ. ვორონჩენკოვი, დ. თ. რიზენკო, ს. პლეშკოვსკი, ი. ა. პრიბილი, ს. მ. დიაკოვი, ი. ა. პოპეიკო, ფ. ი. უმისა, ი. კ. დეპნერი, ფ. ი. კაუბე, კ. ი. რეინგრადტი, ვ. ხ. პრეიალკოვსკი, ვ. მ.

ფორესოვი, ე. რ. გოლმბდატი, ი. ი. შტრაუბე, გ. ნ. პრონინი, ლ. ბ. ვიხმანი, კ. ქ. ხანკინი, ე. ი. კრასნოგლიადოვი, ა. ვ. შნეიდერი, ი. ი. შტეიმანი, თ. თ. ხლევეზელი, ა. გორიცი, ი. ი. მინკევიჩი, რანჩევსკი, პ. ი. სობოლჩიკოვი, მ. ი. რეიხი, ვ. კ. სტრუვე, ილ. სმოლენსკი, ს. ვ. ბელიცკი, ფ. ჩაშნიცკი, ი. გორალევიჩი, ალ. მატუროვი, ალ. პიანოვსკი, დ. ლისიცევი, ნ. ვერმიშევი, მ. ვ. სკაროვი, ი. ს. ტალკო და სხვ.[1]. აგრეთვე ს. აქიმოვი, ი. იოანესიანი, ს. ა. ტერ-გუკასოვი. მათ თავი ისახელეს უმთავრესად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მედიკურ-ტოპოგრაფიული, კლიმატურ-ბალნეოლოგიური და სამხარეო პათოლოგიის თემებზე შექმნილი მეცნიერული ხასიათის შრომებით. კავკასიაში მომუშავე რუსი ექიმების დიდი ნაწილი თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა საქართველოს, პროგრესული იდეების მატარებელნი იყვნენ და თავიანთი კეთილშობილებითა და ჰუმანურობით მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობისა და ფართო მოსახლეობის საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ი. ა. პრიბილი და პ. ი. სობოლშჩიკოვი, რომელთა საქმიანობას მოკლედ შევეხებით. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მომუშავე რუსი ექიმების გარკვეული ნაწილი დეკაბრისტულ, შემდეგში კი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებს იზიარებდა და ხშირად ამ იდეებისათვის აქტიური მებრძოლებიც იყვნენ. ისინი ქართველ მოწინავე ინტელიგენციას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძოძრაობაშიც უჭერდნენ მხარს.

ვ ო რ ო ნ ჩ ე ნ კ ო ვ ი მ ა თ ე ლ ე ო ნ ტ ი ს-ძ ე ჯერ კიდევ საქართველოს საექიმო მმართველობის ჩამოყალიბებამდე, 1803

---

1 მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ზოგიერთ ჩამოთვლილ ექიმებზე, მოცემულია აკად. ალ. წულუკიძის წიგნში «Врачи Грузии XIX. столетия» 1948, საქმედგამი, (იხ. აგრეთვე ქართული გამოცემა, 1961) და მ. საკაშვილისა და ა. გელაშვილის წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია", ტ. 4, წ. I, გვ. 109—128, რომელსაც აქ არ გავიმეორეთ.-ჩვენ შევეხებით ზოგიერთ ექიმს, რომელთა შესახებ ან ახალი მასალები გვქონდა ხელთ (ზემოხსენებულ ავტორთაგან განსხვავებული) ან ვთვლით, რომ ისინი ტიპიური წარმომადგენლები არიან ამ პერიოდის მოღვაწეებს შორის და მათი ცხოვრებისა და საქმიანობის აღწერა აუცილებელია (დამახასიათებელია) ეპოქის ისტორიის სწორი ასახვისათვის.

წლის 20 იანვარს, დაინიშნა თელავის მაზრის ექიმად. 1809 წ. იყო 43 წლისა (ე. ი. დაბადებული 1766 წელს). პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ჰოსპიტალში „გენერალური გამოცდების“ შემდეგ მიიღო ლეკარის წოდება. მუშაობდა ასტრახანის გარნიზონის უფროს ლეკარად, საიდანაც გადმოყვანილ იქნა თელავში. 1804 წელს დაჯილდოებულ იქნა კოლეგიის ასესორის ჩინით ჭირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლის დროსაც დაეღუპა ცოლი და ორი ქალიშვილი. 1806 წლის 13 ოქტომბერს დაინიშნა თბილისის ქალაქის ექიმად, 1807 წლის 29 აგვისტოდან კი საექიმო მმართველობის ოპერატორად და ქალაქის ექიმად. 1809 წელს დაჯილდოებულ იქნა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წლიური ხელფასით (500 მ.).

ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება კავკასიაში მომუშავე რუს ექიმთა შორის, რომელმაც თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა XIX საუკუნის I ნახევარში მეცნიერული მედიცინის დამკვიდრებასა და პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობაში იყო ივანე ანტონის-ძე პრიბილი[1]. დაიბადა 1780 წელს. პირველი სამედიცინო განათლება მიიღო პრაღაში ექიმის წოდებით, შემდეგ სწავლას აგრძელებს ვენაში, ღებულობს მედიცინისა და ქირურგიის დოქტორის ხარისხს. 1808 წლიდან პრიბილი კონტრაქტით სამუშაოდ მოდის რუსეთში. სათანადო გამოცდების შემდეგ ღებულობს რუსულ ატესტატს და ინიშნება სარატოვის მუშკეტერთა ქართულ პოლკში. ის ღრმად განათლებული პიროვნება იყო. მშვენივრად ფლობდა გერმანულს, ფრანგულს, იტალიურს და ინგლისურ ენებს. მისი ბიოგრაფი წერს, რომ „В то время он был первым лингвистом на Кавказе» ქართველოში მუშაობისას კარგად შეისწავლა რუსული და ქართული ენა.

1813 წელს პრიბილი პოლკიდან გაგზავნილი იქნა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში, ამავე დროს იყო შავი ჭირის კომიტეტის წევრი 1813-14 წლებში, როგორც ეპიდემიებთან

---

[1] ი. ა. პრიბილის სურათი და ზოგიერთი მასალა მისი ცხოვრებიდან მოგვაწოდა პროფ. გ. ყანჩაველმა. რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ბრძოლაში გამოცდილი ექიმი, 1814 წლის ნოემბრიდან გადაიყვანეს ხერსონის სამხედრო ჰოსპიტალში მთავარ ექიმად, აქ იმსახურა 1 წელიწადი, დაასრულა კონტრაქტით სავალდებულო 6 წელი და გავიდა სამხედრო სამსახურიდან. 1816 წელს სამუდამოდ ბრუნდება საქართველოში. პირველად საქართველოს საექიმო მმართველობის მეანის ადგილზე მუშაობს. სამხედრო ნაწილებში შავი ჭირის ლიკვიდაციისათვის დაჯილდოებულ იქნა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით. იმავე 1816 წელს ინიშნება საქართველოს საექიმო მმართველობის ინსპექტორად. 1820 წელს გზავნიან პიატიგორსკში მინერალური წყლების საექსპლოატაციოდ მოწყობის მიზნით. 1822 წელს სამოქალაქო სამსახურიდან საბოლოოდ გადადის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმად, რომელიც ერთადერთი, შედარებით სერიოზული სამკურნალო დაწესებულება იყო მთელ კავკასიაში.

1849 წლამდე, მთელი 27 წლის განმავლობაში, მუშაობდა ის ამ თანამდებობაზე. 1849 წელს მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო გადადის პენსიაზე (მთელი ხელფასით). დანიშნულ იქნა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო კომიტეტის მუდმივ წევრად (თბილისში ცხოვრების უფლებით), თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის კონსულტანტად. მას ევალებოდა აგრეთვე კავკასიაში შესრულებული სამედიცინო ხასიათის სამეცნიერო შრომებისა და სამედიცინო-ტოპოგრაფიულ აღწერილობათა განხილვა. პრიბილს ცოლად ჰყავდა (დაქორწინდა 1812 წელს) ქართველი ქალი, ერეკლე მეორის ლეიბ-მედიკის იოსებ ყარაშვილის ასული ეკატერინა. მისი შვილი იაკობ ივანეს-ძე პრიბილი, რომელიც დაიბადა და აღიზარდა თბილისში, ხდება აგრეთვე პოპულარული ექიმი. მან ერთ-ერთმა პირველმა, თბილისელ ექიმთა შორის, მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი (1840)[1].

ი. ა. პრიბილი თავის დროისათვის უაღრესად პროგრესული პიროვნება იყო. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, იგი განსაკუთრებულ ჰუმანურობას იჩენდა მოსახლეობის დაბალი ფენის მიმართ. როგორც ზემოთ ვთქვით, მან საქართვე-

---

[1] Русские врачи писатели Л. Ф. Змеев. вып. I.

ლოში ჩამოსვლისთანავე ისწავლა ქართული ენა, რაც იშვიათი მოვლენა იყო კავკასიაში მომუშავე არაქართველ მოხელეთა შორის[1].

სიკვდილამდე ცხოვრობდა თბილისში. არასოდეს არ ჩამოშორებულა თავის საყვარელ საქმეს. ღებულობდა და სისტემატურად კითხულობდა მრავალ უცხოურ სამედიცინო ლიტერატურას. მოსახლეობას უწევდა მაღალ, კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას, როგორც კერძო ექიმი. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 85 წლის ასაკში (1866 წლის 24 თებერვალს ძვ. სტილით) ქ. თბილისში.

მისი ბიოგრაფი ე. კრასნოგლიადოვი პრიბილს ასე ახასიათებს:

«Иван Антонович Прибыль безспорно занимал первостепенную роль в кругу военно-медицинской корпорации на Кавказе. Личность его вполне замечательная в течении более полувека не изменялась ни при каких переворотах, и как человек одаренным самостоятельным характером, при многосторонности своего образования он твердо прошел свой длинный период жизни и неизменяясь в своих принципах проходил неуклончиво по пути ему предстоявщему»[2].

ი. ა. პრიბილს, გარდა ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისა, მეცნიერებაშიც აქვს თავისი წვლილი შეტანილი 1815 წელს ხერსონში მან პირველმა იხმარა მედიცინაში მალარიის წინააღმდეგ დარიშხანის (მიშიაკის) პრეპარატი, რომელიც მშვენიერი საშუალება იყო ქინაქინის შემოღებამდე. მართალია ქინაქინის შემოღებამ შეზღუდა მისი გამოყენება, მაგრამ მის ხმარებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან გაცილებით გვიან, ალჟირში ფრანგმა ექიმმა იხმარა ის, როგორც მალარიის სამკურნალო ახალი საშუალება. მანვე პირველმა შეიმუშავა ყვითელი ცხელების მკურნალობის მეთოდი კალომელისა და ol Ricini-ს საშუალებით სამხრეთის (ცხელი) მხარეებისათვის, სადაც თავისებური მიმდინარეობა ჰქონდა ამ დაავადებას. 1822

---

1 იხ. მ. შენგელია, „ჩეხი ექიმი ი. ა. პრიბილი საქართველოში", თბილისის ექიმთა დახელ. ინსტიტუტის ჟურნალი „კრებული", № 4, 1954 წ.

2 Е. Красноглядов, «Иван Антонович Прибыль».

წელს ხმარებაში შემოიღო აბუსალათინის ზეთი, რომელმაც შეცვალა ამერიკული და ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა მას.

ი. ა. პრიბილი იყო ახლადჩამოყალიბებული (1864) კავკასიის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრი და პეტერბურგის ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრი.

პ. ი. სობოლშჩიკოვი დაიბადა 1813 წელს. დაამთავრა დერპტის უნივერსიტეტი. 1836 წელს დანიშნულ იქნა ვიტებსკის მაზრის ექიმად. 1837 წელს გადაიყვანეს ვლადიკავკავის სამხედრო ჰოსპიტალში, საიდანაც 1839 წელს, საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით, გამოგზავნილ იქნა შავი ჭირის კომიტეტის განკარგულებაში, ახალციხეში. ამ დროიდან ის სამუდამოდ რჩება საქართველოში, სადაც მეტად ნაყოფიერი და შინაარსიანი საექიმო და საზოგადოებრივი მუშაობა ჩაატარა. 1844 წელს ის იმერეთ-საქართველოს საექიმო მმართველობის წევრია. შემდეგში სხვადასხვა დროს იყო თბილისის ქალაქის ერთ-ერთი ნაწილის ექიმი, ქალაქის ექიმი, მაზრის ექიმი და სხვ.

1855 წლიდან თბილისის საექიმო მმართველობის ინსპექტორია, 1862 წლიდან კი კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო სამმართველოს უფროსი. ამ თანამდებობაზე 1871 წლამდე მუშაობდა. შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო პენსიაზე გავიდა და 1874 წელს გარდაიცვალა. 1845 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ღებულობს შტაბლეკარის წოდებას და 1854 წელს პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში მედიცინის დოქტორის ხარისხს. 1864 წელს სობოლშჩიკოვის ინიციატივით და მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, რომელიც ერთადერთი დიდი სამედიცინო კულტურის კერა იყო. სობოლშჩიკოვმა თბილისის ქალაქის ექიმის მოვალეობის შესრულების დროს მეტად საინტერესო სტატისტიკური მასალა გამოაქვეყნა „Кавказский календарь"-ში[1].

---

[1] «Кавказский календарь», 1846, 1847, და სხვ.

ჯდომარის მოადგილე იყო, მომდევნო წლებში კი თავმჯდომარე. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „О качестве воды и воздуха в Тифлесе. в отнношении гигиеническом“. სობოლშჩიკოვი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს კავკასიის და, კერძოდ, საქართველოსა და თბილისში სახალხო ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხებზე. 1869 წელს გამოსცა წიგნი „Какое умение нужнее всего в обиденной жизни человека“.

ეს წიგნი ითარგმნა ქართულად და პერიოდულად იბეჭდებოდა „სოფლის გაზეთში“. აღსანიშნავია, რომ პ. სობოლშჩიკოვი იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო. აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. სობოლშჩიკოვის ოჯახი კონსპირაციულ დახმარებას უწევდა პოლონელ პატრიოტებს, რომელთაც თანაგრძნობით ხვდებოდა რუსეთის პროგრესული ინტელიგენცია. კავკასიის სამედიცინო საზოგადოება შემდეგში თავის წლიურსა თუ საზეიმო სხდომებზე (25 და 50 წლისთავზე საზოგადოების დაარსებიდან) დიდი პატივით აღნიშნავდა მის სახელს[1].

XIX საუკუნის გარდამავალი პერიოდის ქართველ ექიმებთაგან უნდა დავასახელოთ: სტეფანე შარიმანაშვილი, გრიგოლ დავითის-ძე დავრიშვილი, ზაქარია მიხეილის-ძე ზუბალაშვილი, მიხეილ ისაის-ძე ჩიგიანი, პეტრე ალექსანდრეს-ძე კლაპიტონიშვილი, მირიან ავთანდილის-ძე ბასტამაშვილი, გ. მ. სარაჯიშვილი, სარდიონ დიმიტრის-ძე ალექსი-მესხიშვილი, სტეფანე გიორგის-ძე ბასტამაშვილი, იოსებ გიორგის-ძე სააკაშვილი.

პირველი ქართველი ექიმი, რომელმაც რუსული უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო, არის პ ე ტ რ ე კ ლ ა პ ი ტ ო ნ ო ვ ი (კლაპიტონიშვილი). 1826 წლიდან უკვე ელიზავეტპოლის მაზრის ექიმია, შტაბ-ლეკარის წოდებით. მასზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით, მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო.

ს ტ ე ფ ა ნ ე შ ა რ ი მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — ქართველი კათოლიკე იყო ცნობილი ექიმების — ყარაშვილების ნათესავი. პირ-

---

[1] Г. З. Пицхелаури, В. В. Пиражков, Кавказское медицинское общество и его передовые деятели» (рукопись).

ველი საექიმო განათლება მიუღია სწორედ ყარაშვილების ოჯახში. ანტონ და იოსებ ყარაშვილებს უსწავლებიათ მისთვის მედიცინა, შემდეგ ის სასწავლებლად მიდის ავსტრიაში. ამთავრებს ვენეციის უნივერსიტეტს. საექიმო პრაქტიკის მისაღებად იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, რის შემდეგაც მას ვხედავთ თბილისში, გიორგი XII-ის კარზე გიორგი მას, როგორც მკურნალს, სპეციალური დავალებით აგზავნის შირვანის ხანთან — მუსტაფასთან. უფრო გვიან ციციანოვიც გზავნის მას ასეთივე მისიით ერევნის ხანთან (შვილის სამკურნალოდ). როგორც საარქივო მასალებიდან[1] ირკვევა, 1811 წელს სტ. შარიმანაშვილი თბილისში იმყოფება, როგორც „вольнопрактикующие из Грузин", რომელსაც უკვე გამოცდა ჩაბარებული ჰქონია რუსული საექიმო ატესტატის მისაღებად. იგი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. ფლობდა ორ ევროპულსა და 4 აზიურ ენას[2]. 1824 წელს თელავის მაზრის ექიმია[3], გარდა საექიმო პრაქტიკული მოღვაწეობისა, როგორც ირკვევა, მას ქართულ სამედიცინო ლიტერატურაშიც შეუტანია მცირე წვლილი: შეუდგენია ბოტანიკური ლექსიკონი „ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა", რომელიც იოანე ბაგრატიონს დაურთავს თავისი ლექსიკონისათვის. შემდეგში ის ნ. დ. ჩუბინაშვილსაც შეუტანია თავის ცნობილ ლექსიკონში. იოანე ბაგრატიონის კარაბადინის[4] სატიტულო ფურცელზე მინაწერის სახით ვკითხულობთ: „რომში აღზრდილმან კათოლიკემან ქართველით გვარისა შარიმანაშვილმან (სტეფანემ), რომელიცა მოკვდა თბილისს 1836 წელსა შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე, ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა, შემდეგ იოანე მეფის ძემან დაურთო ესე თვისგან ქმნილს ლექსიკონსა ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესე თვისსა ლექსიკონსა, რომელიცა დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან. შარიმანაშვილის წერილი ნამდვილი და თარგმნილიცა ქართულად აქვნდა დ თ თუმანიშვილსა, ეგნატე თუმანიშვილის ძმასა (გარ-

---

1 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 1436.

2 Акты, т. III, стр. 1056—1057.

3 ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 3298.

4 აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № 4005.

დაიცვალა 1832 წელს) ვის დაშთა იგი არა ვუწყი". ამ მინაწერით სტ. შარიმანაშვილის გარდაცვალების თარიღიც ირკვევა, იგი გარდაცვლილა 1836 წელს, თბილისში.

გ. დ. დ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი მუშაობდა თელავის მაზრის ექიმად. 1846 წელს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადადის სამუშაოდ. 1850 წელს იხსენიება შტაბლექარის წოდებით. 1866 წელს დავრიშვილი ელიზავეტპოლის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმია. ის იყო კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი წევრ-დამაარსებელი. გარდაიცვალა 1875 წელს[1]. მისი უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების თარიღად თვლიან 1840—45 წლებს, რაც არ არის სწორი, რადგან 1836 წელს ის უკვე თელავის მაზრის ექიმია, ასე რომ იგი 1832—36 წლებით უნდა დათარიღდეს. ამასთან არც 1831 წლის სამედიცინო მოხელეთა სიაში ჩანს, კავკასიაში მომუშავე ექიმთა შორის.

ზ ა ქ ა რ ი ა მ ი ხ ე ი ლ ი ს-ძ ე ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (1810—1877), დაუმთავრებია ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი 1835 წელს, მედიცინისა და ქირურგიის დოქტორის ხარისხით. 1836 წელს ექიმის წოდების მისაღებად აბარებს გამოცდებს დერპტის უნივერსიტეტში (ალბათ რუსული ატესტატის მისაღებად). ამის შემდეგ ის სიკვდილამდე მოღვაწეობს საქართველოში: ახალციხეში, დუშეთში, თბილისში, სადაც ქალაქის ექიმად მუშაობდა. ის ერთ-ერთი დამაარსებელია კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა[1]. 1846 წელს მან თარგმნა ქართულად და სტამბურად გამოსცა მალარიის ქინაქინით მკურნალობის შესახებ დარიგება.

მ ი ხ ე ი ლ ი ს ა ი ს-ძ ე ჩ ი გ ი ა ნ ი (გარდაიცვალა 1877 წელს). პროფ. ა. წულუკიძის მოსაზრებით მან უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო 1840—1845 წლებში. იყო თელავის მაზრის ექიმი, შემდეგში სიღნაღის მაზრის ექიმად მუშა-

---

[1] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე № 1436.

[2] Проф. А. П. Ц у л у к и д з е, Врачи грузины XIX столетия, Тбилиси, 1948.

ობდა. 1854 წლიდან თბილისის ქალაქის ექიმია, მ. ჩიგიანი კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია.

სარდიონ დიმიტრის-ძე ალექსი-მესხიშვილი. ალბათ 1840—1845 წლებში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება, რადგან 1849 წელს უკვე შტაბ-ლეკარის წოდება აქვს. 1854 წელს ის ინიშნება თბილისის მაზრის ექიმად.

ცნობილია, რომ XIX საუკ. საქართველოში მოსახლეობისათვის საექიმო მომსახურების საქმეში დიდი როლი ითამაშეს საშუალო სამედიცინო განათლების მქონე პირებმა — ფერშლებმა, მაგრამ მათი ღვაწლი სრულებით არაა შესწავლილი და შეფასებული. დღემდე სრულიად უცნობია მე-19 საუკუნის და განსაკუთრებით მისი პირველი ნახევრის ქართველი ფერშლები, თუნდაც სახელით და გვარით მაინც. პირველი ფერშლები (ექიმის მოწაფეები) ქართული გვარებით ჩანან 1838 წლის კავკასიის სამედიცინო მოხელეთა სიაში[3]. ამ სიით კუბაში უფროს ფერშლად (უფ. ექიმის მოწაფედ) ყოფილა მიხეილ ანდრონიკოვი (მიხეილ ანდრონიკაშვილი). 1844 წელს ერევნის მაზრის ექიმთან მუშაობს უმცროსი ფერშალი ფარსადან კალმახელიძე, შირვანში უმცროსი ფერშალია იაკობ მაისურავი (მაისურაძე), ქუთაისში უფროსი ფერშალი — სოლომონ დუჩაიძე, უმცროსი ფერშალი კი—მერაბ აბულაძე (ისინი 1844 წ. ანგარიშშიაც ირიცხებიან), გორში უფროსი ფერშალია — გაბრიელ მამულოვი (შესაძლოა მამულაშვილი). (1844 წლისათვის იგი გურიის მაზრის ექიმთან მუშაობს), უმცროსი ფერშალი — იაკობ ბეგალოვი (შესაძლოა ბეგალიშვილი).

1844 წელს გურიის მაზრის ექიმთან უმცროს ფერშლად ითვლებოდა ბადანაძე, 1850 წელს ქ. თბილისის III ნაწილის ექიმთან უფროს ფერშლად გიორგი გერაშამიაა (გერსამია).

სიღნაღის მაზრის ექიმთან უფრ. ფერშლად იყო ივანე ენიკოლოფაშვილი, ჭარბელაქნის ოლქის ექიმთან კი მალაქია ტუსკია.

---

[3] ცენტრარქივი, ფ. 16, საქმე 5439.

1850 წელს ქუთაისის გუბერნიაში ფერშლებად მუშაობდნენ: სოლომონ დუჩაიძე, მანუჩარ ნატროშვილი (ქუთაისი), მერაბ აბულაძე, ვასილ სულაქველიძე (შორაპანი), სიმონ მასხარაშვილი, ანდრია არჯევანიძე (რაჭა), ნიკოლოზ ბადმენიძე, სოფრომ ხუნდაძე (ოზურგეთი), თაქთაქაძე (ახალციხე).

1857 წელს კი სოლომონ დუჩაიძე, სისო საჯაია (ქუთაისში), მერაბ აბულაძე, ვასილ სულაქველიძე (შორაპანი), ანტონ არონიშაძე (რაჭა), ნიკოლოზ ბადმელიძე, სოფრომ ხუნდაძე (ოზურგეთი). ამავე წელს თბილისის გუბერნიაში ფერშლებად იყვნენ: ალექსანდრე ლობჟანიძე (გორი), გარსევან სიდამონიძე (თელავი), იოსებ ბაქრაძე (ბელაქანი)[1] და სხვ.

ესენი საშუალო სამედიცინო პერსონალთაგან პირველი ქართველი ფერშლები უნდა იყვნენ, რადგან ადრინდელ სიებში არსად არ იხსენიებიან ქართული გვარის მქონე საშუალო სამედიცინო მოხელეები. შემონახულია 1836 წლის ერთი დოკუმენტი № 1202 31/X, 1836[2], რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი ატყობინებს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, რომ მთავრდება ყაზანის საფერშლო სკოლის მშენებლობა, რომელიც გაიხსნება 1837 წლის 15 აგვისტოდან. „საქართველოს დათმობილი აქვს ამ სკოლაში ორი ადგილი და თხოულობენ, რომ საზოგადოებრივი ზედამხედველობის „პრიკაზმა“ გამოაგზავნოს წინასწარი თანხები მათ აღსაზრდელად, თითოზე ერთდროულად: პირველ წელიწადს 135 მანეთი და ყოველწლიურად თითო მოწაფეზე 340 მანეთი“. მაშასადამე, როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, საქართველოდან იგზავნებიან რუსეთის საფერშლო სკოლებში ახალგაზრდები და შესაძლებელია ზემოხსენებულ ფერშლებს ამ გზით ჰქონდათ მიღებული სპეციალური განათლება. თუმცა შესაძლებელი იყო ადგილობრივ ჰოსპიტალშიც მიეღოთ ფერშლის ატესტატი, სათანადო ცოდნის მიღებისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

---

[1] ЦГИА Ленинг., ф. 1297, оп. 244, д. 777, 427, 426, 31.

[2] ცენტრარქივი, ფ. 16. საქმე 5269.

ქართული სამედიცინო ლიტერატურა და მედიცინის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი

სამედიცინო ლიტერატურა. ქართული ნაბეჭდი წიგნი XIX საუკუნის პირველ ნახევარში მცირეა ქართული სამედიცინო აზროვნებისა და კულტურის იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რომლითაც ხასიათდება ეს ეპოქა. ამის მიზეზი იყო რამდენიმეჯერ ჩამოყალიბებული და არაერთხელ განახლებული სტამბის ხშირი დარბევა, ქვეყნის ეკონომიური სიდუხჭირე, მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა, რომლითაც იდევნებოდა ქართული ეროვნული კულტურა. მართალია, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისში აღდგენილ იქნა სტამბა, მაგრამ ქართული წიგნების გამოცემისათვის იმ დროს არავინ ზრუნავდა. 1819 წელს პირველი, ქართულ ენაზე გამოცემული გაზეთი „საქართველოს გაზეთი" 1821 წელს დახურეს და მხოლოდ 1828 წლიდან სოლ. დოდაშვილის რედაქტორობით იწყო გამოსვლა გაზეთმა „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი".

მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსულ დაწესებულებათა შექმნასა და რუსული პერიოდული პრესის გამოცემის საქმეს. 1826 წლიდან არსდება გაზ. „ტიფლისკიე ვედომოსტი", 1836 წლიდან — „ზაკავკაზსკი ვესტნიკი", 1846 წლიდან კი „კავკაზი". გამოდიოდა აგრეთვე პერიოდული ცნობარი „კავკაზსკი კალენდარი". ამავე დროს თბილისში გაიხსნა რუსული თეატრი და საჯარო ბიბლიოთეკა. ამ დროისათვის ქართული სტამბური წიგნის გამოცემის საქმემ უფრო საქართველოს გარეთ ჰპოვა შედარებით უკეთესი პირობები. მთელი რიგი ქართველი მეცნიერები რუსულ ენაზე წერენ და აქვეყნებენ თავიანთი მეცნიერულ შრომებს. ასე მაგალითად, რუსეთის პირველი გეოდეზისტი დიმიტრი ციციშვილი, სოლომონ დოდაშვილი (თავის „ლოღიკას") გაბრიელ ქიქოძე (ფსიქოლოგიას).

უფრო გვიან ივანე თარხნიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი და სხვ. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის, და განსაკუთრებით, მისი პირველი ნახევრის, ქართული წიგნი ოდნავადაც ვერ გამოხატავს ქარ-

თულ სამეცნიერო აზროვნებას. ქართველ მეცნიერებს თავიანთი სამეცნიერო პროდუქციის პუბლიკაციისა და გავრცელებისათვის 3 შესაძლებლობა ჰქონდათ: 1. რუსული პრესა, 2. ქართული სტამბური გამოცემა და 3. ხელნაწერის სახით გავრცელება. შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერების სახით გავრცელებული პროდუქცია გაცილებით მეტია. ქართული სტამბური წიგნი, როგორც ზემოთ ვთქვით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში უმთავრესად საქართველოს გარეთ, რუსეთში, გამოდიოდა. ამ საქმის მესვეურები იქ იყვნენ ჯერ ის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც ვახტანგ VI-თან ერთად 1724 წელს რუსეთში გადაიხვეწნენ, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წლიდან) პეტერბურგს წასული ქართველი ბატონიშვილები და მათი ამალის განათლებული წევრები. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამედიცინო წიგნებიც მოსკოვსა და ლენინგრადშია გამოცემული.

მოსაზრებას, თითქოს XIX საუკუნის I ნახევარი სამედიცინო სამეცნიერო აზროვნების მხრივ „სიცარიელეს" წარმოადგენდეს, ნიადაგი ეცლება. ამ პერიოდში ათამდე სამედიცინო წიგნი გამოიცა მნიშვნელოვანი ტირაჟით.

1. „ღონეჲ და შეწევნილება, რომელითაცა იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან", ს.-პეტერბურგი, 1808, გოდერძი ფირალიშვილის თარგმანი.

2. „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყვავილისა". სანკტპეტერბურღი, 1815, გიორგი ელიოზიძის.

3. ბაგრატ ბატონიშვილი, „სამკურნალო ცხენთა და სხვა პირუტყვთა", 1818, გოდერძი ფირალიშვილის რედაქციით.

4. ბაგრატ ბაგრატიონი, „წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულთაგან", 1818.

5. „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თჳისისა შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჴირისა", მოსკოვი, 1826, სინოდის სტამბა, პეტრე კლაპიტონიშვილისა.

6. „მოკლე დარიგება ერისა მისთვის. რა გვარის ღონისძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ წყლიდამ გამოღებული კაცი", მოსკოვი, 1826, სინოდის სტამბა, პეტრე კლაპიტონიშვილი.

7. „მოკლე კარაბადინი დარიგება თვისა ერისა მისთვის თუ ვითარ ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან“, მოსკოვი, 1826, სინოდის სტამბა, პეტრე კლაპიტონიშვილი.

8. „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა“, მოსკოვი, 1828, სინოდის სტამბა, თარგმნა პეტრე კლაპიტონიშვილმა.

9. „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შეძლეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნილს სიკვდილისა მდგომარეობისა შინა“, გადმოკეთებული რუსულიდან პეტრე კლაპიტონიშვილის მიერ, 1836.

10. „შემოკლებული დასამწყსელი მოძღურება აცრისათვის წინათ დამცუპელისა ძროხისა ყუავილისა“ — ნებართვით უწმინდესის მმართებლის სინოდისთა“, მოსკოვი, 1830, სინოდის სტამბა, გადმოთარგმნილი ნიკოლოზ ჩუბინოვის მიერ.

11. „შემოკლებული დარიგება ჯიოოვანის ხმარებისათვის ქინაქინის მარილისა, ადვილ მოსარჩენად დღეგამოშვებითის ცივებისა“, 1846, ინსტრუქცია, შტაბლეკარ ზაქარია ზუბალაშვილის თარგმანი რუსულიდან.

სულ ეს არის დღესდღეობით აღრიცხული, XIX საუკუნის I ნახევარში სტამბურად გამოცემული ქართული სამედიცინო წიგნების სია. მოსალოდნელია მათი მიკვლევა მომავალშიც.

ქართული სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა ამ წიგნების მეტი ნაწილი მოწყობილი იყო მოსკოვის სინოდის სტამბასთან, არჩილ მეორის მიერ, 1705 წელს. ქართული შრიფტი, ჯერ კიდევ 1686—87 წლებში იყო ამსტერდამში ჩამოსხმული ისევ არჩილის ინიციატივით.

აღნიშნულ წიგნთაგან სამი (1, 2, 9) ყვავილის აცრის მნიშვნელობას, ტექნიკას და მის პოპულარიზაციას ეხება. ამათგან პირველი გოდერძი ფირალიშვილს და მე-9 ნიკოლოზ ჩუბინიშვილს უთარგმნიათ რუსულიდან. მე-2 კი უფრო ორიგინალური (კომპილაციური, არაპირდაპირი თარგმანი) შრომა უნდა იყოს, რომელიც დაუწერია „საქართველოს აზნაურს“ გიორგი

ელიოზიძეს 1815 წელს. დანარჩენი ხუთი წიგნი (4, 5, 6, 7, 8) ქართველ ექიმს პეტრე კლაპიტონიშვილს ეკუთვნის.

ამგვარად, ჯერჯერობით გოდერძი ფირალიშვილის „ღონეჲ და შეწევნილება, რომლითაც იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან“ (1808). არის პირველი ქართული სამედიცინო წიგნი სტამბურად გამოცემული. ის შედგება 78 გვერდისაგან და შემდეგ თავებს შეიცავს:

შესავალი

წიგნი ა გვ. 3—14
სარგებლობისა და აღმატებულობისათვის ძროხის ყვავილისა.
წიგნი ბ. გვ. 14—30
პირის დაყოფისათვის წინაღმდეგთა ძროხის ყვავილის აცრისათა, და დამტკიცება ამისი გამოცდილებითა.
წიგნი გ გვ. 30—50
ძროხის ყვავილისათვის ძროხათა ზედა.
წიგნი დ გვ. 51—54
შეყრისათვის ძროხის ყვავილისა კაცთადმი.
წიგნი ე გვ. 54—57
თვისებათათვის ყვავილის სნეულებისა.
წიგნი ვ გვ. 58—60
უკეთესის ღონის ძიებისათვის აცრად ძროხის ყვავილისა.
წიგნი ზ გვ. 61—63
რომელ დროსა შინა უნდა აღიღოს ჩირქი ყვავილისა.
წიგნი ᲗᲘ გვ. 63—65
შენახვისათვის ყვავილის ჩირქისა.
წიგნი თ გვ. 65—68
დროჲ, სახე და მოქმედება ძროხის ყვავილისა ამის.
წიგნი ი გვ. 68—74.
განსხვავებულნი ნიშანნი ჭეშმარიტისა და ცრუსა ძროხის ყვავილის აცრისანი.
წიგნი ია 75—78.

შესავალში მოცემულია საერთო ხასიათის საკითხები ყვავილის გავრცელების შესახებ ადამიანებში, თუ რაოდენი უბედურება შეუძლია განუმზადოს ერს და სხვ. მეორე და მესამე

თავში მოცემულია ძროხის ყვავილის რაობა და ერთგვარი დარწმუნება მკითხველისა თუ რამდენად სასარგებლოა ძროხის ყვავილით აცრა: ამით შესაძლებელია მივაღწიოთ „სრულიად აღხოცასა კაცის ყვავილისასა" — ამბობს ავტორი. დეტალურად გარჩეულია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ძროხის ყვავილის სასარგებლო აცრის ცდების სტატისტიკური მონაცემები (ინგლისი, შვეიცარია, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ.). მოჰყავს საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომელთაც ავტორი კრიტიკულად უდგება. შემდგომ თავებში გარჩეულია ძროხის ყვავილის სახეები (მართალი და ტყუილი), დაავადებული პირუტყვის კლინიკური სურათი, თვით „ყვავილის" მორფოლოგია-აღწერილობა, ბუნებრივი შეყრა ძროხის ყვავილისა ადამიანებზე (მწველავებზე) ცურიდან, წველის დროს.

აცრის ტექნიკა აღწერილია „წიგნში", რომლის ქვესათაურია „უკეთესის ღონისძიებებისათვის აცრად ძროხის ყვავილისა...".

„თვით ადვილი და სარწმუნო ღონისძიება აცრისათვის ძროხის ყვავილისა, რომელიცა უფრო მცირესა ტკივილსა ამიზეზებს ესე არს: აღიღეთ ნესტრითა ანუ ნემსითა ჩირქი ყვავილისა რაოდენ შესაძლებელ იყოს ახალი და ზემო კერძოთა ზედა მკლავისათა ცოტა მხარის თავს დაბლა, ორსა ანუ სამსა ადგილასა აუცერით, მცირედ რომელ, თითქმის სისხლიც არ გამოედინოს და მარცხენა მკლავი ყრმათა დაბლა დაჭიმით დააღებინეთ, რათა გაჭიმით იყოს ტყავი მკლავისა, და ოდეს აუცრათ ზემო კერძოდ ტყავისა, მაშინვე მკლავი მაღლა ააღებინეთ, რომელ ჩირქი იგი იმ მცირედ აცრის დროს ტყავში კარგად შევიდეს, და აგრეთვე რაოდენიმე ხანი თითით გეჭიროსთ ადგილი ნესტრისაგან აცრილი, რომელ ჩირქს კი არა შეეხოს რა და მერმე ნელად განაშორეთ თითი აცრილსა მას, ხოლო აცრილსა ზედა ზოგნი დაადებენ ინგლიზის პლასტირსა, მაგრამ ერთსა ანუ ორსა დღეს უკან კი უნდა აიღონ, და უამისოთაცა ისევ იგივე იქმნების: — არა იქმნების ცუდი რომელ, სამს ადგილს აუცრით, რათა უფრო დაერწმუნნეთ, რომელ ჩირქი იგი კარგად შევიდეს აჭრილსა შინა, და სხვებრ საკმაო იქმნების ერთიცა ყვავილის ნიშანი რომ გამოაჩნდეს; და სხვანი ღონისძიებანი რომელნიცა დასაფარებლად არიან მაუდი ანუ ძაფი და-

წეწილი და ანუ პლასტირი და ამ სახედ სხვანი უნდა იხმაროთ; ნუთუ არა ჰქონდესთ ამა ღონისძიებათა რომელიმე აღმატებულება? ა'დ წინააღმდეგ მისა რასაც უსარგებელობასა მოიღებს, ჩვენ აქა არა მოვიხსენეთ". ბოლო თავებში (Ѳ, თ. ი, ია) აღწერილია ჩვენებანი, თუ როდის უნდა იქნეს აღწერილი ჩირქი ყვავილის ასაცრელად, ჩირქის შენახვის წესები და დრო შენახვისა, აცრის შემდეგ მიღებული რეაქციის ადგილობრივი სურათისა და კლინიკური მიმდინარეობის დაწვრილებითი აღწერილობა. შესაძლებელია შეცდომით მოხდეს ძროხის ცრუ ყვავილით აცრა, ამიტომ ბოლოში მოცემულია განმასხვავებელი ნიშნების აღწერილობა ჭეშმარიტი და ცრუ ყვავილის აცრით გამოწვეული რეაქციებისა. აღსანიშნავია, რომ გოდერძი ფირალიშვილის ეს თარგმანი შესრულებულია გასაგები ხალხური ენით და წარმოადგენს პოპულარულ მეცნიერულ შრომას. ამის შესახებ თვით გოდერძი წერს იოანე ბაგრატიონს (რომელსაც ალბათ მისცა რედაქტირებისათვის), რომ „ფრაზების სიმდაბურე განგებ ვქმენ გასაგონებლად საზოგადოებისა", რადგან ის ყველასათვის მასიური მოსახმარი არისო „ვინაიდგან წერილ არს ამას შინა სწავლა ყოველთაგან" (სახ. მუზ. H—2217).

გ ი ო რ გ ი ე ლ ი ო ზ ი ძ ი ს წიგნის „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყვავილისა" — ტექსტს მთლიანად მოვიყვანთ, ქვემოთ, პუბლიკაციის თავში, რადგან ის ფრიად უნიკალური ნაშრომია (მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია შემონახული) და ნათელ წარმოდგენას იძლევა ყვავილის აცრის საკითხებზე. ამ წიგნმა ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა ქართულ სამედიცინო-სამეცნიერო აზროვნებასა და მოსახლეობაში ყვავილის აცრის პოპულარიზაციაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული საექიმო ხელნაწერი წიგნები ბევრი მოიპოვებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ადრინდელი, არარუსული მედიცინის აკრძალვამ მაშინ, როდესაც ახალი, ნებადართული საექიმო მომსახურებისა და კადრების სრული უკმარისობა იყო, სამედიცინო დახმარების მწვავე ნაკლებობა გამოიწვია. ამ მდგომარეობის კომპენსირება, ბუნებრივია, ხდებოდა ხალხური მედიცინის გავრცელებით, ცალკეულ ქართველ მოღვაწეთა და გულშემატკივართა მიერ ძვე-

ლი ქართული წიგნების გადმოკეთებით, აგრეთვე იმდროინდელი, რუსულ-ევროპული სამედიცინო წიგნების თარგმნით. ამიტომ ჩვენი მუზეუმების სეიფებში XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სამედიცინო ხელნაწერი წიგნები უამრავია. მოგვყავს მათი არასრული სია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში: H—343; H—184; H—230; H—2197; H—2199; H—2218; H—2219; H—2217; H—2157; H—2370; H—2164; (1782 წ.); H—2221; H—2719; H—2378 (1799) და სხვ.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში: კარაბადინი № 196, № 212, № 229, № 519, № 559, № 649 და სხვ.

თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში: № 2041, № 2487, № 503 და სხვ.

ახალციხეში — № № 212 (2171), 119, 95, 103, 84. გორში — № 7455, ცაგერში — № № 3, 22, 3927, 3974, 3973 და სხვ.

ლენინგრადში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში[1] სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის ბევრი ქართული ხელნაწერი და წიგნი ინახება, რომელიც მოელის გამომზეურებასა და თავის მკვლევარს. განსაკუთრებული ინტენსივობით ეწეოდნენ ამ საქმიანობას მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც გარდა ჩამოთვლილი ქართული სტამბური გამოცემებისა ხელნაწერ სამედიცინო წიგნებსაც აგზავნიდნენ საქართველოში, მშობლიურ ხალხში გასავრცელებლად. ამ მხრივ ყურადღებას იმსა-

---

[1] 1958 წლის იანვარში ვიყავი ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, იქ აღმოჩენილი სამედიცინო ხასიათის ხელნაწერებისა და წიგნების ასლები გადაღებულ იქნა მიკროფილმებისა და ფოტოპირების სახით და ამჟამად ინახება ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში.. მათი დიდი ნაწილი სწორედ XIX საუკუნის I ნახევრის ძეგლებს წარმოადგენს. ამათგან სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ფონდებიდან აღსანიშნავია: გრენის კოლექციის № 17/2 ხელნაწერი, იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერები № № 176, 136, 149, 186, 63, 114, 74, 166, 187. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდებიდან: № № C—34, C—45, E—46, E—105, E—118, E—25 და სხვ.

ხურებენ ცნობილი ქართველი მეცნიერები იოანე და დავით ბაგრატიონები, რომლებიც როგორც სამედიცინო დარგის მოღვაწენი უცნობნი იყვნენ უკანასკნელ დრომდე ქართული მედიცინის ისტორიაში.

დავით ბაგრატიონი, ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, დაიბადა 1766 წელს, გარდაიცვალა 1819 წელს ქ. პეტერბურგში. ბავშვობაში იზრდებოდა დავით რექტორის ხელმძღვანელობით, შემდეგ რუსეთში, პეტერბურგში მიიღო მრავალმხრივი განათლება. ის ჯერ კიდევ თავის ბაბუას, მეფე ერეკლე II-ის დროს ბრუნდება საქართველოში და მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და სამხედრო ოპერაციებში. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლაში ერეკლეს ედგა მხარში და არტილერიას წინამძღოლობდა კრწანისის ველზე. გიორგი XII, დავითის მამა, 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, რის შემდეგაც მცირე ხანს სამეფოს გამგებლად დავითი ითვლებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი სხვა ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგში სახლდება, სადაც გარდაიცვალა 53 წლის ასაკში. დავით ბაგრატიონი დიდი ერუდიციის, ღრმად განსწავლული მეცნიერი იყო და მრავალ ევროპულსა და აღმოსავლურ ენას ფლობდა. დავით ბაგრატიონის სამედიცინო ხასიათის შრომებიდან მნიშვნელოვანია „სამკურნალო რეცეპტები", რომლის რამდენიმე ვარიანტი ინახება საქართველოს მუზეუმში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პეტერბურგში შედგენილი ეს უაღრესად პრაქტიკული ხელნაწერი წიგნი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში. ეტყობა ავტორს იგი რამდენიმე ცალად დაუწერია და გამოუგზავნია თავის სამშობლოში. იგნი საკმაოდ სქელტანიანია, დაწერილია მხედრულით, სათაურები გამოყოფილია სინგურით. ის არ წარმოადგენს ერთი რომელიმე წიგნის თარგმანს. მისი შედგენისას დავითს სხვადასხვა წყაროებით უსარგებლია: რუსული, ლათინური და სხვ. ამაზე თვით დავ. ბაგრატიონი მიუთითებს ტექსტის დასაწყისში:

„გარდმოღებული ლათინურისა და რუსულიდან ქართულსა ენასა ზედა ფრიად საჭირო და გამოცდილი; რეცეპტები, პირველთა დოხტურებთაგან დაწერილი, რომელიც ანბანზედ

არის დაწყობილი მისის უმაღლესობის საქართველოს მემკვიდრისა ღენერალი-ლეიტენანტის და სენატორის დავითის მიერ სამეფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს, წელსა 1812, იანვარს 25". ტექსტი ასეა განლაგებული: იგი დაყოფილია სათაურებად დაავადებათა მიხედვით; მაგალითად, ანტონის ცეცხლისათვის, სუსუნატისათვის, ბუასილისათვის და ა. შ. თვითეულ დაავადებას მიწერილი აქვს სათანადო რეცეპტები, რომელთა რაოდენობა ხშირად რამდენიმე ათეულს აღწევს. დაავადებები (სათაურები) დალაგებულია ანბანზე, რომელთა რიცხვი 150-მდე აღწევს. დ. ბაგრატიონის „სამკურნალო რეცეპტები" მეტად საყურადღებო ნაშრომია ქართული მედიცინის ისტორიისათვის, რადგან ის ნათლად ასახავს მაშინ გავრცელებულ საშუალებათა მთელ არსენალს. დ. ბაგრატიონის სამედიცინო-ბიოლოგიურ იდეებზე უფრო გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი მეორე ნაშრომი „შემოკლებული ფისიკა". აღნიშნული წიგნი დ. ბაგრატიონს დაუწერია ქ. პეტერბურგში, 1817—1818 წლებში, ე. ი. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაუსრულებია. წიგნი საკმაოდ სქელტანიანია (324 გვ.). ადრე გამოცემული იყო მისი ის ნაწილი, რომელიც ფისიკას შეეხება[1]. წიგნის სამედიცინო-ბიოლოგიური პარაგრაფები ჩვენს მიერ იქნა გამოქვეყნებული 1963 წელს[2]. მასში შემდეგი სათაურებია: ოპტიკისა. კატოპტრიკისა, დიოპტრიკისათვის, ხედვისათვის, მისთვისვე, გუგაისათვის, გარდატეხვისათვის ნათლისა თვალსა შინა, მიკროსკოპისათვის, შობისათვის კაცთა და ცხოველთასა, საზრდელისათვის, სხეულთათვის, შიგნეულთათვის, გრძნობისათვის და საგრძნობელთასა, ღვიძილისათვის და ძილისა, ფქნარებისათვის (ანუ მთქნარებისა), ცხოველობისათვის და სიკვდილისა. ცხოველობისათვის ტელმათასა. ხსენებული შრომა დ. ბაგრატიონისაგან „ქმნილია" და არა ნათარგმნი და შეკრებილი. ამ პარაგრაფებში განხილულია მედიცინის ზოგადი თეორიული საკითხები, რომლებზეც ავტორი იმ დროის კვალობაზე მეცნიერულ და ხშირად უაღრესად ორიგინალურ განმარტებებს იძ-

---

1 დ. პ ა რ კ ა ძ ე, დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა", ტექნიკა და შრომა, 1954.

2 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 222—237.

ლეეა. ხსენებული პარაგრაფების ტექსტი და მათი საკმაოდ დეტალური განხილვა მოცემულია ჩვენს ადრინდელ შრომაში „დავით ბაგრატიონი და გარდამავალი ხანის ქართული მედიცინა“ და აქ აღარ გავიმეორებთ[1].

იოანე ბაგრატიონი, დავითის უმცროსი ძმა, დაიბადა 1777 წელს. მიიღო კარგი განათლება ერეკლე მეორის სამეფო ოჯახში. ჯერ კიდევ რუსეთში გადასახლებამდე ეწეოდა მთარგმნელობითსა და განმანათლებლურ საქმიანობას. 1799 წელს მან შეადგინა სახელმწიფო რეფორმის პროექტი „სჯულდებაის“ სახელწოდებით და მამას გიორგი XII-ს წარუდგინა. პროექტი ითვალისწინებდა მთელი რიგი დაბალი ტიპის სასწავლებლების გახსნას საქართველოში, ხოლო თბილისსა და თელავში უმაღლესი ტიპის სასწავლებელთა ჩამოყალიბებას, გაზეთის გამოცემას, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნას. გარდა ამისა, ამ პროექტში ი. ბაგრატიონი ითვალისწინებდა მთელ რიგ სამედიცინო ხასიათის ღონისძიებებს. „სჯულდების“ 27-ე პარაგრაფით გათვალისწინებულია ჯანმრთელობის ცალკე უწყება „ექიმბაშის“ (ექიმთა უფროსის) ხელმძღვანელობით, სათანადო მოხელეებით. „ექიმთა უფროსს“ ევალებოდა როგორც სამოქალაქო საქმე, ისე სამხედრო-საექიმო საქმიანობა („ჯარებიცა ამის ხელქვეშ იყვნენ“). ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი აგრეთვე (პარაგრაფი 101), აფთიაქისა და სასნეულოს ჩამოყალიბება. აფთიაქი „სამეფო“ (სახელმწიფო) უნდა ყოფილიყო, თავისი მოხელეებით და წინასწარ დაწესებული ფასით ეკეჭრა. იოანეს განზრახული ჰქონია უფასო, სამოქალაქო სტაციონარული დახმარების საავადმყოფოს გახსნაც. ამ პროექტში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „სამშობიაროების“ გახსნის იდეაა: „ეს სახედრე სამშობიარო იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეემთხვას ორსულობა, იქ მოიმშობიარებდეს სირცხვილისა გამო, რადგან თავის ხალხს მოერიდება და იმა ყმაწვილთ მიუჩენდნენ ძიძათ — ამაზე თავსდეგი უნდა იყოს კარგი კაცი და დედაკაცი და ჰყვანდეს ყოველი შემწე“. იოანე, როგორც ჩანს, სამშობიაროს ითვალისწინებს, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ

---

[1] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“, 1963, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, გვ. 238—247.

ვთქვათ, „მარტოხელა დედებისათვის“ ქორწინების გარეშე ორსულთათვის (მშობიარეთათვის), სამშობიარო სახლების ვახსნის იდეა იოანე ბაგრატიონს შესაძლებელია საქართველოში ადრე არსებული მსგავსი დაწესებულებების საფუძველზე მიეღოს, რადგან, როგორც სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონიდან ირკვევა, ასეთები მართლაც არსებულა წინათ[1]. ამგვარად, იოანეს პროექტით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები ყველა როდია ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურისათვის უცხო და ახალი, მაგრამ მალე საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი მოხდა და იოანეს პროექტიც მოიხსნა დღის წესრიგიდან. მიუხედავად ამისა, ამ პროექტში გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებანი მაინც მნიშვნელოვანია, რადგან იგი არა მარტო იოანეს აზროვნების ნაყოფია, არამედ ქართული ყოფისათვის მომწიფებული საკითხებიცაა. მაშასადამე, სამედიცინო საკითხებით დაინტერესება არ იყო შემთხვევითი იოანე ბაგრატიონისათვის, რადგან მას ბავშვობიდანვე შეუსწავლია საექიმო ხელოვნება[2]. ამიტომაც მისი დიდი ენციკლოპედიური ხასიათის შრომა „კალმასობა“ შეიცავს სამედიცინო ხასიათის ტექსტებს, რაც გამოხატავს ზოგიერთ ძირითად სამედიცინო საკითხთა იმდროინდელ გაგებასა და განვითარების დონეს. „კალმასობის“ ტექსტი ადრე რამდენიმეჯერ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ გამომცემლებმა სამედიცინო-ბიოლოგიური შინაარსის შემცველი თავები გამოტოვეს. ტექსტის ეს ნაწილი ჩვენს მიერ იქნა გამოქვეყნებული პირველად[3].

თავები შემდეგნაირად არის დასათაურებული: კაცისათვის, ანატომიისთვის, ანუ აგებულებისათვის კაცისა, ფიზიოლოგიისათვის, პატოლოგიისათვის, თერაპიისათვის, მატერია მედიკისათვის, ფარმაკოპეისათვის, ხირურგიისათვის, ხიმიისათვის, აკუშერისა ანუ ბებიის ხელოვნებისათვის, აპტეკასათვის, ბოტანიკისათვის, ნატურალის ისტორიისათვის ანუ ბუნე-

---

1 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 171—172.

2 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 182—208.

3 იქვე, გვ. 172.

ბით ისტორიისათვის, ფიზიკისათვის, მეტეორთათვის ანუ ჰაერთა გამოცხადება, აერისათვის, ცეცხლისათვის, წყლისათვის, მიწისა ანუ ქუეყანისათვის, მიკროსკოპისათვის, ოპტიკისათვის. ამ თავებში იოანე ბაგრატიონს საინტერესოდ აქვს განხილული როგორც მედიცინის ზოგად-თეორიული საკითხები, ასევე მედიცინის ცალკეული დარგები. გარდა კალმასობისა ი. ბაგრატიონს სამედიცინო ხასიათის კარაბადინებიც ჰქონია დაწერილი. ერთი მათგანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია შემონახული (S—ფონდის № 4005 ხელნაწერი) ნაკლულია და მხოლოდ 44 გვერდს შეიცავს. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში კი სრული ხელნაწერია დაცული იოანეს იმ კარაბადინისა[1], რომელიც მას პეტროგრადში ცხოვრების დროს შეუსრულებია თავისი მამულის სიყვარულისა და სამსახურის გრძნობით: „ვინაიდგან მამულისშეილობა, ერთგულება, და სიყვარული მაწვევს მეცა, ამისათვის შევკრიბენ სნეულებანი ყოველნივე, რომელიცა უფრო ჩვენ'ში იპოება და მათთვის შევამზადე წამალიცა“ — წერს იგი თავის საექიმო კარაბადინის შესავალში. წიგნი შემდეგი თავებისაგან შედგება. სიმრთელის დაცვისათვის, შინაგანი დაავადებანი, დედაკაცისა და ყმაწვილის სენთათვის, შინაური აპტეკა, მოკლე სამედიცინო ლექსიკონი, ნუსხა წამლისა, ელექსირისა გრძლად მაცოცხლებლისა და თვისებისა მისისა: ი. ბაგრატიონის ზემოხსენებული სამედიცინო ხასიათის შრომები ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით გვაქვს განხილული ადრინდელ შრომაში „იოანე ბაგრატიონი როგორც ექიმი და მისი სამედიცინო შრომები“, რომელიც დავურთეთ თვით ტექსტის პუბლიკაციას. ამ შრომაში ვიხილავთ რა მის მსოფლმხედველობრივ მხარესაც ვამბობთ, რომ „იოანე მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სამედიცინო მეცნიერებათა გაგების თანამედროვე დონეზეა, აშკარად ვერ ემჯინება ძველს“, რომ მასში შეიგრძნობა მსოფლმხედველობითი დუალიზმი, ამ მხრივ მისი ძმა

---

[1] ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი № 136 ასლი მიკროფილმისა და ფოტოპირის სახით ინახება ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში.

დავითი უფრო გაბედულ მატერიალისტად წარმოგვიდგება და სხვ. „იოანე მკურნალობის ხელოვნებას ჰყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინად და იძლევა მკურნალობის ანუ ექიმობის ამომწურავ განმარტებას, როგორც „ჰსწავლას“ „განმრთველი განხილვითა კაცთა სხეულთასა და გამოწვლილთ ცნება სნეულებათა“. ის დიდ მნიშვნელობას აძლევს ანამნეზს („გამოკითხუა სნეულისა“), მედიცინაში გულისხმობს აგრეთვე სწავლებას პროფილაქტიკის შესახებ („ცნობა რაიცაღა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა“).

საექიმო ხელოვნებას ის შემდეგ დისციპლინებად ყოფს: 1) ანატომია, 2) ფიზიოლოგია, 3) პათოლოგია, 4) თერაპია, 5) მატერია, მედიკა, 6) ფარმაკოლოგია, 7) ქირურგია, 8) ქიმია, 9) მეანობა-გინეკოლოგია, 10) აფთიაქი, რეცეპტურა, 11) ბოტანიკა, 12) ბუნებისმეტყველების ისტორია, 13) ფიზიკა, 14) მინერალოგია. ტექსტში ავტორი იძლევა თვითეული ამ დისციპლინის განმარტებას. აქვე ი. ბაგრატიონი იმეორებს სამყაროს ოთხი ელემენტისაგან შედგენილობის ძველ თეორიას. სნეულებას ის ჰყოფს ორ ჯგუფად: შინაგანი და გარეგანი სნეულებანი. იძლევა რა მათ განმარტებებს, აღნიშნავს, რომ შინაგანი სნეულებისათვის დამახასიათებელია სიცხე, სიგრილე, ხველება, უძლურება, შეხურვება, შინაგანი ტკივილები, ცივება, ოფლი და სვ. გარეგან დაავადებებად ითვლება: მოტეხილობა, ჭრილობა, და ყველა ის დაავადება, რომელიც თვალით შეიმჩნევა. ბოლოს განმარტებულია „წინადვე დამცველნი ღონისძიებანი“, რომელშიც ნაგულისხმევია პროფილაქტიკური მედიცინა (ჰიგიენა, ეპიდემიოლოგია და სხვ.)“.

პეტრე კლაპიტონიშვილი გარდამავალი ხანის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეა. იგი პირველი ქართველი ექიმია, რომელმაც რუსული სამედიცინო განათლება მიიღო. პეტრე ერეკლე მეორის სასახლის ექიმის ალექსანდრე კლაპიტონიშვილის შვილია. სწავლობდა მოსკოვის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1822 წელს. იმავე წელს მუშაობას იწყებს რუსეთში მყოფ საქართველოს დედოფალ მარიამთან. მასთან 1827 წლამდე მუშაობს.

პ. კლაპიტონიშვილის ცხოვრების და მისი სამედიცინო შრომების საკმაოდ დაწვრილებითი განხილვა მოცემული გვაქვს

ჩვენს მონოგრაფიულ გამოკვლევაში „პირველი ქართველი ექიმი (რუსული სამედიცინო განათლებით) პეტრე კლაპიტონიშვილი და მისი მოღვაწეობა“[1], ამიტომ აქ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ძირითად მომენტებს გადმოვიღებთ ამ გამოკვლევიდან: 1823—1828 წლებში, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ქართულ ენაზე დაწერა, კამენეცკისა და საპალოვიჩის ცნობილი სამკურნალოების საფუძველზე, წიგნი „მოკლე კარაბადინი, ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინავანთა და გარეგანთა სნეულებათა“, რომელიც სტამბურად დაბეჭდილი 1600 ეგზემპლარი საქართველოში გამოგზავნა მოსახლეობაში უფასოდ დასარიგებლად, რის გამოც ჯილდოს სახით შტაბ-ლეკარის წოდებაზე იქნა გადაყვანილი.

1827 წლიდან გაგზავნეს ელიზავეტპოლის მაზრის ექიმად, სადაც 1828—1830 წლებში შავი ჭირისა და ქოლერის მძვინვარე ეპიდემიების წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა. მაზრის ექიმის მოვალეობის შესრულებასთან ერთად, 1828—1830 წლებში, განაგებდა ელიზავეტპოლის სამხედრო ჰოსპიტალს, აქვე ასრულებდა კარანტინის ექიმის მოვალეობას და განაგებდა აგრეთვე სასაზღვრო კარანტინების მედიკამენტებით მომარაგებისათვის გახსნილ აფთიაქს. 1831 წელს ელიზავეტპოლიდან იგი გადადის გორის მაზრის ექიმად, მაგრამ აქედან მალე კვლავ აზერბაიჯანშია ბაქოს პროვინციის ექიმად. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით პ. კლაპიტონიშვილი 1849 წლამდე კვლავ ბაქოს მაზრის ექიმად ჩანს. მაგრამ მისი შემდგომი ბედისა და მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცით. 1835 წელს მას ორდენით აჯილდოვებენ თავდადებული საექიმო მოღვაწეობისა და ერთი გმირული, კეთილშობილური საქციელისათვის. არსებობს საარქივო დოკუმენტი მისი დაჯილდოვების შესახებ. ლენინგრადიდან, სსრ კავშირის ცენტრალური ისტორიული არქივიდან, მიღებული ეს დოკუმენტი მოკლედ გადმოსცეს კლაპიტონიშვილის საქმიანობის ძირითად მომენტებს. აღნიშნული დოკუმენტი

---

[1] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 248—249.

ჩვენ ხელთ არ გვქონდა, როდესაც პ. კლაპიტონიშვილზე გამოკვლევას ვწერდით, ამიტომ მთლიანად მოვიყვანთ ამ დოკუმენტის თარგმანს. ეს დოკუმენტი წარმოადგენს პ. კლაპიტონიშვილის ორდენით დაჯილდოვებაზე წარდგინებას, დასაბუთებას, სადაც „გორის მაზრის ყოფილი ექიმის“ „ნადვორნი სოვეტნიკის“ პეტრე კლაპიტონოვის შესახებ ვკითხულობთ: მედიკოსის შვილი, კონსტანტინოპოლში დაბადებული სამსახურში შევიდა 1809 წლის 1 აგვისტოს, თბილისის სახაზინო აფთიაქში მოწაფედ. 1817 წლის 13 მაისს აქედან განთავისუფლებულ იქნა. 1819 წლის 15 ოქტომბერს შევიდა სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ვოლონტერად. 1822 წ. 18 აგვისტოს განწესებულ იქნა 3 განყოფილების (კატეგორიის) ლეკარად. იმავე წლის აგვისტოს 15-დან მუშაობდა ექიმად საქართველოს დედოფალთან — მარიამთან. 1827 წლის 10 ოქტომბერს თანამდებობიდან განთავისუფლებულია. იმავე წლის 21 ოქტომბერს მიეკუთვნა შტაბლეკარის წოდება, ხოლო 21 დეკემბრიდან დანიშნულ იქნა ქალაქ ელიზავეტპოლში სამაზრო ექიმად. 1828 წლის 1 თებერვლიდან კოლეგიის ასესორის ჩინზე წარადგინეს.

1829 წლის 2 ნოემბერს, სოფ. ზიატლში შავი ჭირით დაავადებულთა სარგებლობისათვის გახსნილ კარანტინში ყოფნის დროს, მან სამი ბავშვი იხსნა სიკვდილისაგან. ცეცხლმოკიდებულ ქოხში იმყოფებოდა 3 ობოლი ბავშვი, რომელთაც მშობლები შავი ჭირით გარდაეცვალათ. ვერავინ ვერ გაბედა დახმარებოდა მათ, რადგან ისინი შავი ჭირით დასნებოვნებულად ითვლებოდნენ. როდესაც ცეცხლი გაძლიერდა და სახურავმა ჩავარდნა დაიწყო, კლაპიტონიშვილი არ დაერიდა არავითარ საშიშროებას და უვნებლად გამოიყვანა სამივე ბავშვი. 1832 წლის 9 სექტემბერს დანიშნეს გორის მაზრის ექიმად. 1833 წლის 1 თებერვალს მიეკუთვნა „ნადვორნი სოვეტნიკობა“, 1834 წლის 5 აპრილს ავადმყოფობის გამო განთავისუფლდა თანამდებობიდან. შინაგან საქმეთა მინისტრი თავის რაპორტში განმარტავს, რომ საქართველოს მთავარმართებელი შუამდგომლობს კლაპიტონოვის წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვების შესახებ, მისი სასარგებლო საქმიანობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადამდები სნეულების

წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლერითა და შავი ჭირით დაავადებულთა მკურნალობაში, რითაც ის თავის სიცოცხლეს აშკარა საფრთხეში აგდებდა, აგრეთვე სამი ბავშვის გადარჩენისათვის.

საქართველოს მთავარმართებელი იძლევა აგრეთვე ცნობას კლაპიტონოვის კარგი ყოფაქცევის შესახებ როგორც სამსახურის პერიოდში, ისე მისი სამსახურიდან გასვლის შემდეგ, რის დასამტკიცებლადაც თან ვურთავთ დოკუმენტს, საიდანაც ჩანს. რომ კლაპიტონოვი სამსახურებრივი მოვალეობის გარდა დიდი მონდომებით ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს, კერძოდ:

1. 1828 წლის 10 აპრილიდან 1830 წლის 1 იანვრამდე უხელფასოდ განაგებდა ელიზავეტპოლის ოლქში ორ გერმანულ კოლონას, ხოლო 1830 წლის 1 იანვრიდან 1833 წლის 1 ივლისამდე ღებულობდა ხელფასს, წელიწადში 100 მანეთს ვერცხლით, და მუშაობდა ამ კოლონიაში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების დროს დაავადების მოსასპობად.

2. 1829 წლის 8 ივნისიდან 8 ივლისამდე მივლინებული იყო ერევნის ოლქში, გოქჩის ტბის მიდამოებში კარანტინის მოსაწყობად, შავი ჭირით დაინფიცირებული ქარავანის გამოჩენის გამო.

3. იმავე წლის 22 და 29 აგვისტოს იყო შამშადილის დისტანციაში კარანტინის მოსაწყობად.

4. იმავე წლის 14-დან 24 მარტამდე, 1830 წლის 14 აპრილიდან 13 ივნისამდე და 25 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ებრძოდა შავი ჭირის ეპიდემიას ელიზავეტპოლის ოლქში, თათრების 5 სოფელში;

5. 1830—1831 წლებში მონაწილეობას ღებულობდა ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს ასრულებდა თავის თანამდებობრივ მოვალეობასაც, განაგებდა ელიზავეტპოლის სამხედრო ჰოსპიტალს;

6. ასრულებდა კარანტინის ექიმის მოვალეობას ელიზავეტპოლის ოლქში დაარსებულ კარანტინში 1830 წლის 2 ივნისიდან 22 სექტემბრამდე და 1830 წლის 7 ნოემბრიდან 1831 წლის 8 აპრილამდე;

7. განაგებდა ელიზავეტპოლში დაარსებულ სააფთიაქო განყოფილებას 1831 წლის 24 აგვისტოდან 1833 წლის 1 ივნისამდე;

8. 1829 წელს იმყოფებოდა რა სოფელ ზიატლის შავი ჭირის კარანტინში, გადაარჩინა სამი ბავშვის სიცოცხლე. მხოლოდ მან გაბედა ცეცხლმოკიდებული ქოხიდან ბავშვების გამოყვანა"[1].

ამ ამონაწერში, თითქმის, ბევრი არაფერია პ. კლაპიტონიშვილზე ისეთი, რაც ადრინდელ გამოკვლევაში არ გვქონდა აღნიშნული, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ამ დოკუმენტის, როგორც მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი პირველწყაროს პუბლიკაცია.

პ. კლაპიტონიშვილმა მნიშვნელოვანი შრომები დატოვა, რომლებიც გარდამავალი ხანის და, კერძოდ, XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიის შესასწავლად მეტად საინტერესო წყაროებს წარმოადგენენ. ამ შრომებიდან პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრიდება თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჭირისა", რომელიც დაუბეჭდია ავტორს 1826 წელს მოსკოვის სინოდის სტამბაში. 400 ეგზემპლარი ავტორს უსასყიდლოდ გამოუგზავნია ქართველი მკითხველისათვის. წიგნი განკუთვნილია ფართო მოსახლეობისათვის, როგორც პოპულარულ-მეცნიერული შრომა, სადაც ცალკე თავების სახით დაწვრილებით არის განხილული ეპიდემიურ დაავადებათა (შავი ჭირი, ქოლერა და სხვ.) ეპიდემიოლოგიისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები[2]. სხვა შრომებიდან აღსანიშნავია: „მოკლე დარიგება ერისა, მისთვის თუ ვითარ ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან" და „მოკლე დარიგება ერისა მისთვის რა გვარის ღო-

---

[1] ЦГИА ф. 496, 1835, оп. 3, д. 1421 и 1558, стр. 1044—1047.

[1] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 262—268.

ნისძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ წყლიდან გამოღებული კაცი“.

Ა. კლაპიტონიშვილის დღემდე ცნობილ შრომათაგან უკანასკნელია 1836 წელს გამოცემული „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა“. ავტორს „კეთილ მოსურნეობითა და სიყვარულითა მემამულეთა მისთა“ 1200 ცალი ამ წიგნისა გაუცია უფასოდ, „დასარიგებლად საქართველოში“. ტექსტი 14 თავისაგან შედგება. აღწერს „უშუალოთ“ წყალში დამრჩვალთ, სიცივისაგან გაყინულთ, ნახშირორჟანგით „გულშემოყრილთ“, ჩამოხრჩობილთ, დაქექილთ, მეხდაცემულთ, მოწამლულთ (საკვებით, საწამლავი ნივთიერებებით), დამწვართ (თერმული სიდამწვრე), ცოფიანი ძაღლისაგან ანუ მგლისაგან დაკბენილთ, გველისაგან დაშხამულთ, მორიელისაგან დაშხამულთ. უკანასკნელი 3 თავი ეძღვნება სიკვდილის საეჭვო და ნამდვილი ნიშნების გარჩევას. ჩვენ არ განვიხილავთ წიგნის ცალკეულ თავებს, რომლებიც იმდენად მარტივად და გასაგები ენით არის დაწერილი, რომ ინტერპრეტაციებსა და კომენტარებს არ საჭიროებენ. წიგნი უნიკალურია. მიუხედავად დიდი ტირაჟისა მისი არც ერთი ცალი არ შემონახულა საქართველოში, მას მოსკოვის სინოდალური სტამბის არქივში მივაგენით. ტექსტის პუბლიკაცია დავურთეთ ბოლოში.

Ა. კლაპიტონიშვილს რუსული სამედიცინო ლიტერატურის გამდიდრების საქმეშიც მიუძღვის გარკვეული როლი. ის რუსულ ენაზე წერს და 1827 წელს მოსკოვში ბეჭდავს 3 წიგნს:

1. Краткое наставленце народу о средствах, как предохранять себя от прилипчивых болезней, наиболее от чумы.

2. Краткое наставление народу о том, что какие средства и способы должно употреблять от уязвления и укушения всякого рода ядовитых и бешеных животных.

3. Краткое наставление народу о том, какия средства должно употреблять для оживления утопших.

ავტორს ეს წიგნებიც საკუთარი სახსრებით გამოუცია. ისინი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მშვენიერი ნიმუშებია. დაწერილია მარტივი, ხალხისათვის გასაგები ენით. აღსანიშნავია, რომ სამივე წიგნი ხელნაწერში წაუკითხავს პროფესორ ეფრემ მუხინს და მისივე რეკომენდაციით დაბეჭდილა, რაც აღნიშნულია სატიტულო ფურცლებზე. აღნიშნული წიგნები თავისი შინაარსით თითქმის იდენტურნი არიან შესაბამისი ქართული ვარიანტებისა.

პუბლიკაცია

ვფიქრობთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი წიგნების, დოკუმენტებისა და სხვადასხვა ისტორიული მასალების პუბლიკაცია, რომლებიც ეპოქის დამახასიათებელნი არიან და ამავე დროს უნიკალურ წყაროებს წარმოადგენენ. ასეთად მივიჩნიეთ გარდამავალი პერიოდისათვის მეტად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიც არის გოდერძი ფირალიშვილისა და გიორგი ელიოზიძის „სწავლა აცრისათვის...“ და პ. კლაპიტონიშვილის ორი ქვემოთ გამოქვეყნებული ნაშრომი. ეს ძეგლები აუცილებელ წყაროს წარმოადგენენ, როგორც გარდამავალი ხანის მედიცინის ზოგადი ისტორიისათვის, ასევე მედიცინის ცალკეული დარგების: ეპიდემიოლოგიის, თერაპიის, ქირურგიის (პირველი დახმარება) ისტორიისათვის. ეს წიგნები თითო ეგზემპლარის სახით ინახება ხელუხლებელ ფონდებში, ან მედიცინის ისტორიის მკვლევართათვის ხელმიუწვდომელნი არიან. ამიტომაც მათ ვერ ჰპოვეს ასახვა მედიცინის ცალკეული, სათანადო დარგების ისტორიებში. ჩვენ შედარებით მცირე ისტორიული მასალები გვაქვს საერთოდ იმ დროის გარშემო, როდესაც ეს წიგნები დაიწერა. ამ დროს ჯერ კიდევ ჩვენი მოღვაწეები და მოაზროვნეები ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე არ არიან გამოსულნი ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ასპარეზზე და ამიტომაც ეს წიგნები მნიშვნელოვანი ძეგლებია საუკუნის ამ მონაკვეთის საერთო აზროვნებისა და მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით.

I—გოდერძი ფირალიშვილის „ღონეჲ და შეწევნილება, რომლითაც იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან“... გამოცემულ იქნა მოსკოვის სინოდის სტამბაში 1808 წელს და

წარმოადგენს პირველ ქართულ სამედიცინო ნაბეჭდ წიგნს, რომელსაც მიმდინარე წელს 160 წელი უსრულდება, ამგვარად მისი პუბლიკაცია, (მეორედ გამოცემა), ქართული სამედიცინო წიგნის ისტორიის მნიშვნელოვან თარიღს ემთხვევა. წიგნი ფრიად უნიკალურია და კ. მარქსის საჯარო ბიბლიოთეკის ხელუხლებელ წიგნთა ფონდში ინახება ერთადერთი ეგზემპლარის სახით.

II—გიორგი ელიოზიძის „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყუავილისა" წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან წიგნს, სადაც გადმოცემულია ყვავილის აცრის გარშემო იმდროინდელი წარმოდგენები: ვაქცინის დამზადება, თვით აცრის ტექნიკა, რეაქციის კლინიკური სურათი და სხვ. მისი პუბლიკაცია განაპირობა იმან, რომ ის ფრიად უნიკალური ძეგლია, ინახება ერთადერთი ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდში.

III—IV— პ. კლაპიტონიშვილის „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრიდება თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჭირისა" და „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შემოწმება მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისა სასიკვდილოსა მდგომარეობასა შინა".

პირველი მათგანი გამოცემულია 1826 წელს მოსკოვში და მეტად მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს ავტორისას, რომელიც შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1827 წელს რუსულადაც კი გამოუცია მოსკოვში მის ავტორს პროფ. ეფ. მუხინის რედაქტორობით. მეორე წიგნი გამოცემულია 1836 წელს. ის საერთოდ არც არის შემონახული საქართველოში. ერთი ეგზემპლარი მოსკოვის სინოდური სტამბის არქივში აღმოჩნდა, ამიტომაც საჭიროდ ვცანით პ. კლაპიტონიშვილის წიგნებს შორის პირველ რიგში ეს გამოგვეცა. ამ წიგნების შინაარსობლივი მიმოხილვა მოცემული გვაქვს ჩვენს „ეტიუდებში"[1] და აქ აღარ გავიმეორებთ.

---

1 მ. შენგელია, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, თბილისი, გვ. 261—268 და 280—281.

ღონეჲ და შეწევნილება. რომლითაცა იხსნებიმ ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან რათა აუცრიდენ საზოგადოდ ყოველთა ძროხის ყვავილსა.

დაიბეჭდა სარგებლობა ესე ერისათვის
რუსულ ენასა ზედა
ბრძანებითა მისის დიდებულებისათა,
უმთავრესსა სააქიმოს· აკადემიასა შინა.
ხოლო ქართულსა ენასა ზედა ითარგმნა,
ტიტულარნის სოვეტნიკის
გ ო დ ე რ ძ ი ფ ი რ ა ლ ო ვ ი ს ა გ ა ნ.

სანკტპეტერბურღს წელსა ჩყ8
დაიბეჭდა განმართვითავე გოდერძისათა
საიმპერატოროსა სტანბასა შინა[1].

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წ ი გ ნ ი ა.

სნეულებათა შორის, რომელსაცა არს ნათესავი კაცთა ქეუ8შევრდომილ, გარდა დიდის ჭირისა არცა ერთი სნეულება არა არს ესრეთ განმახარებებელი და აღმომწყვეტელი ვითარცა ყვავილი, რომელიცა მძვინვარებს და საშიენლად ხოცს ერსა უმეტეს ბრძოლასა შინა; ბრძოლაჲ იქმნების ერთსა ადგილსა შინა ,ხოლო ყვავილი პირის პირ მისა მძვინვარებს ყოველსა

[1] წიგნის წინა სატიტულო გვერდზე მიძღვნაა, ხოლო შემდეგ მიმართვა, იმპერატორის მიმართ, რუსულ ენაზე, რაც სრულებით არაა საინტერესო თანამედროვე მკითხველთათვის.

ადგილსა ერსა შორის; — რაბამ საკვირველ იქმნებოდა ჩვენდა, უკეთუ ერთი გვამი ყვავილისაგან მკუდარი შემდგომად ათის წლისა აღმდგარიყო მკუდრეთით; — ევროპია ირიცხების ასსამოც მილიონს სულად, და ამადგან ყოველსა წელსა უფროს ოთხასიათასისა იხოცებიან ამა სნეულებითა; მაშა სადამე ერთსა თაობასა შინა ოცდა ცამეტს წელსა ვიდრე თოთხმეტამდე, და ასსა წელსა ვიდრე ორმოცდა ორს მილიონამდე ამა ყვავილს სენისაგან იხოცებიან.

რუსეთსა შინა რიცხვისამებრ დიაღ მრავალნი იხოცებიან ამა სენისაგან, თუმცა სნეულება ესე არა ყოველთათვის არს სასიკუდინე, გარნა იშვიათად ვისმე უნახამს ამისგან უვნებლობა, ანუ სხვაჲ რაიმე. ვინადგან ხშირად წაახდენს ესე სენი კეთილსა სახესა კაცისასა, და მშვენიერნი სახენიცა ყრმათანი ამისმიერ იქმნებიან განყვითლებულნი ვითარცა მკუდრისანი და ხშირადაც მიუღებს კაცთა გრძნობასა, ხედვასა და ეგრეთვე სმენასაცა, და კვალად ესრეთ დაუსუსტებს სნეულება ესე მაცოცხლებელსა ძაფსა, რომელ ვერა გამოვიდეს სნეულებისა და ავადმყოფობისაგან; და ამად სათანადო არს, რათა ადრე თუ გვიან მეცადინეობდეს კაცი განრინებასა თავისა თვისისასა ამა სნეულებისაგან, რომლითამე ღონითა.

დასაბამსა ამა ყვავილისასა იტყვიან, რომელ იყოს ექვსასი წელი და მცირედ მცირეობით განმრავლებულიყოს შხამი ესე მრავალსა ადგილასა შინა; ხოლო კამჩატკასა შინა ესე სნეულება მიტანილ იქმნა არა უწინარეს ჩოპ. წელსა, და სხვანი ადგილნიცა არიან რომელ, დღესაცა თავისუფლად ჰგიებენ ამა სენისაგან ვითარცა კაენა ჭალაკი წმიდის ელენესი და სხვანი რომელნიმე ადგილნი თათართანი, რომელთა შორის სრულიად მოკლებულ არს სენი ესე, და ამით სჩანს რომელ, სენი ესე ყვავილისა მყოფობასა კაცისასა არა თვისეყვის (ესე იგი), რომელ დასაბამსავე კაცის შექმნისას დაჰყოლოდეს თანა ესე ვითარი თესლი ამა ბოროტის შხამისა, და ამით ემიზეზებოდესთ ერთა სნეულება ესე.

არა საცნაურ არს ესე, თუ შხამმან ყვავილისამან საიდგან მიიღო დასაბამი თვისი და ცნობაცა ამისი არა საჭირო არს, გარდა ამისა რომელ, ესე წარმოდგა და განვრცელდა თვისითა სნეულება შემოსილითა ძალითა არა თუ მიზეზითა ჰერისათა,

ვ"ა[1] რომელნიმე ჰგონებენ, ა"დ[2] მიზეზითა სხვათა ხორცთასა, სხვა რომელნიმე ჰგონებენ, ა"დ მიზეზითა სხვათა ხორცთასა, მძვინვარებს ყვავილი ესე ერსა შორის ჩვეულებისამებრ ვითარცა სხვა სენი; აჰა სარწმუნოდ სჩანს რომელ, წარმოებს ესე ესრეთ, ჩირქისაგან შეეყრების ერთსა, და ჟამსა მას მძვინვარებისა მისისასა მეორესა და ამით განმრავლდების ერსა შორის.

ამისგამო გულის ხმის ყოფა ჯერარს, თუ რაჲსაგან იქმნებიან სხვანი საზოგადოდ შესაყარნი სნეულებანი უმცირეს ანუ უმეტეს წარმწყმენდელად ერისა; ესე მცირე განდგომილება ქმნილ არს ამად რომელ, ჯერაც მრავალთა ერთა შორის არს წინადვე მსჯელობა ამისი რომელ, სათანადო იყოს კაცისად ქონება ყვავილისა დასაბამიდგანვე, და ვისთვისაცა განსჯილ იყოს მისმიერ განიკურნებოდეს; წინადვე მსჯელობა ესე არს ფრიად მავნებელი საზოგადოებისა, და დამაბრკოლებელი დიდისა ამის სარგებლობისა, რომელ არს აცრა ძროხის ყვავილითა.

თვით ზნეთ სწავლულებაჲ არა გვიბრძანებს ჩვენ განზრახვასა ამისასა, რომელ შემომქმედსა განესაზღვროს დაბადებულთა თვისთათვის კაცისად ნათესავითი ნათესავამდე შემმუსრველი სენი რაიმე; აბა რაიჯერ არს ყვავილისათვის თქმად, რომელიცა თანასწორებს სხვათა თანა სნეულებათა და აქუს ძალი განვრცელებისა? და მისთვისაცა რაჲ ვსთქვათ, რომელიცა წარმოდგების ფოლორცობისა და არა წმიდებისაგან სნეულებაჲ (ნუ იყოფინ ესე), კაცი არა ამისათვის შობილ არს, ა"დ აქუს კაცსა სული შემწედ ყოვლისა გულის ხმისყოფისად, კეთილი და აღმატებული ყოვლითა აზნაურებითა, ვითარცა გულის თქმისადმი ცუდთა დამტკიცებათა შინა, ეგრეთვე ხორცი-ცა სახედ ორღანოჲსა მრავალ წელ სასიცოცხლოდ მრთელი, შემძლებელი მოთმინებისა შინაგანისა და გარეგანისა, კეთილისა და ბოროტისა და ვნებისა მრავალითა ცვალებითა სნეულებისათა, და უწინარეს ჟამისა სიკუდილისა; აწ უშიშარი მსჯელობა იგი თანამდებ არს პყრობად ამა ისტორიისა რომელიცა ასწავებს მათ შესაძლებელ ყოფასა გარე მიქცევად ყოვლისა ვნებისა; უწყით ჩვენ ესე რომელ, უკეთუ ერთსა ვისმე ერთ გზის შეეყარა ყვავილი და იხადა მას მეორედ არღარა შეეყრე-

1 ვითა.

2 არამედ.

ბის თვინიერ სხვისა რაჲსმე მსუბუქის სენისა, ვინადგან დაწ-
ყობილება ხორცისა ჩვენისა ამა სნეულებისადმი ერთგზის მოხ-
დითა დაამდაბლებს ყოველსა მოქმედებასა ყვავილისასა, და
აწ ძროხის ყვავილი ესე უფროსად მძლეველ არს კაცის ყვავი-
ლისადმი, რომელსა ზედაცა ჩვენ მრავლითა გამოცდილებითა
დარწმუნებული ვართ, რომელ ძროხის ყვავილი დაიფარავს
და დაიცვავს ჩვეულებითის კაცის ყვავილის სრვისაგან; მაშა
რასათვის არ უნდა დავერწმუნნეთ ჩვენ გონების მიხედვითა,
რომელ ჩირქსა ძროხის ყვავილისასა აქუს თვისშორის საკუ-
თარი გამომხსნელი ძალი კაცის ყვავილისაგან.

ესოდენთა ამათ ღირსიხსოვნისა წელთა რვაასთა ვერა შემ-
ძლებელ ვიქმენით მიწთომად უსახმარესისა ამის ღონის ძიე-
ბისა და ყოველთა კაცთა გამომხსნელისა საქმისა მოპოვებდ და
გამოცხადებად, რომელიცა უფროს სუსტიყო სწავლად სხვისა
სნეულებისა აცრაჲ ესე ძროხის ყვავილითა, რომელიცა არა
ამიზეზებს დიდსა ტკივილსა, არცა დაურღვევს სიმრთელესა,
არცა მიუღებს მშვენიერებასა კაცთა ნათესავსა, და თითქმის
აროდეს ესაჭიროების მკურნალი და არცა წამალი, არა მოუკ-
ლავს ამა აცრასა არცა ერთიოდენ გვამი, და მსახურებს ყოველ-
თა ღონის ძიება ესე სარწმუნოდ დამცველად საშინელისა კაცის
ყვავილის სრვისაგან. გვაქუს ჩვენ სრული სასოებაჲ, რომელ;
ყოველსა ამას თქმულსა ზედა დაერწმუნნენ აღმომკითხველნი
ამა დარიგებისანი, და ოდეს მიიღებენ სარგებლობისა მადინე-
ბელსა ამას ღონის ძიებასა პატივით, და აუცრიან ძროხის ყვა-
ვილით, მაშინ ეგებიან იგინი უწინაღმდეგოდ ჭეშმარიტებისა
ამის. და ყოველნი შვილთ მოყვარენი მამანი და დედანი შე-
რაცხვენ მაცოცხლებელად შვილთა თვისთასა სარგებლობასა
ამას, და ღირსხსოვნის კეთილ მოქმედებად. რომელსა შინა შიში
და იჭვნეულება მოაკლდების, და სარწმუნოდ ყოფადაემტკიცე-
ბის; ხ[1] წინაღმდეგნი ამა ყვავილის აცრისანი შერაცხვენ
წარწყმენდილად ჟამსა თვისსა ამა საწუთროსა შ[2]ა.

ვინაჲდგან მრავალთა საბრალოთა ერთა ყვავილის სნეუ-
ლებისაგან მოჰკლებიესთ სიმრთლე და გრძნობაჲ, მოხმარები-

---

1 ხოლო.
2 შინა.

თა სხვისა ღონის ძიებისათა და ვერა უქმნიესთ სარგებლობა თავისა თავისისა, ამისთვის დაეყენების საგანი იგი, და ესე მსახურებს კეთილ მოქმედებასა საზოგადოობისასა, რომლისათვის უმაღლესად ინება მისმა იმპერატორების დიდებულებამ გარდამოცემა წერილისა ამის ერსა შორის, შემოკლებისათვის ესე ვითარისა უბედურებისა რომელიცა წარმოდგომილ არს კაცის ყვავილის სვრისაგან და ქმნისათვის ამა ახლისა ღონის ძიებისა რომელიცა იხსნის საზოგადოობათა ვნებისაგან.

სარგებლობისა და აღმატებულებისათვის ძროხის ყვავილისა

წ ი გ ნ ი ბ.

ყოველთა საზოგადო გამოცდილება ძროხის ყვავილის აცრისა და განსაკუთრებით ქმნილი იტალიასა, ღერმანიასა, ფრანციასა, და თვით რუსეთსა შინაცა, გვაჩვენებენ ჩვენ, რომელ ესეცა ვ~ა ჩვეულებითი კაცის ყვავილი აეცრებისთ და არღარა შეეყრებისთ მეორედ, და ამა ძროხის ყვავილის მოხდითა კაცის ყვავილის ვნება განქარდების.

აცრა კაცის ყვავილისა, ამა ძროხის ყვავილის აცრისა მიერ შემცირდა და მოაკლდა დაცემა და სიკუდილი კაცის ყვავილის სნეულებისა, ვინაიდგან შეუსწორდა ბუნებითსა ყვავილის მოხდასა ძროხის ყვავილის მოხდა ესე. რამეთუ ბუნებითისა ყვავილის შეყრითა; იყვნენ შიშნი და მოკლებანი სიცოცხლისა და მშვენიერებისანი კაცთა შ~ს[1] და ეგრეთვე ხშირად გამოჰყრიდა დაბუჟებითა და თრთოლითა სხეულისათა, და იქმნებოდა სნეული იგი გარე მოცული, ფიცხელითა სიცხითა ვ~ე[2] წარწყმენდამდე მიწევნილი, მისცემდა საშინელსა სიცხესა და ამასთანვე გააცივებდა, სტანჯავდა საბრალოთა ყრმათა ფიცხელითა შფოთებითა, და ეგრეთვე მყრალისა და ბოროტის ოფლისაგან ძილ მოკლებულნი და დაცემულნი კვნესოდნენ, და მშობელნი მათნი მსმენელნი მკუნესარობისა მათისანი, ილალვიდნენ, და სწუხდნენ მოსრულნი სინანულად და იტყოდნენ, რაჲ უყავით, ძეთა ჩვენთა, და რადა ვექმენით მიზეზ ვნებისაო, და მრავალ-

---

1 შორის.

2 ვიდრე.

ნი მადგანნიცა იქმნებოდნენ უნუგეშოდ, რ[1] ხედვიდნენ ძეთა მსხუმრპლად სიკვდილისა, და უკეთუ კეთილად გამოჰყრიდა ვისმე, მაშინცა ხშირად სნეულება იგი ბრჭვლიერსა ქარსა, ანუ შინაგან სნეულებასა რასამე დამალულად, და ოდეს ყვავილი იგი წარუვიდოდის, მაშინ ფიცხელითა შფოთებითა მოჰკლევდა მათ: ნუ მიხედავთ თქვენ და ნურცა მიენდობით დასაბამსა შინა კეთილსა ნიშანსა კაცის ყვავილისასა, არ იცის მან მყის აღნთება, და მოულოდებელად მოკვლა კაცისა, მაშინ ოდესცა საფიქრებელი არა რაჲმე ჩნდეს: ნუ მიენდობით სარგებლობასა მისსა, მიხედვითა და მინდობითა მისითა მრავალნი შემუსრვილან, და ვისთვისცა აუცრიათ კაცის ყვავილი ათასისაგან ხუთი და ოცისაგან ერთი მძიმითა სნეულებითა დაშთომილან შეპყრობილნი, და ეგრეთვე ასი ათასის ყრმისაგან რომელთათვისცა აუცრიათ კაცის ყვავილი მომკუდარან ხუთასნი, და ხუთიათასნი მძიმითა სნეულებითა ყოფილან ვნებულნი რაოდენათმე ჟამთა; და რიცხვი ამა მკუდარითა მაშინ განმრავლებულა, ოდესცა მსუბუქგონებით მოჰქცევიან საქმესა ამას, და გამოუცდელი მკურნალიცა შემთხვევიესთ მუნ: ესრეთსა ჟამსა აუცრია, რომელ მაშინ სხვა სნეულებაცა ჰქონია და მკურნალს ვერა შეუტყვიარა და უშესაბამოითა წამლობითა გამოსჩენია სხვა სენიცა.

რაოდენ იშვიათად არა იყვნენ ესე საშინელი დამცემელობანი, მაინც მრავალთა იპყრობს დაცემულებისაგან კეთილად საქმნელი აცრა ძროხის ყვავილისა ამის, და უფრორე ამით სურვილად განღვიძებულნი ინებებენ აცრასა ძროხის ყვავილისასა, ვინაჲდგან ერთხმად მოწმობენ ყოველნი დამმარხველნი და მოქმედნი განათლებულთა სახელმწიფოთა ზ[ა] და ეგრეთვე საკუთარის გამოცდილებისა მებრ ჩვენისა წარმოება ამა ძროხის ყვავილისა, ესრეთ მსუბუქ არს რომელ, თუარ მცირესა შეზრზინებასა სხვასა არა რასამე სიმძიმესა ამიზეზებს, და არცა შეესწორების სიმსუბუქით მოხდა ამა ძროხის ყვავილისა მძვინვარესა კაცის ყვავილისა მას, ვინადგან არადეს მომხდარარს დაცემულება და სნეულებითი შეპყრობა ამა ძროხის ყვავილისაგან, თუმცა ოდესმე შეხუდების რომელ, მცირე რაჲმე

---

1 რომელ.

ფარდახტი შეაყაროს, მაგრა ესეცა ესრეთ უვნებელ არს, რომელ გარეგან ტყავისაცა არას ამიზეზებს, არათუ სიმრთელესა კაცისასა ავნოს რაჲმე.

აცრა ძროხის ყვავილითა არაოდეს დაუტევებს თვისაგან სავნებელსა რასამე შედგომილებასა კაცთა შ~ს, ვ~ა შემთხვევიესთ კაცის ყვავილისაგან მრავალთა უცეფად სიკუდილი, და დაცემულება ხანგანგრძობითი და სიცოცხლის შემამოკლებელი სენი (ესე იგი). მჭამელი ძვლისა და ჭლერქი.

სისუსტითა და სხვითა რომლითამე სნეულებითა შეპყრობილნი ყრმანი, ვერა მარადის ესრეთ მსუბუქად იხდიან ყვავილსა კაცისასა ვითარცა ზემოხსენებულ არს, და პირის პირ ამისა ვინცა დაიმარხავს და ჰყოფს აცრასა ამა ძროხის ყვავილისასა, მრავალ რიცხვედად გრძნობს სიმრთელესა თავისა თვისისასა, ესრეთითა სახითა რომელ სურტი ესე შეზრზინება, ფ~დ[1] სარგებელ ექმნების მას, და საზოგადოდ ორღანოთა შ~ს ჩვენდა ჰყოფს მკურნალობასა, და განსდევნის ჩვენგან რომელთამე უბრალოთა სენთა და მოიყვანს კეთილ დაწყობილებასა ზედა სიმრთელესა ჩვენსა.

ტყუილად ჰგონებენ რომელნიმე, რომელ ძროხის ყვავილითა შესაძლო იყოს აცრაცა სხვათა პირუტყუთა ვინადგან არსო ბუნებითი სნეულება მათი, ანუთუ მოიყვანდეს მათაცა კეთილ დაწყობილებასა შინა; ვინადგან ყვავილი ესე საკუთარი სნეულება არს ძროხის ძუძუსი; მაშა ესე აროდეს არა შერთვიეს სხვასა სნეულებასა ძროხისასა, და არცა მსახურებს ესე გულისხმის ყოფსა ჩვენსა. ამად რომელ ჩვენ ფ~დ იშვიათად მოვიღებთ ძროხისაგან ნივთსა ყვავილისასა, ა~დ ყრმათაგან რომელსაცა აქუსთ აცრილი ძროხის ყვავილითა.

მას ჟამსაცა არა მცირედ რასამე დააბრკოლებს აცრა ამა ძროხის ყვავილისა, ოდეს იყოს შესაყარი სენი რაიმე ესე ვითარი. ვ~ა წითელა და მსგავსნი ამისნი. რ~ გამოცდილებითა ნათლად ჩვენებულ არს, რომელ ყვავილისა ამის აცრაჲ მარადის შესაძლებელ არს; და შეხუდების რომელ ოდესმე სხვა ესე ვითარი სენიცა ამას შეერთდეს; მაშინ ძროხის ყვავილი მოქმე-

---

[1] ფრიად.

დებასა თვისსა თავით თვისით განაგრძელებს, ვიდრე სხვანი სნეულებანი განვიდნენ, ანუ იგინი დააყენებენ მოქმედებათა თვისთა ვიდრე განვლოს ყვავილმან, და ეგრეთვე ჰერნიცა ცვალებასა შინა ვერა მოიყვანენ ამას.

მოქმედება ამა ძროხის ყვავილისა არა შეიცვალების ტაროსისაგან არცა ჰაერისაგან, ვითარცა სიცხიანსა ადგილსა ეგრეთვე ცივსა ადგილსა შინაცა, ევროპიასა, აზიასა, და ამერიკასა შინა, ერთი და იგივე ძალი ექმნების.

ყოველთა ზედა უსახმარესი ესე არს, რომელ ძროხის ყვავილსა არა ძალუცს დამცემელობითის სნეულების ქონება, ვ"ა კაცის ყვავილისაგან ხშირად მოხდების; ნამდვილ არს ესე რომელ, მრავალნი აცრილნი ძროხის ყვავილითა ხსნილან ვნებისაგან, და ძნელად თუ ვისთვისმე ემიზეზებინოს ამას სნეულება რაჲმე, გინა განმრავლებულიყოს ამის მიერ სიკუდილი, ვითარცა ლონდონსა შინა ორმოცდა ოთხს წელიწადში აცრითა კაცის ყვავილისათა მოსწყდა ერი უფროს ოცდაოთხი ათასის სულისა.

ყოველსა ამას საფუძვლიანსა სარჩელსა არღარა აქუს აწ ადგილი აცრისგამო ამა ძროხის ყვავილისა, რომელსაცა წინადვე დაუცავს ადვილითა ხატითა ერი კაცის ყვავილისაგან, არა მიუშვებს დამცემელსა ყვავილსა კაცისასა საზოგადოობისადმი ვნებად უკეთუ ჰყოფდნენ ღონის ძიებასა ამას კეთილსა, ვინადგან სასურველი იყო ყოველთადმი, რათა სრულებით აღხოცილ იყო ესოდენ წარმწყმენდელი სნეულება კაცის ყვავილისა.

ყოველნი იგი, რომელნიცა მეცადინეობდნენ მოპოვნებასა ღონისძიებისა ესე ვითარისასა, რომლითაცა შესაძლებელ ყოფილიყო აღსპობა ამა ბოროტისა სენისა რომელ არს კაცის ყვავილი, მიეწერებისთ მათ მადლობა: გარნა ვერა ჰპოვეს სრულიადი ზედ მიწევნილებაჲ რომელითაცა აღხოცილ იყო. სენი ესე ბოროტი ამა ჟამადმე; და ჟამსა ამას ოდეს ცხად იქმნა ძროხის ყვავილი ესე, ვპოვეთ ჩვენ მას შინა ჭეშმარიტი ღონის ძიება, და უდიდესი უაღრესობა ამა ძროხის ყვავილისა, რომელიცა უცილებლად მდგომარეობს ამას შინა, და მოგვცემს ჩვენ სასოებასა სრულიად აღხოცისათვის კაცის ყვავილისა, უკეთუ ყოველგან ჰყოფენ ძროხის ყვავილით აცრასა ამას, რომელიცა აეცრების ახალს დაბადებულს ჩჩვილსაცა, და პირის

პირ ამისა დაყენებულ არს აცრა კაცის ყვავილითა, რომელიცა ესრედ გრძლად მძვინვარებდა ერსა შორის, და ხშირად შემუსრა მან მილიონი ერი, ამისთვის აუცილებელად სათანადო არს, რათა აღიხოცოს ყოვლისა ადგილისაგან ბოროტი სენი იგი კაცის ყვავილისა.

ამა ახლითა ღონის ძიებითა არა რაჲმე ვნება წარმოდგების, და მოხმარებითა ამა ნივთისათა აღისპობის აცრა კაცის ყვავილითა, ესე ნივთი სრულსა უშიშროებსა შინა მდგომარეობს ერისათვის, რათა საზოგადოობა ჰყოფდეს აცრასა ამა ძროხის ყვავილისასა, და ამით ერთსა ანუ ორსა წელსა მოაკლდების ქვეყანისაგან სრვაჲ კაცის ყვავილის მიერი. ესე სუროდათ, და სათანადო არს რათა სურდესთ ყოველთა მკურნალთა, ფილაოოფოსთა, და ყოველთა ჭეშმარიტთა მეგობართა კაცთა ნათესავისათა; ნუ თუ ესე იყოს მხოლოდ საამური მოჩვენება რაჲმე? ნუთუ დაშთეს ვინმე ამა კეთილის სურვილისაგან მოკლებულ? ნუიყოფინ: რა ფიქრი ესე უმეტეს წინააღმდეგ არს, რომელ მოქმედება ამისი არათუ მხოლოდ შესაძლო არს, ა˜დ შევრდომილ არს ფ˜დ უმცირესსა შრომასა ქვეშე ვიდრეღა რომელნიმე ჰგონებენ; — ორთა სატახტოთა ქალაქთა შინა, და სხვათა დიდროვანთა ქალაქთა საკმაოდ არიან კეთილ გონიერნი მკურნალნი, რომელნიცა თანახმანი იქმნებიან საზოგადოდ აცრისათვის ამა ძროხის ყვავილისა, და თითოეული თვისთა ხვედრთა ქალაქთა შინა, სურვილით ისწრაფებენ სრულიად აღხოცასა კაცის ყვავილისასას, ხ˜ ღუბერნიათათვის თანა ამსთ ზრუნვაი სამკურნალოისა შესაკრებელისაგანთა, და ხეობისათვის ხეობის ქალაქთა შინა მყოფთა, ხ˜ სოფელთა და დაბათა შინა შემძლებელ არიან სამღვდელონი, გვამნი და მოძღვარნი ქმნად ამა ქრისტიანობითისა საქმისა, და ეგრეთვე ისწავლონ ბებიათაცა საქმე ესე, და ყოველთა მოადგილეთა, მმართებელთა სახლის უფროსთა მდედრთა თუ მამრთა თანა ამსთ მეცადინეობა ამისი, და სამღუდელოთა დასთაცა რათა მოიყვანონ ერი დარწმუნებად ამა კეთილსა ზედა, რომლითაცა იხსნებიან მრავალ ათასეულნი მსგავსნი ჩვენნი. — სამღუდელოთა ძალუცსთ დარწმუნება სამწყსოთა თვისთაჲ, რადგან არს ერთი პირველი კეთილი საქმე, და კაცთათვის სრული სიცოცხლე და სიმრთელე ვინადგან მარავალნი მოწყვეტილან კაცის ყვავილისა მისგან,

და უკეთუ ვიეთნიმე არა ჰყოფენ ამა ღონესა, ნიშნავს რომელ თვით იგინი იქმნებიან მკულელნი საზოგადოობისანი: რ˜ ესე ვითარსა მიმთხვევასა შინა კეთილად მზრუნველთა სამღუდელოთა, ერთ კერძოდ ექმნებისთ მისაგებელი განჩინებისამებრ კეთილთა ხარისხთა მათთა, და მეორე კერძოდ კეთილად იდიდების მათ მიერ იმპერია.

პირის დაყოფისათვის წინაღმდეგთა ძროხის ყვავილის აცრისათა, და დამტკიცება ამისი გამოცდილებითა.

წ ი გ ნ ი გ.

თქმულიყოდა და წერილ ვ"დ რაიცა არა თქმულ არს და არცა დაწერილ, არა შეეძლოს ძროხის ყვავილსა ამას მარადის დაცვა კაცის ყვავილის სრვიისაგან; ესე სათანადო არს დავამტკიცოთ გამოცდილებითა, გულის ხმა ვყოთ ხმა მათი და შეკრულნი სურვილითა[2] შეუდგეთ ამას: დჟენნერმან[3] თვისსა ღირსდარწმუნებისა მოთხრობასა შინა წარმოადგინა ერი, რომელნიცა შემდგომად ძროხის ყვავილისა. კე, კზ, ლა, და ნგ, ს˜ს წელსა შინა ყოფილიყვნენ. შევრდომილნი, ფ˜დ ხშირისა სნეულებითა დაცემულებისანი; გარნა არავინ დაეცა მადგანი, და კ˜დ მსგავსსავე ამისსა გამოცდილებასა გვაძლევს ჩვენ ღელლვად; მრავალსა მიმთხვევსა შინა შემეცნებულ არსმიჩენილის ექიმებით, ანგლიასა შინა ყრმათა ზედა მათთა და მერძევეთა; ღოლშტინ მოწმობს ღირს დარწმუნებითისა ხატითა, რომელ ესე დამტკიცება არა არსო მართალი; და კ˜დ ამბობენ გამოცდილებითა, რომელ ძროხის ყვავილი ჯერეთ დიაღ მცირე არსო. ნივთი ესე ჩვენთვის ფ˜დ კეთილი არს, ნუთუ არა ქმნილ არს მეორედ აცრა მრავალთა შორის, რომლითაცა დაემტკიცოს წინაღმდეგთადმი კეთილობა ამისი. და გარდა ამისა არა ნათლად

---

1 ვითარმედ.

2 ტექსტშია სუსვილითა.

3 ისააკ ჯენერი, ცნობილი ინგლისელი ექიმი, რომლის სახელს უკავშირებენ ყვავილის აცრის (ვაქცინაციის) შემოღებას.

4 კვალად.

დაუმტკიცებენაა ყოველნი იგინი რომელთაცა ჰქონიესთ ძროხის ყვავილი აცრილი? და სხვანი მძვინვარითა და შხამიანითა კაცის ყვავილითა ყოფილან შეპყრობილნი. რომელ არღარა შეჰყრიესთ ძროხის ყვავილით მოხდილთა კაცის ყვავილი იგი. აჰა რაოდენ ცრუ არს ურწმუნოება წინაღმდეგთა და რაოდენ უსაფუძვლო არს განზრახვა მათი; ანგლიასა შინა ოდეს აუცრეს ასიათასთა ძროხის ყვავილი და იყვნენ მუნვე რვაათასნი, რომელთათვისცა მოქმედება ესე იყო მეორედ, რომელნიცა იყვნენ შევრდომილნი მძვინჯარისა კაცის ყვავილისანი; გარნა მისწრობა ესე იყო მათთვის ფ~დ სასურველი რომელ, არცა ერთი რიცხუთა ამადგანი არა წარწყმდა მეორესა შინა მოქმედებასა (ესე იგი პ~დ[1] ძროხის ყვავილი აეცრათ და მეორედ კაცისა) ესე ვითარი გამოცდილება, ნუთუ არა გვმსახურებდეს ჩვენ დიდად შესაწყნარებელად, ვიდრე რომელთამე უბრალო მოგონება, რომელთაცა გონების მიხედვითა მათითა დაუფუძნებიესთ იჭუნეულება.

რომელთაღმიცა არა საკმაო იყოს ზემორე დამტკიცება, უტევე იგინი, რათა დარწმუნებულ იქმნენ შემდგომითა უფროს მძლეველითა გამოცდილებითა.

ვუდვილ მკურნალმან ლონდონის ყვავილთ საავადმყოფოსა სახლსა შინა აუცრა ძროხის ყვავილი, და კაცის ყვავილიცა ერთსა დროსა შინა სადაცა ყრმანი ერთად სცხოვრებდნენ, და არავინ მადგანი დაეცა ურთიერთისაგან უფროს ათასისა. და რომელთაცა აცრილი ჰქონდათ ძროხის ყვავილითა, მკურნალი იგი შეუვრდა გამოცდილებასა ძროხის ყვავილისასა.

ინსტიტუტსა შინა ლონდონს აუცრეს ძროხის ყვავილი ათი ათასთა, და მერმე ათიათასისაგან ორი ათასს მადგანსავე კ~დ კაცის ყვავილი და ვერცა ერთსა ვერა რაჲ ავნო. ღენრიხ დჟენნერმან აუცრა სამას ოცდა ექვსს ძროხის ყვავილი, და შემდგომად მადგანსავე სამოცდა ცამეტს კაცის ყვავილი, სხვითა და სხვითა მკურნალებითა და ნივთებითა, გარნა ვერცა ერთი მადგანი ვერა დასცა.

რიცხვი ანგლიელთ მკურნალთაგან ქმნილი, ფ~დ შესაძლო

---

[1] პირველად.

არს მრავლად თქმად, გარნა ჩვენდა არა ჯერ არს უფროს განვრცელებად.

პარიჟსა შინა მსგავსადვე ქმნილი გამოცდილება ამისათვის, რომელ მუნებურსა სამკურნალოს შესაკრებელსა შინა, არა თუ ორგზის აუცრეს ყვავილი, ა~დ ოთხგზის.

ესევე ღონის ძიება იყო გარემო კერძოსა რეინისასა და სამკურნალოს შესაკრებელსა სახლსა შინა რეიმისსა, ბულონსა შინა ზღვის კერძოდ, და სხვათა მრავალთა ქალაქთა შინა, სადაცა წარმოებულ იქმნა აცრა ყვავილისა, და მუნებურთა კრებათა და მთავართა ესე დაამტკიცეს, და არა იგი.

შვეიცარიასა შინა თანასწორვე დარწმუნებულ იქმნა შესაბამითა გამოცდილებითა ესრეთ, ვ~ა ვენასა, ღანოვერსა, ბრაუნშვეიღს და თითოეულთა სასწავლებელთა შ~ა და ყოველთა უმცირესთა ქალაქსა შ~ს და ეგრეთვე ღერმანიასა და თვით რუსიასა შინაცა, ლიფლანდიას, ესტლანდიას და კურლანდიასა რაოდენმე ქმნილ იყო ორგზის აცრაჲ, რომლისათვის არღარა საჭიროდ გვაქუს გამოცდილებასა ზედა ლაპარაკი სხვათა ქვეყანისითა.

რუსეთის სახელმწიფოს მკურნალთ შესაკრებელს მოერთვა მრავალი უკუნ მოხსენება რომელ, ფრიად კეთილად სიამოვნებს ძროხის ყვავილიო; და ტანბოვსა შინა ექვსას ორმოცდა ექვსის ყრმისათვის აეცრათ ძროხის ყვავილი, და უმეტესის ნაწილისათვის მადგანისა მეორედ კიდევ აეცრათ კაცის ყვავილიცა და კაცის ყვავილი იგი უქმად და მოუქმედებელად დაშთომილ იყო.

დაამტკიცეს და სუროდათცა დამტკიცებად, რომელ ოდეს არა გამოჰყაროს ჩვეულებითად ყვავილმან, დაშთეს იგი შინაგან შხამად და შემდგომად ამიზეზოს ვისმე სნეულება, ამისათვის ზემორე მოვიხსენეთ რომელ, არა აქუს კაცსა ნათესაობითად სხეულსა შინა ყვავილი, რომელიცა ცხად არს აცრის გამო კაცის ყვავილისა, და ამისთვის გამოყრა არა არს აუცილებელობა, ვინაჲდგან ხშირად განვლის მცირისა გაცივებითაცა ყვავილი გამოუყრელად, და ოდესმე სრულიად უმისოდცა იქმნების, და ამით მეორედ შეყრასა გარე მიაქცევს: ესე წინაალმდეგ დამტკიცება გვეჩვენების ჩვენ მცირედ საიჭოდ, და ოდესცა ვცნობთ ამას რომელ, ღლოჩესტირის სამთავროსა შინა იყ-

ვნენ ერნი მრავალნი ძროხის ყვავილისაგან შეპყრობილნი, და ესრეთ მშვიდობით განერეს ყოველთა. ვ˜ა სხვათა მუნებურთა მცხოვრებთა, რომელთა არა რაჲ სჭირდათ; კ˜დ ამისთვისვე რაოდენ კეთილ საამყრნი უწყებანი გვქონან ჩვენ ღოლშტინიიდამ, მეკლენბურღიდამ და სხვა და სხვა ადგილებიდამ მაკბრანდერბურღისათა რომელ, ესე წინააღმდეგ ჩვენსა დამტკიცებანი, თავით თვისით მასხარობად და საცინელად სჩანან. და ვერა შეერთებიან მასცა რომლითაცა შესაძლო იყოს მადგან დამტკიცებად რომელ, ანუთუ კაცის ყვავილისაგან შესაძლო იყოს დაშთეს ნივთი სხეულსა შინა და წვრილ წვრილად შეგროვდეს მუნ, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა გამოაჩნდეს მეორედ. ანუ შეექმნას მას სნეულებად.

რაოდენ მცირედ მნიშვნელობს დამტკიცება წინააღმდეგთაგან; რომელ აცრაჲ ძროხის ყვავილითა მოაკლებდეს კათცა რომელსამე ნაწილსა სიმრთელისასა. უკეთუ ესე ჭეშმარიტ არს, მაშა კაცის ყვავილის აცრისაგან უფრო მრავალი ვნება წარმოდგების, რომელიცა არს ფ˜დ შემუსვრელი ერისა; ახალი აცრაჲ ესე არს ერთი და სარწმუნო ღონის ძიება აღსახოცელად საზოგადოს ყვავილისა, ესე-იგი. ძროხის ყვავილით აცრაჲ არს უკანასკნელს ღონედ პოვნილი საზოგადოობისათვის.

მშობელთა კეთილად მზრუნველთა სიცოცხლისათვის შვილთა თვისთასა, თანა ამთ გარეგანგდება ამისი რომელ, შემდგომად ძროხის ყვავილის აცრისა იქმნებოდეს კაცის ყვავილის შეყრაცა; აჰა ჩვენებულთა ძროხის ყვავილის აღმატებულებით მხსნელობათა. შეგვიყვანეს ჩვენ უსაფუძლოჲსა ამის სარჩელისა გამოძიებასა შინა; ჩვენ ყოვლით კერძო მიმთხვევა ამისი ვეძიეთ ერსა შ˜ს უდარწმუნებულესითა ხატითა რომელ მოგონება ესე იყო ცრუ; და სჩანს რომელ, წარმოებანი ძროხის ყვავილისანი ყოფილან წამხდარნი, ანუ შემთხვევიესთ ესე, რომელ არა ყოფილა ძროხის ყვავილი, და მტერთა ახლისა აცრისათა ძროხის ყვავილად შეურაცხამსთ იგი. რომელთაცა სამართლად უწოდებთ ჩვენმტრად კაცობრიობისა განმსჯელობისამებრ; ვინადგან მრავალგზის გამოუცხადებიესთ მათ სიკუდილი ყრმათა სიცრუვით, მხოლოდ ამისთვის, რათამცა დაამდაბლონ სარგებლობა კეთილ საამოჲსა საქმისა ამის, და ამითვე დააბრკოლონ განვრცელება ამა ღონის ძიებისა, რომელნიცა ყრმანი

მადგან თქმულნი, დღესაცა ცოცხალარიან და ტკბებიან ცხოვრებითა, სრულსა სიმრთელესა შინა; ამით დაშთნენ სირცხვილეულად იგინი რომელთაცა სჯეროდათ განვრცობა სიცრუეთა თვისთა, და დამდაბლებითი გარე მიქცევა ამა საზოგადოთა კეთილთაჲ, და განაღვიძეს ნაცვლად მისა თავისადმი თვისისა ურვა და ეგრეთვე ერსა შორისცა, რომელნიცა იყვნენ უფროს განათლებულნი მათ ზედა და უწყობდნენ საქმე ესე.

უმეცართაგამო ჩვენის საგანისათა მრავალგზის კითხვა ჰყვეს რომელ, ნამდვილ არსო ესე რომელ, აცრაჲ ძროხის ყვავილითა სარგებლიანობდეს? ვინაჲდგან არა აქვსო მსგავსება თანასწორებითი უკანასკნელსა ამას, და კაცის ყვავილისა ნათლად დამტკიცება იჭვნეულებისა მათისადმი ესე არს რომელ, იტყვიან ბუნებითის ყვავილის შხამი არს სქელი ჩირქი, და ჩირქი ძროხის ყვავილისა არს თხელიო; გარნა სუტტონ, და სხვათა მრავალთა მკურნალთა დაამტკიცეს სახელ დობრივ ესე რომელ, იყოს აცრისათვის კაცის ყვავილისა თხელი ჩირქი კეთილი, და ეგრეთვე რომელიმე სიმართლის მოყვარე, და ჭეშმარიტებით განსწავლული, სხვასა თხზვასა შინა განზრახულ არს ჩვენებად, ვითარცა გონების მიწთომითა ეგრეთვე გამოცდილებითაცა რომელ, კაცის ყვავილისაგანცა თვით უთხელესი ჩირქი უფრო შესაბამად იმოქმედებს და ადვილადაც მოახდევინებსო.

ახლისა აცრისა ამის იჭვნეულებად ყოფაჲ ა"დ ამით სწადსთ დაამტკიცონ, რომელ მხოლოდ ძროხას ექმნების ესე სნეულება და არა ხარსაო, და ერნიცა ორისვე ნათესავისანი ამას შეუვრდებიან; გარნა ესე მრავალ რიცხვედნი გამოცდილებანი არა საკმაოდ გარე მიაქცევენაა, ესოდენ განდგინებითსა წინაღმდეგობასა მათსა?

დამტკიცება წინაღმდეგთადმი რომელ, ყვავილი კაცისა განერთხმის ყოველსა ხორცსა კაცისასა, და ძროხის ყვავილი მხოლოდ ძროხის ცურსა ზედან გამოვალს და მისთვისაცა დიაღ მცირე რაჲმე სენი არს და შესაძლო არსა რომელ, თხელი და საგრძნობელი ტყავი იყოს მხოლოდ მიზეზი ყვავილისა მის ცურსა ზედა გამოსვლისა? გარნა თანა მდებ ვართაა ჩვენ, რა"თამცა ვერა ვიპოვოთ უსწოროება და გვსურდეს კაცისად ტყავი პირუტყვისა? რაოდენვე უსაფუძვლო არს ესეცა რო-

მელ, კაცის ყვავილსა შინა იყოს განსხვავება კარგისა და ცუდისა; ჩვენ არა ვიხმარებთ განსხვავებასა, ვინადან ბუნებითსა ძროხის ყვავილსა შინა არა არსრა ცუდი, ა˜დ მარადის კეთილ არს იგი.

აცრასა შინა კაცის ყვავილისასა და აცრასავე შინა წინადვე დამცველისა ძროხის ყვავილისსა, არს მსგავსება ესრეთი; ჟამსა ერთისა ანუ მეორის აცრისასა უცილებელად სათანადო არს, რათა ყვავილის ნივთი იგი დაშთეს რაოდენსამე დღესა უმოქმედოდ, და მერმე წარმოაყენოს ადგილნი ჩირქისანი და აგრძნოს ყოველსა ნაწილსა სხეულისასა; ნათლად დამტკიცებასა ამის ცნობისასა მსახურებს გაცვება, რომელიცა იქმნების რომლისამე მცირედ და რომლისამე უფრო მომატებულად, და თვინიერ ამისა არა ეგების; ორსავე გვარსა შინა სათანადო არს გამოჩნდეს რაოდენიმე ყვავილი ცნობილისა თვისებითა და ცნობილისა დროჲთა; ხ˜ ძროხის ყვავილის აცრასა შინა, ესოდენ იქმნებიან ყვავილნი რაოდენსა ადგილსაცა აუცრიათ, და ოდესმე მეტი, რომელიცა იშვიათად შეხუდების; ბუნებითი ყვავილი გამოაჩნდების მრავალ ყვავილის ბურცად ყოველსა ტანსა ზედა, და ხშირადცა ცოტა და ოდესმე ერთი ანუ ორი: ბუნებითი ყვავილი დაიცვავს ძროხის ყვავილისაგან, და ძროხის ყვავილი დაიცავს ბუნებითისაგან; და ოდეს აუცრან მით რომელიცა ჰქონიესთ ანუ სხვაჲ სნეულება, მაშინ წარმოდგების დიად მცირეჲ რაჲმე წყენა; ორისავე სნეულებისაგან წარმოდგების სხვა და სხვა ჩირქი მამიზეზებელი ერთისა და მისვე სნეულებისა, განსხვავებითა ამით რომელ, ერთი მეორესა ზედა მსუბუქი და ადვილი მოსახადია და არა საშიშო, ვინცა აწცა ვერა იპოვნის მსგავსებასა ამა სნეულებათა შ˜ს იგი ვერაოდეს ვეღარას იპოვნის.

მრავალთა ერთა აშინებდნენ ამით რომელ, ახლისა ამის აცრისაგან შესაძლო იყოს სხვათა ცხოველთა სნეულებისა შეყრაცა, რომლისაცა მოქმედებ არა მსწრაფლიად ცხად ჰყოფს თავსა თვისსა, ა˜დ დაემკვიდრების სხეულსა შინაო; მიხედეთ უსაფუძულოებასა და უმეცრებასა ამა განზრახვისასა, უტევე იგინი მოიხსენონ გამოცდილებითი დამტკიცება სამთავროჲსა მის ღლოჩესტერისა და ღოლშტინიისა, რომელთაცა ვერა იხილეს ვეროდეს ენებაჲ ძროხის ყვავილისაგან მიზეზებული, და

ეგნენ იგინი უვნებელად ვითარცა სხვანიერნი მუნებურნი, და აბა საიდგანღა შესაძლო უნდა იყოს წარმოდგომა ენებისა რაჲსამე? ჟამსა ყვავილის ქონებისასა ძროხათა შორისცა არა არს შემეცნება ტკივილისა და სნეულებისა, გარდა ამისა რომელ. მაშინ ცოტას რძეს მოიწველიან, ამასაც ამად რომელ ცურსა ანუ ძუძუსა ზედა გამოაჩნდებისთ მცირე ბურცი რაჲმე; და არაოდეს ცნობილ არს რომელ ძროხათა მათ ენებაჲ რაჲმე; შესდგომოდესთ ამა ყვავილისაგან. ცხად არს ამისთვის რომელ, სნეულება ცხოველთა ერთისა გვარისა არა შეეყრების მეორესა, მაგალითისა მებრ გამორიცხვით; რქიანთა პირუტყვთა ჭირი, ცხენთა საჰყაო ანუ ქოთაო, ცხვართა ცხვრის ქეცი ანუ მუნი, ძაღლთა მუნი ანუ ქეცი, და ესრეთ სხვანიცა რომელნიცა არიან საკუთრად ცხოველთა სნეულებანი.

ხ˜ რომელსაცა ეშინის ამისი, მიიყვანე იგი ხილვად აღებასა ზედა ჩირქისასა კაცისაგან ვ˜ა აწყოველსა ადგილსა მოქმედებენ ამას, ნუთუ მცირესა წვეთსა მას აღებულსა პირველად ძროხათაგან და მერმე გამოვლილსა რაოდენთამე ათასთა კაცთა ხორცთა შ˜ა, ჰქონდესღა ესე ოდენი ძალი რომელ, წარმოაყენოს შეუმეცნებელად ოდესმე სნეულებაცხოველთა კაცთა შორის? უკეთუ ესე შესაძლებელ იყოს, მაშა რაჲ დაემართებაჲსთ საბრალოთა ნათესავთა კაცისათა, რომელნიცა იზრდებიან და სცხოვრებენ ძროხისა რძითა, და ეგრეთვე ხორცითა პირუტყუთათა.

სხვანი წინაღმდეგ დამტკიცებანი და წინაღმედ მეტყველებანი რომელთამე ნაწილთანი, პირდაყოფილ იქმნენ ზემოხსენებულითა ნაწილითა, რომელიცა ესე ოდენ უსაფუძვლო იყო და ცალიერი რომელ, არა მსახურებდა არცა ერთსა გულის ხმის ყოფასა კაცობრიობისასა.

ძროხის ყვავილისათვის ძროხათა ზედა.

წ ი გ ნ ი დ.

ყვავილი ძროხისა იქმნების ორ რიგი, მართალი და ტყუილი, გამოაჩნდების ჩვეულებისამებრ ცურასა ზედა ძროხასა, და მომწველი ნახავს მას უკანონოდ აბურცებულსა, რომელიცა იქმნების ტყვიის ფერი ანუ მოლურჯო და იქმნებისცა ფ˜დ თხე-

ლისა და წყლიერის ჩირქით სავსე. მსგავსი ძირდიდისა ანუ დიდის ფერის მჭამელასი, ოდეს არა ახმარონ მსწრაფლ წამალი თუთია, კვიპაროზი და მსგავსი ამათი, მაშინ მუწუკი იგი დაიწყებს ჭამასა და დაღრმავდების და ჩირქი მისი შეიქმნების სქელი და იქმნების წყლულად; ხ˜ ცხოველი იგი განვრცელებასა შინა ამა სნეულებისასა არღარა მოითხოვს საჭმელსა, იქმნების შეწუხებული და მოიწველის ცოტას რძესა, და უკანასკნელ ჟამსა მოწველისასა იგრძნობსცა ტკივილსა; — სნეულება ესე აროდეს არა მოჰკლავს და არცა გარდაედების სხვათა, თუ არ შეხებითა მომწველისათა ერსა. ვინადგან აროდეს შემეცნებულ არს, რომელ ესე სნეულება საზოგადოდ გომსა შინა გარდასდებობდესთ სამწყსოთა (ესე იგი) უწველთა ძროხათა; პირველად შეყრაჲ სათანადო არს ძიებად განსაკუთრებით მდგომარეობასა ზ˜ა[1] ძროხათასა.

ბუნებითსა ძროხის ყვავილსა და ტყუილსა ესოდენი განსხვავება აქუსთ ძროხათა ზედა, ე˜ა ნამდვილი კაცის ყვავილი განესხვავების ტყუილის კაცის ყვავილისაგან. და თვისებანი მათნი შემდგომითა ნიშნებითა განირჩევიან.

ბუნებითი ძროხის ყვავილი იქმნების მოლურჯო ანუ ესთქვათ ტყვიის ფერი.

ტყუილისა ძროხის ყვავილისა, არცა მოლურჯო ფერი ექმნების და არცა ჩირქის ადგილი მსგავსი ძირდიდისა.

ტყუილი ძროხის ყვავილი მსრაფლ მიექცევის და შეიქმნების ხმელი მუწუკი, რომელიცა ბუნებით ყოფასა შინა პირველივე არა სახეობს და განხმების აღვსებადმდე უდროოთ.

ტყუილსა ყვავილსა შინა, ეგების ცხოველი ყოვლითურო მრთელად, და აქვს თვისივე ბუნებითი მხიარულება, და არცა ჭამასა და რძეს მოუკლებს ჩვეულებისაგან.

შეყრისათვის ძროხის ყვავილისა კაცთადმი

წ ი გ ნ ი ე.

მართალსა ძროხის ყვავილსა ღირს დარწმუნებითისა გამოცდილებისა მებრ, აქუს ღონეჲ შეყრად კაცისად; და თვისე-

---

[1] ზედა.

ყვის რომელ მხოლოდ თხელ ტყავიანსა ადგილსა გამოაჩნდეს, ანუ ჭრილობა გამრთელებულსა ადგილსა, და მართლითა ძროხის ყვავილითა, რომელიცა არს ცურსა ზედა ძროხათასა, შეხუდების მათ რომელნიცა სწველენ ძროხათა, რომელ თითის წვერსა ზ~ა ანუ სახსარსა ზედა, გინა სხვათა ადგილთა მკლავისათა გამოაჩნდესთ, და იწყებს გამჩენილი იგი ჩვეულებისა მებრ აღვსებასა, რომელიცა გამოვალს მცირეჲ მუწუკი ბურცად ვ~ა დამწვრისა; და იწყებს მსრაფლ დაჩირქებასა, და იქმნების მგრგვალი და ნაპირ ამაღლებული, და შუა გული ჩაჩვრეტილი ექმნების და ფერსაცა გარდმოსცემს მოლურჯოდ; ჩირქი იგი ყვავილისა აგრძნობს ყოველსა სხეულსა. და იღლიას ქვეშ ჯირკვალნი ჩვეულებისა მებრ დაუსივდებისთ; სნეული გრძნობს თრთოლასა, სიცხესა, და სიცივესა, მაჯაუცემს ხშირად, და სისუსტეს შეიმოსს სხეული და გრძნობს ტეხასა მწევრთა შინა, და ეგრეთვე პირი და თავიც ეტკიების, და ოდესმე კიდეც როტავს; — ესე ნიშანნი არაოდეს არა არიან საშიშარნი, ორსა ანუ სამსა დღესა იქმნებიან, და თუ გრძლად ოთხს დღეზედ მეტკიალარ იქმნების; მკლავზედ დაშთების მუწუკი რომელიცა მოსჭამს და ხანგანგრძელებით გამთელდების.

ხშირად შეექმნებისთ ესრეთი ბურცი და მუწუკი სხვათა ნაწილთა ზედა სნეულისათა, ოდეს სნეული გაუფრთხილებლად ფხანასა და სრესას დაუწყებს.

ყოველნი სნეულნი ესე ვითარითა სახითა მორჩენილან ყოველითურთ უვნებელად; მხოლოდ დჟენნერ მკურნალმან შეამცნია გაცივებისა ჟამსა, დაცემა და დიაღ მცირეჲ გამოყრა მკლავსა ზედა, გარნა იგიცა იყო ყოველითურთ უვნებელ, და არა რაჲსამე წყენისა მნიშვნელი, რომელიცა გაქრა თვინიერ ჩირქისა, და ამ სახედ ჩვენცა მრავალგზის შევამცნიეთ აქა.

თვისებათათვის ყვავილის სნეულებასა.

წ ი გ ნ ი ვ.

უწინარეს ვიდრე ვიწყებთ ჩვენ უბნობასა აცრისათვის ძროხის ყვავილისა, არს ჩვენდა კ~დ რომელიმე სათქმელი თვით ნივთისათვის მისისა; ოდეს აუცრიათ მით კაცთა, მაშინ შევამცნევთ რომელ, პ~დ აგრძნობს ადგილსა მას სადაცა აქვს აცრი-

ლი და შემდგომად რაოდენისმე ჟამისა ყოველსა სხეულსა; და უკანასკნელ მოქმედებითა სხეული შობს და წარმოადგენს ყვავილსა ადგილსა მას ზედა, სადაცა აქუს აცრილი; ესე არს ახალი ღონის ძიება ანუ ნივთი უშორესისა განვრცელებისა ჩვეულებისათვის; ესე მოქმედება დაამდაბლებს მარადის ღონესა მეორედ შეყრისასა; ნივთსა ამას აქუს მსგავსება შხამისათანა კაცის ყვავილისა, რომელიცა ურიცხუსა აცრასა შინა არა რასა თვისსა მოქმედებასა და ძალასა არა წარსწყმენდს, ა˜დ მარადის წარმოადგენს მასვე, მითვე ნიშნებითა, და მარადის არს სარწმუნოდ წინადვე დამცველი კაცის ყვავილისაგან. მოწმობასა ამისთვის წარმოადგენენ შორის სხვათა ღანნოვერის მკურნალნი, და ეგრეთვე ძველნი ერნიცა დაამტკიცებენ. რომელ, რომელსაცა უხდია ძროხის ყვავილი მას აღარა შეყრების კაცის ყვავილიო. და კ˜დ მოწმობს მცხოვრებთაგან ვ˜ა ანგლიისათა, ეგრეთვე ღერმანიელთა მიერ რომელ, თვინიერ ყოველსა უშიშროებისა მოღებულ იქმნა, გამოცდილება ამისი; იმსახურების ესე ფ˜დითა ძლევითა კაცის ყვავილსა ზედა: ერთა არა საჭიროდ აქუსთ პყრობა მედიცინურისა სისტემისა (ესე იგი ექიმობისა) და საზოგადოობათა უფროს არა რაჲ; ა˜დ მსელელნი უეჭველსა გზასა ზედა გამოცდილებითა, ხედვენ და მოჰყავსთ დამტკიცებად ესე, და ამით ეგებიან წრფელსა გზასა ზედა მსულელად ნათესავნი კაცთანი, და თვით უმეცართა შორისცა იმყოფების ჭეშმარიტება ამისთვის.

უკეთესის ღონის ძიებისათვის აცრად ძროხის ყვავილისა.

წ ი გ ნ ი ზ.

თვით ადვილი და სარწმუნო ღონის ძიება აცრისათვის ძროხის ყვავილისა, რომელიცა უფრო მცირესა ტკივილსა ამიზეზებს ესე არს; აღიღეთ ნესტრითა ანუ ნემსითა ჩირქი ყვავილისა რაოდენ შესაძლებელ იყოს ახალი და ზემო კერძოთა ზედა მკლავისათა ცოტა მხრის თავს დაბლა, ორსა ანუ სამსა ადგილსა აუცერით, მცირედ რომელ, თითქმის სისხლიც არ გამოედინოს და მარცხენე მკლავი ყრმათა დაბლა და ჭიმით დააღებინეთ, რათა გაჭიმით იყოს ტყავი მკლავისა, და ოდეს აუცრათ ზემო კერძოჲ ტყავისა, მაშინვე მკლავი მაღლა ააღები-

ნეთ, რომელ ჩირქი იგი იმ მცირედ აცრილს ტყავში კარგად შევიდეს, და ეგრეთვე რაოდენიმე ხანი თითით გეჭიროსთ ადგილი ნესტრისაგან აცრილი რომელ ჩირქსკი არა შეეხოსრა და მერმე ნელად განაშორეთ თითი აცრილსა მას; ხ˜ აცრილსა ზედა ზოგნი დაადებენ ინგლიზის პლასტირსა, მაგრამ ერთსა ანუ ორს დღეს უკანკი უნდა აიღონ, და უამისოთაცა ისევ იგივე იქმნების: — არა იქმნების ცუდი რომელ, სამს ადგილს აუცრიათ, რათა უფრო დაერწმუნნეთ; რომელ ჩირქი იგი კარგად შევიდეს აპრილსა შინა, და სხვებრ საკმაო იქმნების ერთიცა ყვავილის ნიშანი რომ გამოაჩნდეს; და სხვანი ღონის ძიებანი რომელნიცა დასაფარებელად არიან მაუდი, ანუ ძაფი დაწეწილი და ანუ პლასტირი და ამსახედ სხვანი უნდა იხმაროთ; ნუთუ არა ჰქონდესთ ამა ღონის ძიებათა რომელიმე აღმატებულება? ა˜დ წინაღდეგ მისა რასაცა უსარგებელობასა მოიღებს, ჩვენ აქა არა მოვიხსენეთ.

რომელსა დროსა შინა უნდა აღიღოს ჩირქი ყვავილისა.

წ ი გ ნ ი Თ.

მუნიდგან ოდეს ძროხის ყვავილის აცრა ჩვენდა უწყებულ იქმნა შესაძლო არს განსაზღურებად, რომელ, ნივთი ესე მაშინ ფ˜დ სახმარ არს ყოველთადმი აცრად, ოდეს იყოს წმინდა და წყლიანი, რომელიცა იქმნების შვიდის დღიდგან ვ˜ე ათს დღედმდე; გამოცდილს თვით ძალ უცს შეტყობა ყვავილისა ოდეს არს დროაღებისა ნუ მიხედავს დღეთა მისთა რაოდენთა გაუვლიათ, ოდეს იყოს ყვავილის მუწუკი იგი დიდი და ნაპირები ჰქონდეს მოწითანო ფერად და შუა გული ჩავარდნილი, მაშინ გასჭრას ბურცი იგი მუწუკისა და აღიღოს ნივთი მისი კეთილი ასაცრელად სხვათა და უკეთუ აღიღოს ჩირქი დაგვიანებით, მაშინ მუწუკი იგი დაიწყებს ლპობასა და შრომა ამღებელისა იქმნების ამაო და დრო წარწყმენდილი, და უდროოთ აღებულითა მით ჩირქითა თუ აუცრის ვისმე; თუმცა არს ავნებს და კიდეც მორჩების, მაგრამ ამ დარწმუნებისაგანკი ცალიერი იქმნების, რომელ წინადვე დაუცვას მან შეუყრელობა კაცის ყვავილისა.

შენახვისათვის ყვავილის ჩირქისა.

წ ი გ ნ ი თ.

ჟამსა ყვავილის ჩირქის შენახვისასა, სათანადო არს ჰქონდესთ სიფრთხილე, რათა არა მიეღოს ნივთსა მას წინადვე დამცველობითი ძალი თვისი, რომელ ჩვეულებისა მებრ მოხდების წახდეს; შენახვა მისი ჯერ არს ორსა პატარასა გამოთლილსა ბროლსა შინა, რომელნიცა ორნივე ერთმანეთსა ებურებოდნენ, და ერთსა ჰქონდეს გული ჩაღრმავებული რომელსა შინაცა დაეტეოდეს პატარა ნაჭერი ღრუბლისა, ანუ დიაღ მცირეჲ შუბი ნასვამი ყვავილის ჩირქითა, და შეიკრას ორივე იგი ბროლი დიაღ მაგრად და შემოსწებონ ლბილის ლაქითა ანუ წმიდა სანთლითა, რათა არა იმუშაოს მას შინა ჰერმან; ესე ნივთი ყვავილისა არა გრძლად შეინახვის ვითარ ექვსისა ანუ რვის დღისა, უმჯობეს არს რათა უფრო თხელი ჩირქი შეინახონ ხმელად ზემოხსენებულსა ბროლსა შინა, რათა რაოდენმე განხმეს იგი, და ვითარცა ზემორე თქმულ არს ისრე დაიცვან რომელ ჰერმან არ იმუშაოს მას შინა.

ჟამსა ამა გამხმარის ყვავილის ნივთის ხმარებისასა, დაასველონ ნეშტარი მცირედ თბილს წყალსა შინა, ანუ ნერწყვითა გინა სისხლითა, და ამით გალესონ ხმელი ნივთი იგი, და ესრეთითა სახითა აუცრან; ამა ნივთსა შემდგომად სამის თვისა იგივე ძალი ექმნების; რომელნიმე ხმარობენ განგებ ამის თვის გაკეთებულთა ვერცხლის ნემსთა, რომელსაცა აქვს პრტყელი ოქროს წვერი და ერთსა კერძოსა აქვს ხვრელი, რომლითა აღიღების ყვავილის ნივთი; და სხვანი გამოსჭრიან ხმელსა სოკოსა და პატარას შუშით შეინახვენ მას შინა, ესრეთ რომელ ნემსსა მას არა რაჲ შეეხოს და დაშთეს შეუხებელად საშუალ მინისა; ესრეთ შენახული რომელიცა ვსთქვით, ჩირქი მივიღეთ ჩვენ რინტელიიდამ, გარნა იგი არა შეეყარა და არცარა იმოქმედა; ვ˜დ უფრო კეთილ არს აღმოაწოთ ბანბის ძაფი ყვავილისა ჩირქსა შინა და შეინახოთ იგი მაგრად დაცმულსა მინასა შინა, რომელსაცა ამისთვინ აკეთებენ პატარასა და ვიწროს მოგრძეს მინასა, ესე ვითარითა სახითა შენახული ნივთი არა ჩქარა წახდების და არცა დაჰკარგამს ძალსა თვისსა და შესაძლებელ იქმნების გემსახუროს ორისა და სამის თვის შემდგომად.

დროჲ, სახე და მოქმედება ძროხის ყვავილისა ამის.

წიგნი ი

შემდგომად აცრისა პირველისა და მეორეს დღესა არაფერი არა სჩანსრა თვინიერ ნესტრით აცრილისა; მესამესა დღესა შეეტყობის რაოდენი მე სიწითლე გარემოს აცრილის ადგილისა, ოდესმე "ესე სიწითლე მეორეს დღესაც გამოაჩნდების მრთელთა, მაგართა, და მხნეთა ყრმათა; მეოთხეს დღესა გამოჩნდების მცირეჲ მკრქალ მოწითანოდ ბურცი ადგილსა მას სადაცა აუცრიათ, საშუალსა მისსა ძლივღა ეტყობის მცირე რაჲმე ჩავარდნილება, რომელიცა არს სარწმუნო ნიშანი ბუნებითისა ძროხის ყვავილისა; მეხუთესა დღესა შინა ბურცი იგი მოიმატებს სიდიდესა და უფრო ეტყობა ჩავარდნილება შუაზედა, და ნაპირებიც ამაღლებულად ექმნების, ესე ვითარსა ჟამსა შინა სათანადო არს დაერწმუნნეთ, რომელ აცრაჲ ესე არა იქმნა უსარგებლოდ; კ"დ შეეტყობის ღამე ოდესმე ავად მყოფსა რომელ უხურს მკლავები, გრძნობს სიცხესა, ღამეს გაატარებს მოუსვენებელად, ზდის ოფლი და პირის სახეც მოყვითანოდ აქვს, და თვალებს ქვეშ სილურჯე გამოაჩნდების; ესე ნიშანნი ნათლად გვაჩვენებენ ჩვენ, რომელ ყვავილის ნივთი საკმაოდ მომწიფდა და სხვათათვის ასაცრელად მით კეთილ არს; მეექვსესა დღესა ყვავილის მუწუკსა მას უფრო ეტყობა ჩავარდნილობა საშუალისა და სიდიდე; მეშვიდესა დღესა ბურცი იგი ამოიწევს ზეით, და იქმნების ოსპის მარცვლის ოდენი, ექმნების ფერი ღიად მოწითანო და მოელვარე და ნივთეულება ყვავილისა წინა დღეებშიაც შეეტყობა, (გარნა შეხუდებისცა სუსტთა, გამხდართა, და ნუზლის კერძთა ყრმათა, რომელ რაოდენისამე დღითა გვიან გამოაჩნდესთ და ეგრეთვე დიდსა ყინვასა შინაცა), ამა ჟამიდგან ყვავილის მუწუკი იგი განავრცელებს დღეთა თვისთა ვიდრე თერთმეტს დღემდე; ემატების და ივსების თეთრითა ჩირქითა და ჩავარდნილი იგი რომელიცა ექმნების საშუალ დაეკარგების; გარემო ყვავილის მუწუკისა შეექმნების ნაკვერცხლის ფერად მას ადგილადმდე სადაცა ნესტრით აუცრეს, რიცხვისა მებრ მათისა; და ოდესმე ორსა ანუ სამსა გოჯსა ზედა იქმნების გარდი გარდმო, და ოდესმე განვრცელდების სიწითლე ესე ოითქმის ყოველსა მკლავსა ზედა, ესე აც-

რილი ადგილი რაოდენიმე ასივებული, მაგარი და ცხელი იქმ-
ნების, და იღლიის ჯირკვალნი დაუსივდებისთ და აგრძნობენ
ტკივილსაცა, და გარდა ამისა გააცივებსთ და მკლავები გაუც-
ხელდებისთ, და მცირეთ ოდეს სიცხესაცა გრძნობენ საზოგა-
დოდ სხეულსა შინა, და ექმნებისთცა ერთსა, ანუ ორსა ღამესა
განუსვენებლობა ოფლისაგან, და პირის სახის ფერიც გაცრე-
ცილი ექმნებისთ, მოწყინებულნი და საზრდელისა არა მდომე-
ლნი იქმნებიან, და ოდესმე შეემთხვევისთ მცირედ რაჲმე ყვანა
და ხველაჲ და ესეცა ორს დღეს და ოდესმე არცკი, მიხედვისა
მებრ ყრმათა, სიმრთელისა, სიმაგრისა, და ეგრეთვე სისუსტი-
სა და ნუზლის კერძოობისა; მეთორმეტესა დღესა ყოველი ესე
მოაკლდების, და მუწუკნი იგი ყვავილისანი იქმნებიან თეთრ
მოყვითანოდ, და საშუალ მათსა გამოჩნდების ჩაჟმული წყლუ-
ლი. და რომელთამე შეემთხვევის ესე მეთერთმეტე დღესაცა;
მეცამეტესა დღესა და მეთოთხმეტესა დაიფარების ყვავილის
მუწუკი იგი ბნელ მოყვითანოჲსა და მოშაოს მუწუკის თავი-
თა, ამა დღეთა შინა ანუ მეთხუთმეთესა გინა მეთექვსმეტესა,
გამოჰყრის ყვავილსა ტანსა ზედა, პირზედ და უფრო მკლავებ-
ზედ წვრილად, თხლად და მოწითანო ფერად, და შ~დ[1] ორისა
დღისა იქმნების ყვითლად მოწითანო მსგავსი კოღოს ნაკბენი-
სა, და ოდესმე შეიქმნების პატარა მუწუკი ქინძის თავის ოდენი,
და განქრებიან შემდგომად რაოდენისამე დღისა; ხ~ ესე გამო-
ყრა არა მარადის შეხუდების, და არცა ამით იცნობების ყვავი-
ლობა სრულის ყვავილისა, ვინაჲდგან ადრევე ხშირად გამოაჩ-
ნდების ყრმათა ესრეთ, მეექვსესა, მეშვიდესა და მერვესა დღე-
თა შინა. და არა იქმნებიან ამით ავად მყოფნი, და არცარას
ვნებასა მოითმენენ მის მიერ; უკეთუ ამა გამოყრილმან დაჰყოს
რაოდენიმე კვირა, რომელიცა იშვიათად შეემთხვევის, მაშინ
რჩევითა მკურნალისათა მიაღებინონ დამტკბარი ვერცხლის
წყალი შესაბამ წელთა მათთასა, და უკეთუ არა შეხუდეს მუნ
მკურნალი, მაშინ შესაძლებელ იქმნების შინაურითა მსუბუქის
ჯულაბითა განქარვება გამოყრილისა მის.

---

[1] შემდგომად.

განსხვავებული ნიშანი ჭეშმარიტისა და ცრუჲსა ძროხის ყვავილის აცრისანი.

წიგნი ია.

. ესრეთ ვ˜ა ოდესმე შეურევეს ბუნებითსა კაცის ყვავილსა ცრუჲ ყვავილი, და ოდესმე კიდეც აუცრეს ტყუილის ყვავილის ჩირქითა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა გამოაჩნდათ ბუნებითი კაცის ყვავილი; და ესრეთვე შეხვედრიესთ ძროხის ყვავილიცა ტყუილი, რომელთა ნიშანი ზემორე ვსთქვით ტყუილის ძროხის ყვავილისა რომელიცა ექმნების ძროხასა; ამისთვის სათანადო არს ჩვენდა დამტკიცებად, თუ ვითარ განესხვავებიან ერთა ზედა ჭეშმარიტნი და ცრუნი ძროხის ყვავილნი, და ნათლად გაჩვენო თქვენ ნიშანნი ერთისა და მეორისაცა.

ბუნებითი ძროხის ყვავილი გარედან გვიან გამოვალს (ესე იგი) მესამესა დღესა შინა შ˜დ აცრისა, და ამით მარადის ვერ დავამტკიცებთ გაუჯდა ნივთი მისი თუ არა.

წინაღმდეგ ამისა ტყუილი ძროხის ყვავლი მოეორეს დღესვე გამოაჩნდების, და იწყებს დაჩირქებასა ადგილსა მას ზედა სადაცა აუცრიესთ.

მართალი ყვავილი ექვსსა და თორმეტს დღეს შუა შეეტყობის, რომელ ცოცოტად გააცივებს. და ესე გაცივება იმსახურება ნიშნად რომელ, აცრილი იგი ყვავილი მოქმედებს ყოველსა სხეულსა შინა.

ტყუილი ყვავილი ხშირად იქმნების რომელ, მეორე დღესვე ამიზეზოს გაცივებითი დამცემელობა, და ერთსა დღესა შინავე გაერთხას, და მაშინ ესე გვაჩვენებს რომელ, ნივთმან ყვავილისამან იმოქმედა მხოლოდ ერთსა ადგილსა.

მართალსა ყვავილსა შინა ვხედავთ ჩვენ რომელ, რვასა და თერთმეტს დღეში იქმნების გარემო ყვავილისა ნაკვერცხლის ფერად მოწითანო და ნელნელად განქრების.

ტყუილის ყვავილსა შინა ანუ სრულებით არა იქმნების ნიშანი ესე, და თუ იქმნების სამსა ანუ ოთხსა დღესა ზ˜ა მსწრაფლ გაქრების.

ტყუილი ყვავილი წინაღმდეგ პირველისა ხშირად განხმების მეექვსესა დღესა შინა.

მართალსა ყვავილსა მარადის აქვს საცნაური სახეჲ თვისი,

და მეხუთეს დღესა შინა ცხადად სჩანს რომელ, აქვს შუაგული ჩავარდნილი და გარემოსა მისსა ემატების სიმაღლე დღე და დღე.

ტყუილსა ყვავილსა არა აქუს სიცხე კანონიერი და ნაცვლად ყვავილის ნიშნისა იქმნების ანუ დასაბამსავე და ანუ შემდგომად ჩირქიანი და ოდესმე იქმნების რომელ, სიწითლით სიმგრგულე მისი შეერთდეს ფიცხელსა გაცივებასა და ესრეთ გამოჰყაროს.

მართალსა ყვავილსა შინა დაშთების ნივთი წყლიანი და განწმენდილი თერთმეტს დღედმდე.

ტყუილსა ყვავილსა დასაბამსავე მსგავსი დამპლის ჩირქისა არს.

მართალი ყვავილი არა ამიზეზებს აროდეს ძლიერად დაჩირქებასა, და არცა განუვრცობს ქამსა მუწუკად ყოფნისასა.

ტყუილი ყვავილი ლპების და ჩირქდების რაოდენსამე კვირასა და ოდესმე თვესაცა.

მუწუკის დასასრული ბუნებითისა ყვავილისა იქმნების სახით მოშაოდ მოელვარე ფერისა და მდგომარეობს საშუალ; ხ˜ ტყუილის ყვავილისა არს ყვითელი და იხილვების არა საშუალ ა˜დ ნაპირსა ზედა.

ვითარცა სხვათა სნეულებათა შ˜ს ჩირქიერთა გინა კაცის ყვავილსა ანუ წითელასა და მსგავსსა ამათსა, შეხუდების მიუსწრობელობა მიზეზითა რომლითამე, ეგრეთვე ძროხის ყვავილსა ამას მიემთხვევის დაბრკოლება მოქმედებისა მიზეზითა ამით, ვნადგან ნივთი ამა ძროხის ყვავილისა აღებული შეხებითა ჰერისათა და ხანის დაყოფითა დაჰკარგავს ძალსა თვისსა, მაშინ ვეღარა წარმოადგენს სრულს მოქმედებასა, გინათუ თვით კაცი იგი არა იქმნების დაწყობილ აცრისადმი; და ამა ორთა მიმთხვევათა შ˜ა დაშთების მოუქმედებელად და მიუსწრობელად; თუმცა შეხუდების რომელ წამხდრის ჩირქით აცრილმან წარმოაყენოს ერთსა ადგილსა გამოცემა ყვავილისა; გარნა სხეულსა შინა ვერა იმოქმედებს, და ვერცა დაიცავს კაცის ყვავილისაგან და სათანადო არს რათა მეორედ კ˜დ აუცრან და ჰყონ გაჭრა მოღრმოთ რათა წყლულებაჲ განძლიერდეს და მით გაერთხას ნივთი იგი ყვავილისა აჭრილსა ადგილსა მას. ოდესმე შესაძლო არს რომელ, დააბრკოლოს ვინმე სისუსტემან, ყვა-

ნამან, ანუ მომატებით სისუსტის გრძნობამან ორღანოსამან, მაშინ ესე ვითარსა მიმთხვევასა შინა სათანადო არს, რათა მკურნალმან პ~დ განათავისუფლოს ყოვლისა ამის მიზეზებისაგან და მერმე ჰყოს ესე.

დ ა ს რ უ ლ დ ა.

სარჩევი

შესავალი	წიგნი ა
სარგებლობის და აღმატებულებისათვის ძროხის ყვავილისა	წიგნი ბ
პირის დაყოფისათვის წინაღმდეგთა ძროხის ყვავილის აცრისათა და დამტკიცება ამისი გამოცდილებითა,	წიგნი გ
ძროხის ყვავილისათვის ძროხათა ზ~ა,	წიგნი დ
შეყრისათვის ძროხის ყვავილისა კაცთადმი,	წიგნი ე
თვისებათათვის ყვავილის სნეულებისა,	წიგნი ვ
უკეთესის ღონის ძიებისათვის აცრად ძროხის ყვავილისა,	წიგნი ზ
რომელსა დროსა შინა უნდა აღიღოს ყვავილის ჩირქი,	წიგნი ᲗᲐ
შენახვისათვის ყვავილის ჩირქისა,	წიგნი თ
დროი, სახე და მოქმედება ძროხის ყვავილისა ამის,	წიგნი ი
განსხვავებულნი ნიშანნი ჭეშმარიტისა და ცრუისა ძროხის ყვავილის აცრისანი,	წიგნი ია

წიგნი ქართველთადმი.

ვინაიდგან მძვინვარებდა თქვენ შორის (ესე იგი) ქართლსა, კახეთსა, იმერეთსა, და სხვათა ესე ვითართა ადგილთავე შ~ა კაცის ყვავილი იგი შხამშემოსილი, ამისთვის დავსდე ღვაწლი და ვსთარგმნე წიგნი ესე ფრიად სარგებელ მოსილი, რათა აღიხოცოს თქვენ შორის ესე ვითარი შხამიერი სენი შემმუსრველი შვილთა, ძმათა, ნათესავთა, და მეგობართანი, და განშრეს ცრემლი დღეინდელადმდე დღემდე მდინარე თვალთა ზედა მშობელთა და მოყვარეთასა რომელიცა მრავალგზის გიხილავსთ თქვენ.

უმდაბლესი მონა
ტიტულარნი სოვეტნიკი გოდერძი ფირალოვი.

გიორგი ელიოზიძე

სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყუავილისა

ვნებისათვის ქმნილისა ბუნებითი-თა ყვავილითა.

ფრიად მრავალთა და სხუა და სხუათა სნეულებათა მიერ შეიწრებულ იქმნების ნათესავთა კაცთა, გარნა არცა ერთსა მათგანსა უქმნიეს ესოდენ სამწუხარონი შედრგინებანი, ვითარცა ჩვეულებრივსა ყვავილსა. იგი მიმომავალი სოფლითი სოფლად, ქალაქით-ქალაქად, ჰყოფდა დიდსა აღოჰრებასა ერსა შორის*. არა რომელიმე დრო წელიწადისა შეაბრკოლებს მძჯნუარებასა მისსა, იგი არავითარსა ჰრიდებს ჰასაკსა. მშრომელნი მსასოებელნი საამაოვნოითა იმედითა, რათა ჰქონდესთ ნუგეში მოხუცებულობასა შინა შვილთა თვისთაგან აღზრდილთა დიდითა ზრუნვითა და შრომათა მიერ, მოკლებულ იქმნებოდნენ (ამის კმაყოფილებისაგან) ანუ დროსა სიჩჩოებასა მათისასა ანუ წარსწყმედნენ მათ, ოდესცა მიიწეოდიან იგინი სრულსა ჰასაკსა შინა შვილნი მოაკლდებოდნენ მშობელთა თვისთა, ესრეთსა დროსა, ოდესცა აქუნდათ მიუცილებლობა მიხედუასა შინა მათსა, ანუ კეთილ-გონიერებითთა რჩევათა და თჳთ მათაცა, რომელნიცა იხდიდნენ სნეულებასა ამას, არა იშვიათად დაუშთებოდნენ კუალნი უსასოებისანი პირსაზედა. ანუ წარწყმედდენ იგინი (არა) მოძრავობასა ასოთა შინა. გარნა, რომელიც ყოვლისავე უბადრუკეს არს. მთავარდებოდენ მოკლებასა შინა ხედვასა! თჳთ გამოჩენა ყუავილისა მიაწევდა ბრძოლასა, არა თუ ოდენ სახლეულობათა მათზედა, სადაც გამოსჩნდებოდა იგი, არამედ მეზობელნი მოსახლენიცა სიფრთხი-

---

* სისხლდათხევითსა ბრძოლასა და სიკვდილშემოსილსა სრუასა არა უქმნიეს ესოდენ დიდნი უბადრუკებანი, ვითარცა ბუნებითს ყვავილსა.

ლისა გამო აღუკრძალვიდნენ თჳს და შესლუასა მათ რომელთა შორისცა იყო ყუავილი, რათა არაზიარ ექმნეს მათ მიერ ყუავილის სენი. კიდე ამისსა ესე ვითარდამი დაყენებულ იყო შესლუაჲ საზოგადოობითთა ადგილთა შინა.

საშუალებანი უკუნ საქცევად ენებისა ყუავილისაგან წინა განსჯათა მიერ შემოღებულნი.

სხუა და სხუანი ღონენი პოვებულ იქმნებოდენ უკუნსა ქცეველად უბადრუკებათა ყუავილისა მიერ ქმნილთა.

მდაბიო ერი, ოდესცა შეისწავებდა ვისზედამე მცნობათა, გინა ნათესავთაგანსა კეთილსა ყუავილსა, მიიყვანდნენ მას სახლსა შინა ჩჩვილთა, გინა მიასხდებდნენ ჰასაკოვანთა უხდელთა ჯერეთ ყუავილისაათ და დაუტევებდნენ მათ ერთად სნეულსა[1] თანა ყუავილთა ჟამ რაოდემნე რათა ზიარ ქმნისა მიუღოთ ყუავილის სენი. უკუ მოქცეულნი სახლთა შინა თჳსთა, მისცემდენ ფულსა ყუავილიანსა. ვინათგან ჰგონებდენ წინაგანსჯისა გამო თვისისა, ვითარმედ მოსყიდულნი ყუავილი უსუსტეს იმოქმედებს, ვიდრეღა იგი რომელიც მიღებულ არს უფასოდ, გარნა ოდესცა მომსყიდველი იყო სუსტი აგებულებისა, ანუ აქუნდა განკარგულება სხვისა სნეულებისადმი, მაშინ სყიდუა ესე ზოგჯერმე ულირდა წარწყმენდათ თჳთ სიცოცხლისაცა. მთა ბარობელნი ერნი ოდესცა შეისწავლებდენ ვისზედამე თვსთა სახლეულთაგანსა ყუავილსა, მაშინ დაუტევებდენ სნეულსა ველად განჩინებასა ზედა სსვეჲსასა, და მიაწოდებდენ იშვიათად საჭმელსა და სასმელსა, გარნა ვერ გაბედავდენ მისთანა დადგრომად.

პირველი ღონე შემამცირებელი უბადრუკებათა ყუავილისა მიერ ქმნილთა.

თჳთ უიმედოვნესი საშუალებაჲ იპყრობდა უწინარეს აცრასა შინა ჩვეულებრივსა კაცისა ყუავილისასა, გარნა ჴმარებასა ზე ამის ღონისასა გამოირჩეოდა განთჳსებული დრო წე-

---

[1] წერია „სენულსა".

ლიწადისა და უაღრესად გაზაფხულისა გინა შემოდგომისა; და კიდე ამისსა საჭირო იყო ქონებად დიდი სიფრთხილეჲ განრძობასა სნეულებისასა, და ამას ყოველსა თანა შესწავებისაებრ უგამოცდილესთა, მკურნალთასა რიცხუისაგან მამისა, რომელითაცა აუცრიდენ ყუავილსა მოკუდებოდა ასითგან ერთი.

აწინდელი თჳთ უმიდოვნესი ღონე წინა დამცველი ყუავილისაგან.

ბედნიერებისადმი კაცთასა აწინდელსა დროსა პოვებულ იქნა საშიშრისა ამის სნეულებისაგან წინა დამცველი საშუალება ფრიად მარტივი, უშიშარი და სასარგებლო იგი იპყრობის ღონესა შინა აცრისა ძროხის ყუავილისა, რომელსაც ეწოდების სახელი ესე ამის გამო, რომელ პირველ დასბაამობით მოსმულ არს ნივთი ესე ყუავილისა ამის ძროხისაგან, გარნა ვინათაგან ნივთი ასე აცრილი მრავალთა ასიათასთა კაცდამი და უდიდეს განსაკვირველად არა წარმწყმენდი მოქმედებისა თუისისა დაიმარხავს თჳსებასა წინათ-დამცველსა ჩვეულებრივსა კაცის ყუავილისაგან მაშა ამის გამო არღარა ჯერ-არს უმეტეს წოდებად წინა დამცველ ყუავილად ძროხისა არამედ კაცისად: ღონე ესე იხმარების ყოველსა დროსა წლისასა და თვითეულსა შინა ჰასაკსა, დაწყებული თვით შობითგან ჩჩვილისა, ვიდრე სრულთა წელიწათთამდე, მქონებელნი წინათ-დამცველისა ამის ყუავილისადმი შევრდომილ იქმნებიან ფრიად მსუბუქთადმი ტკივილთა, რომელნიცა არა ოდესმე დაუტევებენ შემდგომად თჳსსა ბოროტთა შედრგინებათა.

თუ ვითარითა სახითა ჯერ არს აცრად წინათ-დამცველი ყვავილი.

ღონე აცრისა წიხათ დამცველისა ამის ყუავილისა მდგომარეობს შემდგომისა შინა უწინარეს მისსა, ოდესცა ჯერ არს აცრა ყუავილისა ჩჩვილისადმი, გინა ჰასაკოვანისა კაცისა, სათანადო არს ბანება მის აბანოსა შინა, ანუ ვარცლსა თბილითა წყლითა, ვითარცა დასაცველად სისუფთისა, ეგრეთვე მისთვისცა, რათა დალბილებულმან ზენაპირმან ჴორცისამან უადვი-

ლეს შეიძლოს მიღება ყუავილისა ნივთისა, შემდგომად, ჯერ არს მოცხებად წვერსა ზედა ნეშტრისა ასაცრელად პოვნილისასა* ყუავილის ნივთი ანუ ჩირქი, მიღებული მისგანა ვისდამცა აცრილ არს ყუავილი, ანუ რომელიცა არს მზად მინასა (ზედა ვითარცა განცხადებულ არს ესე ქვემორე) და მასთანა დაჭერად მკლავი მისი ვისაცა აეცრების ყუავილნი მარცხენითა ჭელითა, ხოლო მარჯვენასა შინა ქონებულითა ნეშტრითა ქმნად მკლავთაზედა თჳთო მცირე გაფხაჭუნა, უქვემეს მჭარისა გაფხაჭულნი ესე ჯერ არიან ყოფად ესრეთ მსუბუქ, რათა ოდენ აჭრილ იქნეს კანი, რომლისა ქვეშითაგან გამოჩნდეს წალა ანუ წითელი ხორცი და არა სისხლი, ვინათგან სისხლი შემძლებელ არს ჩამორეცხად დენითა თჳსითა. ყუავილის ნივთისა, მასთანვე ჰქამს მეცადინეობა, რათა აღებული ნივთი ნეშტრითა შეერთდეს ტყავსა ქვეშე და შემდგომად დაცხებისა მისისა გაფხაჭნულთა ზედა დაჭერად მკლავი დაუფარებელად პერანგის სახელოთა[1] ვიდრემდის გაშრეს წალა, და მერმე დატევებად იგი სრულიად განსვენებით ადგილნი რომელთა ზედაცა აცრილი იქმნების ყუავილი, არა ჯერ არს დაბანად, არცა დასველებად, არცა ფხანად, ვიდრემდის ყოველ შემთხვევადი განგრძობასა ტკივილთასა, რომელთა თჳსცა ითქუას ქვემორე, სიწითლე სრულად არა დასრულდეს.

ნიშანნი ჰეშმარიტისა წინათ-დამცველისა ყუავილისანი.

უკეთუ შემდგომად აცრისა პირველსა და მეორესა დღესა არა რაიმე იყოს შემეცნებულ, კიდე გაფხაჭნულთა ნეშტრითა ქმნილთა, ხოლო მესამესა ანუ შემდგომად სამის დღისა იყუნენ შემეცნებულ გარემო, გაფხაჭნულთა მცირენი წითელნი პარტახტნი მეოთხესა ანუ მეხუთესა მცირენი მცხრალად წითელნი აცრილთა ზედა ადგილთა აბურცებულნი მქონებელნი საშუალსა ზედა ჩაღრმავებულისანი. მეექუსესა და მეშვიდესა დღეს აბურცებულთა ამათ იწყონ განდიდებად, ხოლო შთა-

---

* რომელსაცა დანაკვეთება ჩვენებულ არს ერთად ნიშანთა თანა წინათდამცველისა ყუავილისათა, განთავისებულ აღნიშნულთა.

[1] ტექსტშია „სხლითა".

ღრმაებულნი შეიქმნებოდნენ უმეტეს შესამცნებელ, მაშინ ესე მსახურებს სარწმუნოდ ნიშნად, რომელ შრომა ყოფილ არს არა უსარგებლო და რომელ ყუავილის ნივთი საწადულსა მოქმედებასა გამოარჩენს, ჟამსა ამას მიმღებლისა თჳს აცრითა ყუავილისა გრძნობილ იქნების ცოტა სიცხე და განთჳსებულად საღამო ჟამს, ღონე იქმნების რაოდენიმე და იგიცა არა ნიადაგ, განუსვენებელი გამოსჩნდების მცირე ოფლი პირსა ზედა შეეტყობა რომელიმე სისუსტე. მეშვიდესა და მერვესა დღესა აბურცებული შეიქმნების კუალად უდიდეს და აღივსების ნივთითა საგანჴურეტოითა თჳთ ნივთი ისე გამოსადეგ არს ასაცრელად სხუათადმი*.

მერვითგან ვიდრე მეთერთმეტე დღემდე, ყუავილის მუწუკნი განდიდდებიან და აღივსებიან ნათლიერითა ნივთითა, გინა ჩირქით, ხოლო ჩაღრმავებულნი განქარდებიან მეათერთმეტეს დღესა გარემო ყუავილის მუწუკთა განვრცნების წითელი კამკამიური ფერი შეიქმნების, სიმსივნე, ჩირქი, ყუავილისა მუწუკთა შინა, წარსწყმენდს საგანჴურეტოობასა, შეიქმნების მოთეთროდ და მკლავის ქვეშენი ძარღუნი განსივებულნი შეიქმონენ ტკივილსა, ამასდროს გამოსჩნდების ცივება და სიცხე განდიდნების უმეტეს ვიდრეღა წარსულთა დღეთა, იქმნების ოფლი და ზოგჯერ შეძულება საჴმლისა, სნეულებანი ესე განგრძელდებიან ერთსა ანუ ორსა დღესა. მეათორმეტესა ანუ მეცამეტესა დღესა სიმსივნე გარემო ყუავილისა მუწუკთა იწყებს დამცირებად მუწუკნი შეიქმნებიან თეთრ-მოყვითალოდ და საშუალსა მათსა გამოჩნდების მოშავო წყლული. მეათორმეტესა დღესა მოშავო წყლული, შეიქმნების მბზინვარედ, ხოლო შემდგომად, მეათშვიდმეტისა და ზოგ ჯერმე მეოცისა დღისა, თავით თჳსით შთამოსცვივა და დაუტევებს შემდგომად თვისსა ფოსოსა, ანუ ჩაღრმავებულსა დაფარულსა კანითა, ვითარ იგი ჩვეულებრივ იქმნების შემდგომად ბუნებითისაცა ყუ-

---

* ზოგთა შორის ესე იგი სუსტის აგებულებისა ყრმათა, ანუ დროსა ცივის ტაროსისა, ესრეთნი ნიშანნი დაეკვეთებიან მეათესა და მეთერთმეტესა დღესა, გარნა საზოგადოთ ჯერარს ცნობად ვითარმედ რომელსაც დღესა დაეკვეთოს შემდგომად აცრისა, არამედ ოდესცა ჩირქი არა გარდაქცეულ არს, თეთრ ანუ ყვითელ ფერად და იქმნების საგანჴურეტო, მაშინ ნიადაგ გამოსადეგ არს ასაცრელად სხუათადმი.

ავილისა იქმნებიან შემთხვევანი რომელ განგრძობასა აღწერილთა მსუბუქთა ტკივილთასა გამოჰყრის სხეულსა ზედა მუწუკთა მზგავსთა მცირეთა ბებერთოსა, რომელნიც შემდგომად დასრულებისა ყუავილისა თავით თჳსით ყოვლითურთ უწამლოდ განქარდებიან, გარნა ოდესცა გამოჰყრა ესე განგრძელდეს გარემო ორისა კვირისა, მაშინ ჯერ არს ჩვენებად მკურნალისადმი, რომელიცა თჳსებისამებრ მისისა, შემძლებელ-არს მიცემად საშუალობისა, გარნაჯერ არს ცნობად, ვითარმედ გამოჰყრა ესე, არა ვითარმე სავენებელთა თანა შედრგინებათა და მძიმეთა ტკივილთა არასოდეს თანა-ძღომილი-ქნების.

ნიშანნი განმასხუაებელნი, ცრუჲსა ყუავილისანი ჭეშმარიტისაგან წინათ დამცველისათა.

ოდესღაც ყოველნივე ზემო წერილნი მსუბუქნი ტკივილნი მდინარეობასა წინა დროჲსა განგრძელდებოდენ დადგრომითად, ვითარცა ითქუა ზემორე და ყუავილის მუწუკნი იყუნენ შემსგავსებულ ჩვენებულთადმი ნიშანთა განთვსებულსა ზედა ამას თანა დანაკვეთებულებასა, მაშინ ესრეთი ყუავილნი ჯერარს. ჰერაცხულად წინათ-დამცველად, გარნა უკეთუ შემდგომად აცრისა მეორესა ანუ მესამესა დღესა შეიქმნას წუა მსგავსი მისი, რომელიცა იქმნების მუწუკთა შინა, ანუ სახითა მუნის ბებერათათა დალპობა, და ბებერანი ესე გინა მუწუკნი, უწინარეს მეათისა დღისა, განხმებიან, ანუ დამპალ ჩირქად გარდაიქცევიან, მაშინ ესრეთი ყუავილი არა არს წინა დამცველი არამედ ცრუ, და უკეთუ ცრუ ყუავილი ესე შეემთხვას ვისმე მაშინ შემდგომად განვლისა მისისა, ჯერ არს აცრად, რაოდენ გზისმე, ვიდრემდის მიიღოს ნამდვილი ზემო წერილი წინათ დამცველი ყუავილი.

თუ ვითარითა სახითა აღიღების ჩირქი ასაცრელად სხუათადმი.

ნივთი გინა ჩირქი ასაცრელად ყუავილისა სხუათადმი განმზადებად ჯერ არს შემდგომითა სახითა: მეშვიდესა. მერვესა, მეცხრესა გინა მეათესა დღესა რაჟამს გამოსჩნდეს ყუავილის

მუწუკსა შინა აცრილი ჩირქი მქონებელად სუფთისა ვერისა წყლისა მზგავსად, ესე იგი ნათლიერი, მაშინ ჯერ არს ჩხულეტად გვერდითაგან კანისა ყუავილისა მუწუკისა და მოცხებად გამოდენილი აბურცებულითაგან წყალი ნეშტარსა ზედა, და მერმე აცრად ესრეთითა სახითა, ვითარცა ზემორე განცხადებულ არს, ხოლო უკეთუ მოითხოვდეს საჭიროება წარგზავნად ყუავილისა ნივთისა, შორსა ადგილსა, მაშინ გამოდენილითა გაჭრილისაგან აბურცებულისა ყუავილისა ნივთითა, სათანადო არს დაცხებად მცირე მინა, და დაფარად იგივე მინითავე თანასწორისა სიდიდისათა, და კიდურნი მათნი, შეკრულად წმიდა სინათლითა მერმე შეხვევად ორნივე ხარის ბუშტსა შინა. და წარგზავნად სადაცა საჭიროება მოითხოვს გაფრთხილებითა, რათა მინანი იგი არა დატეეებულ იქმნენ ძლიერსა შინა ყინვასა, გინა სიცხესა და არა გასურილ იქმნენ ზეთითა.

მას ჟამსა ოდესცა განიზრახავს ვინმე ხმარებად მინასა ზედა ქონებულისა ჩირქისა ასაცრელად, თანამდებ არს დაჭერად მისსა ორთქლსა ზედა მდუღარისა-წყლისა, რათა განიხსნეს ჩირქი, ანუ გახსნას იგი ერთითა წვეთითა თბილისა წყლისითა და მერმე მოსცხოს ნივთი ესე, ნეშტარსა და აუცრას ყუავილი, ვითარცა ითქუა ზემორე.

თუ ვითარნი სიფრთხილენი ქონებად ჯერ-არიან დროსა დროსა ყუავილის

თუმცაღა დროსა განგრძობისა აღწერილთა ტკივილთასა, რომელნიცა წინათ დამცველისაგან ყუავილისა შეიმთხვევიან არა მოითხოვებიან უშორესნი სიფრთხილენი და იგინი რომელთაცა აეცრების ყუავილი[1], ზაფხულსა დროსა შემძლებელ არიან ყოფად თავის უფალსა ზედა ჰაერსა, გარნა დროსა შემოდგომისა, ზამთრისა და გაზაფხულისა. და ეგრეთვე დროსა ნოტიოისა და ცივის ტაროსისა უმჯობესისა თჳს უშიშრობისა, ჯერ არს მათ და დაშთომად სახლთა შინა თჳსთა, რათამცა არა შეემთხვასთ ვითარისამე გუარისა .სნეულებად. არა მიეცემის მათ მძიმე საჭმელი, ვითარ იგი: სქელი შორვა, მაგრად მოხარ-

---

[1] ტექსტშია „ყუვილი“.

ᲩᲣᲚᲘ, ᲙᲔᲠᲪᲮᲜᲘ, ᲚᲝᲠᲘ, ᲦᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ, ᲣᲛᲘ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ, ᲮᲐᲕᲘᲬᲘ, ᲮᲐᲭᲝ, ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ. ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡ ᲭᲛᲔᲕᲐᲓ[2] ᲨᲝᲠᲕᲐ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐᲡ ᲭᲝᲠᲪᲘᲗᲐ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ, ᲮᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲛᲘᲡᲘ, ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲐ. ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ, ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲧᲣᲐᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲐ ᲨᲔᲔᲧᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲣᲐᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲗᲥᲡᲘᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔᲛᲓᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲪᲠᲘᲚ-ᲘᲥᲛᲜᲔᲡ, ᲔᲡᲔ ᲦᲘᲠᲡ ᲐᲠᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘᲡᲐ ᲧᲣᲠᲐᲓ-ᲦᲔᲑᲘᲡᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲗᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲒᲘ, ᲠᲐᲘᲪᲐᲦᲐ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲡᲐ, ᲒᲘᲜᲐ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲡᲘᲛᲗᲔᲚᲔᲡᲐ ᲛᲘᲡᲡᲐ, ᲡᲐᲕᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲐ ᲐᲜᲣ ᲨᲔᲬᲔᲕᲜᲘᲗᲐ ᲡᲮᲣᲐᲗᲐᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ, ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲖᲒᲐᲕᲡᲘ ᲛᲘᲡᲘ, ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲝᲛ ᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲗᲐ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲗᲐᲕᲔ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲗᲐ ᲒᲐᲜᲠᲝᲛᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚ-ᲐᲠᲡ, ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲥᲡᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐ ᲧᲣᲐᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲢᲧᲣᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲘᲓᲗᲐ ᲣᲑᲐᲓᲠᲣᲙᲔᲑᲐᲗᲐᲡᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲐᲪᲗᲐᲡᲐ. ᲒᲐᲠᲜᲐ ᲕᲘᲜᲐᲐᲗᲒᲐᲜ ᲠᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲠ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲔᲜᲘᲡᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲐ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲜᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲥᲡᲪᲐ ᲬᲔᲠᲘᲚ ᲐᲠᲡ ᲖᲔᲛᲝᲠᲔ; ᲐᲛᲘᲡ ᲗᲥᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲛᲐᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪᲦᲐ ᲝᲓᲔᲜ ᲐᲥᲣᲜᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ ᲛᲝᲧᲣᲡᲐᲡᲘᲡᲐ, ᲔᲡᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲪ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲡᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲭᲔᲚᲥᲕᲔᲨᲘᲡᲐ, ᲒᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲣᲚᲘᲗᲐ ᲗᲐᲕᲡᲗᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲣᲙᲛᲝ ᲣᲥᲪᲔᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲔ ᲬᲐᲠᲬᲧᲛᲔᲜᲓᲐᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲓ ᲐᲥᲣᲜᲓᲔᲡ, ᲗᲐᲕᲡᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲕᲜᲘᲚᲡᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲡᲐᲜᲙᲢ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲙᲐᲠᲔᲮᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡᲐᲗᲐ: ᲬᲔᲚᲡᲐ ᲩᲧᲘᲔ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲘᲗ.

---

2 ᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘᲐ „ᲭᲛᲔᲕᲐᲓ“.

პეტრე კლაპიტონიშვილი

მოკლე
დარიგება ერისა.

ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჭირისა.

КРАТКОЕ
НАСТАВЛЕНИЕ НАРОДУ.

Как должно предохранять себя от прилипчивых болезней наиболее от чумы

(ა)

მოკლე კარაბადინი
დარიგებისა თჳს ერისა.

ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინებად თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჭირისა.

გამოცემული

ექიმის პეტრე კლაპიტონოვისაგან,
და დაბეჭდილი წარსაგებელითავე მისითა, რომელმან 400 წიგნი
გარდასდვა უფასოდ დასარიგებლად.

დაიბეჭდა მოსკოვის სინოდის სტამბასა შინა
1826 წელსა[1].

---

[1] ამ სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე წერია: „მისთვის არს ცოდნა საჭირო, ვითარ და სად რა ვიხმაროთ“.

ზანდუკი, ანუ საძიებელი.

დარიგება ერისა, თუ ვითარ დავიცვათ თავი თვისი შესაყართა სნეულებათაგან, და უმეტეს ჭირისა.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თავი ა. შესავალი.

თავი ბ. სიმხნისა თჳს და უშიშროებისა სულისა, რომელიცა შერაცხილ არს უპირველეს სასარგებლოდ.

თავი გ. განსაცდელისათჳს რომელიც შეუდგების შეხებასა.

თავი დ. განსაცდელისათჳს, რომელიც შეუდგების ზნეობითთა ჩუᲫულებათა.

თავი ე. განსაცდელისათჳს, რომელიც შეუდგების ვაჭრობასა ნივთთასა.

თავი ვ. განსაცდელისათჳს, რომელიც შეუდგების ვიწროდ დგომასა.

თავი ზ. განსაცდელისათჳს, რომელიც შეუდგების უწმინდურობასა სახლისასა, და უფაქიზოებასა კაცთასა.

თავი Თ. ჰაერისათჳს და მის მიერისა სარგებლობისა.

თავი თ. განწმენდისათჳს წამხდრისა ჰაერისა.

თავი ი. განწმენდისათჳს ჰაერის შენობათა შინა.

თავი ია. აღრჩევისათჳს საცხოვრებელად კარგისა ადგილისა ჟამსა ჭირისასა.

თავი იბ. სიფრთხილისათჳს ხმარებასა შინა სანოვაგეთასა.

თავი იგ. განსაცდელისათჳს, რომელიც შეუდგების უზომოდ

ხმარებასა მაგართა სასმელთასა, და სარგებლობისათჳს ზომიერად ხმარებისა მათისა.

თავი იდ. სიფრთხილისათჳს მოდუღებულთა სასმელთასა.

თავი იე. ხმარებისათჳს კარგისა წყლისა, და მარგებლობისათჳს მისისა.

თავი ივ. ყოველთა ბუნებითთა საჭიროთა უგიობელთა ვნებათათჳს.

თავი იზ. მღჳძარებისათვის და ძილისა.

თავი იჰ. უქმობისათჳს და მოძრაობისა.

თავი ით. მწუხარებისათჳს და სიხარულისა, რომელნიც არიან ვნებანი სულისანი.

თავი კ. დიდადსაჭიროებისა და სარგებლობისათჳს, რათამცა მსწრაფლ გამოუცხადებდეთ მთავრობასა ოდესცა ვინმე ავად გახდეს, ანუ უეცრად მოკუდეს. და უმეტეს ჟამსა ჭირისასა.

თავი კა. საჭიროებისათჳს სნეულთა, და მომვლელთა მათთა. და სიფრთხილისათჳს მათისა.

თავი კბ. შიშისათჳს უაქიმოდ ხმარებასა შინა წამალთსა.

თავი კგ. შიშისათჳს წამლისა, და რჩევის მიღებისა უსწავლელთა ექიმთაგან.

თავი კდ. განყოფილებისათჳს ნივთთასა სახელდობ, რომელთა შორის იფარვის ხანგრძლივ ჭირი, და რომელთა შორის მოკლეს ჟამს.

თავი კე. განწმენდისათჳს ნივთთასა ჭირისაგან, ანუ სხუათა შესაყართა სნეულებათა.

თავი კვ. შეზავებისათჳს ყოველთა რიგთა საყრჩოლებელთა წამალთა, რომელიც განსწმენდენ სახლთა და ნივთთა მყრალისა და მავნებელის სუნისაგან, და მისცემენ საამოსა და კარგსა სუნნელებასა, რომელნიც იხმარებიან ყოველ დროს.

თავი კზ. შეზავებისათჳს ყოველთა საყრჩოლებელთა წამალთა, რომელნიც განსწმენდენ როგორც საიჭუჭლთა, ეგრეთვე ჭირიანთა სახლთა და ნივთთა.

თავი ვჰ. შეზავებისათჳს ყოველთა რიგთა წამალთა, რომელნიც იხმარებიან უმეტესის სიფრთხილისათჳს, გარედამ წასასმელად, ყამსა ჭირისასა.
თავი კთ. შეზავებისათჳს წამალთსა, ყაბზობისა, ოფლისა და სიცხისათჳს.
თავი ლ. გაკეთებისათჳს ყავისა ძირთაგან და თესლთა მცენარეთასა.
თავი ლა. განწმენდისათჳს ცუდისა წყლისა.
თავი ლბ. სია და სახელი წამალთა, ქართულად და რუსულად.

წინა სიტყვაობა.

არა რაჲმე არს ესოდენ უძვირფასესი კაცის თჳს, ვითარ სიმრთელე, და ესრეთ რაოდენ თანამდებ-არს იგი, რათა აქუნდეს საშარადისო მზრუნველობაჲ დაცჳსა თჳს მისისა, სხჳა და სხჳა გჳართა შემთხჳჵვადთა მიზეზთაგან, ხოლო უმეტეს ჟამსა მძჳნვარისა ჭირისასა, თანამდებ-არს იგი მოძიებად იმედოვანთა ღონეთა, რათამცა დაიცვას თავი თჳსი ესე ვითარად მავნებელისა გარდამდების გესლისაგან. ამის გამო ცახდად ჰსჩანს, რომელ ფრიად საგიობელ, და წინა-აღმდგენ ღისა, და გონიერებისა იქცევიან იგინი, რომელთაცა აქჳსო ხენეში და უმეცარი ცნობაჲ (ესე იგი ფანატიზმა), და არა სწადიან მორიდებად და წინა განწყობად ცხადისა განსაცდელისა, და ბრმად ერწმუნებიან სჳჵსა, მეტმეტყჳჵლნი, რომლისადმი არა განწესებულ არსო სიკჳდილი, მას არც შეეყრების და არცაღა მოკუდების. ამას საკნებელსა ცნობასა შეუდგებიან ენინღა ყოველნი იგი ერნი, რომელნიცა ცხოვრებენ კერძოსა, ვითარ იგი აზიასა შინა, სადაცა ყოველსა შესაყარსა სნეულებასა და უმეტესად ჭირსა აქუს დასაბამი წარმოებისა და გრძლად მყოფობისა თჳისისა. მშობელსა ჩემსა საქართჳჵლოსა, აქუს მახლობელნი სამზღჳარნი ოსმანთა და სპარსთა თანა სადაცა თითქმის მოუწჳჵდელად მძჳნვარებს სნეულებაჲ ესე, რომელსაცა აძლიერებს, ვითარცა ჰაერი, ეგრეთვე თჳთ მცხოვრებნიცა, მიზეზითა ზემო მოხსენებულისა შეცდომილებისათა. მცხოვრებნი მათ კერძოთანი არცა თჳთ ეძიებენ ღონეთა წინამაღდეგ ამის ბოროტისა, და არცა ჰბაძჳჵნ გონიერთა განკარგულებათა ევროპის ჭელმწიფეთსა, გარნა კუალადცა უცუდუს არს ესე, რომელ არა იქცევიან თჳთ უსაჭიროესსა კაცთა თჳს სიწმინდესა და ფაქიზად ცხოვრებასა შინა, და ამით აძლევენ მიზეზსა ჭირის შობისასა, ანუ სხჳათა არა უმცირეს მავნებელთა შესაყართა სნეულებათა.

ესე ვითარისა უზრუნველობისა გამო მესამზღურეთა ჩუენთასა ხშირად ვნებულებს მამულიცა ჩუენი.

ვინაჲთგან უწყოდი მე, რომელ აქომამდე არა არს ქართულსა ენასა ზედა ესე ვითარი საყოველთაო სასარგებლოჲ წიგნი, ქუეშმორე აღწერილთა საგანთა თჳს, რომლითაცა შესაძლო იყოსმცა კანონიერად დაცვა სიფრთხილისა, ამისთჳს ვალად ვრაცხე მე მიღებად შრომისა, და გამოღებად სხუა და სხუათა სახელოვანთა მკურნალთა წერილთაგან, (ა) და შედგინებად ქართულსა ენასა ზედა მოკლისა დარიგებასა, თუ ვითარ შესაძლო არს დაცუა თავისა თჳსისა შესაყართაგან სნეულებათა, და უმეტესად ჭირისა; და აღვწერე ღონენი და რჩევანი, რომელნიცა მსახურებენ განწმენდასა ჭირიანთა ნივთთასა, და სიადვილისა თჳს შევაერთე სახელნი საჭიროთა წამალთანი ქართულსა და რუსულსა ენასა ზედა, და დავნიშნენ სახელდობ წამალნი, რომელნიცა შესაძლო არიან აქიმის (ურეცეპტოდ) უბარათოდ სყიდვად აფთიაქსა შინა,

პატიოსანნო მემამულენო, გულს-მოდგინებით და კეთილმწადნელობით მოგიძღუნი ამას მოკლესა კარაბადინსა, ვითარცა საყოველთაოსა სასარგებლოსა და საჭიროსა, და უმეტესისა სარგებლობისა თჳს დავნიშნე 400 წიგნი უსასყიდლოდ დასარიგებლად.

მე ვრაცხ თავსა თჳსსა ბედნიერად და სასყიდლოვნად ყოველისა ამის შრომისა თჳს და წარსაგებელისა მაშინ, ოდესცა ძალვიდებ მოცემად თქუენდა მაინცოდენ მცირისა სარგებლობისა, ესოდენჩემ მიერ გულსმოდგინედ მოსალოდებელისა და სასურველისა.

პეტრე კლაპიტონოვი.

თავი პირველი

შესავალი

ურიცხუთაგან სნეულებათა, რომელნიცა შემაძრწუნებელ და მომაკუდინებელ არიან კაცთა-თჳს, არც ერთი არს მათგანი ესოდენ ფიცხელ და მომაკუდინებელ, რაოდენ ჭირი. ხსენე-

---

(ა) ვიენისა და ლევითცკისაგან.

ბითა სახელისა მისისათა შესწუნდების ყოველი ბუნება. სნეულება ესე არა რიდებს არცა ყრმათა და არცა მოხუცებულთა, თანა-სწორ სწყლავს და აკვდინებს ყოველთავე. ნამდვილ შესარაცხ არს ესე თჳთ უმძუინვარეს წყაროდ უბედურებისა, რომელიცა არს თითქმის შემამოკლებელი საზღუარი კაცობრივის განმრავლებისა. სნეულება ესე ესოდენ ადრითგანი არს, რომელ მიეწერების იგი ისტორიათაგან უძველესთაცა საუკუნეთა, და ვხედავთ ჩუენ სიბოროტისა მისისა კუალთა უშორესთაცა დროთა შინა. რამეთუ სნეულება ეს უმეტეს მომსრეველ არს ყოველთა ბრძოლთა, ამის თჳს, რომელ ბრძოლანი ოდესმე უმცირეს მოსრვიდესკაცთა სრულთა სამფლობელოთა შინა, ვიდრეღა სნეულება ესე, რომელთამე ქალაქთა შინა. ჴირი ესე თითქმის ყოველსა სოფელსა შინა გამოსრული აღმოსავლეთის იმპერით, სხუათა და სხუათა ჟამთა შინააოხრებდა საბერძნეთსა, სპარსეთსა, და სრულსა ევროპასა (ა).

რომელიმე თუალით მხილველი გვამი მისისა მძვინვარებისა მოგვითხრობს, რომელ არცა მდებარეობა მაგარისა ადგილისა, არცა სიმხნე მჴედრობისა. შემძლებელ იყუნეს წინა აღდგომად მისსა: შხამი ჴირისა ესოდენ ბუნებით ძლიერ არს, რომელ არა თუ ოდენ მხოლოდ კაცთა გარდაედების, არამედ სხუათა და სხუათა ნივთთაცა შინა ძალუძს რაოდენ ჟამმე დაფარვად, და მით უეცრად გამოჩინენად ბოროტისა ძალისა თჳსისა კაცთა ზედა.

დიახ იშჳთად არს კაცი, რომელსაც არა აქუნდეს მიდრეკილებაჲ სჴეულისა მიღებად ხსენებულისა სნეულებისა.

ამის-თჳს, როგორათაც თჳთ სნეული, ეგრეთვე იგიცა, რომელსაცა აქვს მიდრეკილებაჲ მიღებად სნეულებისა, ითხოვენ შემოწმებასა. პირველს უნდა მიეცეს ძალი სნეულებისა მორევისა, და განჭრობა მოქმედებისა მისისა. ხოლო მეორესა, რათა მიეღოს ყოველი შემთხვეულება სნეულების შეყრისა, და ბუნებითი ძალი შინაგანის მიდრეკილებისა სნეულებისადმი განვაქროთ, და ანუ მაინც ოდენ შევამციროთ. მოკლედ ვსთქუათ. პირველს უნდა უწამლოთ სნეულებისაგან განთავი-

---

(ა) ხოლო უმეტეს სნეულებაჲ ესე იყო მავნებელ ევროპისა-თჳს თექუსმეტსა საუკუნესა შინა.

სუფლებისათჳს, და მეორესა მიესცეთ განფრთხილებაჲ მიუღებლობისა მისისა.

ამის გამო სჩანს, რომელ ორგვარი არს წამლობა; ერთი არს უპირველესი და უმჯობესი გაფრთხილება და ძალის მიცემა სნეულების არა მიღებისათჳს, (ა) და მეორე წამლობა თჳთ ავადმყოფისა. რომელიც არს უმეტეს ძნელ (ბ), ამის თჳს სათანადო არ ჩუᲬნდა თქმათ ყოველთა მათ ღონისძიებათა, რომელიცა გამოცდილებით ცნობილ არს მიუღებლობისა თჳს ჭირისა, (გ) და ვინაიდან ესე მოკლეჲ დარიგება ვერ შემძლებელ არს მსახურებად მათდა, რომელთაცა იციან მკურნალობაჲ, მხოლოდ ეძლევის მათ, რომელთაცა არა აქუსთ ცოდნაჲ მკურნალობისა, რათა ჰხმარობდნენ იგინი სასარგებლოდ თჳსდა რჩევასა ამას საჭიროსა დროსა შინა. ამისთჳს არა ჯერ არს აქა აღწერად ნიშანთა სნეულებისათა, და ცვლილებათა მისთა, და ეგრეთვე სხუა და სხუა რიგთა წამლობათა, ვინაჲთდან აღწერაჲ მათი არა სასარგებლოდ ვრაცხე მათდა, რომელთა თჳსცა თავს ვიდევ მე მცირე ესე შრომაჲ.

ცოდნა გაფრთხილებისა თჳს ჭირისა, მდგომარეობს მეცადინეობასა შინა, რათამცა ახოცოს ბოროტ მოქმედება მიზეზთა მისთა, დადაიცუას თავითჳსი წინააღმდეგ მძლავრებისაგან მისისა. არამედ მიწევნისადმი ამის აღსრულებისა მხოლონი მკურნალნი ვერ შემძლებელ არიან, ამისთჳს, რომელ უმეტეს დამოკიდებულ არს მეცადინეობასა, მზრუნველობასა და აღსრულებასა ზედა შესაბამთა საჭიროთა განკარგულებათასა, უმაღლესის მთავრობისაგან. ესე იგი გამართვა კარანტინის სახლთა, ფრთხილი ყარაულობა, ფიცხელი ყადაღა

(ა) ვინ არ იცის ესე, რომ უადვილეს არს დაცვა სახლისა ცეცხლის მოკიდებისაგან, ვინამც მოკიდებულის გაქრობა.

(ბ) დიდად საქებელ არს იგი ექიმი, რომელიცა შეიძლებს ათთა ჭირიანთა სნეულთაგან მაინც მორჩენასა ოთხთასა.

(გ) რომელიცა აღასრულებს აქა აღწერილთა სიფრთხილეთა, იგი დაიცუამს თავსა თვისა სხუათა შესაყართაგანაცა სნეულებათა.

საიჭველთა საქონელთა შემოტანისა. ეგრეთვე წამხდართა ანუ დაძველებულთა სანოვაგეთა ზედა, და მღვიძარე მხედველობა სიწმიდესა ზედა ქუჩებისა და სახლ თასა, და ესე გვართა, რომლისათჳს მრავალნი არიან სასარგებლონი სჯულნი, ვითარ განსჭეშნებულისა იმპერატრიცა ეკატირინასნი; ეგრეთვე განსჭეშნებულის იმპერატორისა ალექსანდრესნიცა. და ამად ნამეტნავ იქმნების ამისთანას განკარგულების აღწერაჲ. რამეთუ ჩჭეშ, საყჭარელნო მემამულენო ჩემნო, ვხედავთ დღითგან შესვლისა ჩჭეშნისა მფარველობასა ქჭეშე რუსეთის მპყრობელობისასა, მრავალთა სასარგებლოთა და წყობილებათა, ვითარცა განმაშვენებელთა სულისა თჳსებისათა, ეგრეთვე აღმყუანებელთა კაცისა სიმაღლესა ზედა ხარისხთასა, (ა) და განმასჭეშნებელთა საგრძნობელთა უძლურებათა სჴეულისათა (ბ) ყოველნი ესე, და სხჭანიცა მრავალნი მსგავსნი ამათნი განკარგულებანი აწინდელისა მმართებლობისანი, გვაძლევენ მოუთხრობელსა სარგებლობასა.

თავი მეორე

სიმხნისა-თჳს და უშიშროებისა სულისა, რომელიცა შერაცხილ არს უპირველეს სასარგებლოდ

უპირველეს და უმჯობეს წამლად შერაცხილარს უშიშროება, შეუყრელობისა-თჳს ჭირისა, რამეთუ ყოველნი გამოცდილნი მწერალნი ამტკიცებენ ამას, რომელ უფროს და უმეტეს მათ გარდაედების ჭირი ესე, რომელნიცა მიეცემიან სულმოკლეობითსა მწუხარებასა, და ძლიერსა შიშსა და მსგავსთა ამათსა: ხოლო, რომელნიცა სრულიად შეუდგებიან ქჭეშმორე აღწერილთა სიფრთხილეთა, და ატარებენ მხიარულსა ცხოვ-

---

(ა) ესე იგი, სასწავლებელნი, სემინარია,და სკოლა კეთილშობილთა, როგორც თბილისსა შინა, ეგრეთვე სხუათა ქალაქთა შინა.

(ბ) არის ეგრეთვე, შეუძლებელთა-თჳს სასნეულო სახლი და აფთიაქი, რომლითაც სარგებლობენ უსასყიდლოდ, და მრავალთა ადგილთა კარანტინნი ჭირისაგან დაცვისა-თვის.

რებასა, და იქმნებიან განსვენებულსა ჰზრსა შინა, მათ უმეტეს არღარა ეშინისთ. იციან მრავალთა, რომელ სწორედ ჭირისაგან ავად მყოფი უშიშროებით მორჩენილა (ა) მაშა უმეტეს საჭირო არს იგი უშიშროება მათთჳს, რომელთაც ჯერ არ შეჰყროდესთ.

თავი მესამე

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების შეხებასა.

უმეტეს ყოვლისა საჭირო არს ჟამსა ჭირისასა შეუხებლობა ყოველთა საიჭველთა კაცთა და ნივთთა, თჳნიერ ამის სიფთხილისა ყოველი ღონის ძიება უქმ არს აღხოცისათჳს ამის სნეულებისა მაშა როგორც შეუხებლობა უპირველეს დასაბამად შერაცხილ არს დაცვისა-თჳს ჭირისაგან, ეგრეთვე შეხება უპირველეს მიზეზად არს მიღებისა-თჳს მისისა. ოდესცა მრთელი კაცი ზის, სდგას, აცმევს, ჰბანს, ჰკოცნის, და ჴელში ართმევს რასმე ავადმყოფსა, გინა მისდევს მკუდარსა, ანუ იჭერს კუბოსა, ანუ ახლოს სდგას მისგან, ყოველივე ამგვარი შეხება უთუოდ დაუბრკოლებელად განამრავლებს შესაყრელ სნეულებასა.

(ა) დიდ საქებელად იხსენების გამბედველობა უფლის დოქტორის შიკონისა ჟამსა ჭირისასა ქალაქსა მორსელს შინა, ოდესცა წამლობდა იგი ჭირით სნეულთა და იხილვიდა მათ სასო-წარკვეთილებასა შინა მოურჩენელობისასა, პირველი მეცადინეობაჲ მისი იყო, რათა არწმუნოს მათ და მისცეს უშიშროება სიკვდილისა, რომელიც ხანგრძლივ მახლობელ ჯდებოდა მათთანა, და ეტყოდა. უკეთუ სნეულება თქვენი იყოს დიდად საშიში, არა თუ დავსჯდებოდი მე თქუჷნთანა, არამედ უფროსღა მოგერიდებოდითცა თქუჷნ შიშნეული; ამგვარის იმედის მიმღებნი და დარწმუნებულნი, სნეულნი მიმღებლობდნენ. ძალსა სიმხნისასა, და განაგინებდნენ შიშსა და სასოწარკვეთილებასა და ამით მორჩებოდენ ჭირისაგან. ამგვარის ქცევით, ჩინებული ესე დოქტორი იხსნიდა მრავალთა სიკვდილისაგან. უშიშროება და სიმხნე მრავლად შემძლებელ-არიან წინააღმდეგო-

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების ზნეობითთა ჩუმულებათა.

განსაცდელი დიახ ხშირად ჰსდევს ზნეობითთა ჩუმულებათა, რომელსაცა ვჰხმარობთ საზოგადოდ, მიგებებასა შინა კაცთასა, და გამოსალმებასა შინა მათსა, მოხვევნითა, კოცნითა, და ამათთა მსგავსთა შეხებათაგან, და უმეტეს მკუდართა გამოსალმებითა. ჩუმულება ეს დიდად მავნებელ არს ყამსა ჭირისასა (ა), და ამის თჳს სათანადო არს მორიდება ესე გუართა ჩუმულებათა, და მსგავსადვე ყოველთა შეყრილობათა ერთასა, აბანოთა, მოედანთა, სალხინოთა სახლთა, და მსგავსთა ამათთა, სადაცა შეკრებილებისაგან მოხდების მჭიდროება (ბ) ყოველი ამაგვარი შეყრილობა უთუოდ საუბედურო არს, და მისთვის უნდა ცდილობდეს მორიდებასა.

ბად ჭირისა. ჩუმნ ვხედავთ მრავალთ მაგალითთა, სადაც იმედი უშიშროებისა თვისისა ჰყოფდა მას, რომელ ჭირში მყოფნი და შთებოდენ თავის უფლად მისგან, და ეგრეთვე ავადმყოფნიცა განთავისუფლდნებოდნენ მით. წიხაღმდეგ ამისა არიან მრავალნი მაგალითნი, რომელ მხოლოდ შიშითა უზომოითაცა მწუხარებითა შთავარდებოდნენ კაცნი უკურნებელსა სნეულებასა შინა.

(ა) უიმისოთაც ყოველს დროს უნდა დიდად ვერიდებოდეთ მოხვევნსა, კოცნასა, სხვის ტანისამოსის ჩაცმას -ხის მოწევასა, ერთ ჭურჭელში ჭამასა, სმასა, და ეგრეთვე ქუმშაგებში წოლასა, და უმეტეს ფეჯის ადგილსა. და მსგავსთა ამათთა;ჩუმნ თანამდებ ვართ, რომ გუახსოვდეს არა ნაკლებ ჭირისა შესაყარი სნეულება ათაშანგი, ჭლერქინი. და სხუა რადგანაც ესე ვითართა შეხებათაგანცა გარდაედებიან იგინი.

(ბ) ვინაიდგან ამისთანას შეყრილობაში არის ხშირი სუნთქუა და მით ჰაერი იწამლების, და ამის თჳს უმეტეს უნდა მოერიდნენ დედანი ორსულნი,რადგანაც ამისთანას შეყრილობას სდევს სხუა და სხუა ვნება, და ხშირათაც მომხდარა.

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების ვაჭრობასა ნივთთასა.

უკეთუ მარტოდ ვეცდებით, რომ კაცნი კაცთ არ შევეხეთ, და ნივთთ სყიდვას კი მოურიდებლად დავიწყებთ, რომლისაგანაცა ეგოდენ საშიშარ არს, რაოდენ კაცის შეხებისაგან, და უმეტესცა; მაშინ არა სრულიად დაცულ იქმნების ჩუენგან საჭირო სიფრთხილე, რადგანაც ცნობილ არს, რომ შესაყარი სნეულება სრულითა ძალითა თჳსით სწამლავს ყოველსა ნივთსა, და იფარვის მათ შინა, ამისთვის უნდა დიდად ვფრთხილობდეთ ყიდვასა შინა ნივთთასა, ესე იგი. მატყლისა, ბამბისა, აბრეშუმისა, ბეწუნულთა, ყოველთა ტყავთა ცხოველთასა, და ეგრეთვე მსგავსთა ამათთა (გ) (იხილე თავსა ოცდა მეოთხესა). და თუ დიდად საჭირო იქმნების ესე ჯთართა ნივთაგანისა რომლისამე მოსყიდვა, მაშინ სათანადო არს დიდის სიფრთხილით ყიდვაჲ მათი, ესრეთ რომ დიდს ხანს უნდა იყოს ის სასყიდელი ნივთი გამზეებული და ჰაერში გაკიდებული, და ნაყრჩოლები რამდენჯერმე ნივთის შესაფერის საყრჩოლებითა. (იხილე თავსა ოცდამეხუთესა). უამისოდ არა თუ არუნდა ვიხმაროთ, არცაღა თუ უნდა შევეხნეთ, და ანუ შევიტანოთ სადგომ სახლში, არც ძუელი და არც ახალი ნივთი. (დ).

(გ) რადგან ვიცითრომ ჭირი მრავალჟამს იფარვის მატყლსა, ბუნბულსა, და ბეწვეულსა შინა, ამისთჳს სჩანს რომ არა უმცირეს უნდა გვეშინოდეს შინაურთ ცხოველთაგან ესე იგი კატისა, ძაღლისა, ფრინველისა, ცხენისა და სხვათა, რადგანაც აქუთ ამათგანთა რომელთამე ცხოველთა თავისუფალი სვლა, რომელთაგანცა შესაძლო არს შესაყარის სნეულების შემოტანა, და ამისთუის თჳს უმეტეს უნდა მოერიდნენ კატასა და ძაღლსა, და უმჯობეს არს უყოლელობა მათი ჟამსა ჭირისასა.

(დ) ჟამსა ჭირისა მძვინვარებისასა უნდა განვაგდოთ ყოველი სიხარბე იმისთჳს რადგანაც მოხდების რომ ჭირიანს, ანუ ჭირში ნაყოფს გავარდეს, ან დაეკარგოს რომელიმე ნივთი არ უნდა შეეხოს ამისთანას ნივთსა. აი უბედური მაგალითი, თვით

თავი მეექვსე

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების ვიწროდ დგომასა.

ეგრეთვე საშიშარ არს ვიწროთ დგომაჲ მრავალთა ერთად, დაბალსა სახლსა შინა, და უმეტეს სადაც პირუტყვნიცა დგანან, რომლითაც ჰაერი მსწრაფლ წახდების ,და შეიქმნების მომწამ-ლველად, და ამისთანას უფრთხილოებისაგან შესაძლო არს თა-ვით თჳსით გაჩენა ჭირისა, ანუ სხუათა შესაყართა სნეულება-თა. ამისთჳს უნდა ყოველი კაცი რაოდენ შესაძლო იყოს ცდი-ლობდეს, რომ ვიწროდ და ერთად პირუტყუთთანა არ იდგნენ ჰაერის წაუხდენლობისა თჳს.

თავი მეშვიდე

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების უწმინდურობასა სახლისასა და უფაქიზოებასა კაცთასა. (ა).

საჭირო არს დაცვისათჳს ჭირისაგან და სხვათა შესაყართა სნეულებათა, რათა გუაქუნდეს გარემოს ჩუენსა, და თავნიც ჩუენნი დიდსა სიწმინდესა შინა. ამისთუის ჯერ არს პირველად, რათა ყოველი ტანისამოსი იყვნენ გამზეებულნი, და ნაყრჩო-

---

ჩემ მიერ ხილული, ჩაი წელსა ოდესცა იგი იყო ჭირი თბილიზ-სა შინა. მე ვიყავ გაგზავნილ აფთიაქისაგან წამლების წასაღე-ბად კარანტინში, მიმავალმან ვიხილე მახლობლად ჩემსა ჩემის ოსტატის შვილი, რომელმანც აიღო გზაზე მდებარე აბ-რეშუმის ჭელსახოცი, თუმცა მე უთხარ, რომ ამისთანას ჟამს რაც უნდა ნივთი იპოვნოს კაცმა არ უნდა შეეხოს, შემდგომ ამისა ჯერ არ გაევლო თექუსმეტს საათსა რომ მოვიდა აფთიაქ-ში ჩასტის პრისტავი, და გვითხრა იმისი ჭირით ავათ გახდომა. და წაყვანა პოლიციისაგან კარანტინშია სადაც მოკვდა.

(ა) დაუცველობისა გამო აქა აღწერილთა კანონთასა წარ-მოებენ ეგრეთვე შესაყარნი სნეულებანი ესე, იგი, დამპალ-ციებ ცხელება, მუნი, სხუა და სხუა გვარნი პარტახტნი, და ეგრეთვე მკბენარნი.

ლებსი, და ხშირად გამოცულილნი, ხოლო უმეტეს პერანგი და პერანგის ამხანაგი, და დიდად კარგსა იქმნს იგი, რომელიც პერანგსა და პერანგის ამხანაგს ძმარს ასხურებს, გინა ტანზედ წაისუამს, და ისრე ჩაიცუამს: ეგრეთვე დაყენებულ არს ჭირის დროს ჩაცმა მატყლის ტანისამოსისა, და ყოვლის ბეწვეულისა, რადგანაც დიდად მიიზიდვენ იგინი სნეულებასა.

საჭირო არს სახლისა წმინდად და ფაქიზად შენახუა, ხშირად კედლისა და ჭერის ჩამოწმენდა და დაგვა, და აგრეთვე არ უნდა ოყოს სადგომს სახლში დამპალი და აყროლებული ნივთი რაჲმე. და სახმარი ჭურჭელი უნდა იყოს წმინდად შენახული. და უმეტეს სპილენძისა ხშირად მოკალული. (ა) აღსრულება ამათი, როგორც დროსა ჭირისასა ეგრეთვე ყოველთვის დიდად საჭირო და სასარგებლო არის სიმრთელისა თჳს.

თავი მერვე

ჰაერისათვის და მის მიერისა სარგებლობისა.

ჰაერი არს უსაჭიროესი ნივთი კაცთა თჳს, ვითარცა თევზთა თჳს წყალი. თვნიერ რომლისაც შეუძლებელ არს მცირეს ჟამსაც ცხოვრებაჲ, არის მაგალითი რომ კაცს უცოცხლია ოც დღემღინ სრულიად უსმელსა და ნამეტნავ უჭომელსა. ოდესცა არს ჰაერი წმინდა, მაშინ აძლევს იგი კაცთა სრულსა სიმრთელესა, დღეთა სიგრძესა, და ესრეთ რაოდენ წმინდა ჰაერი საჭიროა არს სიცოცხლისა თჳს ჩუენისა, ეგოდენ სასარგებლო არს სიმრთელისათჳს ჩუენისა სიწმინდე მისი, და ამით საცნაურ არს, რაოდენ წამხდარი ჰაერი სავნებელი იქმნების კაცთა თჳს, და არისცა უპირველესი მიზეზი მრავალთა შესაყართა სნეულებათა. რადგანაც არა გუაქუს ჩუენ ყოველთჳს უფლე-

---

(ა) ცნობილ არს, რომელ სპილენძსა შინა არს საწამლავი, რომელიცა მცირესაცა სიმჟავესა შინა გამოსცემს მავნებელსა ძალსა თჳსსა. ყოველთა საჭმელი და სასმელი ხმარებული მოუკალავის სპილენძის ჭურჭლისაგან, შემძლებელ არს მოწამლავთ მთელთა სახლეულთა, ამისთჳს უნდა იყოს ხშირად მოკალული და მშრალს ადგილს შენახული.

ბა კარგს ჰაერში ცხოვრებისა, და უმეტესად ჟამსა ჭირიანობისასა, ამასთჳს უნდა ვცდილობდეთ პოვნასა ღონეთასა, რომელნიცა შემძლებელ იყუნენ განწმენდად მისსა, და ვცდილობდეთ რაოდენცა შესაძლო იყოს განშორებად მავნებლობისაგან მისისა, (ბ).

თავი მეცხრე

განწმენდისა თჳს წამხდრისა ჰაერისა.

ისრე არა რაჲ განსწმენდს წამხდარს ჰაერსა, და გააკეთებს, როგორც ცეცხლი; გამოცდილებით ვიცით ჩუენ ესე, რომ ყოველი დამპალი შესაყარი სნეულება და ჭირი, დაჰკარგავს შხამსა თჳსსა ძალითა ცეცხლისთა. მოქმედება ცეცხლისა გამოცდილ-არს ძველადვე მკურნალთაგან. ღირსმან ხსოვნისამან ჩინებულმან მკურნალმან ღიპოკრატ, დაწვითა მრავალთა ადგილთა სხვათა ხეთა და ბალახთათა, მოარჩინა ჭირისაგან მამული თჳსი ქალაქი ქაოს. მაშინ ოდესცა ჭირი სწყუტდა და აოხრებდა გარემოთა სოფლებთა ქალქისათა; ამითვე ღონითა მოარჩინა მანვე ექიმმან, ქალაქი ათინისა დიდისა ჭირისაგან. და მიიღო მისთჳს გვირგვინი ოქროისა, ტაძარსა შინა ესკულაპიისასა. თუმცა იქების მოქმედება ცეცხლისა, მაგრამ უნდა იხმარებოდეს იგი სიფრთხილით, რომ არ იყოს ძლიერ ხშირად მრავალს ადგილს აღმთებული რომლისგანაც შესაძლებელ არს გათბობა ჰაერისა, და ამით ნაცვლად სარგებლობისა მიღება ვნებისა, რადგანაც ცხელი ჰაერი შემძლებელ არს განმრავლებად შესაყრისა სნეულებისა, ვირემც ცივი ჰაერი მხოლოდ საკმაო არს რაოდენსამე ადგილსა დაყრჩოლება მუხისა, და ღჳის ხისა, ეგრეთვე ყოველის ხის ნაფოტისა და ფიჩხისა, და უფრო

(ბ) წმინდა ჰაერი არის მას სოფელსა შინა, სადაც არ არს მავნებელი ორთქლი მრავალთა ცხოველთა, არცა მადანი და ტბები, და არცა აბნელებს ნისლი ბრწყინვალებას მზისასა, რომელიცა უსაჭიროეს არც როგორც მცენარეთა თჳს, ეგრეთვე ცხოველთა თჳს, მაღალი გრილი და მშრალი ადგილი არს თვით უმჯობესი საცხოვრებელი.

უმჯობესი არის რომ კუპრი დაესხას, ანუ თოფის წამალი. გინა გოგირდი, ანუ გვარჯილა მოეყაროს, სხუა და სხუა დროს რაოდენჯერმე დღეში. (ჩეჩქისა და სხუა და სხუათა მსგავსთა მისთა დაყრჩოლება დიდად სავნებელი არის). თუ შესაძლო იყოს დილა საღამოს ზარბაზნისა, ანუ რაოდენთამე თოფთ სროლაც სასარგებლო არის: ცეცხლის ყრჩოლებაჲ დროსა ჭირისასა გვაძლევს ჩუჱნ ორ-გვართა სარგებლობათა, პირველად ჰსწმენდს ჰაერსა კომლი მისი, მეორედ ადვილად შეუძლიან ყოველს გამვლელსა და გამომვლელსა რაოდენ გზისმე ყრჩოლება თავისა თჳსისა და ქონებულთაცა ნივთთა, სიმრთელით დაცვისა თჳს თავისა თვისისა.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

განწმენდისა თჳს ჰაერისა შენობათა შინა.

ჩუჱნ უნდა ვცდილობდეთ ყოვლის შემძლებელობითა, რომ სახლთა შინა საცხოვრებელთა იყოს ჰაერი მსუბუქი, კარგი, გრილი და ხშირად განახლებული. ზამთარს, ყოველს ღრუბლიანსა და წვიმიანს დღეში სათანადო არს ზომიერად გათბობა სახლისა, და საჭირო არს რაოდენ გზისმე დაყრჩოლება ღჳს კენკრისა, ზაფხულს ყოველდღე უნდა აყრჩოლებდნენ სახლსა შინა გვარჯილასა, ანუ მარილაღრეულის ძმრითა გაცხელებულს აგურზედ დასხმულსა. და ამითივე ასხურებდნენ და რწყვიდენ სრულს სახლსა: ეგრეთვე სასარგებლო არის სახლში მოფენაჲ გამხმართა ყვავილთა, და სხვათა სუნნელ-ბალახთა, პიტნისა, აბზინდისა, ვარდისა, იისა და სხვათა ესეგჳართა. განწმენდისა თჳს სნეულებათაგან საეჭველთა სახლთა, ან დამპლის ჰაერისა, (წამალნი, რომელნიც საჭირო არიან, იხილე თავსა ოცდამეშვიდესა), და ჟამსა ყსრჩოლებისასა დახურონ ყოველი ფანჯარა და კარი, და განაღონ ყოველი ყუთი, ზანდუკი, და დახსნან ყოველი ნივთი, რათა განვლოს მათ შორის თავისუფლად კომლმან სახრჩოლებელთა ნივთთამან, და განიტანოს მით სიცუდე ჰაერისა.

თავი მეათერთმეტე

რჩევისათვის, აღსარჩეველად კარგისა ადგილისა ჟამსა ჭირისასა (ა)

ყოველნივე უნდა ვცდილობდეთ ჟამსა ჭირისასა განშორებასა დაბლისა და დაცემულის ადგილისაგან. და უმეტეს ჭანჭრობიანისა და ტბიანისაგან, და აგრეთვე აღვირჩიოთ ჟამიერ-საცხოვრებელად მაღალი და მთიანი ადგილი, სადაც უეჭველად ჰაერი უკარგესი არის, და შესაყარი სნეულებაც ჰაერში განფენილი სიზრქისა და სიმძიმისა გამო თჳსისა ვერშემძლებელ იქმნების უმაღლესსა ადგილსა აღსლვად, და გადასახლების ჟამს სახლი თუ ქოხები ტენიანს ადგილს არ უნდა აღაშენონ, და ბევრნი ერთად და ვიწროდ დადგნენ, უნდა დიდად მოერიდენ საეჭველს ხალხსა, და ხმარობდენ ამ წიგნში აღწერილს სიფრთხილესა სიმრთელით დაცვისა თჳს თვისისა.

თავი მეათორმეტე

სიფრთხილისა თჳს ხმარებასა შინა სანოვაგეთასა.

სიმრთელით დაცჳსათვის სათანადო არს ყოველ თვის საჭმლის ზომიერად მიღება და უმეტეს დროსა შესაყართა სნეულებათასა. საჭმელი უნდა იყოს ახალი და დაუმპალი, აუყროლებელი, დაუობებელი, და არა ძალიან მსუქანი, და ადვილად მოსანელებელი. არუნდა ვიხმაროთ ლორი, (რისაც უნდა იყოს) ღორის ხორცი, ბატი, იხვი და ყოველი ცხოველი მსუქანი და ძნელად მოსანელებელი .და თევზსაც უნდა ხმარობდენ ახალს ნანადირევსა, და უნდა შეძლებისგუარად ერიდებოდენ ლობი-

---

(ა) თუმცა საქართველოში აქუსთ ჩვეულებად ჟამსა ჭირის გამოჩენისასა გარდასახლება სხჳათა სოფელთა ანუ უშენთა ადგილთა შინა, და მრავალნი უცოდინარობის გამო დაესახლებიან დაბალთა და ჩოლთა ადგილთა შინა, ესე ვითარსა შემთხულებასა შინა უნდა აღირჩიონ მაღალი და მშრალი ადგილი, ეგრეთვე აქუნდესთ მზად გრძელ ჟამიერად სამყოფი საზრდელი.

ოსა, ცერცუსა, სოკოსა და ამათთა მსგავსთა: ხილი უნდა იყოს მწიფე და კარგად შემოსული, და ზომიერად მიღებული, შინდი, კვრინჩხი, კოწახური, ბროწეული, ლიმონი, აპელსინი, ყურძენი, ლეღვი, ვაშლი და დამასხი, ამათი ყოველთჳს შეიძლების ხმარება, და უნდა ვერიდებოდეთ ნესვსა (ა) კიტრსა, ჭერამსა, ქლიავსა და სხვათა: უნდა ვცდილობდეთ, რომ ყოველი რიგი საჭმელი იყოს მომჟაოდ შემზადებული, ლიმონითა, ანუ კოწახურითა, გინა ისრიმითა, ანუ თუთუბოთი, გინა ძმრითა, ანუ შემოსულის კომშითა, გინა მჟავე ვაშლითა ანუ კვრინჩხითა, გინა ღოღნოშოთი, და სხვათა ამათთა მსგავსთა. უნდა ვიცოდეთ რომ ჭირის ჟამს ყოვლის მჟავე საჭმლის ხმარება დიდად სასარგებლო და მარგებელი არის: სხვებრ სათანადო არს აღრჩევა სასმელ საჭმლისა შესაფერ სხეულისა და ჩუჱულებისა, რამეთუ თქმულარს, ჩუჱულება არს მეორეჲ ბუნება. მაგრამ თუნდა ჩუჱულებაცა ჰქონდეს ამ დროს ყოველი მსუქანი საჭმელი დაყენებული არის, და უმეტესად ღორის ჯორცი, როგორც უნდა იყოს შეზავებული და გაკეთებული, რადგანაც გამოცდილებით ვიცით ამისი მავნებლობა.

ნება გვაქუს ხმარებად ნივრისა, ხახვისა, ბოლოკისა, ჭარხლისა, სტაფილოსი, და სხვათა ესე გვართა მწარეთა და ცხარეთა მდელოთა და ძირთა მათთა. ჩუჱულებად უნდა ჰქონდეს კაცსა ყოველთჳს, და უმეტეს ჟამსა შესაყართა სნეულებასა, რომ დილით არ გავიდეს კარზედ უზმოდ, რადგანაც ცარიელ აგებულება ვერ შემძლებელ არს წანა-აღმდეგობათ შესაყართა სნეულებათა, და უფროს-ღა ჭირისა, მაშა ყოველთა ჯერ არს მიღებად მცირისა ღჳნისა და პურისა, რომელიც უმეტეს სასარგებლო არს ყავისა და ჩაის ხმარებისაგან.

თავი მეათცამეტე

განსაცდელისა თჳს, რომელიც შეუდგების უზმოდ ხმარებასა მაგართა სასმელთასა, და სარგებლობისა თჳს ზომიერად ხმარებისა მათისა.

(ა) უზომოდ ხილის ჭამასა თუნდა მწიფეც იყოს უნდა მოვერიდოთ, რადგან მოსდევს მას სნეულებაჲ, ესე იგი, სისხლზედ საქმობა და ციება.

ყოველნი სხუა და სხუაგვარ შეზავებულნი არაყნი, რომი, ლიქერი და მსგავსნი ამათნი; ეგრეთვე ყოველი რიგი ღვინო, რომელთაც ხმარებაჲ ზომიერებასა შინა და ჟამიერად დიდად მარგებელი არის. იგინი განამტკიცებენ ძალსა კაცისასა, განამხიარულებენ და განამხნობენ წინამღდეგ შესაყართა სნეულებათა. ამისთჳს ძველად მკურნალნიცა აძლევდენ რჩევასა ზომიერად ხმარებისა მათისასა ყოველთავე, ვითარცა წამალსა და მცველსა მათსა შესაყართა სნეულებათაგან. რაოდენ სასარგებლო არს ზომიერად ხმარებაჲ სასმელთა, ეგოდენ საენებელ არს უზომოდ ხმარებაჲ მათი. გამოცდილებით ვიცით, რომელ დიდად მავნებელ არს, რომელნიცა უზომოდ იხმარებენ სასმელსა, რადგანაც შობს მათ შორის მღელვარებასა სისხლისასა, რომელსაცა შეუდგების დიდი სისუსტე, და ამის გამო იხოცებიან იგინი, რომელნიცა ცდილობენ მიღებასა უშიშროებისასა სიმთჳრალისაგამო. კიდევ განვამეორებ, რომელ ყოველი ესე სასმელი ზომიერად ხმარებული დიდად მარგებელი არის, და საჭიროცა, კაცთა სუსტისა სჴეულისა მეჭონთა და მოხუცებულთა, და უმეტეს ზამთარსა შინა და ჟამსა ნოტიოსა. საკუთრად ქებულ არს კარგი ძველი წითელი ღვინო, და დროსა ჭირისასა რომით, ანუ კარგის არაყით ფუნჯი ზომიერად მეავით რითმე შეზავებული. ტკბილის ღჳნისა, მაჭრისა და ლუდისაც ხმარება მავნებელი არის, რადგანაც ესენი შემოჰბერვენ მუცელსა.

თავი მეათოთხმეტე

სიფრთხილისა თჳს მოდუღებულთა სასმელთა ყავისა ჩაისა და შოკოლადისა.

უკეთუ განვსჯით მოქმედებასა ყავისასა, მაშინ (ა) არა

ლის სჴეულისა და უმეტეს გულისასა, და ეგრეთვე მოჰყავს სრულსა სისუსტესა შინა ნერვები, (ძარღვები), და მოაკლებს მხედველობასა, და თჳს ასუსტებს კაცობასაცა, ასქელებს სისხლსა, რომელსაც შეუდგების უეცარი სიკუდილი დამბლითა. განდევნის ძილსა და მიუღებს მადასა, და ამისთჳს აქიმნი, რომელთაცა იციან მოქმედება ყავისა, აყენებენ ხმარებასა მისსა. და რომელთაც მიუღიათ ჩუწულება ყავის სმისა, მაშინ უნდა აურიონ ყავაში დამწვარი ვარდკაჭაჭის ძირი, ანუ სტაფილო, ანუ ქერი. (ამათი შეზავება და გაკეთება იხილე თავსა ოცდამეათესა). ექიმნი მხოლოდ აძლევენ ნებასა ყავის სმისასა წამლად მათდა, რომელნიც ცხოვრობენ უქმად და მცონარებით და ატარებენ დროებასა ძილსა შინა, და არიან დიდად მსუქანნი, მოშვებულნი და ნედლნი: მრავალნი არიან მაგალითნი, რომელ სხუა გუარ ხმარებითა ყავისათა მორჩენილან სნეულნი, ესე იგი, ყავის ოყნითა, ყავის წყალში ბანებითა, მოუხალავის ყავის მტვრად ხმარებითა, ეგრეთვე სხვათა წამალთა თანა შეზავებითა ბნედიანნი, წყალმანკანინი, სევდიანი, ეგრეთვე. ყუანისა და ციებისაგან სნეულნი, და მსგავსნი ამათნი, შჩოქოლათი რადგანაც შეზავდების ყოვლის სისხლის განმახურვებელის და მღელვარე მყოფელის ნივთებისაგან, ესე იგი შჩოქოლათის ხის კაკლისა, დარიჩინისა, ჯავზის ყუავილისა, ინდოურის კაკლისა, პილპილისა, ვანილისა და ზღვის თევზისაგან, (რომელსაც თათრულად ჰქუან საყანყური), და მსგავსთ ამათთა მხურვალეთა ნივთაგან. ამასთჳს ხმარებაჲ ამისი განაღვიძებს სისხლსა და მოიყუანს ნამეტნავ გულის თქმად, და ექმნების კაცობასა მიზეზ ძლიერისა დასუსტებისა, და უმეტეს მოხუცებულთა, რომელნიცა ეძიებენ ამით ძალსა და ყუათსა, ვინა კეთილ ზნე-

---

შფოთვა, ხოლო წინამძღვარმან მის მონასტრისამან სცნა მწყემსისაგან მიზეზი მათ აქლემთა განუსვენებლობისა, და გამოსაცდელად მცონარეთა და ძილის მოყვარეთა ბერთა იწყო სმევად ყავისა მღვიძარებისა და სიფრთხილისათჳს. და მიერ ჟამიდგან შემოვიდა ხმარება ყავისა მთელს არაბიასა შინა, და იქიდგან კონსტანტინოპოლისა, და შემდგომ სრულსა ევროპისა შინა.

ობიანი და გონიერი კაცი შემძლებელ არს დაცვად უღრმეს მოხუცებულებადმდე ამის ძალისა და ყუათისა, რომელისთჳსცა ხმარობენ ჩოქოლათსა, მაშა სჩანს რომელ არაოდეს, და არცა ვისთჳს იქმნების სასარგებლო ხმარება მისი, და უმეტეს ქამსა ჭირისასა. გარნა შჩოქოლადი გაკეთებული მხოლოდ შჩოქოლადის კაკლისაგან და შაქრისა, არა არს მავნებელ. ჩაისა თჳს შესაძლებელ არს მრავალთა სარგებლობათა თქმად, მაშინ ოდესცა ხმარობდენ მას მსგავსად წამლისა, რადგანაც დიდად არგებს შირიმიანს და წყალმანკიანს სნეულსა, ამად რომელ გახსნის შარდზედ. ეგრეთვე ნაფაზსა, სურავანდსა, ყელის ტკივილსა, და სხჭათა მაგრამ ახლა, რადგანაც ჩჭეულებად შემოვიდა ყოველდღე უზომოდ სმა მისი, არღარა იჩჭენების სასარგებლოსა ძალსა თჳსსა, და წინააღმდეგ ამისა გვიჩჭენებს ხშირად მხმარებლობაჲ მისი ვნებასა და მიზეზ ყოფასა სნეულებისასა, რადგანაც ახმობს მკერდსა, ასუსტებს კუჭსა, აძლევს მიზეზსა გაცივებისასა, რომელთაგანაც წარმოდგებიან სნეულებანი. რადგანაც ყოველ დღე ხმარებაჲ ჩაისა ასუსტებს ძალსა კაცისასა; ვინა დროსა ჭირისასა უმეტს სავნებელ-არს ხმარებაჲ მისი (ა).

თ ა ვ ი მ ე ა თ ხ უ თ მ ე ტ ე

ხმარებისა თვის კარგის წყლისა, და მარგებლობისა თვის მისისა.

ჩჭენ ვცანით საჭიროება კარგის ჰაერისა, და სარგებლობა მოქმედებისა მისისა; ყოველი რაიცა თქმულარს ჰაერისათჳს, იგივე სათანადო არს თქმად კარგის წყლისათჳსცა; მაშა აქა სათანადო არს აღწერად ნიშანნი კარგთა წყალთაჲნი, სარგებლობა, და მავნებლობაცა უქამოდ ხმარებისა მისისა, და უმეტეს მავნებლობა ცუდისა წყლისა. და ღონის ძიება განწმენდისა მისისა. უმჯობესი წყალი არის მაღალთ მთათაგან გამომდინარეთა წყაროთაგან შემდგარი (რომელსაც არა აქუნდეს ნივთაგან მი-

---

(ა) განკვირვებით მამაგონდების ერთის ვაჭრის ცოლისაგან უზომოდ ჩაის ხმარება რომელიცა ყოველთჳს დილას საღამოს მაინც სამოც ფინჯანამდე დალევდა. უეჭველად ამისთანა უზომოდ ხმარებლობასა შეუდგების მავნებლობაჲ.

ღებული გემოვნება, ესე იგი. მარილისა, გოგირდისა, გვარჯილისა და სხუათა.) ამას შეუდგების მდინარე წყალი. რომელიც ჩქარად მომდინარეობს ქუათა და წმინდათა ქვიშათა ზედა. კარგი წყალი უნდა იყოს წმინდა, არა ფრის სხჳს გემოს და ფერის მქონებელი, მსუბუქი, და მალე მომხარშველი ყოველთ საჭმელთა. ესრეთი წყალი არის სასმელათ მარგებელი და სიმრთელის დამცუცხლი. მაგრამ უნდა დიდად მოვერიდნეთ ჟამსა დაღალულობას და ოფლიანობისასა, და გუაქუნდეს მოთმინება ვიდრე შესუცხნებად და ოფლის შეშრობამდე. თორემ მოუთმენელობით სმა მისი მრავალს სნეულებას განაჩენს ჩუცხ შორის. ზაფხულში და ჟამსა ჭირისასა და სასარგდებლო და საჭიროცა არის, რომ დროსა ხმარებისა მისისასა შევაზავოთ იგი ლიმონითა ანუ ძმრითა და ანუ სხუათა მჟავეთა ნივთთათა, რათა იყოს მცირედ მომჟაო და გემრიელი, რომელთაც მოჰკლავს წყურვილსა და აგრილებს აგებულებასა. ესრეთვე ბანაობაც საქებელ არს ჟამსა ჭირისასა მდინარეს წყალსა შინა, შემდგომის სიფრთხილითა, რომ არ უნდა მალე საჭმელ მიღებულთ იბანონ, არცა დაღალულთა და ოფლიანთა, და არც მსწრაფლ ძილისაგან აღდგომილთა, არცა მსწრაფლ უნდა შთაცვიდნენ წყალში, არამედ წყნარად უნდა შევიდნენ, და შესვლამდე თავი უნდა დაისველონ წყლითა და შემდგომ იწყონ ბანობად, და დიდსხანსაც არ უნდა დაჰყონ წყალში, ამისთჳს, ვისაც არ ჰქონია ესე ვითარი სიფრთხილე, უეცრად შევარდნით წყალში მიუღიათ სხუა და სხუა სნეულება. ხოლო რაიცა ითქმის სხუათა წყალთა თჳს, რომელნიც არიან წვიმისა, თოვლისა, ჭისა, ტბისა, და სხუათა, არათუ ხმარება მათისა სასარგებლო არს, არამედ დიდად მავნებელცა არს; ხოლო ჟამსა საჭიროსა, ჯერ არს განწმენდა მათი და ესრეთ ხმარება. (და თუ ვითარ შესაძლო არს განწმენდა მათი იხილე თავსა ოცდამეთერთმეტესა) კარგს წყალს რაოდენი სარგებლობა, და ცუდს წყალს რაოდენი მავნებლობა აქუს დავიდუმე სიმოკლისა თჳს წიგნისა ამის.

თავი მეათექვსმეტე

ყოველთა ბუნებითთა საჭიროთა უგიობელთა ვნებათა თჳს.

რომელ არიან, ოფლი, ნერწყვი, შარდი და განავალი, ამისთჳს უნდა ცდილობდენ რომ თავის დროზედ აქუნდესთ მო-

ქმედება, რადგანაც დაგვიანება და ძალით დაყენება ყოვლისა განავალისა, შემძლებელარიან მოყუჩანებად სხუა და სხუათა სნეულებათა. (-ყოფლობისა და ყაბზობის წამლობისა თჳს,

იხილე თავსა ოცდა მეცხრესა). გამოცდილებით ვიცით, რომ შესაყარს სნეულებასა, და ნამეტნავად ჭირსა მიიზიდავს ნერწყვი, ამისთჳს უნდა ვფრთხილობდედ, რომ დროსა შესაყართა სნეულებათასა ნერწყუს არა ვყლაპავდეთ, და ხშირად ვაფურთხებდეთ, და სახლიდან გასვლის დროს უნდა გვედვას პირში თეთრი კოჭა, ანუ ღვის კენკრა, ანუ ლიმონის ქერქი, ანუ ქინაქინის ქერქი, ანუ პიტნა, ანუ ანისული, გინა ილი და დარიჩინი, ანუ კევი, რომელთაც აქვსთ ძალა ნერწყვის მოყუჩანისა.

თავი მეათშვიდმეტე

მღჳძარებისა თჳს და ძილისა.

მღვიძარება და ძილიცა ზომიერად უნდა იყვნენ დაცულნი თჳს ჟამზედ, როგორც ნაკლებობაჲ ძილისა, ეგრეთვე ნამეტნაობაცა მისი მავნებელ არს, მუშა კაცისა თჳს, და რომელნიც არიან მოძრაობაში რვა საათი ძილი საკმაო არს, და უქმთა თჳს ექუსი დღეში, უნდა ვერიდებოდეთ შუადღის ძილსა და დაჩვევასა მისსა, და ღამე უნდა ვფრთხილობდეთ, რომ არ გავცივდეთ და უმეტეს ოფლში. ეგრეთვე უნდა ვერიდებოდეთ ბუმბულზედ, და ეგრეთვე გარეთ ჰაერში წოლასა, რადგანაც ყოველ თჳს მავნებელი არის.

თავი მეათრუამეტე

უქმობისა თჳს და მოძრაობისა.

საშუალ უქმობის და მოქმედებისა სათანადო არს დაცვად კეთილ გონიერი ზომიერება, რადგანაც ღონიერთა და მრთელთა კაცთა თჳს ზომიერი მოძრაობა და მუშაკობა არის წყარო სიმრთელესა და დღეგრძელობისა მათისა, ეგრეთვე მავნებელ არს ნამეტნავი მოძრაობა სუსტის სჯეულის მქონებელ კაცთა თჳს. მაშა, კეთილ გონიერება მოითხოვს ყოველწყაროთაგან შემდგარი, (რომელსაც არა აქუნდეს ნივთაგან მი-

თაგან ზომიერსა მოძრაობასა, შესაფერსა თჳთოეულთა კაცთა ძალისასა, ესე გვარი ქცევა ყოველ თჳს საჭირო არს, და უმეტეს ჟამსა შესაყართა სნეულებათასა.

თავი მეათცხრამეტე

მწუხარებისა თჳს და სიხარულისა, რომელნიც არიან ვნებანი სულისანი.

ყოველთავე უწყიან, თუ რაოდენი მოქმედება აქვს სულსა ზედა კაცისასა მწუხარებასა და სიჯარულისა, ამის თჳს უმეტეს დროსა სნეულებათსა, სათანადო არს არა მიცემა თავისა თჳსისა მწუხარებათა, და სასოწარკვეთილებათა არამედ უფროსღა მეცადინეობა, რათა აქუნდესთ სიმხნე და სიხარული სულისა, და განერთოდენ სასიამოვნოთა შექცევათა, ესე იგი სხუა და სხუა გუართა საკრავთა—(ა), წიგნთა სანუგეშოთა, ანუ შესაქცევათ, და მათცა ზომიერად, და იყოფოდნენ კეთილ ზნეობის მექონეთა მხიარულთა მეგობართა თანა. დიდად უნდა ერიდებოდნენ ხშირსა მეუღლეობითსა შეერთებას და უმეტეს ჟამს ჭირისასა, რადგანაც დიდად მავნებელი და დამასუსტებელი არის ჴორციელისა ძალისა, ცდილობდენ დაყენებასა, როგორც სულიერთ ვნებათასა, ეგრეთვე ჴორციელ გულის თქმათასა.

თავი მეოცე

დიდის საჭიროებისა და სარგებლობისა თჳს, რათა მსწრაფლ გამოუცხადებდეთ მთავრობასა, ოდესცა ვინმე ავად გახდეს, ანუ უეცრად მოკუდეს, და უმეტეს ჟამსა ჭირისასა.

ფრიად საჭირო არს და დიდად სასარგებლო ყოველს ჟამს, და უმეტეს დროსა შესაყართა სნეულებათსა, გამოცხადება მთავრობისადმი, როგორც ავადმყოფისა, ეგრეთვე მიცუალებულისაცა ამისთჳს რომ მართებლობა მაშინვე

(ა) საკრავი არს წყარო განმაღვიძებელი მხიარულებისა, რომელიცა საამოებითა თჳსთა ხშირად არჩენს კაცთა სხუათა და სხუათა სნეულებათაგან, ამისთჳს დროსა ჭირისასა უნდა მით ემხიარულებდეთ.

გაგზავნის აქიმსა, და მით ვსცნობთ ჩუენ, თუ ავადმყოფი შესაყარი სნეულებით არ არის ავადა, უშიშრად მოუვლით სნეულსა, და თუ შესაყარი სნეულებით არის ავადა, მაშინ მსწრაფლ ვეცდებით მორიდებასა ჩუენსა და სხუათასაცა, და აგრეთვე მოვარიდებთ ნივთთაცა; ესე არის უპირველესი, და უკეთესი ღონე სნეულებისაგან განრინებისა. ამის თჳს განწესებულ არს რომ დროსა ჭირისასა, და სხუათა შესაყართა სნეულებათსა, დადიოდნენ ყოველს სახლში პოლიცის მოხელენი, და სცნობდნენ ყოველდღე მშვიდობასა მათსა. და თუ ავად არის, ანუ მომკუდარ არს ვინმე, თუნდა ყრმაკ იყოს, მაშინვე აცნობებენ ექიმსა, და ექიმი სნეულს განჰსჩხრეკს და გამოაცხადებს სნეულებასა, და მკუდრისათჳს მისცემს ბილეთსა დასამარხავად, რადგანაც უბილეთოდ არ შეიძლება დამარხვა, (სადაც ექიმი არის). ამის თჳს მრავალნი, რომელთაც არ იციან ამის შემდგომი სარგებლობა, დრტვინვენ და ჩივიან, რომ მკუდართ დამარხეაც გაჴნელდაო, თუ ბილეთი არა გვაქუს აქიმისაგან მკუდართა ეღარ ჩავფლაკთ მიწაშია; მე ვიტყჳ რომ არაფერი არა არის რა მმართებლობისაგან განწესებული, რომელსაც არ შეუდგებოდეს დიდი სარგებლობა, ამის თჳს მე მნებავს მოკლედ აღვსწერო იგი საყოველთაო სარგებლობა, რომელიც შეუდგების ექიმთაგან განჩხრეკასა ავადმყოფთა, და მკუდართასა ყოველს დროს.

(1) განჩხრეკენ რა ექიმნი, ცნობენ სახელღობრ, თუ რომლითაც სნეულებითა არის ავად, ანუ მომკუდარ არს, და ამით მისცემენ ჭეშმარიტ ცნობასა მმართებლობასა, რომელსა დროსა, და რომელსა თთუჩსა, და რომელსა ადგილსა, რაოდენნი იყენენ, და ანუ არიან სნეულნი, და ანუ რაოდენი მომკუდარ არს, და რომლის გუარის სნეულებითა და ამისთანას წარდგინებითა, მმართებლობა სცნობს, რომელსაც ადგილს არის შესაყარი სნეულება, და მიიღებენ შესაფერს სიფრთხილესა, რათა არა განმრავლდეს სნეულება გარდადებითა.

(2) განჩხრეკენ რა ექიმნი მკუდართა, ჰსცნობენ ეგრეთვე თუ მოწამლჳთ მომკუდარა, ანუ თუ მოუკლავს ვისმ, და რაგუარის იარაღითა და ეგრეთვე სცნობენ, თუ თვითონ მოუკლავს თავი. ამისთანას განჩხრეკით შესაძლებელ არს მკუ-

ლელის პოვნა, და მიცემა ხელთა შინა მართლ-მსაჯულებისათა.

(3) კუალად განჩხრეკენ რა ექიმნი, სცნობენ თუ მომკუდარ არს სრულად, ანუ არის ძლიერად გულშემოყრილი, რადგანაც არის ამგვარი გულშემოყრაჲ, რომელიც იქმნების დიდხანს განგრძელებით, და დაჰკარგვენ თითქმის სრულიად სიცოცხლის ნიშნებსა. და იქმნებიან ვითარცა მკუდარნი რაოდენსამე დღესა, ესრეთ, რომელ მხოლოდ ექიმთ შეუძლიანთ განრჩევა მათი მკუდართაგან, და არიან მრავალნი მაგალითნი, რომელ, ამისთანა გულშემოყრილნი დაუმარხავსთ მკუდრის სახედ, და ეგრეთვე ვიცით, რომ მრავალნი ორისა და სამის დღის შემდგომადაც მობრუნებულან, აკლდამაშიც დებულნი; და ეგრეთვე მრავალნი გამოცდილნი მწერალნი გვაძლევენ ჩუენ ცნობასა წიგნებითა თჳსითა, (ა) რომ მრავალგზის მამხდარა შემთხვევით ენახოთ მიწაში მრთელს კუბოში ახლად დამარხულნი რომ მობრუნებულან, და დაუ-

---

(ა) ჩინებული დოხტური ღუფლანდი სწერს მრავალთა უბედურთა მაგალითთა მსწრაფლითა დამარხვითა მომხდართა შორის, ამასაცა. რომელ ერთ ყმარწვილს კაცსა და ერთს პარიჟის დიდ ვაჭრის ქალს შეუყვარდათ ერთმანეთი, და უნდოდათ ერთმანეთის შერთვა, მაგრამ ქალის მამას დიდად შორს ეჭირა, და არცარავისაგან მიღებდა ამისათჳს რჩევასა, და ძალად მიათხოვეს სხუა კაცს, და შემდგომ გათხოვისა მოკლე ჟამში გახდა ქალი ავად და მოკვდა პარიზში. და მეორე დღეს დამარხეს, პირველი საყვარელი ქალისა, რომელიც იტანჯებოდა სურვილითა უკანასკნელის მაინცოდენ ხილვისა მისისათა, წარვიდა საჩქაროდ, და მოიყიდა მესაფლავე, და მასვე ღამესა მოსთხარა საფლავი და აღმოიღო გვამი საყვარელისა თჳსისა, და უქადა სიკვდილი მესაფლავესა მას უკეთუ განასცხადებს იგი საიდუმლოსა ამას, და წარიღო მკუდარი სახლსა შინა, და დაასდვა მახლობელ ცეცხლისა და ზელდა იგი თბილის ხელსახოცისა სჴეულსა მისასა, და ხმარობდა ყოველსა ღონის ძიებასა მობრუნებისა თჳს სიცოცხლისა, მისისა, რომლისაცა სიცოცხლე თჳით დამოკიდებულ იყო მისზედა, შემდგომ რაოდენისამე სათისა გამოჩნდა სა-

გლეჯიათ ცხვირპირი, და რომელთამე ჭელებიცა კბილთა. ამის თჳს იხილეთ წიგნსა შინა ელიზინისასა. 1801 წელსა დაბეჭდილსა ს. პეტერბურღსა შინა, რომელსაც ეწოდების, ცნობა სიჩქარით დამარხულთა. ამისთჳს არის სჯული დადებული, რათა უწინარეს სამისა დღისა არ დამარხვიდენ მიცუალებულთა: რომელთამე სახელმწიფოთა შინა აქუსთ ჩუეულებად სიფრთხილისა თჳს. მიცუალებულთა დასდგმენ რაოდენსამე დღესა, ცალკე მათთჳს საკუთრად აღშენებულთა სახლთა შინა, და მოაბმენ მკუდართა ფერხთა და ჭელთა ზედა მართულსა, რომელიც იქმნების გატანილი კედელსა შინა და მობმული მცირესაზარის ენასა ზედა, სადაც იმყოფებიან განწესებულნი ყარაულნი, და შემთხვევასა შინა ვისსამე მობრუნებისასა, შეძვრასავეთანა შეიტყობენ ყარაულნი ზარის ჴმისაგან, და მსწრაფლ მიეშველებიან. მრავალთ ყარაულთ მიუღიათ ამის თჳს ჯილდოცა, და ერთს ყარაულთაგანსა თორმეტ გზის. სხუასა და სხუასა დროსა; და ესეთის მაგალითებით სჩანს, რომ მკუდართ დამარხუას არ უნდა მსწრაფლობდნენ და თუ აქიმი იყოს არც უაქიმოდ დამარხონ.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ე რ თ ე

საჭიროებისა თჳს სნეულთა, და სნეულთ მომვლელთა, და სიფრთხილისა თჳს მათისა.

ჰსჯული ქრისტიანეთა, სიყუარული და შებრალება მოყუასთა გვაიძულებენ არა დატეკებად ვისსამე უშემწეოდ

სურველი ნიშანი, მკვდრად საგონებელმან იწყო სუნთქვაჲ და მცირედ მცირედ მცირედ მობრუნებაჲ, და ოდესცა სრულებით მოვიდა სიცოცხლესა შინა, მაშინ ამათ ახალთა მეუღლეთა უშიშროებისათჳს თჳისასა განიზრახეს წასვლაჲ ანგლიად, და შემდგომად რაოდენთამე წელთა, მოიქცნენ იგინი პარიჟად, სადაც არავინ არ ირწმუნებდა რომ თვით ეს ქალი ყოფილიყოს იგი, რომელიც მოკვდა და დამარხულ იყო უწინარესა რაოდენთამე წელთა. მაგრამ მეორემან ქმარმან მისმან წარადგინა უეჭველი დამტკიცებაჲ და მოითხოვდა მემკვიდროებითსა საქონელსა ქალისასა და ამით იწყო საჩივარი

უბედურებასა შინა, და ამისთჳის უმეტეს ჯერ არს ყამსა ჭირისასა გრძნობად ლმობისა და სიყუარულისა, მოყჳსთასა. და ესრეთ ოდესცა ვისმე შეეყაროს სნეულება ესე, უნდა აღირჩიონ მომულელად მისსა, იმისთანა გჳამი, რომელსაც ეხადოს სნეულება იგი, (ა) ანუ იგი, რომელიც თითონ გამოითხოვეს მოვლასა მისსა და ანუ, რომელისაც უშიშროება და კეთილ გონიერი სიფრთხილე ცნობილ იყოს, და უნდა შეაგონებდენ მათ, რომ ყოვლისა შემძლებელი ღმერთი არა დაუტევებს კეთილმოქმედებასა მათსა, როგორც სოფელსა ამას ეგრეთჳ საუკუნოსაცა ცხოვრებასა შინა, და სასოებითა ღისათა შემძლებელ არს იგი სიფრთხილისათანა შეწევნად სნეულისა, და დაცჳად თავისი თჳსისა და მეზობელთაცა.

მომვლელი სნეულისა თანამდებ არს სიფრთხილით ქცევად, რათა არა შეეხებოდეს სნეულსა შიშჳცლის ჴელითა. და უმეტეს მაშინ, ოდესღაც აქუნდეს ოფლი, და თუ დიდად საჭირო იყოს მაშინაც დიდის სიფრთხილით შეეხებოდეს.

დიდ-საკვირველი. პირველი ქმარი ამტკიცებდა, რომ კანონით არის ქალი იგი მისი ცოლი, მეორე ქმარი აღმოაჩენდა, რომ ქალსა მას უნდა რაცხდნენ პირველის ქმრისათვის მკვდრად. რადგანაც თვინიერ შემწეობისა მისისა არაოდესმე განცოცხლდებოდა იგი. და ამით მოიპოვა მან სრული სიმართე ცოლად ყოლისა მისისა. რადგანაც ჩანდა რომელ პარლამენტი იყო მჴარედ პირველის ქმრისა, რომლითაც იძულებული იყვნენ კვალად ანგლიაში წარსვლად ახალნი ესე მეუღლენი. და აღარ მოუცადეს გარდაწყუჳტასა საქმისასა, რომელთაც განაჩენი ვიდრე აქამომდე არის არხივასა შინა პარლამენტისასა. უფალი დოხტური ღუფლანდი მოგვითხრობს რაოდენსამე მსგავსა ამისსა შესაძრწუნებელსა მაგალითსა განფრთხილებისათჳს ჩვენისა, და ვედრებით გვირჩევს, რათა ვბაძვიდეთ ანგლიაში დაწყობილთა წესთა, სადაც არ დამარხვენ მიცვალებულსა სანამ არ გამოაჩნდების სჴეულზე ლურჯი ხალები, რომელიც არის სწორედ სიკვდილის ნიშანი.

(ა) გონებენ აზიასა შინა ვითამც ჭირნახადთ ჭირი აღარ შეყრებოდესთ, ამის თჳს ვისაც უხდია იგინი კადნიერად უვლიან სნეულთა.

უნდა ხშირად იბანდეს ჭელსა, და ტანსა. ქაფურით შეზებულის ძმრითა, (იხილე თავსა 28), და უნდა აქუნდეს ღრუბელი, ანუ მჩუჩარი დასუფლებული ძმრითა დადანაყილის ნიურით და ხშირად სუნეედეს; ჯიბესა და უბეში უნდა ჰქონდეს ნიორი, და ხშირად უნდა ჰფურთხევდეს და არ ჰყლაპავდეს ნერწყვსა, იყრჩოლებდეს თჳთ და აყრჩოლებდეს სახლსა. ტანისამოსსა და სხუათა ნივთთა, აღწერილის წამლებითა. (იხილე თავსა ოცდა მეექუსესა, ოცდა მეშვიდესა). სნეულსა და სნეულის მომვლელს უნდა ჰქონდესთ კარგი და რიგიანი სასმელ საჭმელი, და ხმარობდენ ზომიერად; (იხილე სასმელ საჭმლისათჳს თავსა მეათორმეტესა). მოვლელნი სნეულთანი, და მომტანნი საჭიროთა ნივთთა და სასმელ საჭმელთანი, არ უნდა მიუდგებოდნენ ერთმანეთსა, და ერიდებოდნენ ახლოდ ლაპარაკსა, და არც უკანღა წაიღებდენ მოტანილს ჭურჭელსა, და სხუასა ნივთსა, და არც ერთი მახლობელთა ნათესავთაგანი უნდა მოუშვან სნეულსა თანა, გარდა სულიერთა და ჭორციელთა მკურნალთა, და ამისთანა სიფრთხილით ქცევა შეამოკლებს განმრავლებასა ჭირისასა.

თავი ოცდამეორე

შიშისა თჳს უაქიმოდ ხმარებასა წამალთსა.

არა რაჲ არს წინა აღმდეგი კეთილგონიერებისა ესრეთ, როგორც რომ ვხმარობდეთ უექიმოთ წამალთა, უქამოდ და უცნობელად სნეულებისა, და ძალსა წამალთასა და ზომათა მათთა; მრავალნი ჩუჩჰულებად მიიღებენ გამოშვებასა სისხლისასა ჭელთა ფერჭთა და ენისაგან, (ა) ეგრეთვე მიიღებენ წამალთა, რომელთაც აქუსთ ძალა პირიდამ, ანუ ტანიდან საქმობისა, აზრითა ამით ვითამც სასარგებლო იყოს მათდა სიმრთელისათჳს, რომელიც უმეტეს ექმნების მათ შემდგომსა შინა მავნებელ და მიზეზ სხუათა სნეულებათა; ამისთჳს გო-

---

(ა) ჩუჩულებაჲ ესე ნამეტნავ აქვსთ აზიის მცხოვრებელთა.

ნიერება მოითხოვს არა ხმარებასა ესე გუართა წამლობათსა უაქიმოდ, და ნამეტნავად ჟამსა ჭირისასა.

თავი ოცდა მესამე

შიშისა თჳს წამლისა, და რჩევის მიღებისა უსწავლელთა ექიმთაგან.

ჩინებული დოხტური ტისოტი, სწერს სწავლისა თჳს კაცთასა, წიგნსა შინა თჳსსა, რომელსაც ეწოდების დარიგება ერთა დაცჳსათჳს სიმრთელისა. სხჳათა თანა იტყჳს ექიმთა თჳს, უსწავლელთა და სოფლის დედაკაცთათჳს, რომელნიც ჩემობენ ექიმობასა, (ფურცელსა 473) მეუნდა ვსთქჳ ეგრეთვე უბედურებისათჳს და მავნებელობისა, რომელიც უმეტეს სწყვეტს ხალხსა ვიდრეღა აღწერილნი ჩემ მიერ სნეულებანი სხუანი ექიმნი შეასწორებენ ჭირსა მავნებლობასა მათსა, და ამისთჳს ურჩევენ ყოველთა მორიდებასა მათსა, რომელნიც ცრუდ ჩემობენ ექიმობასა. ამის თჳს არის ბრძანება ყოველთა ქალქთა შინა მართებლობისადმი, რათა ცდილობდენ დაყენებასა მათსა აქიმობისაგან, და მის თჳს არიან განწესებულნი ევროპის საჴელმწიფოთა შინა საექიმონი სასწავლებელნი, სადაც შეუძლიანთ მსურველთა სწავლაჲ ექიმობისა, და შემდგომად სწავლისა ეძლევისთ ღრამატა და გამოეცხადების ყოველთა სახელი და სწავლაცა მათი. და რომელთაც არა აქჳსთ ღრამატაჲ ფიცხელად დაეყენების აქიმობაჲ მათი ყოველ თჳს, და უმეტეს დროსა შესაყართა სნეულებათასა. ეგრეთვე არა ჯერარს მათგან გაკეთებულთა წამალთა სყიდვაჲ, რაგჳარიც უნდა უწოდონ სასარგებლო შემაცთუნებელი სახელი, ეს იგი, კაპლი მარგებელი ყოელისა სნეულებისა. კაპლი განმამაგრებელი კუჭისა, და დღეგრძელობის მიმცემი, აბი ჭირის შეუყრელობისა, წამალი განმასწორებელი და ღმეჭილის პირისტყავისა, და მიმცემი სილამაზისა ყმაწვილობის შესახედაობისა დედათა. და მსგავსნი ამათნა. დასალევი, თუ გარედამ წასასმელი. არ უნდა მივენდოთ ბრმად ამისთანა სასარგებლოდ საგონებელს სახელის წოდებასა წამალთასა, ამისთჳს რომ ეგოდენ მავნებელი არის

წამალი მათი. რაოდენცა იგინი არიან ანგაარ და ვერცხლის მოყუარე. მე ვიტყვ, უკეთუ ვინმე იცოდეს საკუთრად, რომლისა მე სნეულებისა წამალი გამოცდილებისაგამო, მაშინ შეუძლიან მას გამოცხადება მმართებლობისადმი ცოდნისა თვსისა, და დამტკიცება მისი, და ესე გუარისა საზოგადოსა სასარგებლობისა გამოცხადებისა თვს, მიიღებს მთავრობისაგან შესაფერს წყალობასა, და ნებაც მიეცემის მხოლოდ მის სნეულების ექიმობისა.

თავი ოცდამეოთხე

განყოფილებისა თვს ნივთთასა სახელდობ, რომელთა შორის იფარვის ხანგრძლივ ჭირი, და რომელთა შორის მოკლეს ჟამს.

ყოველთა რიგთა ნივთთა, რომელნიც არიან რბილნი და გაფუებულნი და არა მაგარნი, ძალუცსთ მიღება და ფარვა თვს შორის შესაყართა სნეულებათა, და ნამეტნავად ჭირისა, ოცდა ათის დღითგან, ვიდრე სამოც დღემდე, ესე იგი ბამბასა, კანაფსა, აბრეშუმსა, მატყლსა, თმასა, ყუითვკსა, ბუმბულსა, ბეწვეულსა, ხავერდსა, მაუდსა, ტილოსა და ყოველსა რიგსა ფარჩასა, ნარმასა, ტყავთა გაკეთებულთა, და გაუკეთებელთა ყოველთა თოკთა და საბელთა ლართა, ოქრომკედსა, ოქრომკედისა და სხუათა არშიათა, ღრუბელსა, აბედსა, ქალალდსა, თივასა ჩალსა, თამბაქოსა, სვიასა და ყოველთა ესე გვართა ნივთთა.

ნივთნი, რომელნიც არიან მაგარნი და მტკიცენი, და ეგრეთვე სასმელნი, ესე იგი, ყოველი რიგი ოტკა და არაყი, ღვინო, ძმარი, ზეთი, ერბო, საპონი და ესე გვარი ყოველნი, მეტალი, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თითბერი, კალა, ტყვია, რკინა და ყოველი სახმარი ჭურჭელი და იარაღი ამ ნივთებით გაკეთებულნი, მინა, სარკე, და ყოველი ძვირფასნი ქჭანი, და სხჭანი თიხისა და ჩინის ჭურჭელნი, ყოველი ძვალი, ყოველი რიგი საღებავი, შაქარი, ლაქი, სახამებელი, ხვარბალი, ფქვილი თოფის წამალი, და ყოველი ესე გვარი ნივთი; ხილი ხმელი და ახალი, და ეგრეთვე სხვანნი სანოვაგენი, მიიღებენ ჭირსა და შესაყარს სნეულებასა, სამით დღითგან, ვიდრე ექვსამდე. ვადა ესე განწესებულ არს შესაბამის ყრჩოლებისათვს, რომ-

ლითაც განიწმინდების ჭირის საშიშროებისაგან; და თჳნიერ ყრჩოლებისა და განწმენდისა ყოველთჳს იქმნების საშიშარ.

თავი ოცდამეხუთე

განწმენდისა თჳს ნივთთა ჭირისაგან, ანუ სხჳათა შესაყართა სნეულებათა, არიან ოთხგუარნი ღონის ძიებანი, შესაფერად ნივთთა.

(ა) იყრჩოლების ყოველთჳს სახლი და ყოველი ნივთი, განდევნისა თჳს ცუდისა სუნისა, და მიცემისა თჳს სუნნელებისა, ამით წამლითა, რომელიც არის აღწერილ თავსა ოცდა შექჳსესა. იყრჩოლების. როგორც ჭირიანნი, ეგრეთჳცა საიჭჳცნიცა, სახლნი და ნივთნი, ბამბა, კანაფი, აბრეშუმი, ყაჭი. მატყლი, და ყოველივე ამათგან გაკეთებული ფარჩა, მაუდი, ტილო, თუ სხუა რამ ნივთი, ბუმბული, ყუითუკი, თმა, ბალანი, ბეწუცლი, და ყოველი ასე გუარი, და მათგან გაკეთებულნი ნივთნი, ღრუბელი, აბედი, საბელი, თოკი, ყუთი, ჭილობი, ხალიჩა, ქეჩა, ფარდაგი, და ყოველი ამ გუარი ნივთი, რომელთაც არა აქჳსთ ნაზი ფერი. წამლითა, რომელიც აღწერილ არს თავსა ოცდა მეშვიდესა.

(ბ) გამზევებით და ჰაერში გაკიდებით განიწმინდების ყოველი ნივთი, რომელთაც აქჳსთ ნაზი ფერი და არიან სათუთნი და წმინდანი, ესე იგი, ხავერდი და ფარჩა აბრეშუმისა. თუ ბამბისა, გინა მატყლისა, ოქრომკედი და ოქრომკედის არშია ანუ ყალბი. ხატი და პატრეტი დახატული ტილოსა ზედა. სხჳა და სხჳა რიგნი ძირნი, ქერქნი და ფოთოლნი. ესე იგი, რევანდი, დარიჩინი, თამბაქო, და სხჳანი ესე გჳარნი, რომელთაც ვადა არის ოცი დღე განმზევებით განწმენდისა.

(დ) გარეცხით გაიწმინდების ყოველი ხისგან გაკეთებული სახმარი ნივთი, და ზეთით დახატული ხატი და სახე, ანუ სხვარაჲმე ნივთი, შესაფერად მათდა, რომელიმე გაირეცხების წყლითა, და რომელიმე გაიწმინდების სველის ღრუბლითა, ანუ ჭელსახოცითა რამდენჯერმე; წმინდა სანთელი, ანუ ქონისა, წყალში დებით განიწმინდების, ეგრეთვე ყოველი ვერცხლეული, სპილენძეული, რკინეული. მინა, ბროლი და

ესე გუარნი სახმარნი ჭურჭელნი და ნივთნი რამდენჯერმე გარეცხით განიწმინდებიან.

თავი ოცდამეექუსე

შეზავებისა თჳს ყოველთა რიგთა საყრჩოლებელთა წამალთა, რომელნიც განსწმენდენ სახლთა და ნივთთა მყრალისა და მავნებელის სუნისაგან, და მისცემენ საამოსა და კარგსა სუნნელებასა, რომელნიც იხმარებიან ყოველ დროს.

პირველი რეცეპტი.

უნდა მოიღოს დანაყული დანამასტაკი და საკმელი ათ ათი მისხალი, გუნდრუკი და სუნნელი მური ხუთხუთი მისხალი, ვარდი გამხმარი და მოფშუნეტილი ოცი მისხალი, ესენი ერთმანეთში უნდა აურიოს, და კარგს ჭურჭელში შენახული და მაგრად თავდაცმული უნდა იყოს, რომ სუნი არ წაუვიდეს, და ნახევარ მუჭას დააკმევდეს ხოლმე ნაღვერდალზედა, და ისრე შემოატარებდეს სახლსა, და ნივთთაც უყჩოლებდეს.

მეორე რეცეპტი.

უნდა მოიღოს ქარვის ნაფშხუტნი, დანამასტაკი, ლადანა, და გუნდრუკი ხუთი მისხალი, ჯავზის ფოთოლი, ანუ ჯავზი და დარიჩინი ოთხ-ოთხი მისხალი, ვარდის და იის ყუავილი მოფშუნეტილი ათ-ათი მისხალი, ერთად აურიოს და აკმიოს.

მესამე რეცეპტი.

უნდა მოიღოს კარგი ღვინის ძმარი ნახევარი თუნგი გვარჯილა დანაყილი თუთხმეტი მისხალი, ანუ მარილი ჩაყაროს ძმარში და გაცხელებულს აგურზედ ასხას და აბოლოს სახლშია, რომელიც განსწმენდს ცუდს სუნსა და უმეტეს ჰაერსა.

მეოთხე რეცეპტი.

უნდა მოიღოს გახურებული აგური, და ყარონ ზედ გამხმარი პიტნის კონა და დაასხან ძმარი და მით აყრჩოლონ

სახლი, ეგრეთვე შეიძლება ყრჩოლება შაქრითა, ლაქითა. საკლმითა, გუნდრუკითა, ლადანითა, ღვის კანკრითა, გუარჯილითა, ძმრითა, ამათ-განის თვთოეულით შეიძლება ყოველთვს ყრჩოლება, რომელიც მზად სახლში იპოებოდეს.

თავი ოცდამეშვიდე

შეზავებისა თვს ყოველთა საყრჩოლებელთა წამალთა, რომელნიც განსწმენდენ როგორც საიჭუცლთა ეგრეთვე ჭირიანთა სახლთა და ნივთთა.

მეხუთე რეცეპტი.

უნდა მოიღოს თეთრი ფისი, ანუ შავი ფისი, ღვის კენკრა და ფოთოლი დანაყილი ნახევ ნახევარ ლიტრა, გუარჯილა და გოგირდი თითო ჩარექი, და აურიოს ერთმანეთში, და უნდა დაანთოს ცეცხლი დერეფანშია და აყრიდნენ ამ წამალს თითო მუჭას, და აკომლებდენ დღეში მაინც სამჯერ, რომელიც განსწმენდს ჰაერსა, და დაიცავს სახლსა შესაყართა სნეულებათაგან.

მექვსე რეცეპტი.

უნდა მოიღოს სუნნელი მური და გუარჯილა თითო ჩარექი, გოგირდი ნახევარ ჩარექი, ღვის კენკრა ნახევარ ლიტრა, და დანაყოს ერთად, და თითო მუჭას აყრჩოლებდეს დილა-საღამოს სახლსა, და ნივთთა,

მეშვიდე რეცეპტი.

უნდა მოიღოს წვრილად დაკურწვილი ღვის ხე და მისი კენკრა და ფოთოლი, ქატო, ნახევარ-ნახევარ ლიტრა, გოგირდი, გუარჯილა, თითო ჩარექი. ერთად არეული, თითო მუჭას აყრჩოლებდენ დღეში სამჯერ ჭირიან სახლსა, და ნივთთა.

მერვე რეცეპტი.

უნდა მოიღოს დანაყილი მარილი ნახევარ ლიტრა, დანაყილი შავი მარგანეცი ნახევარ ჩარექი, (რომელიც აფთიაქში

იყიდება). აურიოს ერთად, და ორი კოვზის ოდენი ჩაყაროს ხოლმე დიდს თიხის ჯამში, და ერთი კოვზის ოდენი დაასხას ზედა შაბიამანის ზეთი, რომელსაც ეძახიან შაბიამნის თეზაფსა, და ერთი კოვზიც წყალი და ჯოხით მოურიონ, და ეს შეზავდება თავის თავად დააყენებს კომლსა, რომელიც განსწმენდს და განაქარვებს სახლსა და ნივთთა შინა დაფარულს ჭირსა.

როდესაც საჭიროება მოითხოვს ამ ზემოწამლით ყრჩოლებასა. მაშინ ჭირიანი სახლი კარგად უნდა იყოს დაცმული, კარები და ფანჯრები დახურული, რომ სული არ გავიდეს, და ნივთნი უნდა იყვნენ მაღლა გაკიდებულნი, და რამდენსამე ადგილს სახლში უნდა იყრჩოლებოდეს, დღეში ორჯერ, და თუ ჭირში ნამყო ი კაცი იყოს, უნდა ტიტველა შევიდეს ამისთანას დაყრჩოლებულს სახლშივე და გამოვიდეს, და ესრეთ იყრჩოლოს, და ეგრეთვე ყოველი ნივთი საეჭუ(ა)ლი ასე უნდა აყრჩოლონ. მაგრამ დიდად სიფრთხილით უნდა იყოს შენახული შაბიამნის ზეთი, რომ უეცრად არავინ შეეხოს, ან არ დაღვაროს ან არ დალიოს, და ხმარებაშიაც უნდა გაფთხილდეს, რომ წვეთი არაზედ დაეცეს, თორემ მაშინვე დასწვავს.

თავი ოცდამერვე

შეზავებისა თჳს ყოველთა რიგთა წამალთა, რომელნიც იხმარებიან უმეტესის სიფრთხილისათჳს გარედამ წასასმელად, ჟამსა ჭირისასა, და სხუათა შესაყართა სნეულებათასა (ა)

(ა) რიცხუთა შორის ხმარებულთა ღონის ძიებათა დაცვისა თჳს ჭირისაგან ეგრეთვე იქების ჟამსა ჭირისასა ქონება დუგუნისა ფეხზედ, ანუ მკლავზე. და ყვავილ აუცრელთა აცრა ყვავილისა, რადგანაც ამტკიცებენ, რომ იმათ რომელთაც ჰქონიათ იარა, ანუ დუგუნი, ანუ სჭირებიათ იმჟამად ყვავილი. აღარ შეჰყრიათ მათ ჭირი.

მეცხრე რეცეპტი.

უნდა მოიღოს აბზინდა, და ბალახი მარიამსაკმელა, პიტნა, სალბი, ათ-ათი მისხალი გამხმარი და დაფშუნეტილი, ღვის კენკრა ათი მისხალი და ნიორი ხუთი მისხალი დანაყილი, ერთად აურიოს და ჩაყაროს ქოთანში და დაასხას ცხარი ღვინის ძმარი, ნახევარ თუნგი, დადადგას თბილს ადგილს ორს დღესა, და მასუკან კარგად გასწუროს, და ხშირად ტანზედ უნდა ისვამდეს ღრუბლით, ანუ სხვით რითმე და კარზედაც არ გავიდეს წაუსმელად.

მეათე რეცეპტი.

უნდა მოიღოს, კატა ბალახი, კულმუხოს ძირი, ღვის კენკრა გამხმარი და დანაყილი ათ-ათი მისხალი, და ზედ ნახევარ თუნგი ძმარი დაასხას და თბილს ადგილს დასდგას ორსამს დღესა. და მასუკან კარგად გასწუროს, და თუ იშოვებოდეს სადმე ქაფური, მოიღოს ორი მისხალი დაასხას ზედ ერთი კოვზი ცხარი ოტკა და გალესოს და დადნობის შემდგომად აურიოს ისიც იმაშია. და წასასმელად ტანისა იხმაროს. თუ ვინიცობა არის ასრე შეზავებისა თჳს არ იშოებოდნენ ეს ხსენებულნი წამალნი, მარტო ძმარიც კარგია რომ იხმარონ, ანუ გაურიონ მცირედ ნიორი.

მეათერთმეტე რეცეპტი.

ეგრეთვე დიდად სასარგებლო არის ჭირისაგან დაცჳსათჳს, დღეში ერთხელ ტანზედ წასმა ზეითუნის ზეთისა, ანუ სელის ზეთისა.

მეათორმეტე რეცეპტი.

უნდა მოიღოს ორი მისხალი ქაფური წვრილად დაჭრილი, და დაასხას ოცი წუეთი ცხარი ოტკა და გალესოს, და დადნობის შემდგომ გაურიოს ერთს სტილს ზეითუნის ზეთში, (რომელსაც ეწოდების ქაფურის ზეთი), და იხმაროს ტანზედ წასასმელად. ეგრეთვე ვისაც ყური სტკიოდეს, შეცივებისაგან

უნდა ეს ზეთი სამი წვეთი დააწჭყოთოს ბანბაზედა და ჩაიდვას ყურში რომელიც დიდად არგებს.

მეათცამეტე რეცეპტი.

ეგრეთვე იხმარების ტანზედ წასასმელად ქაფურის არაყი უნდა მოიღოს ქაფური სამი მისხალი, და ერთს სტილს ცხარს ოტკაში გალესოს კარგათ, და ეს იხმაროს ჟამსა ჭირისასა გარედგან წასმით. ეგრეთვე თუ კაცმან იტკინოს ფეჯი ანუ ჭელი, ანუ აუსივდეს. დიდათ, არგებს რომ წაისვას ესე ქაფურის არაყი.

თავი ოცდამეცხრე

შეზავებისა თჳს წამალთსა, ყაბზობისა, ოფლისა და სიცხისა.

მეათოთხმეტე რეცეპტი.

დროსა ყაბზობისასა, თუ აქვს სნეულსა დიდი სიცხე, არ მიეცემიან მაგარნი სასაქმებელნი წამალნი, ესე იგი რევანდი, საბრი, სინამაქი, რუბირევანდი, და მსგავსნი ამათნი, რომელნიც განაფიცხებენ სისხლსა და მოუმატებენ სიცხესა. უმჯობეს არს მიცემად, ესე ვითართა სასაქმებელთა წამალთაგან ქჭყმორე ამისა აღწერილნი; რომელნიც ასაქმებენ და სიცხესაც განაგრილებენ.

მეათხუთმეტე რეცეპტი.

უნდა მოიღოს სტილ-ნახევარი შავი გამხმარი დამასხი, ანუ ჭანჭური, და ერთი ჩარექი წყალი დაასხას და ძრიელ მოხარშოს ქოთანში და ანუ ახალს მოკალულს ქუაბში, და შემდგომ გასწუროს, და გაურიოს შიგ თორმეტი მისხალი მანანა, და თუ იყოს ოთხი მისხალი წმინდა ღვინის მარილიც, ანუ ერთი მისხალი დანაყილი ანისული, და კიდევ გასწუროს, და დაალევინოს დილაზედ უზმოდ,ან დაწოლის დროს საღამოზედ, ერთი პატარა ჩაის ფინჯანი, და ოთხის საათის შემდგომად თუ არ ასაქმოს კიდევ დაალევინოს.

მეათექუსმეტე რეცეპტი.

ეგრეთვე გახსნის ყაბზობას ასტრახანის მარილი, ღვინის მარილი, მაღნიზია თეთრი, მანანა, ამათგანი რომელიც იყოს უნდა მოიღოს ხუთი მისხალიდა დაადნოს ერთს ფინჯანს თბილს წყალში და დაალევინოს უზმოდ, ან დაწოლის დროს.

მეათშვიდმეტე რეცეპტი.

ოფლის მოყუჟანისათჳს, უნდა მოიღო გჳრილა, ან დიდგულის ყვავილი, ან პიტნა, ან ვირის ტერფა, ან ანისუნი ან კამის თესლი, ან სალბი, ან საროს ყვავილი, ან ყაყაჩო ერთი რომელიც იყოს ამათგანი, ნახევარ მუჭა უნდა ჩაჰყაროს ჩაიდანში და დაასხას მდუღარე წყალი, და დასდგას ცოტას ხანს თბილს ადგილს და შემდგომ გასწუროს და ორ-ორს ფინჯანს ცხელს ჩაისავით დაალევინებდეს ვინემ ოფლი მოუვიდოდეს, და ამ წამლებისაგან, რომელიც იყოს ერთმანერთში რომ აურიონ და ისრე იხმარონ უმჯობესია.

მეათვრამეტე რეცეპტი.

ჟამსა სიცხისასა წყლის მაგიერ უნდა ასვას სნეულსა ქერის წყალი; კოწახურისა ანუ ლიმონის წვენი გაწურვილი.

მეათცხრამეტე რეცეპტი.

ეგრეთვე სასარგებლო არის, რაკის თჳალი წმინდად დანაყილი, ან წმინდა გჳარჯილა, ან თეთრი მაგნიზი, ან ღვინის მარილი, ან თეთრი თაბაშირი, ამათგანი, რომელიც იყოს, მოიღონ ერთი მისხალი და ერთ მისხალს დანაყილს შაქარში გაურიონ და ოთხათ გაჰყონ და სამ სათ გამოშვებით დაალევინონ, ცოტას წყლით, ვინამ სიცხე ჰქონდეს ყოველ-დღე ასრე იხმარონ, და ამათგანი რომელიც იყოს ერთად არეული ამავე ზომით შეიძლება, რომ იხმარონ (ა).

(ა) ზემოხსენებული ზომა წამლობისა არის სრული წლის კაცისათვის დანიშნული და არა ყმარწვილისა თჳს, და მიხედვითა წელთათა შეამცირონ, ანუ მოუმატონ წონა.

თავი ოცდამეათე

გაკეთებისა თჳს ყავისა, ძირთა და თესლთაგან მცენარეთასა.

იხმარებიან სასარგებლოდ, როგორც სნეულების დროს, ისრე ყოველთჳს, ყავის მსგავსად გაკეთებულნი, სტაფილო, ვარდ კაჭაჭის ძირი, (ბ) და ქერი, ამათგანი, რომელიც ენებოს. უნდა მოიღოს გამხმარი და წვრილად დაჭრილი მოხალოს ღანაყილი მოხარშოს მსგავსად ყავისა, და იხმაროს, და თუ ნებავდეს ყავაშიაც გაურიოს თანასწორ და ისრე იხმაროს. ამრიგადვე გაკეთებული ნაცვლად ყავისა იხმარების კენკრა და მუხის კრრკო, რომელთაც ხმარება არს საკუთარი წამალი წყალმანკისა, ამისთანა ყავა მზათ გაკეთებული იყიდების აფთიაკშია.

თავი ოცდამერთმეტე

ცუდი წყლის განწმენდისათჳს.

დროსა საჭიროებისასა, როდესაც კარგი წყალი არ იყოს მაშინ უნდა განსწმინდოს ცუდი, ანუ ტბის წყალი ესრეთ, მოიღოს ბარაქიან დანაყილი და კარგად დამწუარი ნახშირი კოკაში ჩაყაროს და წყალი დაასხას და ხშირად ამღურებდეს და ურევდეს, მეორეს დღეს ძაბრში ჩასდვას ბარაქიან ბამბა და გასწუროს რამდენჯერმე წმინდად, რომელსაც ნახშირის ძალით წაერთმევა სიდამპლე და ცუდი სუნი და ისრე იხმაროს. ეგრეთვე გაუწურავი წყალი არ უნდა იხმარონ გაზაფხულზე და შემოდგომაზე, (ა) ჭის წყალი გაკეთდება მაშინ, ოდესცა მივცემთ დიდს მოძრაობასა ამღრევითა და ხშირის რევითა, ანუ ხშირად ამოღებითა და შიგვე ჩასხმითა. ეგრეთვე განიწმინდების მოდუღებითა, მაგრამ ნახშირთ განწმენდა უპირველესი არის.

(ბ) უნდა გაზაფხულზე მოთხარონ, რადგან მაშინ არა აქუს სიმწარე ვარდკაჭკაჭის ძირს.

(ა) რადგანაც ყოველთ იციან რომ ამისთანა დროში არის წყალი მღვრიე და შიგ ცურავენ მავნებელნი სხუა და სხუა გვარნი მცირენნი ჭიანი.

სია და სახელი წამალთა ქართულად და რუსულად (ა)

აბზინდ,	პოლინ,
ანისუნი,	ანის,
ამბარი,	ამბრა სერაია,
არაყი ქაფურისა,	კამფარნოი სპირტ,
არაყი სასუნებელი,	ნუხატელნოი სპირტ
(გულის წუხილისათვის)	
აბედი,	ტრუთ,
ბალბის ყუავილი,	პროსვირნაია ტრავა,
გვარჯილა განწმენდილი.	სელიტრა ოჩიშენაია,
გვირილის ყუავილი,	რამაშკა,
გოგირდი,	სერა,
დარიჩინი,	კარიცა,
დანამასტაკი,	მასტიკა,
დარიპილპილი,	დოლლოი პერეც,
დამასხი შავი,	ჩერნოსლივ,
დიდგულის ყვავილი,	ბუზინოი ცვეტ,
ვირის ტერფა,	მათემაჩიხა,
ვარდის ყვავილი,	როზავოი ცვეტ,
ზაფრანა,	შფარან,
ზარდანჩო,	ჟოლტოი იმბირ
ზეთი მიხაკისა,	მასლო გვოზდიჩნოე,
ზეთი დარიჩინისა,	მასლო კორიჩნოე,
ზეთი ლიმონისა,	მასლო ლიმონნოე,
ზეთი პიტნისა,	მასლო მიატნოე,
ზეთი ანისუნისა,	მასლო ანისოვოე,
ზეთი ჯავზისა,	მასლო მუშკათნოე,
ზეთი ზეითუნისა,	მასლო დერევიანნოე.

(ა) წამლების სიაში რომელსაც წამალს არ უზის ვარსკულავი* იმ წამლების ყიდვა ყოველთვს შეიძლება აქიმის უბარათოთ.

ზეთი სელისა,	მასლო ლენნოე,
ზეთი ქაფურისა,	მასლო კამფარნოე,
*ზეთი შაბიამანისა,	*მასლო კუპაროსნოე,
ანუ თეზაპი,	ილი კისლოტა,
თესლი კამისა,	სემია უკროპნოე,
თესლი ხაშხაშისა,	სემია მაკოვოე,
თესლი სელისა,	სემია ლენნოე,
ილი,	კარდამონ,
კატა ბალახა,	მაუნა,
კოჟა თეთრი,	იმბირ ბელოი,
კოწახური,	ბარბარის,
კაპლი ღოფმანისა,	კაპლი გოფმანსკოე,
კაკალი შოქოლადისა,	ორეხ შოქოლადნოე,
კაკალი ინდოური,	ორეხ ინდეისკიი,
კუპრი,	დოღოთ,
გუნდრუკი,	როსნოი ლადან,
კულმუხოს ძირი,	დივესილნოი კორენ,
ლიმონი,	ლიმონ,
მარღანეცი შავი,	მარღანეც ჩორნოი,
მაღნეზია თეთრი,	მაღნეზია ბელაია,
მიხაკი,	ღვოზდიკა,
მარილი ანგლისა,	სოლ ანგლისკაია,
მარიამსაკმელა,	რუთა.
მანანა,	მანნა,
მური სუნელი,	ღუმი მირრაა,
მარილი სასუნებელი,	ნუხიტელნოი სოლ,
(გულის წუხილისა თვის)	
ნუში,	მენდალ.
ნიორი,	ჩესნოკ,
ნიშადური,	ნიშატირ,
პილპილი,	პერეც.
პიტნა,	მიატა,
რაკის თვალი,	რაკავიე გლასკი, ილი ჟერნოვ-კი,
რევანდი,	რევენ,
*რუბი რევანდი,	*ღუმი ღუთთა,
შალფეი,	შალფეი,

*საბრი,
საკმელი,
*სინამაქი,
საპონი ღიშპანიისა,
ტუხტის ფოთოლი,
ფოთოლი დაფნისა,
ფისი შავი,
ქერქი ლიმონისა,
*ქარვა,
ქატო პურისა,
ქინაქინა,
ქაფური,
ღვიის კენკრა,
ღვიის ხე,
ღვიის ფოთოლი,
ღვინის მარილი თეთრი,
გაწმენდილი,
ყაყაჩო,
შაბი,
ძირტკბილის ძირი,
ძმარი ღვინისა,
ძმარი სასუნებელი,
ძმარი შეზავებული
ჭირისაგან დამცველი,
ძირხვენის ძირი,
წყალი ვარდისა,
წყალი ანისუნისა,
წყალი პიტნისა,
წყალი დარიჩინისა,
ხორასანის თესლი,
ხაშხაში,

მდოგვი,
ჯავზი,
ჯავზის ყვავილი,

*საბურ,
ლადან,
*ალექსანდრიისკი ლისტ,
მილო ღიშპანსკოე,
პროსვირნოი ტრავა,
ლავროი ლისტ,
ვარ ჩორნოი,
კორკა ლიმონნაია,
*იანტარ,
ოტრუბი,
ხინა,
კამფარა,
მოქეველნიე იაგოდი,
მოქეველნოე დერევო,
მოქეველნიე ლისტი,
ვინნოი კამენ ბელოი, ილი
კრემორთართარი,
პოლევოი მაკ,
კვასცი,
სლოთკოვოი კორენ,
უკსუს ვინნოი,
უკსუს ნუხატელნოი,
უქსუს პრედოხრანიტელნოი
ოტჩუმი,
კორენ რეპეინოი,
როზოვაია ვადა,
ანისოვაია ვადა,
მიატნაია ვადა,
კარიჩნევაია ვადა,
ცეცვარნოე სემია,
მაკ,

ღორჩიცა,
მუშკატნოი არეხ,
მუშკატნოი ცუმტ.

— სრულ იქმნა —

პეტრე კლაპიტონიშვილი

მოკლე კარაბადინი

ანუ

დარიგება, მისთვის თუ ვითარი ღონისძიება, და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის, ჟამსა უეცრად ჩავარდნისასა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა.

მ ო კ ლ ე კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი

ანუ

დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთა თვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა, გამოცემული იმპერატორის ფილანტროპიის საზოგადოებისაგან. გადმოვიღე ქართულსა ენასა ზედა, და შევასწორე ჰრჩევათ და წამლობათ ჩუეულებასა საქართუელოს მცხოვრებთასა.

შტაბ ლეკარმან ნადვორნის სოვეტნიკმა წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის კავალერმან პეტრე ალექსანდრეს ძემ კლაპიტონოვმან.

მის უაღმატებულესობას

სამოქალაქო ღენერალ შტაბ დოქტორს საბატიოს ლეიბ-მედიკს უფალს დეისტვიტელნის სტატსკის სოვეტნიკს და ორდენთა წმინდისა ანნასა იმპერატორის გვირგვინით შემკულსა და წმინდისა სტანისლავისა პირუელთა ხარისხთა და წმინდისა ვლადიმერისა მესამე ხარისხისა კავალერის სემონ ფეოდოროვიჩს ღაევსკის.

მისს უაღმატებულესობას

ვინაიდან ვიცი რომელ საზოგადო სიმრთელე არს სასურველი საგანნი სამარადისოსა მოცალებისა, თქუენისა და ყოველივე რაიცა შეეწევის მას, სათნო არს თქუენდა.

ამისათვის ვიკადრებ მცირესა ამისა შრომასა ჩემისა, რომელსაცა შინა ჰსჩანს ზოგადი სარგებლობა შემღუჰნად სახელისა მიმართ. უაღმატებულესობისა თქუენისა. და გთხოვთ მოწყალეო ხელმწიფეო, რათა მ.ჰ!Გგავსად გულკეთილობისა თქუენისა ღირს იჩნიოთ სათნოდ შეწყნარება მისი.

ჭეშმარიტისა მაღალ პატივისცემითა და
სრულითა ერთგულებითა
დავშთები უმორჩილესი მოსამსახურე
პ ე ტ რ ე კ ლ ა პ ი ტ ო ნ ო ვ ი.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა

ჟამსა სამსახურისა ჩემისასა, საქართველოში ვიყავ მე, ხშირად გაგზავნილ სხუათა და სხუათა, გულმტკივნეობითა, რომ მცხოვრებნი მასსა მხარესა, უმეცრობითა და ცუდმორწმუნეობითა, უჩუჰენებენ იმ გუარ ღონესა და შემწეობასა, კაცთა ჩავარდნილთა უეცრად სასიკუდილოსა მდგომარეობასა, შინა, რომ სარგებლობის მაგიერ, ხშირად უმსწრაფლევან სიკუდილსა.

ამ გუარ შემთხუეულობათა თვის, კეთილ მოქმედი მთავრობათ ჩუენი. რომელიც მამობრივი მზრუნველობით იღუწის ერისათვის, თვისისა რაომცა იყუენ ბედნიერ გამოსცემს ყოველს წელიწადს, მრავალსა სასარგებლოთა წიგნთა და დარიგებათა სიმრთელისათვის ერისა.

.რადგანაც ქართულსა ენასა ზედა არა არს ამგუარი წიგნი; ამისათვის სასიამოვნო თანამდებობად ჩემდა ვრაცხე გადმოღება ქართულსა ენასა ზედა. მოკლე კარაბადინი, ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთა თვის ჟამთა უეცრად ჩავარდნისა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა. გამოცემული იმპერატორის ფილანტროპიის,

(ესე იგი კაცთ მოყუარე) საზოგადოებისაგან, რუსულსა ენასა ზედა, ჟამსა თარგმანისასა, ვცდილობდი რაოდენ შესაძლო იყოს. შევასწორე ჰრჩევაღ და წამლობა ჰავასა და ჩუᲪულებასა, მამულისა ჩუენისა მცხოვრებთასა.

ყოველნი ღონენი აღწერილნი ამ კარაბადინში როგორც ადვილად იშოვნების, ეგრეთუ ადვილად გაკეთდების, ყოველთაგან თუმცა არ იყოს აქიმი. და თარგმანიც. ქართულსა ენასა ზედა არს. დაეწრილ მდაბიურსა ენასა ზედა, რათამცა უადვილეს იყოს შესატყობელი.

ესასოებ, რომ თარგმანი ესე, ეგოდენ იქმნების სასარგებლო, რაოდენ: არს თვით ნამდვილი წიგნი. ამისათვის კეთილმოსურნეობითა, და სიყუარულითა მემამულეთა ჩემთათა, მე წარუდგენ მთავრობასა, 1200 წიგნთა უფასოდ დასარიგებლად საქართველოში.

პეტრე კლაპიტონოვი[1].

ზანდუკი ანუ საძიებელი

თავი ა: როგორ უშუელოთ დამრჩუალთ.
თავი ბ: გაყინულთ
თავი გ: გულშემოყრილთ
თავი დ: დარჩობილთ.
თავი ე: „ დაჟეჟილთ.
თავი კ: მეხდაცემულთ.
თავი ზ. მოწამლულთ.
თავი Ც. „ დამწუართ.
თავი თ: ცოფიან ძაღლისაგან ნაკბენს.
თავი ი: გუელისაგან დაშხამულთ.
თავი ია: მორიელისაგან დაშხამულთ.
თავი იბ: ნიშანნი მკუდრად საგონებელნი.
თავი იგ: ნიშანნი სარწმუნოდ მკუდრისანი.
თავი იდ: შენიშუნა გაფრთხილებისათვის.

---

1 ყოველივე ეს (წიგნის სათაური, მიძღვნა და წინასიტყვაობა) რუსულადაც არის მოცემული წიგნის დასაწყისში.

ანუ

დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონის ძიება და შემწეობა, მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისასა სასიკუ-დილოსა მდგომარეობასა შინა.

წინასწარი ცნობის მიცემა

დაუყოვნებლივ უნდა აცოდინონ ახლო მყოფს აქიმსა, არ უნდა მიგროვდნენ მრავალნი გუამთან, უნდა მსწრაფლ დიდის სიფრთხილით წაიღონ იმისთანა ადგილს, სადაც არ იყოს მეტი ხალხი ანუ იყოს სადგომი. ასე რომ თავი ჰქონდეს მაღლობით და არ ეძროდეს. მოვლისათვის ერთის ავად მყოფისა საკმაო იქნების ხუთი კაცი, რომელნიც მოვალეობითა ქრისტიანობისა და კაცთ-მოყვარეობითა ინებებენ შემწეობის მიცემასა, სხუ-ანი უნდა განაშორონ რომ არ უშლიდენ ერთმანეთს შემწეო-ბის მიცემასა.

ექიმის მოსვლამდინ უნდა იხმარონ კეთილის გონიერებით ყოველი აქა აღწერილი ღონენი.

თ ა ვ ი პ ი რ უ ე ლ ი

როგორ უნდა უშველოთ დამრჩუალთ კაცთ.

წყლიდან კაცის გამოტანის შემდგომ, არ უნდა თავ დაღმა ჩამოჰკიდონ, ანუ ბოჩკაზე, ანუ საფენზედ დადებული არიონ, ანუ ფეხებში ზურგზედ ჯოხით ჰსცემონ, რადგანაც ყოველი ამგუარნი შემწეობა. იქნების დიდად მავნებელი.

უნდა მსწრაფლ წაიყონ ახლოს თბილს სადგომში, დიდის სიფრთხილით ასე რომ თავი დაკიდებული არა ჰქონდეს და ეძროდეს, და იყოს სიმაღლით პირის სახე ჰქონდეს ახდილი. დაუგონ გამთბარი ლოგინი სახლის შუა ადგილასა, მომლელთ შეეძლოსთ ოთხისავე მხრით ადგილად შემწეობის მიცემა. გა-ხადონ ტანისამოსი და თუ სხვას ვიწრო ესე იგი წაღები, საცვეთები, ანუ სხვა, უნდა გაუჭრან, რათა არ მიეცეს დიდი მოძ-

რაობა. დააწვინონ მარჯვენ გუერდზედ, ასე რომ თავი მომაღ-
ლოდ ედოს, და პირი სახე ახდილი გაუწმინდონ გული ტანი
მშრალის გამთბარის პირსახოცებითა; პირიდგან, ცხვირიდგან,
და ყურებიდგან გამოუწმინდონ. ხელსახოცითა, ანუ ზეთში
დასველებულის ფრთითა ყოველი ნუზლა. პირსა და საფეთქ-
ლებსა ხშირად უნდა ასხურებდნენ და უსვემდნენ თბილს
ძმარსა, ანუ ოტკასა, ანუ წყალსა. და თუ პირი მოჭირვებული
ჰქონდეს, უნდა განუღონ. დიდის სიფრთხილით, კოვზის ტარი-
თა და ზეთში დასველებულის ფრთით, ანუ ღრუბლით, პირი
კარგად გამოუწმინდონ, ცხვირის ნესტოებზედ უსვან სასუნე-
ბელი სპირტი, ანუ ცხარე ძმარი, ანუ ცხვირ წინ დაუჭირონ
ხანგრძლივ, დანაყილი ნიორი, ანუ ხახვი ანუ ხრენი ანუ ძმა-
რით გაკეთებული მდოგვი. ანუ შეუბერონ ცხვირში, ბურნუთი,
ანუ კოჭა, ანუ დანაყილი პილპილი, ანუ აპუსტარაკი. პირში
ჩაუწვეთონ ათი, ანუ თხუთმეტი წვეთი, კაპლი ღოფმმანისა,
ანუ წიწაკა წყალში, ანუ არაყში დაჩეჩქილი და გაწურვილი
და ხანდისხან პირში უღიტინონ, ზეთში დასველებული ფრთა.
გარეშემო მოუდვან გამთბარი ბალიშები ორსავე გვერდზედ,
საბნის ქვეშ ბალიშებში ჩასდვან, სპილენძის ანუ თიხის ლიტ-
რებით, ანუ ბუთილკებით მდუღარე წყლები (უნდა ლიტრების
პირი მაგრათ დაუცონ, რომ არ დაიღვაროს) გულის ფიცარზედ,
ფეხების გულზედ, იღლიების ქვეშ, და ლაჯების შუა დასვან.
ძროხის ბუშტები, თბილის წყლით სავსე. (ბუშტების პირი კარ-
გად შეჰკრან). და უცვლიდნენ ხშირად. შემდგომ ამისა უნდა
ეცადონ, რომ ნელი-ნელად გაუთბონ ტანი ესრედ: მოიღონ მა-
უდის, ანუ შალის ნაჭერი, ანუ ღრუბელი, კარგად გაათბონ
ანუ დაასველონ, გამთბარ ძმარში ანუ არაყში[1]. ანუ წყალში:
და მით მალ მალ საბნის ქუეშ უსვან. პირუელად ფეხები და
მერე ნელ-ნელად ზევით და ზევით და ზევით მთელი სხეული.
ეგრეთუე უსვან მაგარი ღორის ჯაგარი ჩოტკა ტანზე და უმე-
ტესად ფეხების და ხელების გულზედა.

---

[1] და თუ იყოს ქაფური, უნდა მოიღონ ხუთი მისხალი, და
დაფხეკილი ჩაჰყარონ ერთ ჩარექ არაყში, და ისე იხმარონ წა-
სასმელად უმჯობეს იქნების.

დამრჩვალის მოსაბრუნებლად უნდა უბერვიდენ ნელ-ნელად პირში, ლერწმითა, ანუ ღონიერმა კაცმა პირზე პირი დაადვას, ცხვირის ნესტოები მოუჭიროს და მაგრამ რაოდენ-მეჯერ ჩაუბეროს, და მალ-მალ ფერდებსა და მუცელზედ ხელ-ი უსვამდეს, ქუეიდან ზევით ხელის-აყოლებითა. და ასე მოიქ-ცეს დრო გაძოშვებით. თუ სახეზედ გამოუჩნდეს წითელი, დალურჯებული ფერი, და ჰქონდეს თუალები გაწითლე-ბული და გაბერილი, და ჰსჩანდეს რომ დამრჩვალი არის, ღო-ნიერი კაცი, სრულის წლისა და ჭარბობს სისხლი, მაშინ უნდა მკლავიდან გამოუშვან სამი ჩაის ფინჯანა სისხლი. მხოლოდ სისხლის გამოშვება, არ უნდა იყოს პირუელი შემწეობის მი-ცემა, უმეტესად უაქიმოდ.

თუ იშოვებოდეს ვანნა, ჰაუზი, ანუ დიდი ბოჩკა, უნდა აავსოთ თბილის წყლით, და ჩასვან ყელამდინ ერთი რუბი სა-ათისა. შემდგომ აღმოიყუანონ და თბილის პირსახოცით სხე-ული მოსწმინდონ, და დააწვინონ გამთბარი ლოგინში სიფრთ-ხილით რომ არ შესცივდეს. დაუსვან საბნის ქვეშ გამთბარ-ი შალი, მთელ სხეულზედ.

ოდესაც გამოუჩნდების მცირედიც არის ნიშანი სიცოც-ხლისა. არ უნდა დაუტეონ ისე. მხოლოდ უნდა აღასრულონ გონიერებით, ყოველი შეწყობის მიცემა.

ნიშანი სიცოცხლისა, გამოუჩნდების ნელ-ნელად, მოძრა-ობითა, სახისა ანუ ცემითა მაჯისადა გულისა, ანუ წყნარი სუნ-თქვითა და შარდის წასვლითა. შემდგომ ამ გუარი ნიშნებისა, კიდევ და კიდევ უნდა უსვან გამთბარი მაუდი ანუ შალი, ანუ წაახვიონ გამთბარს და მიაწვინონ მეორე გვერდზედ, ნახევარ მჯდომარედ, უნდა მისცენ ოყნა (მაშინაც ოდესაც არა ჰქონ-დეს ნიშნები სიცოცხლისა). მოიღონ ერთი სტაქანი თბილი წყალი, მესამედი სტაქანი ძმარი, ანუ ზეითუთის ანუ სელის ზეთი, ოთხი კოვზი და ერთი ჩაის კოვზი მარილი, და მისცეს ოყნად, ორჯერ, ანუ სამჯერ, დრო გამოშვებით, და თუ ოყნის მისაცემი იარაღი არ იყოს, უნდა მოიღოს თითის სისქედ გათ-ლილი საპონი, ზეთი წაუსვას და უკანა კარში შეჰყოს, და იყოს რაოდენიმე ხანი.

სანამ დამრჩვალს არ გამოუჩნდეს, ნიშნები სიცოცხლისა და არ შეძლოს ადვილად ჩაყლაპა მანამდეს ძალად პირში არა ჩაუსხანრა, მომატებით, მხოლოდ უნდა ძმარნარევ თბილი წყლით, დასველებული ღრუბელი ანუ ფრთა, უსვან პირში, განედლებისათვის და გაგრილებისათვის პირის ოდესცა სნეული შეიძლებს, ადვილად ჩაყლაპასა რისამე, მაშინ უნდა დაალევინო თბილი ჩაი, გაკეთებული დიდგულის ყვავილისა, ანუ გვირილისა, ანუ პიტნის, ანუ ანისუნისა, ანუ ჩაი ხათაისა, და თუ იყოს ღოფმანის კაპლი, ანუ რომი, ანუ ოტკა, გაურიონ ერთ ფინჯანში, ათი ანუ ოცი წვეთი, ანუ ერთი კოვზი ღვინო და დაალევინონ დრო გამოშვებით, თითო ანუ ორ-ორი კოვზი.

თუ სნეული გრძნობდეს, გულის რევასა, მაშინ ჩაუყონ პირში ფრთა, და უღიტინონ, და დაალევინონ პირიდან სასაქმებელი, მოიღონ ნელთბილი წყალი, ექუსი კოვზი, ზეთი ზეითუნისა, ანუ სელისა, ერთი კოვზი, მარილი დანაყილი ნახევარი კოვზი, ერთად გაურიონ და დაალევინონ ორჯერ სამჯერ, ანუ მარტო თბილ წყალს ასმევდნენ.

როდესაც სნეულს მიეცემის სიმხნე, მაშინ უნდა ფრთხილობდნენ, რომ არ შესცვივდეს და არ ჰსჭამოს რა მაწყინებელი, და ძნელად მოსანელებელი, უნდა მიეცეს საყუათო მსუბუქი საჭმელი, ესე იგი წვენი ძალზედ მოხარშული, ქათმისა, ანუ ძროხის ხორცისა, ანუ წვრილი ახალი თევზისა, ანუ ძალზე მოხარშული შორვა.

ბურღულის, ანუ ბრინჯისა, სასმელად უნდა იხმაროს წყალი, ბროწეულისა ანუ ლიმონის წვენით შეზავებული, ანუ ქერის წყალი, ცოტა თაფლ-ძმარ გარეული, ანუ გამხმარი დამასხი წყალში დიდ ხანს დარბილებული, და გაწურვილი მხოლოდ სასმელი არ უნდა იყოს ცივი. ყოველი ზევით აღწერილი ღონენი, უნდა აღასრულონ, დიდის გონიერებითა და მოთმინებითა არამც და არამც მსწრაფლ წარიკვეთდენ სასოებასა, და უნდა ხანგრძლივ ცდილობდენ მობრუნებასა მისსა, ვინაიდგან მომხდარა ოდესმე წყლიდან გამოტანის უკან, თორმეტი საათისა, შემდგომთაც კარგი შემწეობის მიცემითაც არ გამოუჩენიათ ნიშნები სიცოცხლისა, და შემდგომ მობრუნებულან და სრულებით მორჩენილან.

ამისათვის მომვლელნი კაცნი, უნდა ჟამითი ჟამად იცვლებოდნენ, დაუღალველობისათვის, ერთბაშად მოვლისაგან და დაუშლელობისათვის რიგიანი შემწეობის მიცემისა.

თავი მეორე

რაგუარ უნდა უშველოთ, სიცივისაგან გაყინულთ კაცთ.

ოდესაც იყოს კაცი გაყინული, დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ გრილს სახლში, არამც და არამც დასვან ცეცხლს, ანუ ბუხრის, ანუ ფეჩს ახლო. ანუ ქურს ქუეშ, და თბილს ადგილას, მხოლოდ უნდა გახადონ ტანისამოსი, და დააწვინონ თოვლზედ, ესრედ რომ თავი ქონდეს მაღლობითა. და სრულ სხეულზედ პირის სახეს გარდა, მოაყარონ თოვლი[1] ექუსი გრე სიმაღლითა, რომელიც უნდა ხელებით გარეშემო ტანზედ კარგად თოვლი შემოატკეპნონ, რათა კარგად მიეკრას სხეულსა, ოდესაც თოვლი დადნეს, უნდა ხელ მეორე კიდევ როგორც ქუეითგან, ეგრეთუე ზეითგან შემოაყარონ, რომ იყოს კარგად თოვლში ჩაფლული, პირი სახის გარდა. სანამ სხეული რაოდენიმე გათბეს, და დარბილდეს. შემდგომ შეიძლების დააწვინონ გამთბარ ლოგინში. მხოლოდ გრილ სახლში, და უსვან ნელ ნელად ფეხებზედ, და ტანზე გამთბარი მაუდი, ანუ შალი, ანუ ღორის ჯაგარი, და ისე უნდა მოიქცენ, როგორც აღწერილ არის, პირველ თავში, დამრჩვალთა-თვის. ცხვირ წინ დაუჭირონ ცხარი ძმარი, ანუ სასუნებელი სპირტი, ხანდის ხან უნდა პირსა და ცხვირში უღიტინონ ფრთით, და უხრჩოლონ ცხვირ წინ ბუნბლი, ანუ ჯღანი, ანუ ქაღალდი, ეგრეთუე უნდა მიეცეს ოყნა, უნდა მოიღონ თბილი წყალი, ორი ჩაის ფინჯანი, ერთი ფინჯენი ზეთი სელისა ანუ ზეითუნისა, ერთად გაურიოს და მისცეს ოყნად, ორჯელ ანუ სამჯერ.

ოდესცა თოვლისაგან ან წყლისაგან სხეული დარბილდეს, მაშინ უნდა ზომიერად გაათბონ სადგომი, და თუ სნეულს შეეძლოს, ადვილად ჩაყლაპვა, მაშინ უნდა მიეცეს სასმელად ცოცოტცოტა თბილი ჩაი, გაკეთებული დიდგულისა, ანუ გვირი-

---

1 თუ თოვლი არ იყოს, უნდა ჩასვან ყელამდე ცივ წყალში, სანამ სხეული დარბილდეს.

ლისა, ანუ პიტნისა, ანუ ანისუნისა, ანუ ჩაი ხათაისა, საჭმელი და სასმელი, უნდა იხმაროს რაითაცა აღწერილ არს, პირუელ თავში დამრჩვალთათვის.

თავი მესამე

როგორ უნდა უშველოთ ნახშირისაგან თავ დაჭერილ კაცთ ანუ გულშემოყრილთ.

ოდესაც იქმნების უფრთხილობით ადრე დახურვილი ბუხარი, ანუ ფეჩი, ანუ შემოტანილი სახლში მაყალი, რომელსაც ასდის მოლურჯო ალი, და ჰსდის ნახშირის სუნი, რომელთაგანაცა მუნ მყოფთ გუამთ დაემართების თავის დაჭერა, და სრული ტკივილი თავის, თრთოლა გულისა, თავბრუს სხმა, და გულ შემოყრა, მაშინ უნდა დაუყოვნებლივ გაიყუანონ გარეთ, გახადონ ტანისამოსი, ასხურონ პირის სახეზედ ცივი წყალი ძმარ გარეული, ეგრეთუე უსვან თავზედ თოვლი, ანუ დასვან და თავზედ ასხან ცივი წყალი, ფეხების და ხელების გულზედ, და ტანზედ, წაუსვან მაგარი ღორის ჯაგარი, ანუ შალის ანუ მაუდის, ცხვირის წინ დაუჭიროთ ცხარი ძმარი, ანუ სასუნებელი სპირტი და ისე მოიქცნენ, როგორც აღწერილ არს დამრჩვალთათვის.

ოდესცა შეხვდების საჭიროება ჩასვლისა იმისთანა ადგილს, სადაც არის ჰაერი წამხდარი და შესაძლებელი, და არის მისგნით შიში, ესე იგი დიდ ხანს დაკეტილს სადგომში, ანუ სარდაფში, ანუ ჭაში ანუ ორმოში, ანუ ფეხის ადგილს, მაშინ უმჯობესი იქნების, რომ პირუელად ჩაუშვან სიფრთხილით ფანრით ანუ ჯოხზედ მობმული ანთებული სანთელი, გაქრეს მაშინ უნდა ჩაასხან, რაოდენიმე კოკა ცივი წყალი, ანუ მოიღონ ორიოდ პატარა კონა ჩალა, ანუ თივა მოუკიდონ ცეცხლი და ჩააგდონ, ამით წამხდარი ჰაერი გაკეთდების. გამოსაცდელად კიდევ ჩაუშვან ანთებული სანთელი, და თუ აღარ გაქრეს, მაშინ შეიძლება ჩავიდეს კაცი, და აღასრულოს თავის საჭიროება.

მხოლოდ ძლიერ კარგსა იქს, რომ დალიოს ცოტა არაყი ანუ ღვინო, და დასველებული ძმარში ხელსახოცით შემოიკ-

რას პირი, ანუ ჩაიდოს პირში ღრუბელი, ანუ პური პატარა ნაჭერი ძმარში დასველებული, და ისე ჩავიდეს.

ვისაც გული შემოეყაროს, ცუდი სუნისაგან, ანუ წამხდარი ჰაერისაგან, იმათაც უნდა ამგუარი შემწეობა უჩვენონ.

თავი მეოთხე

რაგუარ უნდა უშველოთ დარჩობილთ.

მაშინვე უნდა მოსჭრან თოკი, ანუ სარტყელი, ანუ სხუა ნივთი რაითაც ყელზე ქონდეს და არჩობდეს. გახადონ ტანისამოსი დააწვინონ გრილს ოთახში, ასე რომ თავი და მკერდი ჰქონდეს მაღლობით, ყელზე და კისერზედ მსუბუქად დაადვან ხელსახოცები, დასველებული თბილს ძმარში არაყში და ზეითუნის ზეთში, ეგრეთუე ასხურონ პირის სახე ცხარე ძმარით, დაუსვან ტანზედ, არაყი ძმარ გარეული, ასუნებინონ, სასუნებელი სპირტი, ანუ ძმარი და მოიქცნენ როგორც აღიწერების დამრჩვალთათვის.

თავი მეხუთე

როგორ უნდა უშველოთ ჩამოვარდნილთ დაუეჟილთ.

თავზედ უნდა პირსახოცები დასველებული ცივ წყალში. პირი სახე უნდა ასხურონ ცივის წყლით ძმარით და არყით, ეგრეთუე მისცენ ოყნა უნდა მოიღონ ორი ფინჯანი თბილი წყალი, ერთი ფინჯანი ზეთი ზეითუნისა, ანუ სელისა, ნახევარი კოვზი მარილი, ერთად გაურიონ და მისცენ ოყნად. ასუნებინონ სასუნებელი სპირტი, ანუ ძმარი.

თავი მეექვსე

რაგუარ უნდა უშველოდ მეხთ დაცემულთ

უნდა გარეთ გაიყუანონ, გახადონ ტანისამოსი, და ასხურონ პირის სახე და მკერდი· ძმარ გარეული ცივი წყლით, თავზედ დაადვან პირსახოცები. კარგად დასველებული ცივ წყალგარეული ძმარში, მთელი სხეულზედ უსვან ჯაგარი, ანუ მაუდი, ასუნებინონ სასუნებელი სპირტი ანუ ძმარი, და იხმარონ ყოველი ღონე რომელიც აღწერილი არს დამრჩუალთათვის.

ქუხილის დროს საჭირო არს, რომ ფანჯრები და კარები კარგად მოხურონ, და ბუხარიც დახურონ. მგზავრნი არ უნდა დადგნენ წვიმისაგან არცა ერთ გუარ ხის ქუეშ, რადგან იქნების შიში მეხის დაცემისა.

თავი მეშვიდე

რაგუარ უნდა უშველოთ მოწამლულთ

ოდესაც კარგათ მყოფი კაცი საჭმლის ანუ სასმლის მიღების შემდგომ, უეცრად გრძნობს გულის რევასა ძრიელსა ჭირით მუცლის ტკივილსა, ანუ დაემართების, პირითგან საქმობა. შინაგანის ტკივილითა, მაშინ შეინიშნების რომ საჭმელში ანუ სასმელში უხმარია საწამლავი, ანუ არის მოწამლულ, მაშინ უნდა მიეცეს სასმელად მომატებით თბილი რძე ანუ მაწონი, და საათში ოთხჯერ ნახევარ ნახევარი ფინჯანი ზეთი ზეითუნისა, ანუ სელისა.

თუ სნეულს პირითგან მომატებით ასაქმოს დიდად მარგებელი იქნების ეგრეთუე მისცენ სასმელად ძრიელ ძალზედ მოხარშული ქათმის წვენი, ანუ ძროხის ხორცისა, ანუ ბურღულის შორვა და იხმარონ, ზემოხსენებული ღონენი, სანამ ჭრა მუცლისა და ტკივილი ნაწლავებისა დაუამდების.

თუ ცნობილი იქნების, რომ სნეულს მიუღია დარიშხანა, თაგვის წამალი, ანუ ჟანგარო, მაშინ უნდა მიეცეს სასმელათ თბილი წყალი, რომელშიაც უნდა დაადნონ რაოდენიმე საპონი, ეგრეთუე მუცლის და ნაწლავების ჭრისათვის ,და ტკივილისათვის მიეცემის ოყნა, უნდა მოიღონ ორი ფინჯანი თბილი წყალი, ანუ რძე ერთი ფინჯანი ზეთი, და ერთად გაურიონ, და ისე მისცენ ოყნა ერთხელ ანუ ორ ჯერ.

დიდათ უნდა ფრთხილობდენ, ყოველნი რომ მოუკალავს ანუ ცუდად მოკალულს სპილენძის ჭურჭელში, არა მოხარშონ რა, და არც შეინახონ რაიმე მომჟავო. ესე იგი. შვინდის შეჭამადი, ანუ კოწახურისა ანუ კვრინჩხისა, ანუ დამასხისა, ანუ ალუბალისა. ანუ სხვა ძმარგარეული საჭმელი, ეგრეთუე მაწონი. დომხალი და სხუა, რადგანაც ძლიერ დიდად მავნებელი იქნების, სადაც ხმარობენ სპილენძის ჭურჭელსა, დიდად უნდა ცდილობდენ, რომ ხშირად და კარგად მოაკალვინონ.

თავი მერვე

რაგუარ უნდა უშველოთ დამწუართ.

ოდესაც მთელი სხეული არის, მდუღარით დამწუარი, მაშინ უნდა ჩასვან თბილს რძეში ყელამდინ, ანუ რძე გარეულ წყალში, და თუ არ იყოს მაშინ უნდა მთელ სხეულზე დაადვან ახალი ძროხის განავალი, და თუ მხოლოდ იყოს, ზოგიერთი ადგილი ანუ რომელიმე ასო დამწუარი, მაშინ უნდა მოიღონ უმი კარგად დაფხეკილი კარტოფილი, ანუ მიწის ვაშლა, და დაადვას დამწვარ ადგილას, ოდესცა გახმეს კიდევ განაახლოს რაოდენიმე ჯერ. შემდგომ ამისა მოიღოს ზეთი ზეითუნისა ანუ სელისა, და ცილა კვერცხისა, თანასწორ კარგად ერთად შეაზაოს, და წაუსვას მჩუარზედ დაადვას, დამწვარს ადგილას, და უცვლიდეს დღეში ორჯერ, ეგრეთუე უნდა გარეშემო შემოადვან გაპენტილი ბამბა ანუ მოაყარონ დამწვარს სხეულზედ, ფქვილი ანუ სახამებელი.

თავი მეცხრე

რაგუარ უნდა უშველოთ ცოფიან ძაღლისაგან ანუ მგელისაგან ნაკბენსა.

ნაკბენი ადგილი მაშინვე უნდა კარგად გამობანოს რამოდენიმე ჯერ, საპნის წყლით ანუ ნაცარადუღებული წყლით ანუ ძრიელ მარილ გარეული წყლით, ანუ შარდით სისხლი, რომელიც მოსდიოდეს სრულებით არ უნდა დააყენონ, და სცილობდენ რომ დიდ ხანს სდიოდეს სისხლი და თუ ნაკბენ ადგილზედ შეიძლებოდეს კოტოშის მოკიდება, მაშინვე უნდა კოტოშით გამოუშვას სისხლი, ანუ ძრიელ გახურებული რკინით ნაკბენი ადგილი დადაღონ და ნაკბენი ადგილი რაოდენნიმე თუე მალამოებით ამუშაონ, რომ მალე პირი არ შეეკრას, და მოსდიოდეს ჩირქი, ამისათვის უნდა მოიღონ თეთრი კევი, წმინდა სანთელი, ექუს-ექუს მისხალი, ზეთი ზეითუნისა ანუ სელისა, ერთი დიდი კოვზი, ტაფაში გაადნოს, და შემდგომ წაუსვან ტილოზედ და დღეში ორჯერ ადებენ, ნაკბენ ადგილს, და თუ ამ მალამოთი ჩირქი არ მოსდიოდეს და პირი შეკრას

მაშინ ამ მალამოში, უნდა გაურიონ მეოთხედი მისხალი დანაყილი წმინდად პილპილი და ისე ადებდნენ, ხან პილპილ გარეულს, ხან უმისოდ.

მხოლოდ უნდა ცდილობდნენ, რომ საჩქაროდ ექიმს აცოდინონ.

თავი მეათე

რაგუარ უნდა უშველოთ გუელისაგან დაშხამულთ.

შხამის გაქრობისა ანუ მისის მავნებლობის ძალის შემცირებისათვის, ნაკბენს ადგილს თუ შეიძლებოდეს, მაშინვე კოტოში მოჰკიდონ ანუ სამართებლით დასეროს ანუ გახურებული რკინით დადაღოს. შემდგომ ერთს ჩარექს წყალში, ორი კოვზი, დანაყილი ნიშადური, ანუ მარილი დაადნოს და მით ხშირათ ნაკბენი ადგილი გამობანოს ანუ შარდით გამობანოს.

დაჩირქებისა და გაწმენდისათვის შხამისა უნდა მოიღოს მალამო, რომელიც აღწერილ არს, ცოფიან ძაღლ ნაკბენთათვის. და ისდე ადვას თუთხმეტი დღე.

რადგანაც გამოცდილებით ცნობილ არს, რომ ზეითუნის ზეთი, განაქარვებს ძალასა შხამისა, ამისათვის უნდა დღეში სამჯერ ანუ ოთხჯერ, ასმევდენ თითო კოვზს ზეითუნის ზეთსა, ანუ სელის ზეთსა, ეგრეთუე გამთბარი ზეთი, დღეში ოთხჯერ უსვან როგორც ნაკბენ ადგილსა, ეგრეთუე მთელ სხეულზედ, და მიეცეს დღეში ორ ჯერ ანუ სამჯერ თითო მუხუდოს ოდენი, ქაფური გვირილის ანუ დიდგულის, ანუ ცაცხვის ყვავილის ჩაითა თითო ანუ ორორი ფინჯანი უმჯობეს იქმნების თუ ზეთში გაურევენ რაოდენსამე დაფხეკილს ქაფურს, და ისე წასასმელად იხმარიან. ეგრეთუე უნდა მისცენ ოყნა. ზეთ გარეული თბილის წყლის, დაშხამული ადგილი და მთელი ასო აუხვიონ ვიწრო სარტყელითა.

ყოველივე ზემოხსენებული ღონენი იხმარონ, რაოდენიმე დღე, და ცდილობდენ რომ მოუვიდეს ოფლი და ასაქმოს ტანში, საჭმელი და სასმელი, უნდა იხმაროს, ყოველი იგი, რაიცა აღწერილ არს დამრჩუალთათვის.

თავი მეთერთმეტე

რაგუარ უნდა უშველოთ მორიელთაგან დაშხამულთ.

როგორც დაშხამულ ადგილს, ეგრეთუე მთელს სხეულზედ უნდა წაუსვან გამთბარი ზეითუნის ანუ სელის ზეთი, და დაალევინონ დღეში ორი ანუ სამი კოვზი, ნაკბენ ადგილს დაადვან მჩუარი დასველებული თბილ ზეთში.

და თუ დაშხამული იყოს დიდ შხამიან მორიელისაგან, და ძრიელ სიცხე ქუეყანაშია, და ჰქონდეს შიში, მაშინ, თუ ნაკბენი ადგილი ნებას მისცემს, უნდა მოუკიდონ მსწრაფლ კოტოში, ეგრეთუე მოიღოს თითო მუჭა ფქვილი, და დანაყილი სელი, თბილის წყლით დაზილოს და დაადვას თბილ-თბილი ნაკბენს ადგილს, და ხშირად უცვლიდეს, ანუ მოიღოს პურის გული ,და ადუღოს რძეში და სქლად ადვას თბილ თბილი უნდა დაალევინონ თბილი ჩაი, გაკეთებული გვირილის, ანუ დიდ გულის ანუ ცაცხვის ყვავილისა.

როგორც მორიელთაგან, ეგრეთუე სხუა გუარ ბუზთაგან ნაკბენისათვის დიდად მარგებელი იქნების წასმა ტანზედა დღეში ოთხჯერ თბილი ზეთი, ეგრეთუე არგებს წასმა ნაკბენს ადგილსა, ძმარი, ლიმონის წვენი, ყინული და დაჩეჩქილი ოხრახუში, ადებენ ნაკბენს ადგილს.

სასმელად უნდა მისცენ წყალი ბროწეულის წვენით, ანუ ძმრით შეზავებული ,ანუ ქერის წყალი, საჭმელი უნდა იყოს მსუბუქი და ადვილად მოსანელებელი.

თავი მეთორმეტე

ნიშანნი მკუდრად საგონებელთანი.

1. ოდესცა მომკუდარსა ჰქონდეს ცუმცაღა ყოველითურთ უძრავად თუალნი, გარნა არღა ჩაცვივნულნი და წმინდანი.

2. თეთრი ფერი ყოვლისა სხეულისა, და მცირენი სიწითლე ღაწვთა და ბაგეთა.

3. უგრძნობელი სუნთქუა, რომელიც ოდენ შესაძლო არს ცნობად სარკის პირზედ დადებითა, რომლისა გამო, უკეთუ აქუს სუნთქუათ, სარკე დაიორთქლების.

4. მცირე სითბოი გრძნობილი, პირში, იღლიებ ქუეშ, და მარცხნივ გარემო გულისა.

5. მოუწყვეტელი სილბილე სხეულისა.

ოდესცა ის ნიშანნი ექმნების, მაშინ დაუყოვნებლივ სათანადო არს მიცემად შემწეობისა, ხელითა და წასმითა გამთბარის შალით, ანუ მაუდით ვიდრემდის გაუთბებოდეს სხეული, თუმცა ხმარებითა ყოველთა ღონეთათა, არ გამოჩდენ ნიშანნი სიცოცხლისანი, მაშინაც არ მახლობელ სამისა დღისა დამახუა მისი. ანუ მანამდინ არ გამოუჩნდებოდეს ნამდვილი ნიშანნი მკუდრისანი. ამისთვის საჭირო იქმნების რათა განსაკუთრებულს სახლში დასდონ. და ხშირად უხრჩოლებდნენ საკმელსა, ანუ ღვიის კენკრასა, ანუ გახურვებულის აგურზედ ასხამდენ ძმარსა, და განაახლებდენ ჰაერსა გაღებითა ფანჯარისა ანუ კარისა.

თავი მეცამეტე

ნიშანი სარწმუნოდ მკუდრისანი.

ნიშანი სარწმუნოდ მკუდრისანი არიან გამხმარი და მოშვებული, შუბლი, ცხვირი გრძლად ჩამომწუეტებული, უძრავი და მღვრიე თვალნი. საფეთქლის ძვლები გამომჯდარი, ჩამოშვებული ტუჩები, სრულიად დამდგარი მაჯა, და გულის ცემა, ეგრეთუე სუნთქვა, გამაგრება სულისა სხეულისა და მომაკვდავი ფერი, ყოველნი ესე ნიშანნი ერთად შეერთებულნი, გვიჩვენებენ სწორედ სიკუდილსა, და უკეთუ არა არს, რომელიმე ამათ ნიშანთაგან, მაშინ კიდევ საიმედო არს მობრუნება მისი.

თვით არსებითი ნიშანი სწორედ სიკუდილისა, არს სრულიადი მოწყვედილება სხეულისა სახსრებითურთ, გაბერვა მუცლისა, და გამოჩენა.

ლურჯის ხალებისა პატარა მუცელზედა, პირიდამ, ცხვირიდამ, და განსავლიდამ დენა მყრალისა წყლისა. ანუ სისხლისა, და სუნი მკუდარისა, მაშინ ვერ არს დამთხუად.

შენიშვნა გაფრთხილებისათვის.

საჭიროდ ვრაცხავ, აქა აღწერად მის დიდად მავნებლობისა, რომელსა აღასრულებენ ჩვეულებისამებრ მრავალთა ადგილთა საქართველოსა შინა ესე იგი:

ოდესცა ავადმყოფს ექმნების სლოკინი ანუ აღარ გამოუჩნდების, სუნთქუაი, ცემა მაჯისა და გულისა, სახე გაყვითლდების, და თუალები უძრავ ექნების, მაშინ მცირესა, ამას, ნიშნებსა, სიკუდილისასა, მიიღებენ სწორედ მკვდრისად, და დაუყოვნებლივ ჯერ თბილის გვამისაგან თავიდგან ბალიშებს აართმევენ, თუალებს ძალად დაუხუჭავენ და ქუთუთოებზედ დაადწყობენ მანეთსა, ანუ შავ ფულსა, დაუკვრენ ყბასა, მიაკვრენ პირზედ გაპტყელებულ წმინდიას სანთელსა. ყურებში ჩაუდებენ სასმელსა ანუ ხორბალსა ხელებსა და ფეხებს შეუკრავენ ცდილობენ მსწრაფლ იმასვე დღეს დამარხუასა.

ამ სახედ იქცევიან მაღო-მეტანნი (თათრები) და ურიანი, რადგანაც ცოდუად მიიჩნევენ, მკუდრის დამარხვასა მზის ჩასვლის შემდგომ და ამისთვის თუ ცოტა ადრე მზის ჩასვლისა ვინმე მოკუდების მაშინვე მას მარხავენ.

ქრისტიანები მცხოვრებელნი მათ შორის, ყოველთვის შეჩუეულან მათსავე მსწრაფლ მასვე დღეს დამახუასა.

ყოველნი ესე გუარნი ქცევანი არა თუ მასვე ჟამსა, არამედ მეორესა დღესაცა დიდად მავნებელი არს. რადგანაც თუნდა მოსაბრუნებელიც იყოს მოუსწრაფებს სიკუდილსა, რადგანაც შეიძლების, რომ იყოს კაცი რაოდენნიმე დღე დიდად გულ შემოყრილ და მერე თავის უფლით ან სხუა და სხუა ღონის ძიებით მობრუნდეს, როდესაც შემწეობის მიცემის მაგიერ მსწრაფლ ძალით თუალებს დაუხუჭავენ, ყურებს დაუცემენ, ხელებს შეუკრავენ მაშინ მოუსწრაფებენ სიკუდილსა.

ამისთვის კეთილ-გონიერება და კაცთ მოყუარეობა მოითხოვს, რომ სანამ სწორე ნიშნები სიკუდილისა არ იხილონ, არ

უნდა ესენი აღასრულონ მხოლოდ ამაო და უსარგებლო საგნისათვის, რათამცა ამითი იყოს მიცუალებული, შესაფერს სახის მდგომარეობაში და არ დარჩეს თუალი ანუ პირი ღიად, და არც უნდა წინააღმდეგ კანონისა სამისა დღისა, ადრე დამარხონ და ყოველნი კეთილ-გონიერნი გუამნი უნდა ჰრჩევას აძლევდენ და უშლიდენ მსწრაფლ დამახუასა და უმეტესად უნდა უშლიდნენ მას.

მავნებელ ჩუეულებასა რომელიც არს მსწრაფლ, თავიდგან გამორთმევა ავანტყოფისა ბალიშები, დახუჭვა თუალებისა და სხვა.

სრულ-იქმნა.

შინაარსი

შესავალი 3
პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების მოკლე მიმოხილვა 14
სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ორგანიზაციის საქმე 28
საკურორტო საქმის ჩანასახები 80
სააფთიაქო საქმე 93
ეპიდემიები და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები 107
შავი ჭირის 109
ქოლერის 129
ყვავილის 139
საკარანტინო სამსახური 151
სამხედრო მედიცინა 166
ხალხური მედიცინა 176
სამედიცინო პერსონალი 187
ქართული სამედიცინო ლიტერატურა და მედიცინის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი
ქართული სამედიცინო ლიტერატურა 198
დავით ბაგრატიონი 205
იოანე ბაგრატიონი 207
პეტრე კლაპიტონიშვილი 210
პუბლიკაცია 217
1 გოდერძი ფირალიშვილი — „ღონეჲ და შეწევნილება, რომლითაცა იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან“ 219
2 გიორგი ელიოზიძე — „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა ყვავილისა“ 245
3. პეტრე კლაპიტონიშვილი — „მოკლე დარიგება ერისა, ვითარი იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჭირისა“ 253
4. პეტრე კლაპიტონიშვილი — „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება, მისთვის თუ ვითარი ღონისძიება, და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის, ჟამსა უეცრად ჩავარდნისასა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა“ 295

რედაქტორები: დ. იუკურიძე, ნ. ჩიგოგიძე
მხატვარი ნ. ლაფაჩი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII—68 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი
თაბახი. 16,59 სააღრიცხვო-საგამომცემლო 14,3
ტირაჟი 1000 უე 01845 შეკვ. № 2477

ფასი 1 მან. 84 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография издательства «Мецниереба».
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15